საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№14 (105)
20 აპრილი – 3 მაისი, 2011
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

«საქართველო და მსოფლიო» გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 4 მაისს

# ჩვეულებრივი ფაშიზმი



2

## სამედიცინო ექსპერიმენტები თუ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა?

# სომალიზაცია

3

ზურაბ ქაფიანიძე:

## ამერიკელებმა რაღაც ღარიბები გვნახეს, მოგვეჩვენებიან როგორც დურაკები

8

## ქართლ-კახეთის მეფეთა რეზიდენცია შეიძლება დაინგრეს

8

## რეპერი „შავი პრინცი“ რუსეთის ერთ-ერთ ქართულ ტაძარში გალობს

9

შალვა რამიშვილი:

## «რუსთავი 2» იდეოლოგიური სპეცსამსახურის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე ტელევიზიის

11

## «დედა ენას» სააკაშვილისგან იუნესკო დაიცავს




10

საქართველოს პრეზიდენტმა იაკობ გოგებაშვილი „გმირი სომეხი მღვდლის, სააკაშვილის გამო“ აითვალწუნა

მეუფე იობი:

## წირვა-ლოცვის დროს არ მაქვს იმხელა დატვირთვა, რამდენიც კვეთებულის ლოცვების დროს

16



პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**უკვე ჩნდება ეჭვი, რომ საქართველოს ხელისუფლება რაღაცას უმალავს საზოგადოებას და ეს რაღაც სწორედ სამედიცინო ექსპერიმენტები და პატიმრების ორგანოებით ვაჭრობაა. თუკი ეს დადასტურდა, მოსალოდნელია, რომ საქართველოს ხელისუფლებას პასუხი არამარტო ადამიანის უფლებების დარღვევების ალმაშფოთებელი ფაქტების გამო მოსთხოვონ, არამედ იმ საშინელებისთვისაც, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული რომ ჰქვია.**

# ჩვეულებრივი ფაშიზმი, ანუ სამედიცინო ექსპერიმენტები თუ პატიმრების ორგანოებით ვაჭრობა?

**ხელისუფლება საგულდაგულოდ ასაიდუმლოებს ქართულ ციხეებში არსებულ რეალობას. მაგრამ ჭირი თავს მაინც არ მალავს და ინფორმაცია ვრცელდება, რომ საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში სამედიცინო ექსპერიმენტებს ატარებენ. ეს ინფორმაცია ოფიციალური წყაროებით არ დასტურდება, ისევე, როგორც გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ პატიმრების ორგანოებით ვაჭრობენ. თუმცა, თუკი პატიმრების გაუსაძლის პირობებს გავითვალისწინებთ და ამის თაობაზე უფლებადამცველთა თუ „საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის“ პროტესტს ყურს დავუგდებთ, გამორიცხული არაფერია.**



პატიმართა მიმართ სამედიცინო ექსპერიმენტების განხორციელება ქართველ „დასტაქართა“ მოგონილი არ არის, ფაშისტების საკონცენტრაციო ბანაკებსა თუ საბჭოთა ჯურღმულებში ათასობით ადამიანი გახდა ჯალათ მედიკოსთა „საცდელი ბოცვერი“. მას შემდეგ, რაც ტრანსპლანტაცია შესაძლებელი გახდა, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაც ერთ-ერთი წარმატებული ბიზნესია იარაღით ვაჭრობასა და ნარკობიზნესთან ერთად.

**„სტატისტიკური მონაცემები შემაშფოთებელია. შემიძლია ვთქვა, რომ მსოფლიოში ერთ წელიწადში, მხოლოდ თირკმლის არალეგალური ტრანსპლანტაციის 15 ათასამდე შემთხვევაა დაფიქსირებული. ამ ბიზნესში ყოველწლიურად 150-დან 200-მდე ქვეყანა მონაწილეობს. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც ჩაბმული არიან ტრანსპლატაციის შავ ბიზნესში“,** — განაცხადა უროლოგიის ეროვნული ცენტრის კლინიკის დირექტორმა, არჩილ ჩხოტუამ რადიო „ობიექტივის“ ეთერში. მისივე თქმით, ამ საქმიანობით დაკავებული არიან შავი ბიზნესის კლასიკური წარმომადგენლები — არამხოლოდ ექიმები და პაციენტები, არამედ ე.წ. ბროკერებიც.

ბევრი ითქვა და დაიწერა საქართველოს ციხეებში არსებულ ვითარებაზე, მაგრამ ჯერ არ ყოფილა მსჯელობა იმის თაობაზე, ატარებენ თუ არა მსგავს ექსპერიმენტებს ჩვენთან და ჩართული არიან თუ არა ქართველი „თეთრხალათიანები“ მსგავს ბიზნესში.

**მაგრამ უკვე ჩნდება ეჭვი, რომ საქართველოს ხელისუფლება რაღაცას უმალავს საზოგადოებას და ეს რაღაც სწორედ სამედიცინო ექსპერიმენტები და პატიმრების ორგანოებით ვაჭრობაა.**

**თუკი ეს დადასტურდა, მოსალოდნელია, რომ საქართველოს ხელისუფლებას პასუხი არამარტო ადამიანის უფლებების დარღვევების ალმაშფოთებელი ფაქტების გამო მოსთხოვონ, არამედ იმ საშინელებისთვისაც, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული რომ ჰქვია.**

**მაგრამ ხელისუფალთ თავი ევროპულ ანდა სულაც — კოვბოის ქუდში აქვთ. ამას ადასტურებს ევროსაბჭოს საგანგებო მომხსენებლის — დიკ მარტის ანგარიში, რომელმაც კოსოვოს განთავისუფლების არმიის (KLA) ყოფილ ხელმძღვანელებს ბრალი დასდო ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაში. ეს კი 1999 წელს სერბეთის უშიშროების ძალებთან კონფლიქტის დასრულების შემდეგ ხდებოდა შუაგულ ევროპაში.**

დიკ მარტის ანგარიშში მითითებულია, რომ პატიმართა ორგანოების ტრეფიკინგის პროცესში ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო კოსოვოს ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი ჰაშიმ ტაჩი, რომელიც იუგოსლავიაში მიმდინარე ომის დროს ეთნიკურ ალბანელთა პარტიზანულ დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა. ომს დაახლოებით 13 ათასი ადამიანი ემსხვერპლა, დაახლოებით 1900 ჯერაც დაკარგულად ითვლება.

თავის ანგარიშში მარტი წერს, რომ **კოსოვოს გათავისუფლების არმიას ჩრდილოეთ ალბანეთში სამოქალაქო პირები საიდუმლო პატიმრობაში ჰყავდა, მათ საბოლოო გაუჩინარებამდე კი ფუშე-კრუიასთან მდებარე კლინიკაში, ზოგიერთ პატიმარს ორგანოებს აჭრიდნენ. ეს ორგანოები ალბანეთიდან გაჰქონდათ და საერთაშორისო შავ ბაზარზე — კერძო კლინიკებზე — ყიდიდნენ.**

ევროპამ ამ ანგარიშს წაუყრუა და ტაჩი ახლაც კოსოვოს პრემიერ-მინისტრია. დასავლელ პოლიტიკოსებს კოსოვოში გაჩაღებული მასშტაბური დამნაშავეობრივი საქმიანობა არც ადრე აღელვებდათ და არც ახლა აღელვებთ. მათ ორმხრივ ინტერესებზე დამყარებული თანამშრომლობა აკავშირებთ. „საქართველო და მსოფლიო“ უკვე წერდა იმის შესახებ, რომ, მაგალითად, ბერნარ კუშნერს კოსოვოში სატელეფონო, მობილური კავშირგაბმულობისა და ინტერნეტ-პროვაიდერი კომპანიები აქვს. ამერიკულ კაპიტალს კი კოსოვოში ამერიკელი ჩინოვნიკები იცავენ და ადგილობრივ კომპანიებს ბაზარზე ყველა გზას უკეტავენ.

ეს მაგალითი მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ მოვიყვანე, რომ სრული წარმოდგენა შეგვექნას ვითარებაზე — რა მოხდება, თუკი ევროპისგანაც და ამერიკისგანაც პოლიტიკური ინტერესი არ გაჩნდება საქართველოს ციხეებში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. **როცა გერმანული ფაშიზმი გაასამართლეს, მთელ მსოფლიოში „ხოხბებზე ნადირობა“ დაიწყო და საკონცენტრაციო ბანაკების ჯალათებს ყველგან ეძებდნენ, პოულობდნენ და ასამართლებდნენ. ახლა კი, ტაჩის შემთხვევაში, ყველა გაისუსა — დიდ პოლიტიკას არ სჭირდება „ევროპული ჩახოხბილი“, ახლა ევროპელები აფრიკის უდაბნოს ცხელ ქვიშაში ეძებენ „ნატვრისთვალს“.**

ამიტომ დავუბრუნდეთ ჩვენს პრობლემას. როდესაც ამ ეჭვის შესახებ h მისამართზე ციხეში გარდაცვლილი პატიმრის დის მწარე მონოლოგი წავიკითხე, განსაკუთრებით გამაოგნა ეჭვმა, რომ მის ძმას **„სისხლსა და სითხეს ულებდნენ. ვეუბნებოდიო, მომკალითო, ამდენს ვეღარ გავუძლებო, მაგრამ არ მკლავდნენო. ჩემი ძმა ძველი თანამშრომელი იყო, ნავარჯიშევი და ჯანმრთელი, მაგრამ ვეღარ გაუძლო. შეხედე ნაწამები პატიმრების ამ სურათებს, ყველას რამხელა ნაკერი ადევს. შესაძლოა, პატიმრების ორგანოებითაც ვაჭრობენ, სიკვდილის შემდეგ ხომ ყველა ორგანო არ ფუჭდება...“**

მართლაც დამზაფრავი ეჭვია და მის გასაფანტად პრეზიდენტ სააკაშვილს მოუწევს, გაიხსენოს იუსტიციის მინისტრობისდროინდელი საკუთარი პირველივე ინიციატივა და ახლა უკვე პრეზიდენტის რანგში გასცეს ბრძანება, შეიქმნას მონიტორინგის საბჭო, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, უფლებადამცველები და ჟურნალისტები იმუშავებენ. ამით არამხოლოდ ეს საშინელი ეჭვი გაიფანტება, არამედ პატიმრების მდგომარეობაც გამოსწორდება. არ მინდა, ვიფიქრო, რომ ბავშვობისდროინდელი კომპლექსების გამო იქცევიან ასე სადისტურად.

**„სისხლსა და სითხეს ულებდნენ. ვეუბნებოდიო, მომკალითო, ამდენს ვეღარ გავუძლებო, მაგრამ არ მკლავდნენო... შეხედე ნაწამები პატიმრების ამ სურათებს, ყველას რამხელა ნაკერი ადევს. შესაძლოა, პატიმრების ორგანოებითაც ვაჭრობენ, სიკვდილის შემდეგ ხომ ყველა ორგანო არ ფუჭდება...“**



**„წინააღმდეგობის მოძრაობაში“ ყოველდღიურად ათეულობით ადამიანი მიდის და პატიმრების გაუსაძლის ყოფაზე საუბრობს; შემზარავ ფაქტებს ყვებიან ციხეში გარდაცვლილის საშინელი წამებით აღსასრულზე და ფოტომასალაც მოაქვთ. სწორედ ეს ფოტოები გამოფინა „წინააღმდეგობის მოძრაობამ“ კინოს სახლში და მნახველები შოკში ჩააგდო. ეს იცის ამ „მოძრაობის“ ყველა წევრმა. აქ ლაპარაკი არ არის იმაზე, ისინი სამართლიანად დააპატიმრეს თუ უსამართლოდ** (რატომაც არა, მაგრამ ვრცელი და ცალკე საუბრის თემაა!), **ლაპარაკია იმაზე, რომ, სანამ პატიმრის საქმე ყველა ინსტანციის სასამართლოს მოივლის, მას სულის ამოხდამდე სცემენ და აწამებენ! განსაკუთრებით იმათ ერჩიან, ვინც განაჩენი სტრასბურგში გაასაჩივრა!**

მაგრამ ეჭვიც არის და ეჭვიც! „ალიას“ ინკოგნიტო რესპონდენტი — სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი საერთოდ საშინელ ფაქტებზე საუბრობს: **„26 წლის ბიჭი გაასვენეს ამას წინათ ციხიდან. 23 კილო იყო წონაში. ყოფილა შემთხვევა, რომ მკვდარ პატიმარს ტვინის ნაცვლად „ტრუსიკი“ ჰქონია ჩადებული. შიგა ორგანოები სულ ამოცლილი აქვთ. ასეთი მიცვალებულები ბალზამს არ იღებენ“.**

იქნებ, ვინმემ ამიხსნას, ეს რას ნიშნავს? ანდა რა ახსნა სჭირდება, ამგვარ ისტორიებს ნებისმიერი ტანჯვა-წამებით გარდაცვლილი პატიმრის ოჯახის წევრი მოგიყვებათ!

გასაგებია, რომ ამ სისტემაშიც არიან ისეთები, ვისაც ადამიანობა არ დაუკარგავს, ისევე, როგორც ჰიტლერულ „ესეს“-შიც იყვნენ ნორმალურები — გაიხსენეთ ფილმი „პიანისტი“ — მაგრამ ქართული ციხეების ის ახალგაზრდა თანამშრომლები, ვისთვისაც სადიზმი ცხოვრების წესად იქცა, ამ ქვეყანაში ცხოვრებას აღარ აპირებენ? დაიწყება, ოდესმე დაიწყება „ქართველ ხოხბებზე ნადირობა“ და ამ ქვეყანაში მართლა დატრიალდება უბედურება!

ამ თემაზე მუშაობისას საზოგადოებისთვის ცნობილ რამდენიმე ადამიანს კომენტარი ვთხოვე და, მართალი გითხრათ, ძალიან მინდოდა, ჩემს შეკითხვაზე — **რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ პატიმრებს სამედიცინო ექსპერიმენტებისთვის იყენებდნენ ანდა მათი ორგა-** ▶

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**დღეს ქართული სტუმართმოყვარეობა მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მოგონებად დარჩა. ხალხს საჭმელი აღარ აქვს სახლში. სტუმართმოყვარეობა დღეს მხოლოდ ჩინოვნიკების ფუფუნებაა. ხელისუფლება კი დღეს სტუმარს ტურისტს ეძახის. ეს სტუმარი კი მით უფრო უყვარს, რაც მეტ ფულს დაახარჯვინებს. ცნობიერების აღრევა ხდება საზოგადოებაში, რაც სამომავლოდ ნამდვილად არ იქნება სასიკეთო ქართველი ერისთვის.**

◀ **ნოებით ვაჭრობდნენ და ამიტომ არ უშვებენ პენიტენციალურ დაწესებულებებში არასამთავრობოებს, ჟურნალისტებს და პატიმართა ოჯახის წევრებს?**

— ეპასუხათ, რომ, მიუხედავად ხელისუფლების უგვანობისა, მათთვის წარმოუდგენელია ამგვარი რამ.

ვერ ვიტყვი, რომ იმედი გამიცრუვდა. ხალხი, უკვე დიდი ხანია, ლაპარაკობს, რომ პატიმრებზე ექსპერიმენტებს ატარებენ, რომ, შესაძლოა, მათ ორგანოებსაც ყიდიან საერთაშორისო შავ ბაზარზე.

**„ჩვენს ქვეყანაში ყველაფერია შესაძლებელი“, „საქართველოში გამორიცხული არაფერია“, „სააკაშვილის რეჟიმის პირობებში გამორიცხული არაფერია“, „აუცილებლად ექნებათ ეს ბიზნესი პატიმრებისგან“, „ამის გამორიცხვა არ შეიძლება“,** — ძირითადად ასეთი პასუხები მივიღე. მაგრამ, ალბათ, უპრიანი იქნება, მათი კომენტარები შემოგთავაზოთ:

**კახა კუკავა:**

— უმძიმესი მდგომარეობაა პენიტენციალურ სისტემაში. რაც შეეხება იმას, აქვს თუ არა ადგილი პატიმრების სამედიცინო ექსპერიმენტებში მონაწილეობას, ამის თაობაზე ჩვენთვის არავის მოუმართავს, თუმცა ამის გამორიცხვა არ შეიძლება იმ ზოგადი ვითარებიდან გამომდინარე, რომელიც ციხეებშია შექმნილი. პატიმრების წამება დადასტურებული ფაქტია, ისევე, როგორც მათი მკვლელობა. აქედან გამომდინარე, შეიძლება იმაზე ფიქრიც, რომ, შესაძლოა, მათი ორგანოებითაც ვაჭრობდნენ.

**ბესარიონ გუგუშვილი:**

— ისეთი სინდის-ნამუსგარეცხილი, ჩაკეტილი და გაუმჭვირვალე სისტემისგან, როგორიც სააკაშვილის რეჟიმია, ყველაფერია მოსალოდნელი. სულაც არ გამიკვირდება, თუ პატიმრების ორგანოებით ივაჭრებენ და პატიმრებს მონური მეძავეობისთვის, გარყვნილებისთვის და სხვა მსგავსი მიზნებისთვის გამოიყენებენ...

**ზვიად ძიძიგური:**

— მეც პატიმარი ვიყავი და მინდა გითხრათ, რომ შედარება არაა მაშინდელ და დღევანდელ მდგომარეობას შორის. პოლიტიკური ბრძოლით უშიშროების ციხეში მივაღწიე იმას, რომ გაზეთები შემოეტანათ. პატიმრობის პერიოდში ციხეში შევხვედრივარ ცნობილ უფლებადამცველებს კოვალიოვსა და გეფტერს, ევროპის ჰელსინკის ფედერაციის, საერთაშორისო ამნისტიის ლონდონის ჯგუფის წევრებს და ა.შ. მაშინდელი პოლიტპატიმრების განთავისუფლება დაიწყო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი დასკვნით. რომელი ერთი ჩამოვთვალო... არ იფიქროთ, რომ სამოთხე იყო ადრე, მაგრამ ასეთი კაცთმოძულეობა, როგორიც დღეს არის პატიმრების მიმართ, არც გამიგონია...

**ლადო სადღობელაშვილი:**

— ჩვენს ქვეყანაში ყველაფერია შესაძლებელი... თუ გავიხსენებთ იმას, რომ არაერთი შემთხვევა ყოფილა იმისა, რომ, მაგალითად, საავადმყოფოებიდან ორგანოებამოცლილი მიცვალებულები მოუყვანიათ, ანდა რამდენიმე შემთხვევა იყო, რომ საპყრობილიდან საეჭვოდ გაჭრილი, ანუ არა ექსპერტიზული გაკვეთებით მოუსვენებიათ პატიმრები, ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ბადებს ეჭვს... ჩემი აზრით, ეს გაკვეთილი მიცვალებულები იმიტომაც იყვნენ ორგანოამოცლილები, რომ ხელმეორედ აღარ ჩატარებულიყო მათზე ექსპერტიზა და არ გამოევლინათ პატიმართა ნაადრევი სიკვდილიანობის მიზეზი... აქ ორგანოებით ვაჭრობაზე, ვფიქრობ, ზედმეტია საუბარი, მაგრამ ამასთანავე ვიმეორებ, რომ საქართველოში გამორიცხული არაფერია.

**ლაშა ჩხარტიშვილი:**

— ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, რის გამოც სააკაშვილის დილეგებში არ უშვებენ უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს, ეს არის სადის(ტების) მიერ პატიმრების სისტემატური წამების, ასევე მათი არაადამიანური საყოფაცხოვრებო პირობებისა და სამედიცინო მომსახურების კატასტროფული მდგომარეობის დამალვის სურვილი. რაც შეეხება პატიმრების ორგანოებით ვაჭრობას, კონკრეტული ინფორმაცია არ გამაჩნია, თუმცა სააკაშვილის რეჟიმის პირობებში გამორიცხული არაფერია.

**მერაბ ბლადაძე:**

— ორგანოებით ვაჭრობა ერთ-ერთი მომგებიანი ბიზნესია მსოფლიოში. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ხელისუფლების ელიტურ შემადგენლობას, რომელმაც ოთანაძე და კრიალაშვილი იმისთვის მოკლა, რომ ერაყიდან მოპარული ხელოვნების შედევრების გამტარი გზა შექმნეს, შემდეგ კი მათთვის წილი ვერ გაიმეტა და ყოველივე ამის დასაფარად მუხროვანის ამბოხების გეგმა მოიგონა, მიმაჩნია, რომ აუცილებლად ექნება პატიმრების ორგანოების ბიზნესი.

**როგორც ხედავთ, ამჯერად რესპონდენტების ტიტულები არ მივუთითე, საზოგადოება ისედაც იცნობს. მათ გარდა, კიდევ ბევრი ადამიანის მოსაზრებით დავინტერესდი. გამოიკვეთა საგანგაშო ტენდენცია, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ხელისუფლების სრულ დისკრედიტაციას — არც ერთ მათგანს არ უარუყვია და არ უთქვამს, რომ ხელისუფლება ამას არ ჩაიდენს!**

**ეს საგანგაშო სიგნალია სააკაშვილისა და მისი გუნდისთვის — ეს უფრო მეტია, ვიდრე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში; უფრო მეტია, ვიდრე ევროსაბჭოს რომელიმე გამომძიებლის დაწერილი დასკვნა!**

**ხალხი არასოდეს იწყებს ლაპარაკს უსაფუძვლოდ, მას ყოველთვის ინტუიცია კარნახობს, სად არის სიმართლე!**

**და კიდევ — ხელისუფლების გასაგონად: კვალიფიკაცია აიმაღლეთ — საკონცენტრაციო ბანაკებში გატყავებული ადამიანის ტყავისგან ხელთათმანებს იკერავდნენ ფაშისტები; საპონსაც ამზადებდნენ. ცნობისათვის: ერთი მოზრდილი ადამიანისგან შვიდი საპონი მზადდება!**

**ჩვეულებრივი ფაშიზმი — ოცდამეერთე საუკუნეში!**

**სირცხვილია!**

**ბონდო მძინარაშვილი**

# სომალიზაცია

## საქართველოს მოსახლეობის 60 პროცენტი ღარიბია, 47 პროცენტი კი არასრულფასოვნად იკვებება

**რამდენიმე დღის წინათ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, რომელთა თანახმადაც საქართველოს მოსახლეობის გამოკითხულთა მესამედი სიღატაკის ზღვარზეა. კვლევის კოორდინატორის — ლელა ჯავახიშვილის განცხადებით კი, საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონეთა, ანუ ღარიბების მაჩვენებელი გამოკითხულთა თითქმის 60%-ს შეადგენს.**



კვლევის არეალმა საქართველოს 5 რეგიონი მოიცვა (კახეთი, აჭარა, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი) 5 ქალაქი (გურჯაანი, ხელვაჩაური, ახალციხე, მარნეული, ზუგდიდი) და ამავე მუნიციპალიტეტების 15 სოფელი (კარდენახი, ველისციხე, ყიტაანი, გონიო, სამება, მახვილაური, ჭაჭარაქი, სხვილისი, აწყური, მარადისი, შაუმიანი, ბეგლიარი, ჭითაწყარი, კახათი, ინგირი). საკვლევი სოფლები შემდეგი კრიტერიუმებით შეირჩა: სამოქალაქო განათლების დაბალი დონე; მრავალრიცხოვანი მოსახლეობა; ეთნიკური უმცირესობებითა და იძულებით გადაადგილებული პირებით დასახლებული ადგილები. პირისპირ, ინტერვიუს მეთოდით, გამოიკითხა 1101 ადამიანი.

თუ აღნიშნულ ფაქტს NDI-ს მიერ სულ ახლახან ჩატარებულ კვლევებს შევადარებთ, განსხვავება აუცილებლად მოგვხვდება თვალში. როგორც იცით, NDI-ს კვლევების მიხედვით, რესპონდენტთა 13%-ის აზრით, მათი მდგომარეობა 2008 წლის არჩევნების შემდეგ უკეთესობისკენ შეიცვალა, 55%-ისთვის მდგომარეობა არ შეცვლილა, 30 %-ის მდგომარეობა კი გაუარესდა. გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა გასაკვირი იყოს, კომუნალური გადასახადებია.

ის, რომ 13 %-ის მდგომარეობა გაუმჯობესდა, შესაძლოა, სიმართლესთან ახლოს იყოს, მაგრამ 2008 წლის შემდეგ 55 %, ანუ მოსახლეობის ნახევარზე მეტის სტაბილური მდგომარეობა ამ მონაცემებს, ცოტა არ იყოს, ეჭვქვეშ აყენებს.

საფუძვლიანი ეჭვი მაქვს იმისა, ვიფიქრო, რომ ჩვენს პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტ სააკაშვილსა და NDI-ს მკვლევარებს მათემატიკის ერთი მასწავლებელი ჰყავდათ, ერთნაირად ითვლიან ყველაფერს. გახსოვთ, ალბათ, პარლამენტში მარტის ბოლოს გამართული სამთავრობო კვირეულის დროს ნიკა გილაურმა ორჯერ, თანაც ხაზგასმით, განაცხადა, რომ საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში სიღარიბე ოთხჯერ შემცირდაო.

ამავე თემაზე სულ ახლახან „tribuna.ge“-მ მცირე სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა.

**შემცირდა თუ არა სიღარიბე საქართველოში ბოლო 3-4 წლის განმავლობაში? გამოკითხულთა 79% მიიჩნევს, რომ ამ ხნის განმავლობაში საქართველოში სიღარიბე გაიზარდა; 14,3% მიიჩნევს, რომ სიღარიბე შემცირდა; გამოკითხვაში მონაწილეთა 6,7%-მა „არ იცის“, ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში სიღარიბე გაიზარდა თუ შემცირდა.**

ჩვენს კარგად დანაყრებულ პრეზიდენტს კი სულაც არ აწუხებს და, სავარაუდოდ, ვერც გრძნობს, საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის შიმშილს. ჯერ კიდევ წლის დასაწყისში მიხეილ სააკაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტში „ამერიკან ენტერპრაიზში“ გამართულ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას ასეთი რამ განაცხადა: **„ჩვენ მებრძოლი ერი ვართ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ამდენი დევნილი გვყავს, სიღარიბის მაჩვენებელმა დაახლოებით 60%-ით დაიწია. ამ მხრივ წარმოუდგენელი მაჩვენებელი გვაქვს“.**

პრეზიდენტი რომ ქვეყანაში არსებულ ვითარებას არაადეკვატურად აღიქვამს, დამტკიცებულია და არგუმენტებს აღარ საჭიროებს! სწორედ ამის დასტურია ისიც, თუ რა მონაცემებს ფლობს პრეზიდენტი ქვეყანაში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობასთან დაკავშირებით.

მსოფლიო ბანკის დასკვნის მიხედვით, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში სამომხმარებლო ფასების ზრდის შედეგად, მსოფლიოში დამატებით 44 მილიონი ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა. მათივე მონაცემებით, **სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა, უფრო ზუსტად კი, საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა საქართველოშიც გაიზარდა.**

**საქართველოში დღეს არასრულფასოვნად მოსახლეობის დაახლოებით 47% იკვებება, აქედან 22% ღატაკია და მათი კვების რაციონი მხოლოდ პურითა და ჩაით შემოიფარგლება.** არცთუ კარგ მდგომარეობაშია დარჩენილი 25%, მათ კვების რაციონში მცირედი დანამატია. ეს კი იმის შედეგია, რომ დღეს ქვეყნის მოსახლეობას ძალიან უჭირს. გაჭირვებულთა მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ, არც მათ ნათესავებს აქვთ იმდენი შესაძლებლობა, მათ რომ დაეხმარონ.

ჩვენი პრეზიდენტი კი მსოფლიოს საერთაშორისო ტრიბუნებიდან ამაყად ყვება როგორ „დაამარცხა“ სიღარიბე საქართველოში.



**სოსო ცისკარიშვილი, პოლიტოლოგი:**

— უპირველეს ყოვლისა, ბატონ პრეზიდენტსა და პრემიერს ერთ ანდაზას შევახსენებდი: „ფიცი მჭამს, ბოლო მაკვირვებს“. რამდენიც უნდა ვიტრაბახოთ „მიღწევებით“, ძნელია, ქართული საზოგადოება დავარწმუნოთ იმაში, რომ ქვეყანაში 4-ჯერ (400%-ით) შემცირდა სიღარიბე. ხელისუფლებას სურს, მოსახლეობა დაარწმუნოს იმაში, რომ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს გაჟღერებული ლოზუნგი — „საქართველო სიღარიბის გარეშე“ შესრულებულია. ეს არ გამოუვა, რადგან ქართველი ხალხი, მართალია, ხელისუფლების ბევრ სიყალბეს ეგუება, მაგრამ მისი აღარ სჯერა, თანაც პრეზიდენტზე უკეთ იცის საკუთარი მატერიალური ყოფა.

**ჩვენ ძალიან მწირი წარმოდგენა გვაქვს, განსაკუთრებით თბილისში მცხოვრებთ, იმაზე, თუ რა მძიმე ყოფაში არიან რეგიონებში. ეს ყველაზე უკეთ იციან ექიმებმა, რომლებსაც ველარ აკითხავენ პაციენტები, რადგან მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების საშუალება არ აქვთ.**

ხუთლარიანი დაზღვევით რომ ვტრაბახობთ, ქუთაისის სანაქებო საავადმყოფოში ერთი დღე-ღამე რეანიმაციის განყოფილებაში ოფიციალურად 1200 ლარი ღირს. ამის გადახდის საშუალება ვის აქვს? მოსახლეობისთვის ლუკმაპურის შოვნა გახდა პრობლემა და რომელ სიღარიბის დაძლევაზეა საუბარი?!

**დღეს ქართული სტუმართმოყვარეობა მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მოგონებად დარჩა. ხალხს საჭმელი აღარ აქვს სახლში. სტუმართმოყვარეობა დღეს მხოლოდ ჩინოვნიკების ფუფუნებაა. ხელისუფლება კი დღეს სტუმარს ტურისტს ეძახის. ეს სტუმარი კი მით უფრო უყვარს, რაც მეტ ფულს დაახარჯვინებს. ცნობიერების აღრევა ხდება საზოგადოებაში, რაც სამომავლოდ ნამდვილად არ იქნება სასიკეთო ქართველი ერისთვის.**

**თეო ტაბატაძე**

## პაციენტები ექიმებს ველარ აკითხავენ, რადგან მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების საშუალება არ აქვთ

## პოლიტიკა

**„ქართულმა პარტიამ“ თავისი განცხადებებისთვის დრო საკმაოდ კარგად შეარჩია, ბურჯანაძემ „კი“ ან „არა“ უშუალოდ „სახალხო კრების“ აქციების დაწყების წინ უნდა თქვას, რაც ერთ შემთხვევაში, შესაძლებლობას მისცემს „ქართულ პარტიას“, პროცესებში ჩაერთოს და მათზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს; სხვა შემთხვევაში კი „მწვანეს აუნთებს“, ბურჯანაძე მწვავედ რომ გააკრიტიკონ და ქუჩის აქციები დამოუკიდებლად ააგორონ. მართალია, დღეს მათი პოტენციალი ამ კუთხით შეიძლება არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდეს, როგორც „სახალხო კრების“, მაგრამ ეს ნებისმიერ შემთხვევაში რადიკალურად განწყობილი საზოგადოების ძალების ფრაგმენტაციას, მის გაღიზიანებასა და სხვა ნეგატიურ შედეგებს გამოიწვევს.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# რა თამაში დაიწყო «ქართულმა პარტიამ»?

**ორ კვირაზე ნაკლები დარჩა 2 მაისამდე, როდესაც „სახალხო კრებამ“ საზოგადოებას სამოქმედო გეგმა უნდა გააცნოს, რომლის ხორცშესხმა, მისი ლიდერების მტკიცებით, სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოცილებით დასრულდება. ამავე დროს, ოპოზიციური „რვიანის“ პარტიებმა, რომელთა მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან ჩიხში შევიდა, ვაშინგტონიდან პოზიტიური სიგნალი მიიღეს. სახელმწიფო დეპარტამენტმა და აშშ-ის ელჩმა თავის ბოლო განცხადებებში დააფიქსირეს, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას ემხრობიან, რაც მოლაპარაკებების მიმდინარეობაზე გავლენას უდავოდ მოახდენს. ამის პარალელურად, გააქტიურდა „ქართული პარტია“. მისმა ლიდერებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთეს. გასარკვევი, ალბათ, მხოლოდ ის დარჩა, საით მივყავართ ყოველივე ამას.**



**«რვიანის» წამყვანი პარტიები დიდი ალბათობით კიდევ საკმაო დროის განმავლობაში გააგრძელებენ მოლაპარაკებებს, თუ, რა თქმა უნდა, ამერიკელი პარტნიორები დაჟინებით არ ურჩევენ, რადიკალური ნაბიჯები გადადგან**

### დაუშლა თუ არმოუშლა? საკითხავი, აი, ეს არის...

16 აპრილს ბათუმში, „ქართული პარტიის“ რეგიონული ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციაზე, კოკა გუნცაძემ („ქართული პარტიის“ გენერალური მდივანი) განაცხადა: **„მზად ვართ, ძველი უთანხმოებები დავივიწყოთ და სააკაშვილის ხელისუფლებას ბურჯანაძესთან და „სახალხო კრებასთან“ ერთად შევუტიოთ“.**

ლევან გაჩეჩილაძემ კი (ამავე პარტიის თანათავმჯდომარე) იგივე თემა ასე გაშალა: **„სახალხო კრებას“, „რვიანს“ და „ქართულ პარტიას“ გასაყოფი არაფერი აქვთ. ოღონდ „რვიანმა“ უნდა დაასახელოს თარიღი, რომლის შემდეგაც ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს აღარ გააგრძელებს. „სახალხო კრებასთან“ თანამშრომლობა კი იმით არის კარგი, რომ სოლიდური პოლიტიკური ძალა ჩამოყალიბდება“** („ინტერპრესნიუსი“).

რაც შეეხება „რვიანის“ მიერ „საბოლოო თარიღის“ დასახელებას, ალბათ, სჯობდა, გაჩეჩილაძეს რაიმე უფრო მარტივი ეკითხა. მართალია, „რვიანის“ ლიდერების რამდენიმე ინტერვიუში ნახსენები იყო „მაისის ბოლო“, როგორც ერთგვარი მიჯნა, თუმცა იმის თქმა, რომ ამ დროს მოლაპარაკებები ნამდვილად შეწყდება, არ შეიძლება. ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს:

**ა) „რვიანი“ იმდენად განსხვავებული ძალებისგან შედგება, რომ მათ მიერ მოლაპარაკებების შეწყვეტაზე სოლიდარული პოზიციის შემუშავება მეტად სათუო ჩანს;**

**ბ) აშშ-ის წარმომადგენლების ბოლო განცხადებებმა „რვიანის“ ლიდერებს შემატეს რწმენა, რომ ამერიკელების მხარდაჭერის შემთხვევაში, ისინი ახლო პერსპექტივაში, მოლაპარაკებაზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევენ;**

**გ) მოლაპარაკებებზე უარის თქმა, ალბათ, გულისხმობს იმასაც, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ლოზუნგები „რვიანში“ შემავალი პარტიების ნაწილმა მაინც ქუჩის აქციებზე უნდა გამოფინოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მათ, ფაქტობრივად, იმის აღიარება მოუწევთ, რომ დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს და დრო, უბრალოდ, დაკარგეს; ეს კი არჩევნების წინ, რომელზეც ასეთ დიდ იმედებს ამყარებენ, მათ რეიტინგზე უარყოფით გავლენას მოახდენს.**

ქუჩაში გასვლა მათთვის ასევე წამგებიანია, რადგან გასული წლის შემოდგომაზე არჩეულ სტრატეგიაზე უარის თქმას და რადიკალურ ძალებთან თანამშრომლობას გულისხმობს. მოლაპარაკებების შეწყვეტა და უშუალოდ წინასაარჩევნო აქტიურობაზე გადასვლა (ქუჩის აქციების გვერდის ავლით) კი ჯერჯერობით ნაადრევი ჩანს.

**ამგვარად, „რვიანის“ წამყვანი პარტიები დიდი ალბათობით კიდევ საკმაო დროის განმავლობაში გააგრძელებენ მოლაპარაკებებს, თუ, რა თქმა უნდა, ამერიკელი პარტნიორები დაჟინებით არ ურჩევენ, რადიკალური ნაბიჯები გადადგან.**

ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ვაშინგტონი მხარს სააკაშვილის ხელისუფლებიდან დაუყოვნებლივი რევოლუციის გზით გაშვებას მიემხრობა, რის ნიშნებიც ჯერჯერობით არ ჩანს.

გაჩეჩილაძის განცხადების მეორე ადრესატი „სახალხო კრება“ და, შესაბამისად, ნინო ბურჯანაძე იყო, რომელთანაც ის (ისევე, როგორც ირაკლი ოქრუაშვილი) ბოლო დროს გამუდმებულ, უმეტეს წილად, უსაგნო პოლემიკაში იყო ჩაბმული და რომლის მეუღლეს მიუნხენის აეროპორტში საცემად დასდევდა (ან პირიქით, ბადრი ბიწაძე დასდევდა გაჩეჩილაძეს საცემად, თუმცა ამას არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სპორტული მნიშვნელობაც არ აქვს, რადგან არც ერთი გახლავთ მუჰამედ ალი და არც მეორე — ჯო ფრეზერი. გამორიცხული არც ისაა, რომ სინამდვილეში არავინ არავის არ დასდევდა).

**ერთი შეხედვით, გაჩეჩილაძის წინადადება ბურჯანაძისთვის მომგებიანია,** რადგან ძალთა გაერთიანებას ოპოზიციურად განწყობილ საზოგადოებაში უდავოდ დადებითი რეზონანსი მოჰყვება, რაც ქუჩაში უფრო მეტი რადიკალურად განწყობილი ადამიანის გამოსვლას შეუწყობს ხელს. **მაგრამ უღირს თუ არა ბურჯანაძეს ამის გაკეთება?**

კოორდინაცია „ქართულ პარტიასთან“ (თუ ნებისმიერ სხვა ახალ მოკავშირესთან), კონსოლიდაციის უფრო მჭიდრო ფორმებზე რომ არაფერი ვთქვათ, გულისხმობს იმას, რომ ამ ძალის წარმომადგენლები ჩაერთვებიან გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზების პროცესში, რაც თეორიულად საბოტაჟის საფრთხეს უკავშირდება, დაახლოებით ისეთის, როგორიც 2009 წლის გაზაფხულის აქციების დროს იყო.

**„ქართულმა პარტიამ“ თავისი განცხადებებისთვის დრო საკმაოდ კარგად შეარჩია, ბურჯანაძემ „კი“ ან „არა“ უშუალოდ „სახალხო კრების“ აქციების დაწყების წინ უნდა თქვას, რაც ერთ შემთხვევაში, შესაძლებლობას მისცემს „ქართულ პარტიას“, პროცესებში ჩაერთოს და მათზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს; სხვა შემთხვევაში კი „მწვანეს აუნთებს“, ბურჯანაძე მწვავედ რომ გააკრიტიკონ და ქუჩის აქციები დამოუკიდებლად ააგორონ.** მართალია, დღეს მათი პოტენციალი ამ კუთხით შეიძლება არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდეს, როგორც „სახალხო კრების“, მაგრამ ეს ნებისმიერ შემთხვევაში რადიკალურად განწყობილი საზოგადოების ძალების ფრაგმენტაციას, მის გაღიზიანებასა და სხვა ნეგატიურ შედეგებს გამოიწვევს.

არის კიდევ ერთი ასპექტი. **კონსოლიდაცია „ქართულ პარტიასთან“ ნინო ბურჯანაძეს უკანდასახევ გზას უხსნის, რადგან, წარუმატებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობა მიეცემა, ყველაფერი პარტნიორებს გადააბრალოს** (დაახლოებით ისე, როგორც ამას სხვადასხვა ოპოზიციური პარტიები 2009 წლის აქციების შემდეგ აკეთებდნენ). **ნებისმიერ შემთხვევაში, მისმა პასუხმა „ქართული პარტიის“ შეთავაზებაზე შეიძლება** (ნაწილობრივ მაინც) **მოგვცეს გასაღები შემდეგი გამოცანის ამოსახსნელად — მიდის თუ არა უახლოეს მომავალში ნინო ბურჯანაძე რეალურ რევოლუციაზე** (და რამდენად მზად არის ამისთვის).

## გაფრაზებულნი



**ედუარდ შევარდნაძე,** საქართველოს ექს-პრეზიდენტი:

ადრე თუ გვიან, იდეალური ხელისუფლების შეცვლის აუცილებლობაც დგება დღის წესრიგში, ჩვენ კი იდეალური ხელისუფლება ნამდვილად არ გვყავს. ამერიკის ადმინისტრაციის ანგარიში ძალიან სერიოზული სიგნალია და, თუ ხელისუფლება ამ შენიშვნებს არ გაითვალისწინებს, რევოლუციას მართლაც მიიღებს!

*„ასავალ-დასავალი“*



**შალვა ნათელაშვილი,** საქართველოს ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე:

საქართველოს ხელისუფლება — ვანო და მიშა — წავლენ ნებისმიერ სიბინძურეზე ქართველი ხალხის წინააღმდეგ, ოღონდ ხელისუფლება შეინარჩუნონ და თავი გადაირჩინონ. არ ვაჭარბებ და ამას გეუბნებით აბსოლუტურად გულწრფელად, — სააკაშვილსაც და მერაბიშვილსაც გენეტიკურად ეზიზღებათ ქართველი ერი!..

*„კვირის ქრონიკა“*



**გიორგი მარგველაშვილი,** საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) რექტორი:

ქართველი არ არის კმაყოფილი ცხოვრებით. თან, განა უბრალოდ — არა უშავს, დღეს ასეა და ხვალ რაღაცა გვეშველებაო, არა — ის უკმაყოფილოა მომავლის იმედის გარეშე. ეს ყველაფერი ძალზე საშიში ფონია სოციალური აფეთქებისთვის.

*„კვირის პალიტრა“*



**ირაკლი ბათიაშვილი,** „სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერი:

ხელისუფლების ქმედებებიდან გამომდინარე, არ გამიკვირდება, თუ მართლაც დააპატიმრებენ ბურჯანაძეს, რადგან ყველას კარგად ახსოვს, რომ არაფრის გამო, რაღაც უაზრო ჩანაწერის მიხედვით, 24 წელს მისჯიდნენ. ასე რომ, ამათგან არაფერია გასაკვირი. მაგრამ მინდა, ვთქვა, რომ ამ საქციელით მოიმკიან ძალიან დიდ ჭექა-ქუხილს.

*„რეზონანსი“*

## მოკლედ

### აშშ კონტინგენტის ზრდას განაგრძობს

**პენტაგონის ოფიციალური წარმომადგენლის, გენერალ ვოლტერ შარფის განცხადებით, ჩრდილოეთ კორეა ბირთვული პროგრამის შეჩერებას არ აპირებს.** საკუთარი რეჟიმის შესანარჩუნებლად და გადასარჩენად ქვეყნის მმართველი ეცდება ბირთვული პროგრამით მანიპულირებას. დღევანდელი მონაცემებით, აღნიშნულ რეგიონში 37 ათასი ამერიკელი სამხედროა დისლოცირებული, გენერალმა შარფმა კი განაცხადა, რომ აშშ რეგიონში სტაბილურობის შესანარჩუნებლად სამხედროების რაოდენობას გაზრდის.



### ბერლუსკონის მემკვიდრე

**იტალიის 74 წლის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ თავისი შესაძლო შემცვლელი დაასახელა.** ჟურნალისტებთან საუბრისას მან განაცხადა, რომ 2013 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს და მიიჩნევს, რომ მისი ადგილი, შესაძლოა, ამჟამინდელმა იუსტიციის მინისტრმა 40 წლის ანჯელინო ალფანომ დაიკავოს. ბოლო დროს ალფანო ყურადღების ცენტრში იმ სასამართლო რეფორმის გამო მოექცა, რომელიც რიგ სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო ვადების შემცირებას ითვალისწინებს.

**შექმნილი მდგომარეობა, ზოგადად, შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ერთგვარი ტესტი, რომლის შემდეგ ხელისუფლება დამატებით ინფორმაციას მიიღებს იმის თაობაზე, თუ რამდენად სერიოზულია ბურჯანაძის განზრახვა. თუ ის ჩათვლის, რომ ბურჯანაძე არ ხუმრობს, რეაქცია შეიძლება საკმაოდ მკვეთრი იყოს და, ალბათ, არც პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის დაპატიმრების შესაძლებლობა უნდა გამოვრიცხოთ, რაზეც ბოლო დროს ბევრს საუბრობენ. ხელისუფლებისთვის ეს საკმაოდ წამგებიანი ნაბიჯი იქნება, თუმცა იმ ნაკლებადრაციონალური შიშის გათვალისწინებით, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ყოფილი თანამებრძოლის მიმართ, სავარაუდოდ, განიცდის, ამის ალბათობა საკმაოდ მაღალი ჩანს.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95




# არიან თუ არა მზად რადიკალური ოპოზიციის ლიდერები, საკუთარი ფარდობითი კეთილდღეობით და კომფორტით გარისკონ?

◀ წარმატებული რევოლუცია, უპირველეს ყოვლისა, გამართული მენეჯმენტია; უშუალოდ პროცესების დაწყების წინ მართვის რგოლში უცხო ადამიანების ჩართვა, კრისტალურად სუფთა მოტივებიც რომ ჰქონდეთ, უაღრესად სარისკოა. შექმნილი მდგომარეობა, ზოგადად, შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ერთგვარი ტესტი, რომლის შემდეგ ხელისუფლება დამატებით ინფორმაციას მიიღებს იმის თაობაზე, თუ რამდენად სერიოზულია ბურჯანაძის განზრახვა. თუ ის ჩათვლის, რომ ბურჯანაძე არ ხუმრობს, **რეაქცია შეიძლება საკმაოდ მკვეთრი იყოს და, ალბათ, არც პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის დაპატიმრების შესაძლებლობა უნდა გამოვრიცხოთ, რაზეც ბოლო დროს ბევრს საუბრობენ.** ხელისუფლებისთვის ეს საკმაოდ წამგებიანი ნაბიჯი იქნება, თუმცა იმ ნაკლებადრაციონალური შიშის გათვალისწინებით, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ყოფილი თანამებრძოლის მიმართ, სავარაუდოდ, განიცდის, ამის ალბათობა საკმაოდ მაღალი ჩანს.

## ბანზაი! ტოკუბეცუ კოგეკი!

**რადიკალურ ოპოზიციასა და მოსალოდნელ საპროტესტო გამოსვლებზე საუბრისას უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელისუფლებისთვის შეტევის მომენტი, პრაქტიკულად, იდეალურია. სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში უაღრესად დამძიმებულია, ხოლო საგარეო-პოლიტიკური კონიუქტურა — საკმაოდ მომგებიანი. თუმცა, ამასთანავე, არის ამ სიტუაციაში რაღაც, რამაც შეიძლება მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი ლეგენდარული ეპიზოდი მოგვაგონოს.**

1942 წლის 7 მაისს კაპიტან-ლეიტენანტ ტაკაჰასის თვითმფრინავები სიბნელეში იაპონურ ავიამზიდებზე ბრუნდებოდა. პილოტები გადაღლილები იყვნენ, იმ დღეს მათ მძიმე ბრძოლა გადაიხადეს და ბევრი მეგობარი დაკარგეს. კურსი რამდენიმეჯერ შეცვალეს და სიბნელეში რამდენიმეჯერ მოეჩვენათ, ავიამზიდის სილუეტი. ბოლოს, როგორც იქნა, ავიამზიდი აღმოაჩინეს და დასაშვებად მოემზადნენ (ეს, მათ შორის, უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე წყალში ბომბებისა და ტორპედოების გადაყრას გულისხმობდა). ტაკაჰასიმ დააგდო სიჩქარე და მაშინ, როდესაც ავიამზიდამდე რამდენიმე მეტრი რჩებოდა, დაინახა, რომ ეს ამერიკული „ლექსინგტონია“.

ამერიკელი მეზღვაურები გაშეშებული იდგნენ, მათ ხომალდს 18 იაპონური თვითმფრინავი უახლოვდებოდა. მთელი ომის განმავლობაში იაპონელ მფრინავებს არ ჰქონიათ შეტევისთვის ასეთი შესანიშნავი პირობები, მაგრამ მისი განხორციელება არ შეეძლოთ, რადგან რამდენიმე წუთით ადრე ბომბები და ტორპედოები წყალში გადაყარეს. ვიდრე ამერიკელებმა აზრზე მოსვლა მოახერხეს და საზენიტო დანადგარებს მიაშურეს, ტაკაჰასის თვითმფრინავები ამერიკულ ავიამზიდს გაეცალნენ. იაპონელ მფრინავებს არასოდეს დაუმალავთ, რომ იმ დღეს ისინი ტიროდნენ.

**ქართულ ოპოზიციას, პრაქტიკულად, არ უზრუნია იმაზე, რომ ხელისუფლებაზე წარმატებული შეტევისთვის კარგი წინაპირობები ჰქონოდა, თუმცა მომგებიანი სიტუაცია მათგან დამოუკიდებლად, რიგი გარემოებების თანხვედრის გამო, „თავისით“ შეიქმნა.** ერთი შეხედვით, გამარჯვებამდე სულ რამდენიმე მეტრი რჩება, თუმცა პოლიტიკური რესურსი წყალში ჩაიყარა 2009 წლის უშედეგო აქციების დროს და მთელი 2010 წლის განმავლობაში, რომელსაც სავსებით სამართლიანად შეგვიძლია „ოპოზიციის დეგრადაციის წელი“ ვუწოდოთ.

ახლა კი რადიკალური ოპოზიციისთვის ორად-ორი გზა დარჩა: ან ბრძოლის ველს გაეცალოს, ან კიდევ, იაპონელების თქმის არ იყოს, „ტოკუბეცუ კოგეკი“ („სპეციალური შეტევა“) განახორციელოს, ანუ პოლიტიკური კამიკაძის ტაქტიკას მიმართოს. ეს ვაბანკზე წასვლას ნიშნავს, რასაც, წარუმატებლობის შემთხვევაში, ძალიან მძიმე რეპრესიები მოჰყვება. **არიან თუ არა მზად რადიკალური ოპოზიციის ლიდერები, საკუთარი ფარდობითი კეთილდღეობით და კომფორტით გარისკონ?**

ვითარება, რომელშიც ასეთი მძიმე არჩევანის გაკეთება მოუწევთ, თავისთავად არანორმალურია, თუმცა ვერაფერს ვიზამთ, მის ფორმირებაში უდიდესი წვლილი თავადვე მიუძღვით.

მიმდინარე წელი გადამწყვეტია — რადიკალური ოპოზიცია ან წარმატებას მიაღწევს, ან საბოლოოდ დასამარდება.

## გაიზარდნენ კვიცები...

**ლევან გაჩეჩილაძის განცხადებას, რომლის განხილვა წერილის დასაწყისში დავიწყეთ, კიდევ ერთი ქვეტექსტი ჰქონდა. „ქართული პარტია“ მასში წარმოჩენილია როგორც „რვიანისა“ და „სახალხო კრების“ თანასწორი ძლიერი სუბიექტი, „ოპოზიციური სამკუთხედის“ ერთ-ერთი მწვერვალი, რომელიც შესაბამის დამოკიდებულებას მოითხოვს.** თუმცა ამ გზავნილების თითქმის პარალელურად გავრცელდა „ქართული პარტიის“ კიდევ ერთი თანათავმჯდომარის, პარიზში მყოფი ირაკლი ოქრუაშვილის ორი განცხადება, რომელმაც გაჩეჩილაძე-გუნცაძის წინადადებებზე „კრებისა“ და „რვიანის“ ლიდერების კონსტრუქციული რეაგირების ალბათობა პრაქტიკულად ნულს გაუტოლა.

ირაკლი ალასანიასთან დაკავშირებით, „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ოქრუაშვილმა შემდეგი რამ თქვა: **„ალასანია ერთადერთი ქალწული იყო ქართულ პოლიტიკაში, უდავოდ დიდი მოლოდინითა და მხარდაჭერის იმხელა რესურსით, რომელსაც მეც კი ვინატრებდი 2007 წელს, მაგრამ ისე სწრაფად და იაფად დააკარგვინა მიშამ უბიწოება, რომ, მგონი, თვითონაც ვერ მიხვდა“.** ხოლო ნინო ბურჯანაძესთან დაკავშირებით „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა: **„მზად ვართ, „სახალხო კრებასთან“ ბურჯანაძის გარეშე უპირობოდ ვითანამშრომლოთ“.** ალასანიამ ოქრუაშვილს ასე უპასუხა: **„ირაკლი ოქრუაშვილი ისეთივე ულირსი და მხდალი ადამიანია, როგორც სააკაშვილი. ის პასუხის ღირსიც არ არის. როდესაც პირადად შევხვდები, საკადრის პასუხს გავცემ“** (იმედია, ეს მიუნხენის აეროპორტში არ მოხდება, რადგან ბიწაძე-გაჩეჩილაძის გარჩევების შემდეგ იქაურ პერსონალს, ალბათ, ქართველებმა თავი მოაბეზრეს). რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, მასა და ოქრუაშვილს შორის ურთიერთბრალდებების გაცვლა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება და ნაკლებად სავარაუდოა, ამ ბოლო განცხადების შემდეგ ოქრუაშვილთან პოლიტიკური დიალოგის გამართვის სურვილი გაუჩნდეს.

ძალზე უცნაური სიტუაციაა: **„ქართული პარტიის“ ერთი ლიდერი ოპოზიციურ პარტიებს თანამშრომლობისკენ მოუწოდებს, მეორე კი თითქოს ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს თანამშრომლობა არ შედგეს — ერთი ხელი აშენებს, მეორე კი — ანგრევს. მეტი დესტრუქციულობა, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია.** ამის გამო საზოგადოებაში შეიძლება გაძლიერდეს ეჭვი, რომლის შესახებ „საქართველო და მსოფლიო“ ჯერ კიდევ გასული წლის ივნისში წერილში „ტროას კვიცები“ წერდა, როდესაც მიუნხენში (ისევ მიუნხენი!) ერთმანეთს „ქართული პარტიის“ სამი მომავალი ლიდერი — ირაკლი ოქრუაშვილი, ეროსი კიწმარიშვილი და ლევან გაჩეჩილაძე (+ზურაბ ნოღაიდელი) შეხვდნენ.

ციტატა: **„მიუნხენში შეკრებილთა გვარებისთვის თვალის გადავლებისას, ზოგიერთ დამკვირვებელს შეიძლება გაუჩნდეს ეჭვი, რომ ხელისუფლებას ამ ჯგუფის კონტროლისთვის მნიშვნელოვანი ბერკეტები ექნება; მეტიც, იფიქროს, რომ ეს არის (პირობითად) „ოპერაცია ტროას ცხენი“, რომლის საბოლოო მიზანი (არჩევნების იდეის პროფანაციის შემდეგ) ე. წ. აჯანყების და, ზოგადად, რადიკალური საპროტესტო აქციების იდეის დისკრედიტაციაა. მაგრამ, ცხადია, რომ მსგავს ეჭვებს ფაქტებით გამყარება დასჭირდება“.**

საინტერესოა, რამდენად ამყარებს ბოლოდროინდელი ფაქტები ამ ეჭვს? ალბათ, „ქართული პარტიის“ ქმედებები ახლო მომავალში ამ საკითხში უკეთ გაგვარკვევს.

**დიმიტრი მონიავა**

## გამოხმაურებანი

**ეროსი კიწმარიშვილი, „ქართული პარტიის“ პოლიტიკური მდივანი:**



▼ მე მაქვს ჩემი პერსონალური, დიდი ვალი ქართული საზოგადოების წინაშე — მე მოვიყვანე სააკაშვილი ხელისუფლებაში და მე უნდა მოვაშორო! დიახ, ეს არის ჩემი ვალი და მე ეს ვალი უნდა დავუბრუნო ქართველ ხალხს!

*„ასავალ-დასავალი“*

**ვალერი გელბახიანი, დევნილობაში მყოფი:**



▼ საგარეო პოლიტიკა გვიჩვენებს, ხალხის ქუჩაში გამოყვანა და იარაღის ხელში აღებაც ხალხისთვის ამერიკელების ინიციატივით ხდება, საჯაროდ ისინი ამას არ აღიარებენ. როცა ხედავენ, დიალოგს ხელისუფლებასთან აზრი არ აქვს, მერე გამოჰყავთ ხალხი ქუჩაში და იგივე ამერიკელები თოფსაც კარგად აძლევენ ხელში ხალხს, — ესროლეთ საკუთარი ხელით ხელისუფლებასო.

*„კვირის ქრონიკა“*

**ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი:**



▼ კი მაგრამ, თავმოყვარეობა სულ დავკარგეთ ქართველებმა, ამ ცხვირმოუხოცავი მატყუარების ამდენ ტყუილს რომ ვიტანთ? ამის გათვალისწინებით, იქნებ, მართლაც ღირსი ვართ ამ ხელისუფლების.

*„ყველა სიახლე“*

**სოზარ სუბარი, „ქართული პარტიის“ თავმჯდომარე:**



▼ ჩვენ ვებმებით ბრძოლაში, რომელიც მალე გამარჯვებით დასრულდება. ჩვენს გასაკეთებელს სხვა ვერავინ გააკეთებს. ჩვენს ქვეყანას ჩვენვე უნდა ვუშველოთ. საამისო განწყობა საზოგადოებაში უკვე არსებობს. უიმედობას ბრძოლის ჟინი და სურვილი ცვლის. საერთაშორისო აზრი დღეს უკვე ხალხის ნებას მიიჩნევს გადამწყვეტად. მთავარია, არ შეგვეშინდეს და სააკაშვილის რეჟიმი ისტორიას ჩაბარდება.

*geonews.ge*

მსოფლიო

## ჩე გევარას დამკავებელს დაიჭერენ

**ბოლივიის სასამართლომ ყოფილი გენერლის — ჰარი პრადოს დაჭერის გადაწყვეტილება მიიღო. თავის დროზე პრადომ ჩე გევარა დააკავა. პრადოს, პრეზიდენტ ევო მორალესის მკვლელობის მიზნით, შეთქმულებაში მონაწილეობა ედება ბრალად.** როდესაც სასამართლომ გენერლის დაკავებაზე ორდერი გასცა, თავად პრადო სასამართლოს მოსმენას არ ესწრებოდა. ფიდელ კასტროს მოძრაობის წევრი ერნესტო ჩე გევარა თავის დროზე მან ბოლივიაში დააკავა და სოციალისტური რევოლუციური მოძრაობის გმირმა ბოლივიის არმიის ჯარისკაცთა ხელში დალია სული.



## 102 წლის იაპონელმა თავი მოიკლა

**ფუკუსიმას პრეფექტურის მკვიდრმა, 102 წლის იაპონელმა თავი მოიკლა. მიზეზი რადიაციის დონის მომატება გახდა.** სოფელი იიტატე, სადაც მოხუცი ცხოვრობდა, ატომური ელექტროსადგურიდან 39 კილომეტრშია. მის ოჯახში სოფლიდან ევაკუაციის შესახებ მსჯელობდნენ. ყველაზე მხცოვან იაპონელს კი საკუთარი სოფლისა და სახლის დატოვება არ სურდა. ამიტომ, მას შემდეგ, რაც ოჯახმა გადაწყვიტა, სახლი დაეტოვებინა, თავი მოიკლა.

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**„მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ წამყვანმა გუნდებს „ჰიტლერის საუკეთესო ღირსების“ დასახელება სთხოვა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდის პასუხი ასეთი იყო: „უფასო გაზი ყველა ებრაელის ოჯახში“. დარბაზში ამ რეპლიკას სიცილი და აპლოდისმენტები მოჰყვა, ხოლო ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი, გუნდის გამოსვლას მაღალი შეფასება მისცა.**



# ჰოლოკოსტი და «ბუჩქების თაობა»

**სკანდალი, რომელმაც გასულ კვირას საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, ჯერ კიდევ 2 აპრილს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში დაიწყო, როდესაც „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ წამყვანმა გუნდებს „ჰიტლერის საუკეთესო ღირსების“ დასახელება სთხოვა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდის პასუხი ასეთი იყო: „უფასო გაზი ყველა ებრაელის ოჯახში“. დარბაზში ამ რეპლიკას სიცილი და აპლოდისმენტები მოჰყვა, ხოლო ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი, გუნდის გამოსვლას მაღალი შეფასება მისცა.**



**«ბუჩქების თაობის» წარმომადგენლებმა გამოავლინეს, რომ ყოველგვარი მორალური შეზღუდვებისგან გათავისუფლდნენ**





13 აპრილს ეს ფაქტი მკაცრად დაგმო რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ. ინფორმაცია ამის შესახებ „ებრაული ახალი ამბების სააგენტომ“ და ადგილობრივმა მედიასაშუალებებმა გაავრცელეს. ამავე დღეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ორი განცხადება გამოქვეყნდა, მინისტრმა მომხდარის გამო „წუხილი და სამართლიანი გულისწყრომა“ გამოთქვა და განაცხადა: **„...გამოსვლას, რომელიც მილიონობით ადამიანისთვის არის შეურაცხმყოფელი, გადაცემის დასრულებისთანავე პირადად ჩემი მწვავე შეფასება მოჰყვა, თუმცა ახალგაზრდებთან ჩემი საუბარი საჯაროდ არ გაცხადებულა, რადგან მათ გრძნობებს მოვერიდე. ახალგაზრდებმა დამარწმუნეს, რომ მათ ეს ბოროტი განზრახვით არ გაუკეთებიათ და დაუფიქრებლად მოუვიდათ“.** განცხადების ბოლოს ვარძელაშვილი ბოდიშს უხდის **„იმ ადამიანებს, რომელთაც ახალგაზრდების გაუცნობიერებელმა რეპლიკამ შეურაცხყოფა და ტკივილი მიაყენა“.**

სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მეორე განცხადებაში ბოდიში სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდმა მოიხადა. 14 აპრილს მომხდარი სახალხო დამცველმა დაგმო და თავის განცხადებაში ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ **„ჟიურის არც ერთ წევრს, მათ შორის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრს — ლადო ვარძელაშვილს, გადაცემის მსვლელობისას არ გამოუხატავს პროტესტი კითხვაზე გუნდის პასუხთან დაკავშირებით“.**

**რას წარმოადგენდა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის ეს შეურაცხყოფა: სპონტანურ შეცდომას თუ მიზანმიმართულ პროვოკაციას?**

ჩვენ არ გვაქვს ფაქტები, რომლებიც დაადასტურებს, რომ კითხვაც და პასუხიც წინასწარ შეთანხმებული იყო და მათ უკან პოლიტიკური დაკვეთა იდგა. ამასთან დაკავშირებით ორმა გარემოებამ შეიძლება გარკვეული ეჭვები გააჩინოს: ა) უამრავი ადამიანი დარწმუნებულია იმაში, რომ ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემების დაგეგმვაში ხელისუფლების უმაღლესი პირები მონაწილეობენ და ეს მოსაზრება განსაკუთრებით მას შემდეგ გავრცელდა, რაც „იმედის“ ეთერში პროვოკაციული „მოდელირებული ქრონიკა“ გავიდა; ბ) „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის ეროვნულ ფედერაციას“ და მის ღონისძიებებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო აფინანსებს (ინფორმაცია ამ უწყების ოფიციალური ვებგვერდიდან), რამაც შეიძლება გააჩინოს ეჭვი, რომ სამინისტროს ხელმძღვანელებს შესაძლებლობა აქვთ, გუნდების გამოსვლების შინაარსზე უშუალო გავლენა მოახდინონ. თუმცა ვინაიდან დამადასტურებელი ფაქტები იმისა, რომ 2 აპრილს მომხდარი წინასწარ დაიგეგმა, არ არსებობს. ამ ვერსიას ვერ ჩავეძიებით.

რებუსის გასაღები შეიძლება ლადო ვარძელაშვილის ქცევის და მასზე ხელისუფლების უმაღლესი პირების რეაქციის ანალიზმა მოგვცეს. **„იმედის“ მაყურებელმა იხილა, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდის გამოსვლას მინისტრის დადებითი რეაქცია მოჰყვა, ხოლო ის, რომ მან „გადაცემის დასრულებისთანავე“ ახალგაზრდებს უსაყვედურა, მაყურებელს არ უნახავს.** მინისტრის ქცევა სტუდიაში (2 აპრილს) და მისი განცხადება (13 აპრილს) ერთმანეთთან გარკვეულ წინააღმდეგობაშია. აღსანიშნავია, რომ განცხადება მხოლოდ ათიოდე დღის შემდეგ, არასამთავრობოთა შეშფოთების კვალობაზე გაკეთდა; ამ პერიოდში სახალხო დამცველიც დუმდა.

**გასაგებია, რომ „მოდელირებული ქრონიკის“ შემდეგ ტელეკომპანია „იმედს“ ბევრი აღარ უყურებს, თუმცა, საყოველთაოდ გავრცელებული აზრის თანახმად, ის ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მათ მომხრეებში პოპულარობით სარგებლობს. ძნელი დასაჯერებელია, რომ გადაცემა არც ერთ მათგანს არ უნახავს, 13 აპრილამდე არანაირ ინფორმაციას არ ფლობდა და, შესაბამისად, მისთვის შეფასება არ მიუცია. დიდი ალბათობით, 2-დან 13 აპრილამდე კლასიკური „დუმილის შეთქმულება“ სუფევდა.**

ვარძელაშვილის წინააღმდეგობრივი ქცევა თითქოსდა გულისხმობდა იმას, რომ საქმეში დაუყოვნებლივ უნდა ჩარეულიყვნენ მისი ხელმძღვანელები (მიხეილ სააკაშვილი და ნიკა გილაური), თუმცა მათ ეს არ გაუკეთებიათ. ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში მინისტრს ასეთ სიტუაციაში თანამდებობიდან გაათავისუფლებდნენ ან უმკაცრეს საჯარო შენიშვნას მისცემდნენ, იმის გამო, რომ ასეთი ისტორიის ეპიცენტრში აღმოჩნდა. მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ეს კი ის შემთხვევაა, როდესაც რეაქციის არარსებობა თავისთავად რეაქციას წარმოადგენს. აქ შეიძლება ორი ვერსია გაჩნდეს: **ა) ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა ინციდენტი ყურადღების ღირსად არ ჩათვალეს** (რაც მათ პოლიტიკურ ადეკვატურობაზე ნამდვილად არ მიანიშნებს); **ბ) ეს დუმილი, ფაქტობრივად, ებრაელების საწინააღმდეგო გამოხდომის მოწონებას ნიშნავდა, რაც, ალბათ, საქართველო-ისრაელის ურთიერთობების ბოლოდროინდელი გაუარესების კონტექსტში უნდა განვიხილოთ.** ჯერჯერობით არ არსებობს საკმარისი ფაქტები, რომ ამა თუ იმ ვერსიას საბოლოოდ მივემხროთ, მაგრამ, თუ რეალობასთან უფრო ახლოს მეორე ვარაუდი დგას, სააკაშვილის ხელისუფლებისთვის ეს ისტორია, სავარაუდოდ, ძალიან ცუდად დასრულდება.

ალბათ, ორიოდე სიტყვით, დარბაზში მყოფი ახალგაზრდების სიცილსა და აპლოდისმენტებს უნდა შევეხოთ. ეს თაობა სააკაშვილის მმართველობის წლებში გაიზარდა, განსაკუთრებულ იმედს ის სწორედ მასზე ამყარებს. ამ ახალგაზრდებს მოუწოდებდა მიხეილ სააკაშვილი თავის ცნობილ გამოსვლებში, ბუჩქებში გაესეირნათ და „ჩარეცხილების“ (ირიბად კი, უფროსი თაობის) გავლენისგან გათავისუფლებულიყვნენ.

**რა თქმა უნდა, მსჯელობა მთელ თაობაზე, დარბაზში მყოფი ერთი ჯგუფის რეაქციაზე დაყრდნობით, არაკორექტულია, თუმცა სიგნალი საკმაოდ საგანგაშოა. ამ, (პირობითად) „ბუჩქების თაობის“ წარმომადგენლებმა გამოავლინეს, რომ ყოველგვარი მორალური შეზღუდვებისგან გათავისუფლდნენ, როდესაც კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს ტრაგედიას და ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნას დასცინოდნენ.** ამ ახალგაზრდებმა, ალბათ, უნდა გაიგონ, რომ ასეთ სულიერ მდგომარეობას ფატალური შედეგები მოაქვს და „ჰიტლერიუგენდის თაობის“ ბედი ამის ნათელი დადასტურებაა — ბევრი გერმანელი ახალგაზრდისთვის ყველაფერი დაიწყო საზიზღარი ხუმრობით მეზობელ ებრაელზე, ხოლო დასრულდა ტყვიით შუბლში ბერლინის ნანგრევებზე ან კიდევ მწარე სინანულითა და სირცხვილით მთელი შემდგომი ცხოვრების განმავლობაში. **საზოგადოებამ, ალბათ, ყველაფერი უნდა იღონოს, რომ „ბუჩქების თაობა“ ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივ ღირებულებებს ეზიაროს და არ იქცეს უნებისყოფო სათამაშოდ უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების ხელში, რისთვისაც ის, სამწუხაროდ, მნიშვნელოვანწილად შემზადებული ჩანს.**

**საზოგადოებამ, ალბათ, ყველაფერი უნდა იღონოს, რომ «ბუჩქების თაობა» ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივ ღირებულებებს ეზიაროს და არ იქცეს უნებისყოფო სათამაშოდ უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების ხელში, რისთვისაც ის, სამწუხაროდ, მნიშვნელოვანწილად შემზადებული ჩანს**

იმედია, 2 აპრილის ინციდენტი ქართველებისა და ებრაელების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას ზიანს ვერ მიაყენებს, ქართული საზოგადოება კვლავ განსაკუთრებული პატივისცემით მოეპყრობა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა და იმ ჯარისკაცების, მათ შორის ასეულ ათასობით ჩვენი თანამემამულის, ხსოვნას, რომლებმაც თავი გაწირეს, რათა ჰოლოკოსტის საშინელი მანქანა დაემსხვრიათ.

**დიმიტრი მონიავა**



**«ბუჩქების თაობამ» ამათ დასცინა**





უმრავლესობის ერთმა წარმომადგენელმა დაიჩივლა, რომ საქართველოს გლობუსი ვერა და ვერ შეიძინა. მეორე დეპუტატი, რომელიც წინა პარლამენტში საკმაოდ აქტიური იყო, რუკაზე გაეროს ეძებდა. განზილებულმა საკუთარ მეგობრებს შესჩივლა, რომ გაეროში მიდის და რუკაზე ვერა და ვერ იპოვა. ასე რომ, „დიდ“ ადამიანებსაც მოსდით „პატარა“ შეცდომები.

მოვლენები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# სასესიო დარბაზის ქანდარიდან დანახული

**პარლამენტის კულუარებში გაცილებით საინტერესო ამბები ხდება, ვიდრე სხდომათა დარბაზში. აკრედიტებული ჟურნალისტები შინაურად გრძნობენ თავს და დეპუტატების „სიბრძნეთა ფრქვევასა“ და „უკვდავთა“ ადამიანურ საქციელს ჩვეულებრივად აღიქვამენ. ვფიქრობთ, მკითხველისთვისაც არ იქნება უინტერესო იმ ამბების გაცნობა, რომლებიც ოფიციალური ინფორმაციის მღვრიე ნაკადში იკარგება.**



## ლევან ვეფხვაძე და „მზეთუნახავი“ კახა ბაინდურაშვილი

**ბევრი ეცადა თუ ცოტა, ლევან ვეფხვაძემ იმას მიაღწია, რომ კახა ბაინდურაშვილს „თვალებში ჩახედა“.**

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ლევან ვეფხვაძე კარგახანს ცდილობდა ფინანსთა მინისტრის — კახა ბაინდურაშვილის დანახვას, რადგან მის წინ ტელეკამერები იდგა.

„თვალებში ვერ გიყურებთ, კამერები მანათებს,“ – უთხრა ვეფხვაძემ ფინანსთა მინისტრს.

„მე მგონი, ეგ მარტო კამერების ბრალი არ არის,“ – ირონიით უთხრა კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ მელიქიშვილმა ლევან ვეფხვაძეს.

„კამერების ბრალია,“ – არ დაიბნა ვეფხვაძე, რომელმაც ტელეკამერების „ტყვეობას“ თავი დააღწია და კახა ბაინდურაშვილის დანახვა ბოლოს მაინც შეძლო.

## კაჩინსკის გარდაცვალების „გორული“ ვერსია

**საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი გორის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ თემურ ხაჩიურმა. მან გორში ერთ-ერთი ქუჩისთვის ლეხ კაჩინსკის სახელის მინიჭების დროს ახალი ვერსია შემოგვთავაზა. არც მეტი არც ნაკლები, გორის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ საკრებულოს სხდომაზე განაცხადა, რომ კაჩინსკი „პროფესიონალური მოვალეობის შესრულებისას, ტყვიას არ მოერიდა და გმირულად დაეცა, აი, იმ ომის პერიოდში“.**

ამ ახალ ვერსიას თუ დავუჯერებთ, პოლონეთის პრეზიდენტი 2010 წლის 10 აპრილს კი არ დაღუპულა სმოლენსკთან მომხდარ ავიაკატასტროფაში, არამედ — გორში.

კიდევ ერთი „მარგალიტი“, რომელიც გორის საკრებულოს იმავე სხდომაზე გაისმა, ის არის, რომ **ძმები ზუბალაშვილები თურმე 2008 წლის 8 აგვისტოს რუსულ-ქართულ ომში დაღუპულან.** ძმები ზუბალაშვილების დაღუპვის ეს „ახალი“ ვერსია საკრებულოს მხოლოდ ერთმა წევრმა გააპროტესტა, დანარჩენებმა სარწმუნოდ ჩათვალეს.

ამას ჰქვია, რას არ გაიგებს და მოისმენს კაცი... საკრებულოს წევრებს რას ვერჩით, როდესაც ხალხს ჯერ კიდევ ახსოვს ის ფაქტი, რომ **პარლამენტის ერთ-ერთ წევრს საქართველოს გლობუსის** შეძენა სურდა. წინა მოწვევის პარლამენტში, უმრავლესობის ერთმა წარმომადგენელმა დაიჩივლა, რომ საქართველოს გლობუსი ვერა და ვერ შეიძინა. მეორე დეპუტატი, რომელიც წინა პარლამენტში საკმაოდ აქტიური იყო, რუკაზე გაეროს ეძებდა. განზილებულმა საკუთარ მეგობრებს შესჩივლა, რომ გაეროში მიდის და რუკზე ვერა და ვერ იპოვა. ასე რომ, „დიდ“ ადამიანებსაც მოსდით „პატარა“ შეცდომები.

## ვის ეშინის სიმონიჩის?

**პარლამენტის სხდომაზე, კვორუმის პრობლემის შექმნის შემთხვევაში, სიმონიჩი მზად არის, საკუთარი ბერკეტები აამოქმედოს და უწესრიგო დეპუტატები „დასაჯოს“. სიმონიჩი, იგივე ელდარ კვერნაძე იმ შემთხვევაში აქტიურდება, თუ სხდომათა დარბაზში დეპუტატების საჭირო რაოდენობა არ შეიკრიბება და კვორუმის პრობლემაა.** დაგვიანებულ დეპუტატებს კვერნაძე ჯერ თვალებს უბრიალებს, შემდეგ კი არც შენიშვნის მიცემას ერიდება. სიმონიჩის გაბრაზებას ყველა ერიდება, რადგან მას „ნაცებში“ საკმაო გავლენა აქვს. თანაც საგულისხმოა ისიც, რომ ელდარ კვერნაძე „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია.

როგორც „ნაცები“ ამბობენ, სიმონიჩს სხვა საქმეც კარგად ეხერხება, კერძოდ, ის ძლიერი თამადაა და „ნაციონალურ“ სუფრებსაც ხშირად უძღვება.

## რით ჰგავს მთავრობა „იმედის“ მემონტაჟეს?

**მთავრობა „იმედის“ მემონტაჟესავით იქცევა. „იმედის“ მემონტაჟე ლევან ვეფხვაძეს მას შემდეგ გაახსენდა, რაც გაარკვია, რომ 500-მილიონიანი ევრობონდების გამოშვებით მთავრობა წინა წლებში აღებული ვალის გასტუმრებას ცდილობს.**

ლევან ვეფხვაძემ კახა ბაინდურაშვილს „იმედის“ ერთ-ერთი მემონტაჟის ამბავი მოუყვა, რომელმაც ერთი ვალი აიღო, შემოეჭამა, შემდეგ მეორე ვალი აიღო, ისიც შემოეჭამა, მესამე ვალი რომ აიღო, გაიჭედა, რადგან ვეღარ გადაიხადა. „იმედის“ მემონტაჟის ისტორიის მოსმენის შემდეგ კახა ბაინდურაშვილმა აღნიშნა, რომ თავად ფინანსების სპეციალისტია და მემონტაჟესთან დაკავშირებით ვერაფერს იტყვის, რადგან ეს საქმე არ იცის. საკითხავია, ის საქმე იცის, რაზეც საუბრობს?

## ბალათურიას პრივატიზებული მეხუთე მიკროფონი

**ჯონდი ბალათურიამ პარლამენტის რეგლამენტი მაინც და მაინც კარგად რომ არ იცის, ეს რამდენიმეჯერ გამოჩნდა. მას სპიკერი და ვიცე-სპიკერი მუდმივად მიუთითებენ, რომ რეგლამენტში ჩაიხედოს.**

ერთხელ ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჯონდი ბალათურიას ურჩია, რეგლამენტი წაეკითხა. გაოცებული ბალათურიას პასუხი ასეთი იყო: რას ამბობ, ამხელა წიგნს რა წამაკითხებს? რეგლამენტის არცოდნა ბალათურიას გამოსვლებში ხელს არ უშლის. სამშაბათს, განცხადებების გაკეთებაში ბალათურიას ვერც ერთი დეპუტატი ვერ ჯობნის. თანაც ბალათურია მეხუთე მიკროფონთან ყველაზე ახლოს ზის და პრივატიზებულიც აქვს.

## ბრეჟნევური ხვევნა-კოცნა

**პარლამენტის მამაკაცმა წევრებმა ვერა და ვერ მოიშალეს ყოველ დღე ერთმანეთის გადაკოცნა. ეტყობა, ბრაზილიური სერიალების გავლენაა, თორემ ერთ დღეს რომ კაცს ნახავ, მეორე დღეს რაღა საჭიროა მხურვალე მოკითხვა კოცნის თანხლებით?!** ეს ფაქტი შეუმჩნეველი არ დარჩენია პარლამენტის პირველ ვიცე-სპიკერს მიხეილ მაჭავარიანს. ან შეუმჩნეველი როგორ დარჩებოდა, როდესაც აკაკი მინაშვილმა და ნუგზარ წიკლაურმა ამას წინათ შუაგულ დარბაზში ისე მოიკითხეს ერთმანეთი, რომ მტყლაშა-მტყლუშის ხმა სპიკერატში მიხეილ მაჭავარიანმა გაიგო. ვიცე-სპიკერმა საკუთარ თანაფრაქციელებს უსაყვედურა, რომ ბრეჟნევური მეთოდები და ხვევნა-კოცნა მოიშალონ.

## ყველაზე ნელი და ყველაზე სწრაფი ვიცე-სპიკერი

**ბიუროს სხდომის ყველაზე სწრაფი წამყვანი მიხეილ მაჭავარიანია. მას შეუძლია ბიუროს სხდომა რეკორდულ დროში — 5 წუთში დაასრულოს. მაჭავარიანისგან რადიკალურად განსხვავდება ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი. ის დროის გაჭიმვის „დიდოსტატია“.** საკმარისია, წერეთელმა სპიკერატში ადგილი და მიკროფონი ჩაიგდოს ხელში, რომ მას ვეღარ მოსწყვეტ. თუ მაჭავარიანი საქართველოში არ არის და სასესიო კვირაა, მაშინ სხდომის წაყვანა გიგი წერეთელს უწევს. წერეთელი ამ შანსს ხელიდან არ უშვებს და, საჭიროა თუ არა, ყველაფერზე განცხადებას აკეთებს, თან იმდენ ხანს მიჰყავს სხდომა, რომ დეპუტატებსა და ჟურნალისტებს ერთი სული აქვთ, გაიქცნენ.

სხვა ვიცე-სპიკერებს სხდომის წაყვანას არ ანდობენ. მაგალითად, სხდომა არასდროს წაუყვანია პაატა დავითაიას.

## რა საერთო აქვს საჯარო ინფორმაციას ცხელ ტაფასთან?

**„საჯარო ინფორმაციას „ნაციონალური მოძრაობა“ ისე გაურბის, როგორც ცხელ ტაფას“. ეს ფრაზა ოპოზიციონერ დეპუტატ გიორგი ცაგარეიშვილს ეკუთვნის.** საჯარო ინფორმაციის გაცემით, სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებები ხშირად თავს რომ არ იწუხებენ, არახალია. ოპოზიციონერი დეპუტატები ხშირად ჩივიან, რომ არა მარტო მოქალაქეები, არამედ თავადაც ვერ იღებენ საჯარო ინფორმაციას. **„ნაციონალები მიიჩნევენ, რომ საჯარო ინფორმაცია არის მათი საშინაო, პირადი საქმე. ისინი უნდა მიეჩვიონ, რომ სახელმწიფო სტრუქტურა არ არის მათი პირადი ციხე-კოშკი“,** — მიაჩნია გიორგი ცაგარეიშვილს, რომელიც ვერასდროს იღებს ზუსტ ინფორმაციას საჯარო დაწესებულებებიდან და ამის გამო ჟურნალისტებთან მუდმივად წუწუნებს.

## თუ გვერდით მჯდომი არ გიყვარს

**პარლამენტის სხდომათა დარბაზში ერთმანეთის გვერდი-გვერდ სამი დამოუკიდებელი და სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელი ზის: ჯონდი ბალათურია, კოკო გამსახურდია და პეტრე მამრაძე. სამივე დეპუტატი 11 საათზე სხდომათა დარბაზში დროულად მიდის, მაგრამ, როგორც კი განცხადებების სერია დასრულდება, მაშინვე თავქუდმოგლეჯილი გარბის.** თავდაპირველად, უკანა რიგში მხოლოდ ჯონდი ბალათურია იჯდა, რომელსაც „ადინოკი“ დაარქვეს, მოგვიანებით მას „ნაციონალებიდან“ ნოღაიდელთან წასული პეტრე მამრაძე მიუჯდა, შემდეგ კი — პარლამენტში შესული მანდატდახეული კოკო გამსახურდია.

ბალათურიამ ამ კვირაში დემაგოგის სტატუსი დაიმსახურა. დემაგოგობაში ბრალი უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა დასდო. ბალათურიამ სოფელ ზედლულეთში საძოვრების უკანონოდ გაყიდვის გამო გაინერვიულა თავი და დამნაშავე პირების გამოვლენა და დასჯა მოითხოვა. **„კორუფციული ქმედებების დამადასტურებელია და სამშობლოს ღალატის ტოლფასი გლეხისთვის საძოვრის გასხვისება,“** – აღნიშნა ბალათურიამ. ამ განცხადებამ ჯერ აჭარელი ლუი დე ფიუნესი — კობა ხაბაზი აღაშფოთა, რომელმაც ბალათურიას გამოსვლას კომუნისტური უწოდა, შემდეგ კი უმრავლესობის შეფის — პეტრე ცისკარიშვილის კატეგორიული შეფასება მოჰყვა. მან ბალათურია დემაგოგობაში „გამოიჭირა“.

**ნანა ნაცვლიშვილი**

მოკლედ

## გერმანიის პრეზიდენტს კვერცხები დაუშინეს

**უცნობმა მამაკაცმა ვისბადენში გერმანიის პრეზიდენტს — ქრისტიან ვულფს და ფედერალური მიწის პრემიერ-მინისტრს — ჰესენ ფოლკერ ბუფერს კვერცხები დაუშინა, რის შემდეგაც იგი უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს.** ინციდენტი ქალაქის რატუშასთან სახელმწიფოს მეთაურის რანგში პრეზიდენტ ვულფის პირველი ვიზიტის დროს მოხდა. პრეზიდენტი რატუშის შენობის წინ მდებარე მოედნიდან მაშინვე გაიყვანეს. ინციდენტის მოტივი უცნობია.



## ჩინეთმა კუნძულები გააქირავა

**ჩინეთის ხელისუფლება 176 დაუსახლებელი კუნძულის 50-წლიანი იჯარით გაცემას აპირებს. წინასწარი მონაცემებით, ამ კუნძულების ათვისებას კერძო პირები შეეცდებიან.** წინადადებით ჩინელი და უცხოელი კომპანიებიც დაინტერესდებიან. იჯარით გაიცემა 500 კვადრატულ მეტრზე არანაკლები ფართის კუნძულები. თუკი რომელიმე კონკრეტულ კუნძულთან დაკავშირებით რამდენიმე განცხადება შევა, გამარჯვებულს აუქციონის შედეგად გამოავლენენ. კუნძულების ღირებულება და განცხადებების შეტანის ვადა არ კონკრეტდება.

## პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

„დღეს მკაცრად აპროტესტებენ, რომ ადრე ყველაფერს რუსული წარწერები ჰქონდა და რუსულის გავლენა იყოო. დღეს რომ ყველაფერს ინგლისური წარწერები აქვს, ამაზე რატომ აღარ ჩივის ის ხალხი?! ის რუსი ფარული მტერი მაინც არ იყო, პირდაპირ იქცეოდა, ამათ კიდე ისეთი მაიმუნური ხერხები აქვთ, ისე დაგვამხობს და დაგვაქცევს, შეიძლება ცოცხალი კი დაგტოვოს, მაგრამ — გაუბედურებული და გასაცოდავებული!“

# ზურაბ ქაფიანიძე: ამერიკელებმა რაღამც ღარიბები გვნახეს, მოგვჭერებიან როგორც დურაკებს

**გასულ კვირას ახალგაზრდა პოეტის — გიორგი ოქროპირიძის შემოქმედებით საღამოზე მსახიობმა ზურაბ ქაფიანიძემ გულისტკივილით თქვა: „ვარდების ხელისუფლებამ“ ბოლო 7 წლის განმავლობაში ისე გაათახსირა ქართველი ერი, რისი გაკეთებაც აღა მაჰმად ხანმა ვერ შეძლო“.
რამ ათქმევინა სახელოვან მსახიობს ეს სიტყვები, ამაზე სასაუბროდ ზურაბ ქაფიანიძეს შინ ვესტუმრეთ.**

— დღეს საქართველოში ათახსირებენ ქართულ ენას, ქართულ სულიერებას. ათეულობით ათასი ქართველი გააქციეს ქვეყნიდან. ამაზე უარესი საქართველოს არც ერთ ისტორიულ მტერს არ გაუკეთებია. სააკაშვილის ხელისუფლებამ ისე გარყვნა და გაათახსირა მოსახლეობა, რაზეც საქართველოს ყველაზე საშიში მტერი, მურვან ყრუც კი ვერ იოცნებებდა. დღეს სკოლა სკოლას, უნივერსიტეტი უნივერსიტეტს, ქართველი ქართველს არ ჰგავს. **უგუნურმა პრეზიდენტმა ათასობით ღვაწლმოსილი პედაგოგი სახლში დასვა, მათ ნაცვლად კი 21 წლის გაურკვეველი ორიენტაციისა და წარმოშობის ხალხი „ჩამოათრია“ ბავშვების გასარყვნელად.** რისთვის ჩამოიყვანეს, რა უნდა ინგლისელ მასწავლებელს ჩვენს სკოლაში? ბავშვებს რომ ტვინი გამოურეცხონ? ჩემს სახლში რომ შემოხვალ და ხმის ამოღების უფლებას წამართმევ, აღარ არის ის ჩემი სახლი.

მაგათ ჰგონიათ, მეორედ მოსვლის დროს იესო ქრისტე ტანკით ან ვერტმფრენით ჩამოვა დედამიწაზე, დაარტყავს წრეს თბილისს და რუსთაველზე დაჯდება. წაიკითხონ სახარება, იქნებ, ცოტათი გამოფხიზლდნენ და აზრზე მოვიდნენ, რა ენა გვაქვს და რა ხალხი ვართ.

**— დღეს ტელევიზიით ხშირად საუბრობენ მამათმავლობაზე, როგორც ჩვეულებრივ მოვლენაზე. ყოველდღიურ ცხოვრებაშიც სულ უფრო ხშირად გვხვდებიან ასეთი**



**ადამიანები. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ეს?**

— ამერიკისა და ევროპის წამხედურობამ მოგვიტანა ეს საზიზღრობა. ქართველებს თუ გამრავლება და სიცოცხლის გაგრძლება გვინდა, მაგ გზით არ მრავლდება ერი! თუ ერი არ გაამრავლა, რაში მჭირდება მაშინ შვილი? ასეთი ადამიანები, ცოდვებით დამძიმებულები, სიბერეში რომ შევლენ, მომვლელი რომ აღარ ეყოლებათ და მარტო დარჩებიან უპატრონოდ, მაშინ მიხვდებიან, რა შეცდომაც დაუშვეს, მაგრამ უკვე გვიანი იქნება.

**— არის თუ არა ეს ერთგვარად სახელმწიფო პოლიტიკის ბრალი?**

— რა თქმა უნდა, სახელმწიფომ, როგორც მამამ, ისე უნდა მოუაროს თავის ქვეყანას. თუ კარგი მამა ხარ, ოჯახში ამორალობა და გარყვნილება არ უნდა დაუშვა. ამაშია უბედურება, რომ თვითონ ხელმძღვანელობაა საკუთარი ქვეყნის მტერი. დღევანდელი ტელევიზიებიც საქართველოს მტრები არიან. ოღონდ დააფინანსონ და, რასაც გინდა, იმას გაგიკეთებენ. **კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის უტვინო უფრო მეტი იყო, ვიდრე ჭკვიანი, მაგრამ ერთ ტვინიან კაცს ემორჩილებოდა ყველა. დღეს ერთი ჭკვიანი კაცი ვერ გვეღირსა.**

ადრე ხალხს უყვარდა ერთმანეთი, საკუთარი ქვეყანა. ერთმანეთს პატივს სცემდნენ, ილია უყვარდათ, რუსთაველი, აკაკი, გალაკტიონი. დღეს ასე აღარ არის. ეს ხალხი რომ არ გეყვარება და არც გეცოდინება, რანაირი ქართველი ხარ, მითხარი?! ჩვენი განადგურება უნდათ და ზოგიერთი ქართველიც უწყობს ამაში ხელს. **შეიხედეთ ტელევიზიებში, რავარი გრიალი აქვთ, სად არის აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ლტოლვილების გაჭირვება? რა უხარიათ, ერთი ჩვენც გაგვაგებინონ... ქვეყნის დაქცევა?** მუხრან მაჭავარიანს აქვს ერთი ასეთი ლექსი: „ვინც გინდა იყო, გინდ არქიფო თუ გინდა ზაქრო, რა გიხარია, შე შობელძაღლო?“

**— საქართველოს და ამერიკის მეგობრობას როგორ შეაფასებთ? რამდენად სასიკეთოა ეს ჩვენი ქვეყნისთვის?**

— ამერიკელებმა 2008 წელს რუსეთთან რომ აბურდული ამბავი გვქონდა, ფოთში სამხედრო გემი შემოიყვანეს, იმიტომ, რომ რუსეთი კიდევ უფრო გაეღიზიანებინათ და უფრო გაეაქტიურებინათ საქართველოში რუსების ქმედებები. როგორ ავხსნა ახლა ეს მე? კეთილმეგობრული დამოკიდებულებით?! როგორ ავხსნა ის, ათასობით ამორალური მასწავლებელი რომ შემორეკეს ჩვენს სკოლებში ქართველი ბავშვებისა და ქართული ენის მოსასპობად?! ესაა მეგობრობა?!

**დღეს მკაცრად აპროტესტებენ, რომ ადრე ყველაფერს რუსული წარწერები ჰქონდა და რუსულის გავლენა იყოო. დღეს რომ ყველაფერს ინგლისური წარწერები აქვს, ამაზე რატომ აღარ ჩივის ის ხალხი?! ის რუსი ფარული მტერი მაინც არ იყო, პირდაპირ იქცეოდა, ამათ კიდე ისეთი მაიმუნური ხერხები აქვთ, ისე დაგვამხობს და დაგვაქცევს, შეიძლება ცოცხალი კი დაგტოვოს, მაგრამ — გაუბედურებული და გასაცოდავებული!**

მაგათ ჰგონიათ, აღარც რუსთაველი გვყოლია, აღარც თამარი, აღარც აღმაშენებელი, აღარც ილია. ამერიკელებმა რაღამც ღარიბები გვნახეს, მოგვჭერებიან როგორც დურაკებს. დურაკები თვითონ არიან!

**— რა უნდა შეიცვალოს, რომ ქართველი ერი საბოლოოდ არ გადაგვარდეს?**

**— რა და ერთი ღირსეული ქართველი უნდა გამოჩნდეს, რომელიც საქართველოს გადარჩენის საქმეს ჩაუდგება სათავეში. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არიან ისეთი ქართველები, რომლებსაც საქართველოს დღევანდელი ყოფა ტკივათ, ერთგულები არიან სამშობლოსი და საკუთარი ხალხის.**

— ოპოზიცის იმედიც არ მაქვს. არც ერთხელ არ დამიძახა ოპოზიციამ და მივხვდი, რომ არც ისინი იქნებოდნენ გულწრფელები საქართველოს სიყვარულში და სწორიც აღმოვჩნდი. ვისაც ჩემი შეეშინდება, ე.ი. რაღაც მზაკვრული და არაქართული აქვს ჩაფიქრებული. იმედი მაქვს, ღვთის შეწევნითა და წყალობით, გამოჩნდება ვინმე ღირსეული და ფეხზე დააყენებს საქართველოს.

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**

# ქართლ-კახეთის მეფეთა რეზიდენცია შეიძლება დაინგრეს

**საქართველოში არსებულ ყოველ ისტორიულ ძეგლს განსაკუთრებული ღირებულება გააჩნია, ვინაიდან ნებისმიერი მათგანზე ქვეყნის წარსული, მრავლისმომცველი ისტორიაა აღბეჭდილი. თუმცა საუკუნეებგამოვლილი, ისტორული ძეგლებისთვის დროს მაინც დაუტყვია მსახვრალი კვალი და სწორედ ამიტომ თითოეული მათგანი განსაკუთრებულ მოფრთხილებას საჭიროებს. ამჯერად მკითხველის ყურადღებას თელავის რაიონში მდებარე ქართლ-კახეთის მეფეთა რეზიდენციაზე შევაჩერებთ, რომელიც მძიმე მდგომარეობაშია და შეიძლება დროთა განმავლობაში დაინგრეს.**

მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ღირებულება გააჩნია კახეთის სატახტო ქალაქ თელავში მდებარე „ბატონის ციხეს“, რომელიც კახთა მეფის რეზიდენცია იყო. მეფეთა სასახლეებიდან შემორჩენილი ქართლ-კახეთის მეფეთა რეზიდენცია ამჟამად ვრცელი გალავნის, აბანოს, სასახლისა და ეკლესიებისგან შედგება. გადმოცემის თანახმად, გალავანი და ეკლესია მე-18 საუკუნის შუა პერიოდში მეფე ერეკლეს ძალისხმევით აიგო, ციტადელის შიგნით მდებარე მეფეთა სასახლე კი გაცილებით ადრე, მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში, არჩილ მეფის დროს აუშენებიათ. გალავნის კუთხეებში ცილინდრისებური კოშკები დგას, ხოლო სასახლის სამხრეთით მდებარეობდა აბანო, რომლისგანაც საბანაო აუზიანი ოთახი და საქვაბელა შემორჩენილა. გადმოცემის თანახმად, აბანოს კედლები, სხვა ჩვეულებრივი აბანოებისგან განსხვავებით, მოხატული ყოფილა.

ციტადელის ეზოშივე ორი ეკლესიაა. ერთი მათგანი მცირეა და, სავარაუდოდ, მე-17 საუკუნეშია აგებული; მეორე კი ერეკლეს კარის ეკლესიაა. ყურადღებას იქცევს ეკლესიის ორიგინალური გადაწყვეტა. როგორც ჩანს, იგი არამარტო საკულტო, არამედ, იმდროინდელი რთული საბრძოლო ვითარებიდან გამომდინარე, თავდაცვითი ნაგებობაც იყო, რასაც სახურავის ქვეშ მოწყობილი სათოფურები ადასტურებს. **დღეს შენობა მძიმე მდგომარეობაშია, რაზეც დაბზარული, სარეველა მცენარეებით დაფარული კედლები მიუთითებს. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ მეფეთა რეზიდენციისთვის რატომღაც თანხა ვერა და ვერ გამონახა და ეს მაშინ, როდესაც ათასგვარ უშინაარსო გასართობ ღონისძიებებზე, უცხოელ მომღერალთა კონცერტებსა თუ სახელისუფლო პროექტებზე დიდძალი თანხა უშურველად იხარჯება.**

როგორც **საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უძრავ ძეგლთა ატრიბუციის სამსახურის უფროსი გიორგი გაგოშიძე ამბობს,** შენობა არცთუ ისეთ მძიმე მდგომარეობაშია და ამ ეტაპზე სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული სხვა, უფრო მეტად დაზიანებული, ისტორიული ძეგლებია.

**„სამინისტროდან მონიტორინგის ჯგუფი გავაგზავნეთ. დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ თოვლის დროს წყალი ჩასულა შენობაში, მაგრამ კატასტროფული ვითარება არ არის. თუმცა, რა თქმა უნდა, მომავალში შესაბამის ღონისძიებებს აუცილებლად გავატარებთ, მაგრამ ასეთი ღონისძიებები გარკვეული პერიოდულობით ტარდება და ვინაიდან საქართველოში სხვა, უფრო მეტად დაზიანებული, ისტორიული ძეგლებია, ჯერჯერობით მისი შეკეთება არ იგეგმება“,** — განაცხადა გიორგი გაგოშიძემ.





საწინააღმდეგოს ამტკიცებს **კონსერვატიული პარტიის თელავის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი გიორგი მოსიაშვილი:**

„დარღვეულია გალავნის კედლები, მეფე ერეკლეს კარის ეკლესიაზე ამოსულია მცენარეები, ციტადელის ტერიტორიაზე, სადაც დაიბადა და გარდაიცვალა ქართველთა საყვარელი მეფე „პატარა კახი“, ჩასხვრეულია მინები, რაც კიდევ უფრო აჩქარებს ისედაც დაზიანებული შენობის საბოლოო განადგურებას.

არადა, სასახლე უნიკალურია თუნდაც იმით, რომ, როგორც სასახლე, ისე გალავანი და ეკლესია შემონახულია, პირვანდელი სახით. **სამწუხაროა, რომ ამჟამინდელმა ხელისუფლებამ რამდენიმე ათასი ლარის მოძიება ასეთი მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლის გადასარჩენად ვერ შეძლო, მაშინ, როცა საქართველოს პირველი პირის რეზიდენციის ასაგებად ასეულობით მილიონი დოლარი არ დაიშურა.**

მივმართეთ თელავის გამგეობას და პირადად მის გამგებელს — ვასილ დავითაშვილს. მისთვის, სამწუხაროდ, „ბატონის ციხე“ იმდენად მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა, ცოტათი მაინც რომ შეეჩერებინა ნგრევის პროცესი. ჩვენი არაერთგზის თხოვნის შემდეგ, იქაურობა ბალახებისგან გაწმინდეს მხოლოდ“.

„საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის **თელავის გამგებელს, ვასილ დავითაშვილსაც** დაუკავშირდა, რომელსაც გიორგი მოსიაშვილი უყურადღებობაში ადანაშაულებს. მაგრამ გამგებელმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება საერთოდ არ ისურვა, ვინაიდან, მისი განცხადებით, ეს საკითხი გამგეობის კომპეტენციაში არ შედის და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან გადაგვამისამართა.

**თუმცა, სანამ თელავის გამგეობა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ელოდება, მომავალში დახმარება, შესაძლოა, „ბატონის ციხისთვის“ დაგვიანებული აღმოჩნდეს.**

**შორენა ცივქარაშვილი**

„შავი პრინცი“ აღარ ვარ, რადგან ყველა იმ ცოდვაზე ვთქვი უარი, რაც შავ სამყაროსთან მაკავშირებდა. ამიერიდან მე, უბრალოდ, „პრინცი“ ვიქნები და ამ სახელით წარვუდგები ჩემს მსმენელს. სიმღერებს ახლაც ვწერ. რაც შეეხება ჩემს ცოდვებს, უარი ვთქვი წამალზე, ალკოჰოლზე, ბილწსიტყვაობაზე და ა.შ. აღარ ვიმღერებ არც იმ სიყვარულზე, რასაც აქამდე სიყვარულს ვეძახდი...“



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# რეპერი «შავი პრინცი» რუსეთის ერთ-ერთ ქართულ ტაძარში გალობს

**რეპი — ნარკოტიკის, ალკოჰოლის, კრიმინალის, გინებისა და გარყვნილების გარეშე. ასეთი არაორდინალური სიურპრიზი ელოდება რეპის მოყვარულებს რუსეთში მყოფი ქართველი რეპერის, აკაკი ბაბუნაშვილისგან, რომელიც, რამდენიმეწლიანი ტაიმ-აუტის შემდეგ, „პრინცის“ სახელით (ნაცვლად „შავი პრინცისა“) დამკვიდრდება რეპის სამყაროში. რაც უნდა გასაკვირი იყოს, რეპერი ამჟამად რუსეთის, ერთ-ერთ ქართულ ტაძარში მორჩილად მსახურობს და გალობს.**
**რა ცოდვებს ინანიებს რეპერი, რამდენად შესაძლებელია რეპი შავი სამყაროს გარეშე, როგორ უთავსებს რეპს გალობას და როგორ შეიცვალა მისი ცხოვრებისეული ხედვა ქვეყნიდან წასვლის შემდეგ, ამაზე ექსკლუზიურად გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ აკაკი ბაბუნაშვილი ესაუბრა.**



## აკაკი ბაბუნაშვილი: შოუბიზნესშიც, ტაძარშიც და მთავრობაშიც, თუ სულიერ კანონებს არ ემორჩილები, ყველაფერი ფუჭია

**— აკაკი, რატომ წახვედი საქართველოდან?**

— საქართველოში რეპის კეთების არანაირი პერსპექტივა და განწყობა არ არსებობდა, შესაბამისად, წარმატების მიღწევაც შეუძლებელი იყო. ამას განსაკუთრებით მას შემდეგ მივხვდი, რაც ჩემი პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდა. ეს ახალგაზრდების ნიჭის გამოვლენას ეხებოდა სხვადასხვა სფეროში: მუსიკაში, ცეკვაში, მსახიობობაში და ა.შ. როცა პროექტი ქუთაისის ხელმძღვანელობას წარვუდგინე, რიგი მიზეზების გამო უარი მითხრეს. ასე რომ, საქართველოში, უბრალოდ, დროის კარგვა გამომდიოდა და მეტი — არაფერი.

**— თუმცა, დღევანდელთან შედარებით, საქართველოში რეპი მაშინ უფრო არსებობდა...**

— არ შეიძლება იმ დონეს, რაც მაშინ იყო, არსებობა დავარქვათ. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, ამ კუთხით მანდ რა ხდება და რამდენადაა შესაძლებელი თავისუფლი სიტყვის თქმა, არ ვიცი, რადგან ამჟამად არც ერთ ქართველ რეპერთან არ მაქვს კავშირი.

**— როგორც რეპერი, თავისუფალი სიტყვის გამო რაიმე ზეწოლას თუ განიცდიდი, თუნდაც ხელისუფლების მხრიდან?**

— მაინც და მაინც ხელისუფლების მხრიდან იყო-თქო, ვერ ვიტყვი, მაგრამ ისეთი ფონი იყო ზოგადად შექმნილი ქვეყანაში, რომ, რასაც 5 წლის წინათ დიდი ენთუზიაზმით ვაკეთებდი, სურვილი დამეკარგა, კვლავ გამეკეთებინა საქართველოში.

**— რუსეთში თავისუფალი სიტყვის „საძიებლად“ ხომ არ წახვედი?**

— რუსეთში იმის გასარკვევად წავედი, თუ რამდენად მოძრაობდა რეპი, რამდენად შეიძლებოდა იქ ჩემი საქმიანობა თავისუფლად და წარმატებით გამეგრძელებინა. მინდა გითხრათ, რომ იქ წასვლამ მთელი 180 გრადუსით შეცვალა ჩემი პიროვნებაც და შემოქმედებაც. გავიცანი რუსი რეპერები, რომლებთან ერთადაც რამდენიმე თვე კლუბებში ვმუშაობდი. ბოლოს გავიცანი ერთი რუსი ახალგაზრდა რეპერი „ენსი დაით“, რომელსაც თეატრალურ ინსტიტუტთან აქვს შეხება და რომლის ინიციატივითაც რელიგიურ-დოკუმენტურ ფილმ „გამოცხადებას“ იღებენ. მან პირდაპირ მითხრა, არ აქვს მნიშვნელობა, რომ ქართველი ხარ, თუ სურვილი გაქვს, ამ ფილმში ითამაშეო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი.

**ფილმში საკუთარ თავს ვთამაშობ, რომელიც ყველა ჩადენილ ცოდვას ინანიებს. თუკი ადამიანი ყველა ცოდვას არ მოინანიებს, ვერ გადარჩება. ფილმში საუბარია ნარკომანიაზე, ალკოჰოლიზმზე, ბილწსიტყვაობაზე, მრუშობაზე და ყველაფერ იმაზე, რაც ადამიანს ვნებს.**

საკუთარ თავზე გამოვცადე, თუ როგორ შეიძლება ამ ყველაფერს ადამიანმა თავი დააღწიოს. მთავარია, ის შანსი გამოიყენოს, რაც მას ეძლევა.

**— ამ შანსის წყალობით რეპერი დღეს ერთ-ერთ ქართულ ტაძარში გალობთ...**

— „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“, ჩემს ცხოვრებაშიც ასე მოხდა. სულ სხვა რამის გამო ჩავედი რუსეთში და მოულოდნელად უფლის სახლში აღმოვჩნდი, სადაც მე დღეს უფალს ვემსახურები. ამის წყალობით, სწორ გზას დავადექი და ძალიან ბევრი რამ გავაცნობიერე ცხოვრებაში.

რაც შეეხება გალობას, მართალია, ზოგჯერ გალობაც მიწევს, რასაც მთელი გულით ვაკეთებ, მაგრამ მგალობელს მაინც ვერ ვუწოდებ საკუთარ თავს. **მე მორჩილად ვმსახურობ ქართულ ეკლესიაში, რომელსაც „ქრისტეს დაბადება“ ჰქვია და, მოძღვრის კურთხევით, პარალელურად საჭიროების შემთხვევაში იქვე სხვა საქმეებსაც ვითავსებ.**

**— აკაკი, რა ცოდვებს ინანიებ საჯაროდ და რატომ შეიცვალე რეპის სამყაროში ზედმეტსახელი?**

— „შავი პრინცი“ აღარ ვარ, რადგან ყველა იმ ცოდვაზე ვთქვი უარი, რაც შავ სამყაროსთან მაკავშირებდა. ამიერიდან მე, უბრალოდ, „პრინცი“ ვიქნები და ამ სახელით წარვუდგები ჩემს მსმენელს. სიმღერებს ახლაც ვწერ.

რაც შეეხება ჩემს ცოდვებს, **უარი ვთქვი წამალზე, ალკოჰოლზე, ბილწსიტყვაობაზე და ა.შ. აღარ ვიმღერებ არც იმ სიყვარულზე, რასაც აქამდე სიყვარულს ვეძახდი...**

**— ცოტა არ იყოს, გაუგებარია სულიერი სამყარო და რეპი ერთდროულად...**

— რელიგიას ჩაუღრმავდე, არ ნიშნავს იმას, რომ შენს საყვარელ საქმეს მოსწყდე. მთავარია, ისეთ რამეს ქმნიდე, რომ ამით ხალხს ზიანს არ აყენებდე, არ აცდუნებდე და ბოროტ ზრახვებს არ უჩენდე. ამ შემთხვევაში მუსიკის ნებისმიერ მიმდევრობაზე შეიძლება მუშაობა: რეპზეც, როკზეც და ა.შ. უფალმა ადამიანს რისი ნიჭიც უბოძა, ის უნდა გამოიყენოს, ოღონდ სწორი მიმართულებით. სამწუხაროდ, ამ ყველაფერს აქამდე ვერ ვაცნობიერებდი.

ამიერიდან კი ჩემი რეპი ჯანმრთელი ცხოვრებისკენ იქნება მიმართული, მსმენელს გააანალიზებინებს, თუ როგორ უნდა იცხოვროს ნებისმიერმა ჩვენგანმა, რომ გადარჩეს, როგორ მიაღწიოს წარმატებას, როგორც მატერიალურ, ასევე სულიერ სფეროში და ა.შ.

**— ანუ ეს იქნება რეპი ქადაგების ელემენტებით?**

— ჩემს რეპს მთლიანად რელიგიური დატვირთვა არ ექნება, თუმცა სულიერი ელემენტები გარკვეული დოზით, რა თქმა უნდა, მსმენელს თვალში მოხვდება. რეპის მოყვარული ადამიანების დაინტერესება ბილწსიტყვაობის გარეშეც შეიძლება. მათთვის ლანძღვა-გინების მოსმენა კი არ უნდა იყოს ამოსავალი, არამედ — მართალი სიტყვისა.

**შოუბიზნესშიც, ტაძარშიც და მთავრობაშიც, თუ სულიერ კანონებს არ ემორჩილები, ყველაფერი ფუჭია.**

ჩემმა სიტყვებმა, შესაძლოა, ბევრი ადამიანი არც კი დააფიქროს და თავისი საქმიანობა რეპის მიმართულებით უცვლელად განაგრძოს, მაგრამ ჩემს მუსიკაში და ჩემს რეპში ბევრი რამ შეიცვალა და ჩამოყალიბდა.

**— როგორც ვხვდები, რეპის ახალი მიმდევრობის შექმნა განგიზრახავთ...**

**— რეპის მრავალი მიმდევრობა არსებობს, თუმცა ეს, შესაძლოა, მართლაც ახალი სიტყვა იყოს. რეპის ამოსავალი ნარკოტიკი, კრიმინალი და ა.შ. არ უნდა იყოს.**

**— და როგორ მიიღებენ ამ სკანდალურ სიახლეს ქართველი რეპერები, თუნდაც შენი მსმენელი?**

— ვინ როგორ მიიღებს ჩემს ახალ ჟანრს, ამაზე ნაკლებად ვფიქრობ, რადგან ჩემთვის მთავარია, ის ვაკეთო, რაც ამ გადმოსახედიდან სწორად მიმაჩნია, და არა ის, რაც სხვებისთვისაა მოსაწონი. რამდენად მიმიღებს ჩემი მსმენელი, მისი გადასაწყვეტია.

ის, რომ საქართველოში დიდი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდები, ჩემთვის უცხო არ არის და მზად ვარ, ყველა მხრიდან გადავლახო წინააღმდეგობა, მეტიც — ბრძოლით მოვიპოვო ყველაფერი. ეს უფრო საინტერესოდ მიმაჩნია.

**— როდისთვის ელოდოს ქართველი მსმენელი ამ სიახლეს?**

— 3-4 თვეში ჩემს ახალ ქართულენოვან ალბომზე მუშაობა დასრულდება, მანამ კი რამდენიმე მსგავსი რუსულენოვანი სიმღერა გავაკეთეთ ახალ ჟანრში.

რაც შეეხება საქართველოში ჩემს დაბრუნებას, ეს გარდაუვალია, მაგრამ არ ვიცი, კონკრეტულად როდისთვის მოვახერხებ ამას.

ესაუბრა
**ეკა რობაქიძე**

**ბოლო დროს სხვადასხვა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ პროდასავლურ, პროამერიკულ პოლიტიკას საქართველოში სულ უფრო ცოტა მხარდამჭერი ჰყავს. ნატოს მხარდამჭერთა რაოდენობამ ორი წლის მანძილზე, ოფიციალური მონაცემებითაც კი, მკვეთრად იკლო. სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად, რომელიც ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ადგილობრივმა ფილიალმა ჩაატარა, აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 59% უჭერს მხარს ნატოში შესვლას. ამასთან, გამოკითხულთა მხოლოდ 25%-ია ალიანსში გაწევრიანების მომხრე, ხოლო 34% ამას მხოლოდ ნაწილობრივ უჭერს მხარს. შეგახსენებთ, რომ 2008 წელს ჩატარებული ანალოგიური კვლევის შედეგად გამოკითხულთა 77% მხარს უჭერდა ნატოში გაწევრიანებას. თუ რამ განაპირობა პროამერიკული განწყობილების კლება საქართველოში, ამასთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიომ“ მცირე გამოკითხვის ჩატარება გადაწყვიტა და რესპონდენტებს ასეთი კითხვით მიმართა:**
**რით აიხსნება ის, რომ პროდასავლური კურსის მიმართ ერი უარყოფითად განეწყო?**

## ვიქტორ ცაავა: ვაშინგტონის პოლიტიკამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ანტიამერიკული განწყობა მკვეთრად გაიზარდა



**პაატა ზაქარეიშვილი, რესპუბლიკური პარტიის წევრი:**

— სააკაშვილმა, რომელიც პროამერიკულ ძალად ითვლებოდა, მოახერხა დემოკრატიული ინსტიტუტების ლიკვიდაცია. მას მხარს უჭერდა ბუშის ადმინისტრაციაც. საზოგადოებამაც „მიაბარა“ დემოკრატიული ინსტიტუტები სააკაშვილს, ჩათვალა, რომ რასაც სააკაშვილი აკეთებს, ანუ ავანტიურიზმი, უტიფრობა, არის დემოკრატია! ბუნებრივია, რომ ამის შემდეგ საზოგადოებამ გული აიყარა დემოკრატიაზე და, შესაბამისად, ამან ამერიკის გავლენაზეც იმოქმედა. მართალი გითხრათ, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, როგორი დამოკიდებულება გვექნება ამერიკის მიმართ. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი დემოკრატიის მიმართ საქართველოს განწყობაა. რაც შეეხება ნატოში შესვლას, საზოგადოებამ თავიდანვე ჩათვალა, რომ ეს სააკაშვილს სჭირდებოდა და არა — ქვეყანას. იმდენი ტყუილი ილაპარაკა სააკაშვილმა ნატოში შესვლაზე, რომ ხალხმა ეს ყველაფერი დაინახა და, შესაბამისად, უარყოფითი დამოკიდებულებაც გაიზარდა. სიღარიბე, კორუფცია, ქართველი ხალხის უმრავლესობის ცხოვრების გაუსაძლისი ყოფა, თვლიან, რომ სააკაშვილის დამსახურებაა. შესაბამისად, რასაც სააკაშვილი ამის შემდეგ მოინდომებს, ნატოში შესვლა იქნება ეს თუ რომელიმე საგარეო პოლიტიკური კურსი, ყოველთვის გაჩნდება წინააღმდეგობა.

**ვიქტორ ცაავა, პოლიტოლოგი:**

— თვითონ ამერიკის პოლიტიკამ მიიყვანა სიტუაცია იქამდე, რომ მის მიმართ დადებითმა განწყობამ საქართველოში იკლო. ბუნებრივია, პარალელურად იკლო დადებითმა განწყობამ საქართველოს ნატოში შესვლის მსურველთა შორისაც. თავიდან იყო პირველი ეიფორია, რაზეც ქართველები წამოეგნენ, მაგრამ არა მგონია, ნატოში ოდესმე მიგვიღონ, ნატოს მნიშვნელობა ცოტა ეფემერულია..

**ნიკო ლეკიშვილი, თბილისის ყოფილი მერი:**

— პროამერიკული განწყობილების კლება, ალბათ, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა განაპირობა. ამის პარალელურად შემცირდა ნატოში შესვლის მსურველთა რაოდენობაც, რაც, ჩემი აზრით, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტმა განაპირობა.

**მანანა ნაჭყებია, „ახალი მემარჯვენეების“ წევრი:**

— ზოგადად, დასავლური კურსის მხარდამჭერთა კლება გამოწვეული იყო ორი მიზეზით — პირველი იყო ის, რომ საქართველომ ასე თუ ისე მარცხი განიცადა და, მიუხედავად ხელისუფლების პროპაგანდისა, საზოგადოებამ კარგად გააცნობიერა და მიხვდა, რომ ამერიკამ და ნატომ ჩვენი ინტერესები ვერ დაიცვეს. მეორე მომენტი, რის გამოც იყო შემცირებული ამერიკის მიმართ ნდობა, ეს იყო ის, რომ ხელისუფლება პროდასავლურ ხელისუფლებად აღიქმებოდა და აღმოჩნდა, რომ, დემოკრატიულობის თვალსაზრისით, მან ვერ უზრუნველყო ის დონე, რომელსაც ხალხი ელოდა. აქედან გამომდინარე, ხალხმა ჩათვალა, რომ ეს ყოფილა დემოკრატია ამერიკულად. ამანაც გამოიწვია პროამერიკული განწყობილების კლება.

მოამზადა
**ლილი მიროტაძე**

საქართველო და მსოფლიო
ნაც-რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**თემურ ქორიძე:**
**ახალგაზრდობა საკუთარ ეროვნულ ფუძეს რომ ადვილად მოსწყვიტონ, საკმაოდ ეფექტური გეგმა შეიმუშავეს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური სახელმწიფო ენად გამოცხადებული არ არის, ხელისუფლება ისეთ პოლიტიკას ახორციელებს, რომ ქართველს ქართულად საუბარი მალე მოენატრება და 5-6 წელიწადში ამ კატასტროფული შედეგების მომსწრენი გავხდებით, თუკი მანამ რამე არ შეიცვალა.**

# «დედა ენას» სააკაშვილისგან იუნესკო იცავს

**სააკაშვილმა, იაკობ გოგებაშვილზე შურიძიების მიზნით, გოგებაშვილის „დედა ენა" აითვალწუნა, თუმცა მისგან მოძულებულ „დედა ენას" იუნესკო ექომაგება და მას არამატერიალურ ქართულ კულტურულ ძეგლად აღიარებს. სააკაშვილის აგრესიის მიზეზი გოგებაშვილის მიერ ერთ-ერთ ისტორიულ მოთხრობაში სომეხი მღვდლის — სააკაშვილის გმირობის აღწერა გახდა. გოგებაშვილის „დედა ენის" კულტურულ მემკვიდრეობად აღიარების შესახებ დეკლარაციას ხელი მოაწერეს ორგანიზაციამ „მე — უნივერსიტეტელი" და საზოგადოებრივმა მოძრაობამ „დაიცავი საქართველო". ხელმოწერები, ასევე, საქართველოს სხვა უნივერსიტეტებშიც მიმდინარეობს.**

## საქართველოს პრეზიდენტმა იაკობ გოგებაშვილი «გმირი სომეხი მღვდლის, სააკაშვილის გამო» აითვალწუნა






**„თათრების ჯარის შემოსევაზე გორში სრულიად არაფერი იცოდნენ, ისე მოულოდნელი იყო ყველასათვის ეს შემოსევა. ამიტომ გორიდან არხეინად მოდიოდა ცხენით სომხის მღვდელი სააკაშვილი სოფელ დოესში, სადაც ქართველებთან ერთად სომხებიც ცხოვრობდნენ და მიწერილნი იყვნენ გორის მრევლზე. როცა სააკაშვილი ავიდა ზედაველის მაღლობს, მინდორზე, საშინელი სანახავი გადაეშალა თვალწინ: თითქმის მთელი ვეებერთელა ვაკე მთებსა და მტკვარს შუა მჭიდროდ იყო დაჭერილი თათრის ჯარითა. ელდანაცემმა მღვდელმა ფიცხლავ ცხენი უკან გამოაბრუნა, ჰკრა დეზი და გააჭენა უკან, გორისაკენ. მიიჭრა ხიდთან, სწრაფად გადმოხტა ცხენიდან და დაიძახა: „არიქა, მიშველეთ, ხიდი ჩავშალოთ, აგერ მტრის ჯარი მოდისო", და თანაც ხელი მიჰყო ხიდის ჩაფუშვასა. ბედადა, იქვე შეესწრნენ ხიდისთაველი გლეხები. ესენიც მისცვივდნენ ხიდსა და დაუწყეს საჩქაროდ ჩაშლა. როცა პატარა ხანს უკან თათრები ხიდს მოუახლოვდნენ, ხიდი ჩაფუშული დახვდათ და ძლიერ ცუდს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. უხიდოდ გორში გასვლა შეუძლებელი იყო, რადგან მტკვარი ადიდებული მოდიოდა. იქითა ნაპირას საჩქაროდ გროვდებოდა ქართველი გორელი ჯარი, რომელნიც ნებას არ მისცემდა თათრებს ახალი ხიდი გაეკეთებინათ და ისე გასულიყვნენ. უკან, თბილისისაკენ, ვერ დაბრუნდებოდნენ, რადგანაც ზურგთ უკან მათ ედგათ გიორგი სააკაძე თავის ჯარითა და საქმეს უჭირებდა. რა უნდა ექნათ? მეტი ღონე არ იყო, საქართველოს დაპყრობაზე ხელი უნდა აეღოთ და თავი როგორმე დაეხწნიათ. გადაწყვიტეს, ევლოთ დასავლეთისაკენ, ზემო ქართლის სოფლები დაერბიათ, დავლა ბევრი ეშოვნათ და შემდეგ ბორჯომის ხეობით, რომელზედაც მიდიოდა ახალციხის გზა, სათათრეთში დაბრუნებულიყვნენ. მაგრამ ისინი სააკაძესა და ქართველებს არ იცნობდნენ ჯერ კარგადა".**

ასე აღწერა გოგებაშვილმა სომეხი მღვდლის — სააკაშვილის გმირობა და უნებურად თავი შეაძულა საქართველოს მოქმედ პრეზიდენტს. იმაზე, თუ რატომ არის დედაენის როლი ესოდენ დაკნინებული და რატომ ხდება ამ უნიკალური სახელმძღვანელოს მიზანმიმართული ამოძირკვე ქართველთა ცნობიერებიდან, „საქართველო და მსოფლიოს" საზოგადოების წარმომადგენლები ესაუბრნენ.

**მარიამ ცაცანაშვილი, ორგანიზაციის „მე — უნივერსიტეტელი" თავმჯდომარე:**

— იმ ფაქტზე, რომ სააკაშვილმა გოგებაშვილი მის ნაწარმოებში მოხსენიებული სომეხი მღვდლის გამო აითვალწუნა, ხუმრობაც კი დადის. გოგებაშვილის „დედა ენა" საქართველოს შემკვრელი წიგნი აღმოჩნდა. მან თავის დროზე მთელი ამერ-იმერი გააერთიანა. მას შემდეგ კი, რაც მისი სასწავლო პროგრამიდან ამოვარდნა დაიწყო, „დედა ენამ" აღმზრდელობითი ფუნქცია დაკარგა. იუნესკოს მონაცემებით, „დედა ენა" საფრთხის წინაშეა. მართალია, ქართულ ენას გაქრობის საფრთხე ჯერჯერობით არ ემუქრება, მაგრამ, როცა ენა ტრადიციებს შორდება და უცხოურ გამოთქმებს ითავისებს, საკონტაქტო ენად არ შეიძლება ჩაითვალოს მისსავე ტერიტორიაზე. სწორედ ამიტომ იუნესკომ 2003 წელს კონვენცია მიიღო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ.

**თუკი 1978 წელს ქართული ენის კონსტიტუციიდან ამოღების საფრთხე არსებობდა, დღეს უარეს ფაქტთან გვაქვს საქმე — ენა კონსტიტუციაშია და ისე იდევნება. უარყოფილია „დედა ენის" სწავლების მეთოდი, მაშინ, როცა „აი იას" პრინციპმა 1960 წელს ქალაქ კარაკასში აღიარება მიიღო, როგორც ერთ-ერთმა საუკეთესო მოდელმა.**

რაც შეეხება ახალ საანბანე წიგნებს, ისინი უცხო ენის სწავლების მეთოდზეა გათვალისწინებული და ძალადობის ფაქტებს შეიცავს. მათი შინაარსი ქართულ მენტალიტეტს არ მიესადაგება. ეს ფსიქოლოგებმა, ლინგვისტებმა და ენათმეცნიერებმა დაასკვნეს. სწორედ ამ დასკვნის შემდეგ მიმართეს განათლების სამინისტროს, რომ „დედა ენა" სკოლებში დაბრუნებულიყო როგორც სახელმძღვანელო და როგორც სწავლების მეთოდი. დღეს გავრცელებულ საანბანე წიგნებში ხან ასოა გამოტოვებული, ხან 12-ის ნაცვლად 32 წერია და ა.შ.

**„რწყილი და ჭიანჭველაც" კი საპირისპირო მენტალობით ისწავლება, თუკი ორიგინალი ნაწარმოები ბავშვებს მეგობრობასა და გაჭირვებულის გვერდში დგომას ასწავლის, გადაკეთებული ნაწარმოები სრულიად საპირისპიროს უნერგავს მათ. მაგალითად, ორმოში ჩავარდნილი ადამიანისა და გამვლელის დიალოგი ასეთია: გცივა? — მცივა. გეშინია? — მეშინია. ხელი გაქვს? — მაქვს. თვალი გაქვს? — მაქვს. მაშინ შენ თვითონ ამოდიო. ფაქტია, მოზარდებს განსაცდელში მყოფი ადამიანის მიტოვებას უნერგავენ. ძალადობის შემცველ ნაწარმოებებში,** მაგალითად, აღწერილია, ბავშვებმა როგორ დალიეს ლიმონათი დაუკითხავად, როგორ ჩაასხეს მასში წყალი, როგორ გაურიეს წიწაკა და დაალევინეს მამას, რომლის რეაქციაზეც ისინი ხალისობენ.

ფსიქოლოგების შეფასებით, ზემოხსენებული ნაწარმოებები ბავშვებზე უარყოფით ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენს და მათ მცდარ არატრადიციულ მენტალობას უყალიბებს. მაშინ, როცა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა" მოზარდს ცნობიერებასა და მსოფლმხედველობას ქართულ ტრადიციებზე, ქართულ მენტალიტეტსა და ღირებულებებზე დაყრდნობით უვითარებს.

ამიტომაც არ აწყობს ხელისუფლებას „დედა ენის", როგორც სწავლების მეთოდის, სკოლებში დაბრუნება. 3-4 წლის წინათ იყო პრეცედენტი, როცა ჩვენ, „იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებამ" მიმართვა გავგზავნეთ კულტურის სამინისტროში, თუმცა სამინისტრომ წერილი არ განიხილა, პროცედურული მიზეზების გამო. **მიუხედავად იმისა, რომ კულტურის სამინისტროს კანონი სპეციალური საბჭოს შექმნას ავალდებულებს, რომელმაც აღნიშნული საკითხი უნდა განიხილოს, საბჭო რეალურად შექმნილი არაა. ასევე, შედგენილი არ აქვთ კანონით გათვალისწინებული რეესტრი. არადა, ამ კანონების განხორციელება ჯერ კიდევ 2007 წელს ევალებოდათ.** ამ მიზეზების გამო, ჩვენი მიმართვის ხელახალი შეტანაა აუცილებელი. იმედია, ამჯერადაც არ დაგვაბრკოლებენ, თორემ ეს უკვე იუნესკოს ეცნობება და საქართველოს იმიჯზე ცუდად იმოქმედებს.

**დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:**

— ყველა ნორმალური ადამიანი იამაყებდა იმ ფაქტით, რომ მას ასეთი წინაპარი ჰყავს, მაგრამ **სააკაშვილი სომხური წარმომავლობით იმდენადაა დაკომპლექსებული, რომ სომეხი გმირის ნათესაობა მისთვის მტკივნეული ფაქტია. სწორედ ესაა გოგებაშვილის შემოქმედებისადმი აგრესიული განწყობის უმთავრესი მოტივი.**

დიმიტრი აბაშიძეს, რომლის განცხადებითაც საქართველოში ქართული ენა კანონით უნდა აკრძალულიყო, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კირიონმა „რძენაწყენი რენეგატი" უწოდა. მეც მის სიტყვებს დავესესხები და სააკაშვილს ამავე სახელს ვუწოდებ.

**თემურ ქორიძე, ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის" რედაქტორი:**

— არ გამოვრიცხავ იმ მოსაზრებას, რომ სააკაშვილი იაკობ გოგებაშვილზე შურს იძიებს, მისი ერთ-ერთი ნაწარმოების გამო, რომელშიც მწერალი სომეხ მღვდელ სააკაშვილს ახსენებს. ქვეცნობიერად გოგებაშვილის ეს ნაწარმოები ჩვენს პრეზიდენტზე ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს.

**ყველაზე ცუდ სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ დამოუკიდებელ საქართველოში ქართული ენა დევნილ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.**

სულ ახლახან პროფესორმა გრივერ ფარულავამ ქართული ენის მდგომარეობა ასე შეაფასა: **„ქართული ენა დღეს ბედის ანაბარა ქუჩაში გაგდებულ ბავშვს ჰგავს, ჩაუცმელ-დაუხურავს, მოსვრილს, დაუპურებელს, ერთი სიტყვით — უპატრონოს".**

ყოველივე ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის შედეგია. ენას ყველა ის პრინციპი მოუშალეს, რაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩამოუყალიბებია. იოანე ზოსიმე, გრიგოლ ხანძთელი, ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის უმთავრესი ელემენტი ქართული ენააო, მაგრამ ისევე, როგორც ჩვენს რელიგიას, ქართულ ენასაც შავი დღე დააყარეს.

**იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის" შერყვნა ყოვლად უპატიებელი მკრეხელობაა. იგი მხოლოდ ანბანის სწავლის საშუალება კი არა, ეროვნული ცნობიერების დასაწყისის გაღვიძებაა მოზარდში. შემთხვევითი არ არის, რომ გოგებაშვილის ღვთაებრივი „აი ია" ორივე მხრიდან იკითხება — ქართულ მიწასთან და ხასიათთან პირველ კონტაქტად ითვლება.**

დედაენის მოდიფიკაციისა და მოდერნიზაციის ყოველი მცდელობა კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების დენაციონალიზებულობას. მათ არც ეროვნული მუხტი გააჩნიათ და არც ეროვნული ცნობიერება. ამიტომაც ებრძვიან ასეთი მონდომებით ჭეშმარიტ ეროვნულ ფასეულობებს. **ახალგაზრდობა საკუთარ ეროვნულ ფუძეს რომ ადვილად მოსწყვიტონ, საკმაოდ ეფექტური გეგმა შეიმუშავეს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური სახელმწიფო ენად გამოცხადებული არ არის, ხელისუფლება ისეთ პოლიტიკას ახორციელებს, რომ ქართველს ქართულად საუბარი მალე მოენატრება და 5-6 წელიწადში ამ კატასტროფული შედეგების მომსწრენი გავხდებით, თუკი მანამ რამე არ შეიცვალა.**

ვერც ერთმა გადამთიელმა მტერმა ვერ განაცდევინა ქართულ ენას ისეთი დანაკლისი, ვერც ერთმა გადამთიელმა ტომმა ვერ შეურაცხყო ქართული ენა ისე, როგორც საქართველოს ხელისუფლებამ.

მოამზადა
**ეკა რობაქიძემ**



## შალვა რამიშვილი — ყველაზე კრეატიული ტელევიზიონშჩიკი

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

### შალვა რამიშვილი:

# «რუსთავი 2» იდეოლოგიური სპეცსამსახურის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე ტელევიზიის

**ქართული სატელევიზიო სივრცე ნოვატორული გადაცემებით არ გამოირჩევა. როგორც წესი, ტელევიზიები, ძირითადად, გადმოქართულებულ, უცხოურ გადაცემებს გვთავაზობენ. ცოტა ხნის წინათ კი ქართველმა მაყურებელმა ტელეკომპანია „მაესტროს" ეთერით ახალი ქართული პროგრამა — „აკრედიტაციის გარეშე" (რეალური შოუს ელემენტებით) იხილა. რა არის გადაცემის მიზანი, — საზოგადოების „სარკეში ჩახედების" მცდელობა თუ, უბრალოდ, იუმორისტული გადაცემა? ამის თაობაზე მისი ავტორი და წამყვანი, ჟურნალისტი შალვა რამიშვილი გვესაუბრება.**

**— რა მიზანი აქვს სატელევიზიო პროგრამა „აკრედიტაციის გარეშე" და თქვენი აზრით, რატომ უნდა უყუროს მას ხალხმა?**

— საქართველოში არსებულ თითქმის ყველა ტელეკომპანიას ხელისუფლება აკონტროლებს და ყველა მათგანი პროპაგანდის (და არა ინფორმაციის მიწოდების) საშუალებაა, რაც, წესით, მედიის მთავარი დანიშნულება უნდა იყოს. შესაბამისად, ხალხს ცალმხრივად მიეწოდება ინფორმაცია. **ჩემი გადაცემის მიზანია, ჩემთვის საინტერესო ადამიანებთან და ორგანიზაციებთან მისვლა და „რეალითი შოუს" ფორმატში იმ საკითხების დასმა, რომლებიც ჩემი, როგორც გადაცემის ავტორის, აზრით, საზოგადოებას აინტერესებს.**

იცით, რომ ჩვენს ტელევიზიებში დისკუსიებისა და დებატების პრობლემაა. ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი არ დადის „მაესტროსა" და „კავკასიაში" დებატებზე, ხოლო ე.წ. ნაციონალურ მაუწყებლებზე დებატები არ არის. ასევე, ცნობილია, რომ საჯარო ინფორმაციის მოპოვება დიდ პრობლემას წარმოადგენს, არ ვიცით, რა ხდება სახელმწიფო უწყებებში. ხალხი კი დაშინებულია, რისი მიზეზიც, ერთის მხრივ, ხელისუფლების რეპრესიებია; მეორე მხრივ კი, — ის უიმედობა, რომელიც ოპოზიციის უშედეგო საქმიანობამ გამოიწვია.

ამ ყველაფრის ფონზე, ჩემი აზრით, საინტერესო იქნებოდა თამამი, **ექსტრემალური ჟურნალისტიკის** ფორმატით მომზადებული გადაცემა. დაგეთანხმებით, რომ ეს გადაცემა არის სარკე, იმიტომ, რომ **მე არაფერს არ ვდგამ ხელოვნურად, მივდივარ ადამიანებთან და ვაჩვენებ იმ რეალობას, რაც ხდება. ვაჩვენებ, თუ როგორ იქცევიან ადამიანები, როდესაც მათ, ერთი შეხედვით მოწესრიგებულ, ყოფაში უჩვეულო რამ იჭრება, და მე მაქვს პრეტენზია, მათი ნამდვილი სახე ვაჩვენო.**

**— სახელისუფლო არხები ახსენეთ, მაგრამ ტელეკომპანია „მაესტროსაც" ადანაშაულებენ, რომ ის ოპოზიციური არხია. ეს ხელს არ შეგიშლით ობიექტურობის შენარჩუნებაში?**

— ტელეკომპანია „მაესტროს" წილის 50 პროცენტს ფლობს გიორგი გაჩეჩილაძე, დანარჩენი ეკუთვნით სტუდია „მაესტროს" დამფუძნებლებს. „მაესტროს" მართავს კომპანია, რომლის დამფუძნებელიც არის ეროსი კიწმარიშვილი. რა თქმა უნდა, **საფუძვლიანია ეჭვი, რომ „მაესტრომ" შეიძლება გაატაროს „ქართული პარტიის" კურსი და იყოს მისი პროპაგანდის მანქანა, მაგრამ ერთია ეჭვი და მეორეა ამის დასაბუთება.** როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ „იმედსა" და „რუსთავი 2"-ზე, რომელთა მფლობელების ვინაობაც კი უცნობია ჩვენთვის და გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მისი მფლობელები არიან მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენლები და საკონტროლო პაკეტს პირადად სააკაშილიც ფლობს, როდესაც ვამბობთ, რომ ეს ტელევიზიები პროპაგანდისტული იარაღია ხელისუფლების ხელში, მე შემიძლია ეს ყველაფერი დავასაბუთო კიდეც, თუნდაც საინფორმაციო გამოშვების მაგალითზე. ბევრი მოვლენა არ შუქდება, მაგალითად, ვეტერანების დარბევა არ გაშუქდა. ეს ყველაფერი კი მაფიქრებინებს, რომ **ტელეკომპანია „იმედი", „რუსთავი 2" და საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელისუფლების ხელში პროპაგანდისტულ იარაღს წარმოადგენს** და, როცა იმავე ბრალდებას მიყენებენ მე ან „მაესტროს" ნებისმიერ თანამშრომელს, მათ უნდა მოიტანონ კონკრეტული მაგალითები და დაგვიდასტურონ არგუმენტებით, კონკრეტულად რომელ გადაცემაში და სიუჟეტში ვიმუშავეთ „ქართული პარტიის" სასარგებლოდ. თუ ვინმე დაგვიმტკიცებს, ბოდიშსაც მოვიხდი, ამ საკითხზე მხოლოდ საუბარი არასერიოზულია.

## «ლევან გაჩეჩილაძე ძალიან გულუბრყვილო ადამიანია და პოლიტიკაში მისი მთავარი ნაკლი არაპროფესიონალიზმია»



**— თუმცა ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ტელეკომპანია „იმედში" რომ დაიწყეთ მუშაობა, ალბათ, იცოდით, რომ სახელისუფლო ტელევიზია იყო...**

— კი, „იმედში" მუშაობის დაწყება ჩემი შეცდომა იყო, რის გამოც დღემდე ბოდიშს ვიხდი.

**— როდესაც „ნაციონალებს" მათი ბელადის ნაკლოვანებებზე ეკითხებოდით, თავად თუ შეგიძლიათ, მსგავსი რამ საკუთარ ხელმძღვანელებზე, მაგალითად, ეროსი კიწმარიშვილზე თქვათ?**

— ეროსი კიწმარიშვილის მთავარი პრობლემა და შეცდომა ის იყო, რომ მან 7 ნოემბრის შემდეგ მხარი ისევ სააკაშვილს დაუჭირა და მისი პიარ-კამპანიის ერთ-ერთი წარმმართველი იყო. შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის მისი საზარელი შეცდომა.

**— მაგრამ თქვენც გადანაშაულებენ, რომ ერთ დროს სააკაშვილის აქტიური მხარდამჭრი იყავით...**

— ეს სრულიად განსხვავებული რამაა. 7 ნოემბრის მერე სააკაშვილის მხარდაჭერა სერიოზული შეცდომაა.

**— რას იტყვით ლევან გაჩეჩილაძესა და ირაკლი ოქრუაშვილზე, რომელთა სახელებიც ასევე ტელეკომპანია „მაესტროს" უკავშირდება?**

— **ლევან გაჩეჩილაძე არის ძალიან გულუბრყვილო ადამიანი და პოლიტიკაში მისი მთავარი ნაკლი არაპროფესიონალიზმია. ოქრუაშვილის მთავარი ნაკლი კი მისი ქართლური, ხისტი ხასიათია.**

**— როდესაც ბიზნესკომპანიებს ესტუმრეთ და მათ საკმაოდ სარფიანი წინადადება შესთავაზეთ, ტელეკომპანია „მაესტროში" უფასო სარეკლამო ასი წუთის სახით, რატომ აღმოჩნდა ასეთი მიმზიდველი წინადადება მათთვის მიუღებელი?**

— ჩემი აზრით, ხელისუფლების მხრიდან არსებობს ზოგადი აკრძალვა — ოპოზიციურ არხზე, „მაესტროზე" არ მიიტანონ რეკლამა და უარიც ამიტომ თქვეს. „ლატარიის კომპანიიდან" და „ლუკოილიდან" არც შემხვდნენ.

**— როდესაც ქართველი პოლიტიკოსების ხელგაშლილობას ამოწმებდით, ვინ დაიმსახურა ყველაზე მეტი სიმპათია? როგორც აღნიშნეთ, ეს გადაცემაც თუ ერთგვარი ტესტია ადამიანებისთვის, ხვალ რომ არჩევნები ტარდებოდეს, ვის მისცემდით ხმას ამ გადაცემის შემდეგ?**

— მე, პირადად ამ გადაცემის გამო არავის არ მივცემდი ხმას, თუმცა ძალიან მომეწონა ლეიბორისტების ლიდერის, შალვა ნათელაშვილისა და მისი პარტიელების საქციელი. მათ ჩემი და არამარტო ჩემი სიმპათია დაიმსახურეს. მომენტალურად, უშურველად მოგვცეს, რაც ჰქონდათ.

## «ეროსი კიწმარიშვილმა 7 ნოემბრის შემდეგ მხარი ისევ სააკაშვილს დაუჭირა და მისი პიარკამპანიის მთავარი წარმმართველი იყო. ეს არის მისი საზარელი შეცდომა»

**— თუმცა, იმავე გადაცემის შემდეგ, სოციალურ ქსელ Facebook-ზე აკრიტიკებდით დავით უსუფაშვილს.**

— არ მომეწონა მისი საქციელი, უსუფაშვილი პარტოგრადივით მოიქცა. მე მათ პარტიის ფულს კი არა, საკუთარს ვთხოვდი ადამიანების დასახმარებლად.

**— ასევე გააკრიტიკეთ „ქრისტიან-დემოკრატებიც", რომლებიც დაეხმარნენ ამ ადამიანებს.**

— გავაკრიტიკე იმიტომ, რომ **„ქრისტიან-დემოკრატებმა" მოიწვიეს ტელეკომპანია „რუსთავი 2", ავიდნენ კამერებით, აიტანეს ბანანი და „პამპერსი" და შემდეგ სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტში ქილიკობდნენ, შალვას გადაცემა ჩავუგდეთო.** თუ ქრისტიან-დემოკრატები ქველმოქმედებას იმიტომ სჩადიან, რომ მე გადაცემა ჩამიგდონ, მგონი, არაა მოსაწონი საქციელი.

**— როდესაც ტელეკომპანიებს სტუმრობდი, რატომ შეგხვდნენ „რუსთავი 2"-ის იუმორისტები ცივად, ოდესღაც ხომ მეგობრობდით?**

— დაძაბულები იყვნენ, ეგონათ, მახეს ვუგებდი. „რუსთავი 2"-მა იდეოლოგიური სპეცსამსახურის შთაბეჭდილება უფრო დატოვა, ვიდრე ტელევიზიის. არადა, არანაირი პროვოკაცია იქ არ იყო, უბრალოდ, ვთხოვდი, გადაცემაში მიმიწვიეთ-მეთქი.

**— როდესაც პოლიციის შენობაში მიხვედით, წინასწარ ხომ იცოდით, რომ არ შეგიშვებდნენ და არც კომენტარს გააკეთებდნენ; უკვე 7 წელია, სამართალდამცველები ჟურნალისტებს აღარ სწყალობენ, რა იყო მისვლის მიზანი?**

— ხომ არის გამჭვირვალე შენობა და დავაკვირდი, რამდენად გამჭვირვალე იყო სინამდვილეში. სახალისო გადაცემა გამოვიდა. გამოვიდნენ პოლიციელები და რაღაცებს მეკითხებოდნენ.

**— პირველივე გადაცემა „სახალხო კრებას" და „შეფიცულებს" ეძღვნებოდა. ბევრმა ეს გაჩეჩილაძის მიერ ბურჯანაძის წინააღმდეგ მიმართულ შურისძიებად ჩათვალა.**

— არა, არც მიფიქრია. შემდეგმა გადაცემებმა დაამტკიცა, რომ ყველას ერთნაირად ვექცევი.

**— ცნობილი ფაქტის შემდეგ, როდესაც დაგაკავეს, ხშირად ხუმრობთ ხოლმე, რომ მექრთამე კი არა, გამომძალველი ვაროო. რა უპირატესობა გააჩნია გამომძალველს?**

— მე არც გამომძალველი ვარ. ან მექრთამე როგორ ვიქნებოდი, როცა სახელმწიფო სამსახურში არასდროს მიმუშავია და არც ვიმუშავებ. სახელმწიფო მოხელე არ ვარ და არც არასდროს ვიქნები.

**— გადაცემა იწყება საკმაოდ ორიგინალურად — გიჭერენ. მართლა გეშინიათ, რომ ისევ დაგიჭერენ?**

— კი, არსებობს ეს შიში საქართველოში და იგი მეც მაწუხებს, მაგრამ „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?!".

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**ალექსანდრე ჭაჭია:**

**„ჩვენი მიზანია, საზოგადოებასთან ერთად ჩამოვაყალიბოთ ის მოთხოვნები, რომლებიც რეგიონის განვითარებისთვისაა საჭირო და ყოველნაირი ხერხით უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება, იფიქროს ჩვენს რეგიონზე. ამჟამად სამეგრელოს მოსახლეობა მხოლოდ საარჩევნო ყუთის ფუნქციას ასრულებს“**

# ზუგდიდში სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» ოფისი გაიხსნა

**სამეგრელოში, ზუგდიდში, სამთავრობო თუ არასამთავრობო, საერთაშორისო, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები მრავლადაა, მაგრამ მნიშვნელობითა და დანიშნულებით ვერც ერთი ახლოსაც ვერ მივა სახალხო მოძრაობა „სამეგრელოსთან“, რომელიც 1999 წლის მარტში ქალაქ ფოთში დაარსდა ჭეშმარიტი მამულიშვილის — ალექსანდრე ჭაჭიას თავკაცობით. ამ მოძრაობის შექმნას დიდი აყიოტაჟი მოჰყვა და კუთხურ-სეპარატისტულ პარტიად მოინათლა. სწორედ ამიტომ მაშინდელმა ხელისუფლებამ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ დაუპირისპირა „მოქალაქეთა კავშირის“ მაშინდელი ერთ-ერთი ლიდერის — ბეჟან გუნავას ინიციატივით დაარსებული „სამეგრელო — ერთიანი საქართველოსთვის“, აგრეთვე, შევარდნაძის დავალებით ბაკურ გულუას მიერ შექმნილი „კოლხეთი“. მაგრამ ეს მოძრაობები შარშანდელი თოვლივით გაქრა, ხოლო ჭაჭიასეულმა სახალხო მოძრაობა ,,სამეგრელომ“ მრავალ ქარტეხილს გაუძლო და დღესაც უშიშრად იბრძვის თავისი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად – საქართველოს სულიერი და ტერიტორიული გამთლიანებისათვის.**





**ზურაბ კვარაცხელია: სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ უმთავრესი მიზანია ქართულ-აფხაზური პრობლემის მოგვარება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ერისთვის და განსაკუთრებით — ჩვენი რეგიონისთვის**

**„არაფერი კეთდება სამეგრელოს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის განსამტკიცებლად, — გვატყუებდა ედუარდ შევარდნაძე, გვატყუებს მიხეილ სააკაშვილი. არადა, აფხაზეთის გარეშე საქართველო საქართველოდ არ შეიძლება იწოდებოდეს. ჩვენი მიზანია, საზოგადოებასთან ერთად ჩამოვაყალიბოთ ის მოთხოვნები, რომლებიც რეგიონის განვითარებისთვისაა საჭირო და ყოველნაირი ხერხით უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება, იფიქროს ჩვენს რეგიონზე. ამჟამად სამეგრელოს მოსახლეობა მხოლოდ საარჩევნო ყუთის ფუნქციას ასრულებს“,** — განაცხადა ალექსანდრე ჭაჭიამ 2005 წლის ნოემბერში ზუგდიდში სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ IV ყრილობაზე.

**ამ დღეებში ზუგდიდში, რუსთაველის ქ. № 68-ში გაიხსნა სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ კეთილმოწყობილი ოფისი, რასაც დიდი სიხარულით შეხვდნენ ზუგდიდელები და ზუგდიდში განთავსებული დევნილები.** მკითხველს ვთავაზობთ მათ მოსაზრებებსა და შეხედულებებს:

**ზურაბ კვარაცხელია, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ოფისის ხელმძღვანელი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი, 1992-93 წწ. საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის გამგეობის წევრი:**

— ჩვენი სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ დაფუძნებიდან 10-12 წლის განმავლობაში ქვეყნის სასიკეთოდ არა თუ შეიცვალა რამე, არამედ პირიქით — უფრო გაუარესდა და ჩვენ მოვალედ ვთვლით თავს, ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, ოდნავ ჩრდილში მოქცეული სახალხო მოძრაობა უფრო გავააქტიუროთ, უფრო მეტი მასშტაბურობა შევძინოთ მას, მოვახდინოთ ეროვნულ-პატრიოტული ძალების კონსოლიდირება და მობილიზება. ამიტომაც დღის წესრიგში დადგა ზუგდიდში ოფისის გახსნის აუცილებლობაც. ჩვენი მოძრაობის ლიდერმა ალექსანდრე ჭაჭიამ წლების წინათ შეიმუშავა და საქართველოს საზოგადოებრიობას შესთავაზა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების კონცეფცია, მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი და ქვეყნისთვის საჭირო კონცეფციის იგნორირება. ჩვენი მიზანია ერთიანი, დემოკრატიული, სამართლებრივი, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დაცვა, ყოველგვარი სეპარატისტული გამოვლინებების აღკვეთა. რეგიონების სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროგრამის შემუშავება და რეალიზაცია.

**— ბატონო ზურაბ, თუ ექნება სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ მკაფიოდ გამოხატული პოზიცია?**

— ჩვენს მოძრაობას აქვს და ყოველთვის ექნება თავისი მკაფიოდ გამოხატული პოზიცია ნებისმიერ აქტუალურ საკითხზე. შესაძლებლობის ფარგლებში ეს პოზიცია ყოველთვის იქნება გამოხატული. მითუმეტეს, რომ ამ ბოლო პერიოდში საზოგადოების მხრიდან სახალხო მოძრაობა „სამეგრელოსა“ და მისი ლიდერის, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მიმართ ინტერესი და მოლოდინი განსაკუთრებულად შეიმჩნევა.

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ უმთავრესი მიზანია ქართულ-აფხაზური პრობლემის მოგვარება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ერისთვის და განსაკუთრებით — ჩვენი რეგიონისთვის. ამისათვის კი უნდა იქნეს გამოყენებული სამეგრელოს პოტენციალი. ჩვენ კარგად უნდა გავაცნობიეროთ ის, რომ არსებობს გეოპოლიტიკისა და გეოსტრატეგიის ცნება და ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობის დარეგულირების გარეშე მოგვარდება ეს საკითხი.** მე მრავალჯერ მითქვამს, რომ ჩვენი ერი დაუშვებს დიდ შეცდომას, თუ ამ პრობლემის მოგვარების საქმეში არ გამოიყენებს აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილი კაცის, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას პოტენციალს. ყველას ვთხოვ, ამაზე კარგად დაფიქრდეს. დრო გადის და ეს დრო ჩვენზე ნამდვილად არ მუშაობს. ჩვენ ახლა ვცდილობთ, მოვახდინოთ ამ მოძრაობის რეორგანიზება და გააქტიურება. იმედი გვაქვს, საზოგადოების ღირსეული და პატრიოტულად განწყობილი პიროვნებები აქტიურად ჩაერთვებიან ჩვენი მოძრაობის საქმიანობაში, სწორედ ამის გამო გაიხსნა სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ოფისი ზუგდიდში.



**გურამ შელია: ამ მოძრაობას შეუძლია ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენა**

**აბელ ხვიტია:**

— მივესალმები ოფისის გახსნას, მივესალმები ალექსანდრე ჭაჭიას. ჭკვიან კაცად ვთვლი და მიმაჩნია, ძალიან დროული და საჭირო იყო ოფისის გახსნა.

**ტიტიკო კვარაცხელია:**

— დიდი მადლობა ყველას, ვინც იზრუნა ამ ოფისის გახსნაზე. მე ამ მოძრაობის მხარდამჭერი ვარ და მიმაჩნია, რომ ოფისის გახსნა გაააქტიურებს ამ მოძრაობას. მას შეუძლია უდიდესი როლი შეასრულოს სრულიად საქართველოს, მათ შორის სამეგრელოს, აღორძინებაში.

**ვახტანგ შონია:**

— ალექსანდრე ჭაჭიამ სხვა მეტი არაფერი რომ არ გააკეთოს, ისიც ეყოფა, რომ ზვიად გამსახურდიას ძეგლი დადგა ზუგდიდში. ალექსანდრე ჭაჭიას ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავს და ეს ოფისიც მოგვცემს იმის საშუალებას, იქ შევიკრიბოთ და დავსახოთ ამ პრობლემებიდან თავის დაღწევის გზები.

**რევაზ ფიფია:**

— საქართველოში ამჟამად არსებული ოპოზიციური პარტიები პარტიებად არ მიმაჩნია, იმიტომ, რომ ისეთივე ხედვა აქვთ, როგორიც — ხელისუფლებას: ნატო, ამერიკა, დასავლეთი. სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ და მისი ლიდერი ალექსანდრე ჭაჭია საქართველოს გეოპოლიტიკას ითვალისწინებს — სად ვცხოვრობთ, ვისთან ვმეზობლობთ. ალექსანდრე ჭაჭია არის ყველასგან გამორჩეული პოლიტიკოსი, ამიტომაც მის გვერდით უნდა დადგეს ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილი.

**გენო ბერიშვილი:**

— მე ოჩამჩირიდან ვარ და, როგორ შეიძლება, ამ მოძრაობას მხარი არ დავუჭირო. ბატონი ალექსანდრე ჩემზე უმცროსია და შეიძლება არ მიცნობდეს, მაგრამ მე კარგად ვიცნობ მის ნაწერებს, კარგად ვიცნობდი მის მშობლებს, სულითა და გულით მასთან ვარ და ჩემთან ერთად — აფხაზეთიდან დევნილები.

**როლანდ მაქაცარია:**

— ჩემთვის მისაღებია ის იდეები, რომლისთვისაც სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ იბრძვის. ჯანსაღ ოპოზიციად მიმაჩნია, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონოდა ოფისი.

**გურამ ჭანტურია:**

— მე ყოველთვის მომწონდა ალექსანდრე ჭაჭიას გონება და მსოფლმხედველობა, ნიჭი, განათლება. მისი გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე აუცილებლად წაადგება ჩვენს ქვეყანას. მე ამ ახლადგახსნილ ოფისს ხშირად მოვაკითხავ.

**ზური ცირამუა:**

— ჩემი აზრით, ამ ოფისის გახსნა საუკეთესო საშუალებაა ხალხის ზომბირებული ნაწილის მდგომარეობიდან გამოსაყვანად. წარმატებებს ვუსურვებ ამ მოძრაობას და ალექსანდრე ჭაჭიას. მიგულეთ თქვენს გვერდით.

**გურამ შელია:**

— თუ არსებობდა აჭარაში „აღორძინება“, რატომ არ უნდა არსებობდეს სამეგრელოში ანალოგიური რამ. თუ ვინმეს შეუძლია აფხაზებთან კავშირ-ურთიერთობის დამყარება, პირველ რიგში, მეგრელებსა და სამეგრელოს შეუძლია. ამ მოძრაობას შეუძლია ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენა.

**ჯიმშერ შეროზია:**

— არასდროს ვყოფილვარ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, ისე კი აქტიურად ვიყავი ჩართული ეროვნულ მოძრაობაში. მიმაჩნია, რომ ამჟამად უფრო ეროვნული პიროვნება, ვიდრე ალექსანდრე ჭაჭიაა, საქართველოში არ მეგულება. მე, როგორც სოხუმელ კაცს, მისი დიდი იმედი მაქვს, რადგან მხოლოდ მას შეუძლია აფხაზებისა და აფხაზეთის დაბრუნება. ამიტომაც არა მარტო მე, არამედ ყველა დევნილი მის გვერდით უნდა დადგეს. ველოდებით მასთან შეხვედრას. ოფისის გახსნა მეტად აუცილებელი და საჭირო იყო.

**ძალიან ბევრს სურდა მოსაზრების გამოთქმა და თანადგომის გამოხატვა სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ მიმართ, მაგრამ ყველას სურვილის დაკმაყოფილება შეუძლებელი აღმოჩნდა.**

**ლადო ქირია**
**ზუგდიდი**

ბურჯანაძეს უნიკალური შანსი ჰქონდა, პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებისას, რომელიც არ გამოიყენა. ოქრუაშვილმა სერიოზული ნაბიჯი გადადგა, რითაც სრული პოლიტიკური რეაბილიტაცია მოახდინა, მაგრამ შემდგომ სხვა სცენარით განვითარდა მისი პერსონის ბედი. ლევან გაჩეჩილაძეს შეეძლო გამხდარიყო ეროვნული გმირი, მაგრამ, როგორც ჩანს, ნერვებმა უმტყუნა.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# სასჯელაღსრულების სამინისტროში გამეფებულია რეჟიმი, რომელიც პირდაპირ მიმართულია ადამიანების წამებისკენ

**NDI-ის კვლევები, ელიტური კორუფცია და სახალხო დამცველის უმწვავესი ანგარიში პოლიტიკური განხილვების საფუძველი გახდა. თუ რა მდგომარეობაა საქართველოში ადამიანის უფლებების კუთხით, რატომ ვერ ახერხებს ოპოზიცია რეიტინგის აწევას და მოვლენების როგორ განვითარებას ელოდება დაანონსებული რევოლუციისგან, ამაზე „საქართველო და მსოფლიოს“ პარლამენტის წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე ესაუბრა.**



**«რვიანმა» საზოგადოების წინაშე ვერ მოახდინა საკუთარი შესაძლებლობების დემონტრირება, რაც ერთგვარად პოლიტიკური სიცვედნის მანიშნებელია»**

**— ხმაურიანი განცხადებები მოჰყვა NDI-ის კვლევებს, რომელთა მიხედვითაც ოპოზიციურ პარტიებს დაბალი რეიტინგი აქვს. როგორ შეაფასებთ კვლევის შედეგებს და იმ ფაქტს, რომ ოპოზიცია საზოგადოების ნდობის მოპოვებას ვერ ახერხებს?**

— NDI-ის ბოლო კვლევა გარკვეულ კითხვებს ბადებს. მე მივმართე ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომლებიც დაინტერესებულია რეალური სურათით, შეიქმნას ფონდი, რომლის დახმარებითაც კვლევებს სხვა წამყვან, რესპექტაბელურ ორგანიზაციებს შეუკვეთავს. მხოლოდ NDI და IRI არ ატარებს მსოფლიოში კვლევებს, ასეთი სხვა ორგანიზაციებიც არსებობს, რომლებსაც მსოფლიოში ნდობის მაღალი ხარისხი აქვს.

რაც შეეხება „რვიანის“ დამოკიდებულებას საარჩევნო გარემოს შეცვლისადმი, დღეის მდგომარეობით, მხოლოდ უარყოფითი პროგნოზის გაკეთება შემიძლია. თუ პროცესები მაისამდე გაიწელება (როგორც არის დაანონსებული „რვიანის“ რამდენიმე ლიდერის მიერ), მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზაფხულში, პოლიტიკურად მკვდარ სეზონზე, არაფერიც არ მოხდება; უნდა ვივარაუდოთ, რომ საარჩევნო გარემოს თემაზე მსჯელობა შემოდგომაზე განახლდება. **ვფიქრობ, „რვიანი“ ამ კუთხით პოლიტიკურ ხარაკირს იკეთებს და „მწვანე შუქს“ აძლევს იმ რადიკალურ ძალებს, რომლებიც სრულიად დაუსაბუთებლად აცხადებენ, რომ ქვეყანაში დადგა ცვლილებების დრო და მას ნებისმიერი გზით და საშუალებით მიაღწევენ.**

ვფიქრობ, დღეს ეს უფრო ეხმიანება საზოგადოების დაკვეთას, ვიდრე „რვიანის“ ცაიტნოტში ყოფნა. **„რვიანმა“ საზოგადოების წინაშე ვერ მოახდინა საკუთარი შესაძლებლობების დემონტრირება, რაც ერთგვარად პოლიტიკური სიცვედნის მანიშნებელია.**

**— ოქრუაშვილი გვყავდა ხელისუფლებაში, ბურჯანაძე კი პირველი პირი იყო. რა გარანტიაა, რომ იმავე რეპრესიებს არ გაატარებენ, როგორიც იყო მათი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში. ქვეყანა გაუძლებს კიდევ ერთ რევოლუციასა და ხელისუფლების დამხობას?**

— ბურჯანაძესა და ოქრუაშვილს ნუ განვიხილავთ სახალხო მოძრაობის ლიდერებად. ისინი მხოლოდ თავიანთი პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერები არიან, არც ყოფილან და არც არიან ავტორიტეტული ფიგურები ხალხის მასების თვალში. რაც შეეხება ქვეყანას, ქვეყანა ველარ გაუძლებს ვერც ოფიციალური ხელისუფლების ამ პოლიტიკით მოქმედებას და ვერც ამგვარ ცხოვრებას. ამის ყველა ნიშანი უკვე სახეზეა. ბურჯანაძე და გაჩეჩილაძე კი არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც თავიანთი ვარსკვლავური წამები ჰქონდათ. **ბურჯანაძეს უნიკალური შანსი ჰქონდა, პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებისას, რომელიც არ გამოიყენა. ოქრუაშვილმა სერიოზული ნაბიჯი გადადგა, რითაც სრული პოლიტიკური რეაბილიტაცია მოახდინა, მაგრამ შემდგომ სხვა სცენარით განვითარდა მისი პერსონის ბედი. ლევან გაჩეჩილაძეს შეეძლო გამხდარიყო ეროვნული გმირი, მაგრამ, როგორც ჩანს, ნერვებმა უმტყუნა.** ერთ მდინარეში კი ორჯერ ვერ შეხვალ.

**— არამხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, საქართველოში ადამიანის უფლებების პრობლემა მწვავედ დგას.**

— „ვარდების რევოლუციის“ სახელით ხელისუფლებამ, მსუბუქად რომ ვთქვათ, ძალიან ბევრი გადაცდომა ჩაიდინა. მთავარი უფლება, რასაც კონსტიტუცია იცავს და თვლის, რომ სიცოცხლის უფლება არის ხელშეუხებელი, ირღვევა ყოველდღიურად. სახალხო დამცველის 514-გვერდიანი ანგარიშიდან 147 გვერდი ეთმობა წამების პრევენციის ფორმატში შესრულებულ მონიტორინგის შედეგებს. ყველაზე შემზარავი და საზარელი, რაც ამ მონიტორინგის შედეგიდან ინფორმაციის სახით გვაქვს, არის ის, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში 2010 წლის საანგარიშო პერიოდში გარდაიცვალა 56%-ით მეტი ადამიანი, ვიდრე 2009 წელს. რითაც არ უნდა იყოს ეს ახსნილი, გამართლება ვერ ექნება. **142 გარდაცვლილი ადამიანი გახლავთ მსხვერპლი რეჟიმისა და მეთოდიკისა, რომელიც გამოიყენება რეფორმირებულ სასჯელაღსრულებით სისტემაში. 142 ადამიანიდან ყოველ მესამეს აღენიშნება ფიზიკური ზემოქმედების კვალი, რაც, როგორც სახალხო დამცველს აქვს აღნიშნული, არ არის გამოწვეული რაიმე სამედიცინო მანიპულაციის ჩატარების შედეგად. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროში გამეფებულია რეჟიმი, რომელიც პირდაპირ მიმართულია ადამიანების წამებისკენ.**

წამება მხოლოდ ცემაში არ ვლინდება, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა, რომელსაც სახალხო დამცველი ასევე ეხება, არის იმ შენობების საინჟინრო-ტექნიკური მდგომარეობა, რომლებითაც ხელისუფლება თავს იწონებს. მხოლოდ გარეგნულად ლამაზი შენობის აშენებით საკითხი არ წყდება. ევროპული სტანდარტით, პატიმრის პირადი სივრცის სტანდარტი 4 კვ.მ-ია. ჩვენთან კი პატიმარზე მხოლოდ 2 კვ.მ-ია გათვალისწინებული. შესაბამისად, სიცრუეა, როდესაც ამბობენ, რომ ჩვენ ევროპული სტანდარტის ციხეებს ვაშენებთო.

გარდა ამისა, ვენტილაციისა და თბომომარაგების სისტემაში სერიოზული პრობლემებია. ვენტილაცია აუცილებელიცაა და ამავე დროს — საკმარისი პირობა იმისა, რომ ადამიანი არ დაავადმყოფდეს ბუნებრივ მდგომარეობაში საპატიმროში, სადაც მას დახურულ რეჟიმში უწევს ყოფნა. კანონით, მათ ეკუთვნით მხოლოდ ერთსაათიანი გასეირნება დღის განმავლობაში და ეს ერთსაათიანი გასეირნებაც, ხშირ შემთხვევაში, დაყვანილია 15 წუთამდე ორ დღეში ერთხელ. რაც უნდა ჯანმრთელი ადამიანი შევიდეს სისტემაში, 4-5 წელიწადში ერთსა და იმავე საკანში ორ დღეში ერთხელ 15 წუთით სასეირნოდ გაყვანის შემთხვევაში, როგორ შეიძლება არ დაავადდეს, არ მიადგეს ზიანი მის ფილტვებს?

აღარაფერს ვამბობ ტუბერკულოზის ეპიდემიაზე, რომელიც მძვინვარებს სისტემაში. **გარდაცვლილი 142 ადამიანიდან ტუბერკულოზმა იმსხვერპლა 45%, მათ შორის აბსოლუტური უმრავლესობა სრულიად ჯანმრთელი შევიდა სასჯელაღსრულებით სისტემაში.** ამის ნათელი დადასტურებაა 23 წლის თამაზ დადვანის გარდაცვალება გლდანის საგამოძიებო იზოლატორში. იგი სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოთავსებისას იყო სრულიად ჯანმრთელი. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრმა კალმახელიძემ აიღო პასუხისმგებლობა დადვანის გარდაცვალების მიზეზების შესწავლასა და დადგენაზე და განაცხადა, რომ პარლამენტის წინაშე წარმოადგენდა მასალებს, დღემდე ეს პირობა არ შეუსრულებია.

**— არსებობს მოსაზრება, რომ ციხეების გადავსება განპირობებულია ხელისუფლების სურვილით, რომ საარჩევნოდ მოაგროვოს ხმები, მიიღოს მაღალი შემოსავალი საპროცესო გარიგებებით და ასევე ციხეში შექმნილი სისტემით, რომელიც საბარათე ანგარიშსწორებით პატიმრების მიერ სურსათისა თუ სხვა საჭირო ნივთების შეძენას მხოლოდ ციხეში ითვალისწინებს.**

— ამ კითხვაზე პასუხს ძალიან ბევრი წახნაგი აქვს. 2006 წლის ივლისში სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, დანაშაულთა ერთობლიობის დროს პირდაპირი შეკრების წესით დადგენილი სასჯელის სიდიდე შეიძლება იმდენად დამაფიქრებელი აღმოჩნდეს პოტენციური განსასჯელისთვის, რომ მან მიმართოს ყველა გზას და საშუალებას — შეელიოს სახლს, მანქანას, აგარაკს, ყველაფერს მოძრავს და უძრავს და გადაიხადოს საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმა, რომლის ზღვარიც 2006 წლის ივნისამდე იყო 10 ათასი ლარი, ხოლო 2006 წელს, სწორედ ნულოვანი ტოლერანტობის გამოცხადების მომენტიდან, შევიდა ცვლილება კანონში და დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული სასჯელის ზღვარი გაიზარდა პლიუს უსასრულობამდე, ანუ ნებისმიერი თანხის დაწესება შეუძლია უკვე სასამართლოს, პროკურატურასთან განსასჯელის მიერ დადებული საპროცესო შეთანხმების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, **ადამიანები პირდაპირ არიან მოქცეული სახელმწიფო რეკეტის ქვეშ. მათ ეუბნება პროკურატურა — ან გადაიხდი ამ თანხას, ან მიიღებ სასჯელად ამდენ წელს.**

კანონი სასამართლოს აღარ აძლევს საშუალებას, შეამციროს შეკრებითობის წესით დადგენილი სანქციით გათვალისწინებული სასჯელის ზღვარი. **ადამიანი დგება არა მხოლოდ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მოხდის წინაშე, არამედ ცოცხლად იმარხება, თუ არ გადაიხდის დაკისრებულ თანხას. ყველაფერი კომერციალიზირებულია.**

დავიწყოთ მაღაზიათა ქსელ „პოპულით“, რომელიც იქ მოქმედებს. ძალიან ბევრი პატიმარი აღნიშნავს, რომ თანხიდან, რომელიც ანგარიშზე ერიცხებათ, თითო ლარი დარიცხვის მომენტიდან ქრება, პროდუქტების შეძენის დროს კი ისინი დგებიან ფაქტის წინაშე, რომ სიგარეტი ან ზოგიერთი სასურსათო პროდუქტი უფრო ძვირია, ვიდრე ისინი თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში შეიძენდნენ. ასევეა სატელეფონო ქსელი, „ტელეკომის“ საბარათე სისტემა, რომელზე დარიცხული თანხებიც საკმაოდ სწრაფად ქრება მათი ბარათებიდან. ყველა ეს კომპანია მოგებაზეა ორიენტირებული, პატიმრის მიერ განხორციელებული მარკეტინგული მოქმედების შედეგად რომ იღებს.

**ხანგრძლივი პაემნებისთვის გათვალისწინებული ე.წ. სამვარსკვლავიან სასტუმროში დადგენილი ნიხრი 24 საათში 60 ლარია, მაშინ, როცა ერთი პატიმრის კვებაზე დღეში 3 ლარი და 80 თეთრი იხარჯება. ფასიანია ვიდეოპაემნები, წუთის ღირებულება 1 ლარია. ესეც ფისკალურ ეფექტზეა აგებული. აღარაფერს ვამბობ ხანმოკლე შვებულებებზე.**

პრობაციაში არის გაუგონარი უსამართლობა, რაც საზოგადოებამ არ იცის. 160 ათასამდე პრობაციონერი გვყავს, რომლებსაც ეკისრებათ გარკვეულ ვადებში პრობაციის სამსახურში მისვლა და აღრიცხვა. ეს ვადებიც ფულთანაა დაკავშირებული: შეგიძლია გადაიხადო 400 ლარი და იარო თვეში ერთხელ. თუ არ გაქვს 400 ლარი, ორ კვირაში, ზოგ შემთხვევაში კი — კვირაში ერთხელ. თუ გაქვს 3150 ლარი, შეგიძლია საზღვარგარეთაც წახვიდე.

ჩემთან შემოვიდა მოლდოვის მოქალაქე გოგონას საჩივარი, რომელსაც ჰქონდა სამი წელი მისჯილი, ერთი წელი რეალური სასჯელი და დანარჩენი პირობითი მსჯავრი. ციხიდან გამოსვლის შემდეგ გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება. აქ არავინ ჰყავდა, ამიტომ თხოვნით მიმართა პრობაციის სამსახურს, რომ გაეშვათ სამშობლოში. პრობაციამ მოითხოვა კანონით გათვალისწინებული თანხის გადახდა, თითო წელიწადზე 3150 ლარი, მას არ აღმოაჩნდა არც ერთი თეთრი. არაოფიციალურ პასუხში, რომელიც მის ადვოკატს პრობაციიდან მიაწოდეს, ნათქვამი იყო, რომ, თუ მას გააჩნია სამგზავრო თანხის გადახდის შესაძლებლობა, უნდა უზრუნველყოს კანონით გათვალისწინებული თანხის გადახდაც. იგი არ გაუშვეს და თავის რჩენის მიზნით დაადგა ძალიან რთულ და მძიმე გზას, რომლის გაქილიკებაც არ არის ჩემი ამოცანა. სამწუხაროდ, მას სხვა გზა არ დაუტოვეს.

ასეთ ალოგიკურ და გაუგონარ მოქმედებებს ხელისუფლება რეფორმატორული მაძიებლობით ხსნის. რეალურად კი ეს ყველაფერი მიმართულია ადამიანების უფლებების დარღვევისკენ. თქვენს კითხვაზე — გაუძლებს თუ არა ქვეყანა ამას, გიპასუხებთ: პირველ რიგში, **ქვეყანა ველარ უძლებს ასეთ ექსპერიმენტებს სახელისუფლო რეფორმატორული პოლიტიკის განხორციელების ფონზე, მეტადრე მაშინ, როდესაც პრეზიდენტი ღიად აცხადებს და არ მალავს, რომ საქართველო გადაიქცა მსოფლიო დემოკრატიისა და სოციალური რეფორმების ლაბორატორიად.**

**— დღეს ხშირად საუბრობენ ელიტარულ კორუფციაზე, ამისი დამადასტურებელი ფაქტები თქვენც წარმოადგინეთ.**

— იმას, რომ ქვეყანაში არის ელიტარული კორუფცია, უკვე პირდაპირ ამბობს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი. იგი აცხადებს: მიუხედავად იმისა, რომ კორუფცია ქვედა რგოლებში მოისპო, იგი შეცვალა მაღალმა და ელიტურმა კორუფციამ.

სამთავრობო საათზე არ გავუშვი შესაძლებლობა, რომ პრეზიდენტისთვის მიმეთითებინა ელიტური კორუფციის განსაკუთრებით მძიმე ფაქტებზე. სამი სამინისტრო დავასახელე, მოვიყვანე მილიონებით მანიპულირების ფაქტები. ფაქტობრივად, ეს იყო უჯრედულ დონეზე მტკიცებულება იმისა, თუ რა ბედი ეწია დიდძალ თანხებს მაღალ დონეზე კორუფციული გარიგებების შედეგად. პასუხი არც ერთ კითხვაზე არ მიგვიღია, მაგრამ სამაგიეროდ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა დადო დასკვნა და დაადასტურა, რომ დიახ, ქვეყანაში ყვავის ელიტური კორუფცია.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

საქართველო და მსოფლიო

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ნამდვილად ვიცი, რომ ბევრი გავლენიანი ჩეჩენი მზაობას ავლენს, ჩვენთან უფრო ინტენსიური კავშირი ჰქონდეს, მაგრამ ასეთი ნაბიჯის გადადგმა მოცემულ საგარეო პოლიტიკურ კონტექსტში საფრთხილოა. ყველა რისკი უნდა იქნას გათვლილი და გენიალური შთაგონების პრინციპით არ უნდა ვიღებდეთ ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს.**

## ზაზა ფირალიშვილი:

# ათკაციანი მარგინალური პარტიების დრო უნდა დასრულდეს

**„თუ სააკაშვილის ხელისუფლება დღეს ძლიერია, ისევ იმ ირაციონალური და სტიქიური მიტინგების წყალობით, რომლებიც აქამდე ჩატარებულა“, — მიაჩნია ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილს. მისი აზრით, დღესდღეობით საქართველოში ალტერნატიული, ძლიერი პოლიტიკური ძალა არ არსებობს, ამიტომ ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს და მარგინალური ათკაციანი პარტიების დრო დასრულდეს.**
**რატომ აირჩია ქართველმა ხალხმა „ცუდი სტაბილურობა“, რა უშლის ხელს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას და როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს საქართველოს მოძმე, მეზობელი სახელმწიფოებისადმი, „საქართველო და მსოფლიოს“ ზაზა ფირალიშვილი ესაუბრება.**



**— მსოფლიოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ საზოგადოების ნაწილი ახლო აღმოსავლეთის სცენარის საქართველოში განმეორებაზე ალაპარაკდა. რამდენად რეალურია საქართველოში რევოლუციური პროცესების დაწყება, მით უფრო, ოპოზიციური პარტიების განცხადებების ფონზე, რომლებიც სულ მალე საპროტესტო აქციების დაწყებას გეგმავენ?**

— ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები სულ სხვა კულტურულ-რელიგიურმა თუ პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობა. თანაც, იმაზე საუბარი, რომ იქ გაიმარჯვა ლიბერალურმა და დასავლურმა ღირებულებებმა, ჯერ ადრეა. რევოლუციურ პროცესებში მნიშვნელოვანი როლი მუსლიმანმა სამღვდელოებამაც შეასრულა და არ არის გამორიცხული, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ზოგიერთში ირანიზაციის პროცესი დაიწყოს.

რაც შეეხება რევოლუციური პროცესების ჩვენს ქვეყანაში განმეორებას, ვფიქრობ, ეს რევოლუციურად განწყობილი ოპოზიციონერების სურვილი უფროა, ვიდრე რეალობა. გარდა ამისა, **რევოლუცია შეუძლებელია მოხდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სადღაც მოხდა, და მიმაჩნია, რომ გამუდმებით რევოლუციაზე და მის მზადებაზე საუბარი თვით რევოლუციის იდეას ანადგურებს, თუნდაც ვემხრობოდეთ მას, მითუმეტეს, როდესაც ქვეყანაში რევოლუციური მუხტის არსებობა არ იგრძნობა.**

თავის დროზე სააკაშვილმა პროცესების გაჭიანურებით ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილის რეიტინგის დაცემას, დისკრედიტაციას მიაღწია და ხალხმა ცუდი სტაბილურობა ამჯობინა. ოპოზიცია ზედმეტად დაიმედდა, რომ 2003 წლის სცენარს გაიმეორებდა. მას შემდეგ ქართული საზოგადოება შეიცვალა და, კარგი გაგებით, „გაეშმაკდა“ კიდეც, მას ასე ადვილად ველარავინ წამოაგებს სამიტინგო-რევოლუციურ ტალღაზე, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც. თუმცა აღსანიშნავია, რომ ხალხში სერიოზული პროტესტის გრძნობა არსებობს, მაგრამ ის ჯერ კონკრეტულ პოლიტიკურ პერსონებს ეძებს, რომლებიც შეძლებენ ამ მუხტის გამოყენებას. 2007-2010 წლებში ოპოზიციამ მხოლოდ გაფანტა ეს მუხტი. როგორც აღმოჩნდა, მას არ გაუთვლია რისკები, არ გააჩნდა სტრატეგია.

**— თუმცა იგივე ოპოზიცია საქართველოს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად და ცვლილებების მიზეზად ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების არარსებობას ასახელებს. რატომ ვერ ჩამოყალიბდა საქართველო 20 წლის განმავლობაში დემოკრატიულ სახელმწიფოდ?**

— ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას საპროტესტო აქციებითა თუ რევოლუციების გზით ვერ მივაღწევთ. თუკი დემოკრატიის განვითარებას რაიმე უშლის ხელს, მიზეზი, პირველ რიგში, სწორედ მუდმივი რევოლუციური განწყობილებაა. განვლილი 20 წლის განმავლობაში არ მახსენდება ისეთი პერიოდი, როდესაც ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო გადატრიალებით ან რევოლუციით არ იმუქრებოდა. 1992-95 წლებში სახელმწიფოს გადატრიალების იდეა ლამის ისეთივე პოპულარული იყო, როგორც დღეს — რევოლუცია. გარდა ამისა, **თუნდაც ყველაზე კეთილშობილური ზრახვებით წამოწყებული რევოლუციაც ხომ, არსებითად, მარცხია საზოგადოებისთვის. ამაში იოლად დავრწმუნდებით, თუ საფრანგეთის ან რუსეთის ისტორიას გავიხსენებთ.**

რევოლუციური ხელისუფლება მაქსიმალისტური დაპირებებით მოდის, გავა სულ რაღაც ნახევარი წელიწადი და თავადვე აღმოაჩენს, რომ ამ დაპირებების შესრულება შეუძლებელია. ამის შემდეგ იწყებს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას, საინფორმაციო სივრცის ჩაკეტვას. გავიხსენოთ, რა ბედი ეწია ჩვენს ნაციონალურ მაუწყებლებს. ხელისუფლების სათავეში მოსული რევოლუციური ხელისუფლება ცდილობს, ჩაკეტოს ყველა ის შესაძლებლობა, რომლითაც, თავის დროზე, თავად ისარგებლა. ზუსტად ასე მოიქცნენ ბოლშევიკებიც.

**— მაშინ სად არის გამოსავალი? უკვე არაერთხელ იხილა საზოგადოებამ, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებაც უშედეგო აღმოჩნდა...**

— მოცემულ სიტუაციაში ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ ჩვენი საზოგადოების, ოპოზიციისა და უცხოელ პარტნიორთა ზეწოლით საარჩევნო გარემო გაუმჯობესდეს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს არ არის პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გზა და ეს არ ნიშნავს, რომ ამით ყველა პრობლემა მოგვარდება. მას შემდეგ, რაც, ღმერთმა ქნას და, ხელისუფლებასთან სერიოზულ დათმობებს მივაღწევთ, თავიანთი პარტიკულარიზმი უნდა დათმონ ოპოზიციურმა პარტიებმაც და შექმნან ერთი ან ორი სოლიდური, ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი. თუნდაც საამისოდ პირველ ეტაპზე მექანიკურად მოუწიოთ გაერთიანება. მრავალი პოლიტიკოსის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ოპოზიციური საქმიანობისადმი ხომ თითოეული ჩვენგანის ბედზე აისახება. საზოგადოებამ უნდა აიძულოს ოპოზიცია, ასე მოიქცეს. საქართველოში მარგინალური ათკაციანი პარტიების დრო უნდა დასრულდეს. გარდა ამისა, **ხელისუფლების ალტერნატივის არსებობა ეროვნული უსაფრთხოების საკითხია, ვინაიდან, ხელისუფლების კრახის შემთხვევაში, დღეს მისი სრულფასოვანი ჩამნაცვლებელიც არ გვყავს.**

მაგრამ დარწმუნებული ვარ, როგორც კი საზოგადოება გააქტიურდება, რევოლუციონერები ინიციატივის აღებას მოინდომებენ, რითაც მაშინვე ჩაყლაპავენ და გააქრობენ ჩვენს პროტესტს და, თავისდაუნებურად, სააკაშვილის მეხამრიდის როლს ითამაშებენ.

ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვაქვს მისაღწევი იმისთვის, რომ საქართველოს პოლიტიკური რელიეფი გამოიკვეთოს. ეს არის ხანგრძლივი გზა. ქართველებს, გვირჩევნია, ორ კვირაში მოვრჩეთ ყველაფერს. არადა, კონკრეტული მიზნის არმქონე საპროტესტო აქციებიცა და რევოლუციაც დღეს სააკაშვილის მკვებავი ძალაა. თუ სააკაშვილის ხელისუფლება დღეს ძლიერია, ისევ იმ ირაციონალური და სტიქიური მიტინგების წყალობით, რომლებიც აქამდე ჩატარებულა.

თუ გავიხსენებთ ჯონ ბასის ბოლო განცხადებას, რომელიც ინტერნეტში გავრცელდა, იგი, ფაქტობრივად, აღიარებს და ადასტურებს ყველა იმ პრობლემას, რომლის შესახებაც ოპოზიცია ლაპარაკობს. ის რამდენიმეჯერ ახსენებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასა და არჩევნებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

**— როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ბოლო წლებში საქართველოში დასავლური ღირებულებების დევალვაცია?**

— ხელისუფლება დასავლური ღირებულებების სახელით უამრავ უმსგავსობას სჩადის. ესაა მთავარი მიზეზი. დასავლეთი და მისი ღირებულებები დღეს სააკაშვილთან და მის გარემოცვასთან ასოცირდება. **დასავლური იდეოლოგიისთვის დღეს საქართველოში ყველაზე დიდი საფრთხე საქართველოს ხელისუფლებაა, რომელიც, დასავლური ღირებულებების სახელით, უამრავ უმსგავსო რეფორმას ახორციელებს.**

არსებობს ლიბერალიზმი და ლიბერალური ექსტრემიზმი. ეს უკანასკნელი სრულიად აშკარა ბოროტებაა და ცხოვრების ბევრი სფეროს პარალიზებას იწვევს. ჩვენთან ლიბერალიზმის სახელით სწორედ ლიბერალურ ექსტრემიზმს ნერგავენ. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, ადამიანების გაღიზიანებას იწვევს.

**— ისტორიულად საქართველო მუდმივად არჩევანის წინაშე დგას და ეძებს უსაფრთხოების გარანტიას. ამჟამად ეს „არჩევანი“ ამერიკასა და რუსეთს შორის გამოიკვეთა. საყოველთაო გლობალიზაციის პირობებში, რა არჩევანი რჩება საქართველოს?**

— არ შეიძლება რომელიმე, თუნდაც ყველაზე მეგობრული და ძლიერი, ქვეყნის მიმართ ვასალური დამოკიდებულება. ბოლოს და ბოლოს უნდა დავიჯეროთ, რომ ჩვენ ჩვენი გეოპოლიტიკური კაპიტალი გვაქვს, თუნდაც — მცირე, მაგრამ მაინც კაპიტალი. შეცდომაა მეორე უკიდურესობაც: ვიყოთ პრაგმატულები და დავიჯეროთ, რომ ჩვენ, ქართველებს, ჩვენი ისტორიული და პოლიტიკური ღირსება გაგვაჩნია. **თუ დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას მხოლოდ ვიღაცის ხარჯზე ვცდილობთ ან ვიღებთ როგორც წყალობას, მაშინ არც ვყოფილვართ მისი ღირსი.** სხვა შეიძლება მეგობარია ჩვენი, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მეგობრობა ნიშნავს არა ვასალიტეტს, არამედ — ერთმანეთის ნებაყოფლობით გამოყენებას საკუთარი ინტერესების ინსტრუმენტად და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებას.

**— არსებობს ერთიანი კავკასიური სახლის შექმნის იდეა. რამდენად რეალურია ამის განხორციელება, მითუმეტეს, რომ კავკასიის რეგიონში შემავალი ქვეყნები რელიგიითა თუ მენტალობით ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან?**

— ამისთვის საჭიროა საკითხის საფუძვლიანი შესწავლა. მაგრამ ცოტა უხერხული ხომ არ არის ერთიან კავკასიურ სახლზე საუბარი მას შემდეგ, რაც ჩეჩნებთან და ინგუშებთან ჩვენს ურთიერთობას სერიოზული ზიანი მიადგა? ხალხებს შორის ურთიერთობები ვერ იტანს ამგვარ სალტო-მორტალეებს. **ნამდვილად ვიცი, რომ ბევრი გავლენიანი ჩეჩენი მზაობას ავლენს, ჩვენთან უფრო ინტენსიური კავშირი ჰქონდეს, მაგრამ ასეთი ნაბიჯის გადადგმა მოცემულ საგარეო პოლიტიკურ კონტექსტში საფრთხილოა. ყველა რისკი უნდა იქნას გათვლილი და გენიალური შთაგონების პრინციპით არ უნდა ვიღებდეთ ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს.**

მე არ ძალმიძს ყველა ფაქტორის გათვალისწინება, არ ვფლობ სრულ ინფორმაციას. ზოგადად კი, როგორც აღვნიშნე, ჩრდილოეთ კავკასიასთან მიმართებაში ყველაფერი ზედმიწევნით უნდა იყოს გათვლილი. ვიმეორებ, წამიერი შთაგონებითა და კეთილი სურვილებით შეიძლება ჩვენც ბოროტება მოვიმკათ და სხვებიც ვაზარალოთ.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

**«გამუდმებით რევოლუციაზე და მის მზადებაზე საუბარი თვით რევოლუციის იდეას ანადგურებს»**

**არსებობს ლიბერალიზმი და ლიბერალური ექსტრემიზმი. ეს უკანასკნელი სრულიად აშკარა ბოროტებაა და ცხოვრების ბევრი სფეროს პარალიზებას იწვევს. ჩვენთან ლიბერალიზმის სახელით სწორედ ლიბერალურ ექსტრემიზმს ნერგავენ. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, ადამიანების გაღიზიანებას იწვევს**

# გამოკითხვა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ჩრდილოკავკასიელი ხალხები რუსეთის შემადგენლობაში არიან. როდესაც ამათთვის ცალკე რეჟიმებს იგონებ, ცალკე ურთიერთობებს იწყებ მათთან, ცხადია, ეს უარყოფითად მოქმედებს რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე. საბოლოო ჯამში კი, ამ ხელისუფლების არასწორი ნაბიჯებით მხოლოდ საქართველო ზარალდება.**

**„ვფიქრობ, ჩრდილოკავკასიაში აბსოლუტურად ნორმალური ხალხი ცხოვრობს. თქვენ იცით, რომ ჩვენ სავიზო რეჟიმი გავაუქმეთ მათთვის და უკვე 90 ათასმა ადამიანმა ისარგებლა უვიზო რეჟიმით. მოველით, რომ წელს მათი რაოდენობა დაახლოებით 400 ათასი იქნება. ამ დრომდე ამ ხალხის მხრიდან არანაირი მცირე ინციდენტიც არ გვახსოვს...“ — ეს სიტყვები საქართველოს პრეზიდენტს ეკუთვნის. მას 17 მარტს ვაშინგტონის ბრუკინგზის ინსტიტუტის აშშ-ისა და ევროპის კვლევის ცენტრმა უმასპინძლა, სადაც სიტყვით გამოსვლის შემდეგ დამსწრეთა შეკითხვებს უპასუხა. პრეზიდენტი სააკაშვილი ფიქრობს, რომ ჩრდილოკავკასიელების დაპირისპირებას, ძირითადად, კრემლის ძალადობრივი პოლიტიკა იწვევს და, „ადამიანური მოპყრობის“ პირობებში, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. „საქართველო და მსოფლიომ“ გადაწყვიტა, გამოკითხვის საშუალებით გაერკვია, რამდენად სწორად მიიჩნევენ საქართველოს ხელისუფლების კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ჩრდილოკავკასიელ რადიკალებთან, თანაც ლეკიანობისა და აფხაზეთში ჩეჩნების მოქმედების გათვალისწინებით.**



**კახა ძაგანია, ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი მდივანი:**

— თქვენ მიერ დასმული კითხვიდან გამოვალ და ვიტყვი, რომ ზუსტად იმავეს ვფიქრობ მეც, რომ არაა აუცილებელი, თუკი ლეკიანობას, აფხაზეთის კონფლიქტში ჩრდილოკავკასიელი ხალხების მონაწილეობას გავითვალისწინებთ, მაინც და მაინც ახლა მოვინდომოთ ურთიერთობების დათბობა. წესით, ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რა საშიშროებას წარმოადგენს ეს ურთიერთობა რუსეთთან დაკავშირებით.



**გულბაათ რცხილაძე, პოლიტოლოგი:**

— ნამდვილად არ მიმაჩნია სწორად ხელისუფლების კეთილგანწყობა ჩრდილოკავკასიელ ხალხთან დამოკიდებულებაში. **არც გამსახურდია იყო სწორი, ავანტურაში რომ გაყო თავი და, სადაც აღმოჩნდა (სამარცხვინო ხალხთან გროზნოში), ყველამ ვიცით.** თავის მმართველობის ბოლოს შევარდნაძემაც იგივე გაიმეორა და ახლა ეს ხელისუფლებაც იმავეს აკეთებს. ყველამ ცუდად დაამთავრა და ვეჭვობ, ესენიც ცუდად დაამთავრებენ.

## ზვიად ძიძიგური:
# ჩვენ მეზობლებთან კარგი ურთიერთობა გვჭირდება, მაგრამ რუსეთის გასაღიზიანებლად კეთდება ეს და არასწორია



**ზვიად ძიძიგური, კონსერვატიული პარტიის ლიდერი:**

— კავკასიაში ჩვენს მეზობლებთან კარგი ურთიერთობა რომ გვჭირდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაგრამ რუსეთის გასაღიზიანებლად რომ კეთდება ყველაფერი, ესაა არასწორი და უდიდესი საფრთხის შემცველი, რამაც, შესაძლოა, კიდევ უფრო ფატალური შედეგები გამოიღოს საქართველოსთვის. ვფიქრობ, რომ **ის სტანდარტები, რომლებითაც საქართველოს ხელისუფლება მოქმედებს, რუსეთის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკის ხალხებთან მიმართებაში, საკმაოდ სერიოზული შეცდომაა.**



**ლაშა ჩხარტიშვილი, კონსერვატიული პარტიის წევრი:**

— რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან ურთიერთობა. ის, რომ აფხაზეთის ომში მონაწილეობდნენ და შემდეგ უკვე — სამაჩაბლოს ომშიც, არ ნიშნავს, რომ ეს ხალხები საქართველოს მოწინააღმდეგენი არიან. პირიქითაც შემიძლია ვთქვა. ისტორიულად ნათესაური კავშირებიც არსებობს ამ ხალხთან. ამიტომ, ჩემი აზრით, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ცუდს არაფერს მოგვიტანს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს გადაჭარბებული. **ყველა მეზობელ ხალხთან კეთილგანწყობილი ურთიერთობა აუცილებელია, თუმცა პროვოკაციულ ელფერს არ უნდა ატარებდეს, რაც ხშირად ხდება ხოლმე.** ყველა ქვეყანასთან, ყველა ხალხთან მეზობლური დამოკიდებულება უნდა გვქონდეს, მაგრამ — მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.



**ირაკლი სესიაშვილი, სამხედრო ექსპერტი:**

— ნებისმიერი სახელმწიფო უნდა მოქმედებდეს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ის უნდა ემყარებოდეს თანამედროვე, საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. უნდა ჯდებოდეს მორალურ ჩარჩოებში. არ შეიძლება ბოროტებას ბოროტებით ვებრძოლოთ. სხვისი უბედურებით ჩვენთვის სასურველი შედეგების მიღწევას არ უნდა ვცდილობდეთ. თუ ხელისუფლებას აქვს პრეტენზია, იყოს ცივილიზებული სამყაროს ნაწილი, მისი ნებისმიერი მოქმედება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. არ აქვს მნიშვნელობა, რა პოლიტიკურ სარგებელს ელის აქედან. ასეთი რადიკალური მოქმედებების გამოყენება, ჩემი აზრით, დასაშვებია მხოლოდ კრიტიკულ მომენტში.

**რთულია იმის თქმა, ჩვენი ხელისუფლება მართლაც არის თუ არა კეთილგანწყობილი ჩრდილოკავკასიელთა მიმართ, საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებულ ტერორისტულ დაჯგუფებათა მიმართ. ჩვენ შეიძლება გვქონდეს განცდა იმისა, რომ ეს ჯგუფები ებრძვიან იმპერიას, მაგრამ არ გვაქვს უფლება ამ ჯგუფებისადმი სიმპათია გამოვხატოთ, იმ ერთი მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ ბრალად ედებათ ტერორისტული აქტები, მსოფლიოსთვის კი მიუღებელია ტერორიზმის ცნება.** ის საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. თქვენს შეკითხვას, აქედან გამომდინარე, პირდაპირ ვერ ვუპასუხებ. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ ჩვენი ხელისუფლების მიზანი მტრის მტერთან დამეგობრება კი არა, ცივილიზებული პოლიტიკით საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების რეალიზება უნდა იყოს.

## თემურ ქორიძე:
# ეს არამხოლოდ წამგებიანია, პოლიტიკური თვალსაზრისით, დამღუპველიცაა საქართველოსთვის



**თემურ ქორიძე, ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ რედაქტორი:**

— ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა ურთიერთობა ძალიან რთული თემაა. ბევრი რამ გადაჭარბებულია. რაც შეეხება ამ ურთიერთობის ისტორიას, თუ გავიხსენებთ ჩვენი მთის მწერლების მიერ დახატულ ტრაგიკულ სურათებს, ვერაფერი შვილი კეთილი ურთიერთობა გამოვა იქიდან. თუნდაც დავით გურამიშვილის ცნობილი სტრიქონები გავიხსენოთ: **„თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი, სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა თვითო ქიშტი!..“** გურამიშვილს მაინც დავუჯეროთ. თან ახლა, მითუმეტეს იმ გეოპოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, რაც დღესაა ჩვენს ჩრდილოელ მეზობელსა და საქართველოს შორის, ასეთი აქცენტების გაკეთება არამხოლოდ წამგებიანია, პოლიტიკური თვალსაზრისით, დამღუპველიცაა საქართველოსთვის.

**ჯერ ერთი, ჩრდილოკავკასიელი ხალხები რუსეთის შემადგენლობაში არიან. როდესაც ამათთვის ცალკე რეჟიმებს იგონებ, ცალკე ურთიერთობებს იწყებ მათთან, ცხადია, ეს უარყოფითად მოქმედებს რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე. საბოლოო ჯამში კი, ამ ხელისუფლების არასწორი ნაბიჯებით მხოლოდ საქართველო ზარალდება.** ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რაც ჭკვიანმა პოლიტიკოსმა უნდა იცოდეს, თუნდაც — მხოლოდ ის, რომ გავითვალისწინოთ, რაც მე წეღან მოგახსენეთ, რომ არასოდეს ჩვენ შორის თბილი, ძმური, დალაგებული ურთიერთობა არ ყოფილა. რატომ ჰგონია ჩვენ ხელისუფლებას, რომ მაინც და მაინც ახლა დათბება? ესაა რუსეთის ჯინაზე გაკეთებული „ძმობის ფიცი“ ჩრდილოკავკასიელებთან.



**ელიზბარ ჯაველიძე, „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი:**

— ხელისუფლებისთვის ყველაფერი გამართლებულია, რაც საქართველოს და ქართველ ხალხს ზიანს მიაყენებს. მათ შეუძლიათ ნებისმიერ ძალასთან ჩუმად ხელშეკრულებაც დადონ და შეთანხმებულად იმოქმედონ. **სულ არ მიკვირს, როცა ეს ხელისუფლება რუსეთის გასაღიზიანებლად, ჯიბრზე, თუ შესაძლებელია ასე ითქვას, ამყარებს ფარულ კავშირს ჩეჩნებთან. რა თქმა უნდა, ეს ქართველი ხალხისთვის მიუღებელი და დასაგმობია.**

მოამზადა
**ლილი მიროტაძემ**

## გამოხმაურებანი



**დავით ონოფრიშვილი, ექს-ფინანსთა მინისტრი:**

საგარეო ვალების შესახებ კანონში ხელისუფლებამ ცვლილებების შეტანა გადაწყვიტა. მათ სურთ, რომ ბიუჯეტში საერთოდ აღარ ჩაიწეროს მსგავსი ციფრები და საზოგადოებისთვის დახურული იყოს, რაც დაუშვებელია. არ შეიძლება, საგარეო ვალები ბიუჯეტში არ აისახებოდეს.

*obieqtivi.net*



**კოკა გუნცაძე, „ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

ჩვენ სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლის გადამწყვეტ, უკანასკნელ ფაზაში შევდივართ. თუ ქართველი ხალხი გადაწყვეტს, რომ სააკაშვილის რეჟიმი ამბოხის გზით შეიცვალოს, მაშინ „ქართული პარტია“ ხალხის გვერდით დადგება და განვითარებულ პროცესებზე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას აიღებს. მზად ვართ, დავივიწყოთ ძველი უთანხმოებები და ბურჯანაძესთან ერთად, „სახალხო კრებასთან“ ერთად შევუტიოთ სააკაშვილის ხელისუფლებას.

*geonews.ge*



**გიორგი ცაგარეიშვილი, პარლამენტის წევრი:**

დრო ჩვენთვის, ყველასთვის, ერთნაირად იწურება. არ მადარდებს მიხეილ სააკაშვილის და არც „ნაცმოძრაობის“ ბედი, რომელიც კატასტროფამდე მივა. მე ის მადარდებს, ტახტს ჩაფრენილმა ქვეყანა თავზე არ დაიმხოს და არ დაშალოს მარტივ მამრავლებად.

*„ყველა სიახლე“*



**კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:**

ხელისუფლება აუცილებლად მასობრივი აქციების გზით უნდა გადავაყენოთ, მაგრამ ახალი ხელისუფლება ქვეყნის სათავეში აუცილებლად არჩევნების გზით უნდა მოვიდეს. 2003 ან 1992 წლების განმეორება, როცა ხელისუფლება რევოლუციური გზით მოვიდა, საქართველოსთვის დამღუპველი და ბოლშევიკური ტენდენციების გამაძლიერებელი იქნება.

*tribuna.ge*

## მინსკის ტერაქტის დეტალები

**როგორც მინსკის ტერორისტების დაკავების შემდეგ გახდა ცნობილი, ბელარუსის ტერაქტში ეჭვმიტანილებმა ასაფეთქებელი ნივთიერება ინტერნეტის საშუალებით შეიძინეს.** დაკითხვისას მათ ბოლო აფეთქებასთან ერთად 2005 წლის ვიტებსკისა და მინსკის 2008 წლის ტერაქტების ორგანიზებაც აღიარეს. სამართალდამცველები ეჭვობდნენ, რომ საქმე მაღალი დონის ტერორისტულ დაჯგუფებასთან ჰქონდათ, თუმცა დაკავების შემდეგ ეს ეჭვები არ დადასტურდა. დაკავებულთა შორის ერთ-ერთი მეტროში განხორციელებული აფეთქების უშუალო შემსრულებელია.



## მუამარს — პატივი, სეიფს — ხელისუფლება

**მუამარ კადაფმა განაცხადა, რომ, თუ ოპოზიცია მის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, იგი ხელისუფლების ნებაყოფლობით დათმობას დათანხმდება. მისი მთავარი მოთხოვნა კი, ახალი ლიდერის არჩევამდე, ხელისუფლების მისი შვილისთვის, სეიფ ალ-ისლამისთვის გადაცემაა.** მეორე მოთხოვნის თანახმად, ოპოზიციამ ლიბიის ამჟამინდელი პრეზიდენტი ქვეყნიდან კი არ უნდა გააძევოს, არამედ ახალ მთავრობაში მინისტრთა კაბინეტის წევრობა უნდა უბოძოს ან რომელიმე თანამდებობაზე დანიშნოს.

საქართველო და მსოფლიო
რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

უფალი გულთამხილავია და, როცა ადამიანს გულით უნდა, რომ კეთილი, საღვთო საქმე გააკეთდეს, უფალი მას უსრულებს ამ სურვილს. ჩემს ეპარქიას რომ გადავხედავ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ უფალი მეფობს ამ ქვეყანაზე და იქ, სადაც სიყვარული, ერთგულება და თავდადებაა, უფალი ბევრ საოცრებას მოახდენს...

### მეუფე იობი:

# წირვა-ლოცვის დროს არ მაქვს იმხელა დატვირთვა, რამდენიც კვეთებულის ლოცვების დროს



**„საქართველო და მსოფლიო“ აგრძელებს ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობთან საუბრების ციკლის გამოქვეყნებას, რომელსაც უძღვება გაზეთის „მახვილი მესიისა“ მთავარი რედაქტორი შორენა სიხარულიძე.**

— მეუფეო, მინდა კვეთებულის ლოცვების შესახებ გკითხოთ. ალბათ, ძალიან რთულია, უამრავი ადამიანის ეშმაკს შეებრძოლო, მოკვეთო, ამდენი გვარის გახსნის ლოცვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მას შემდეგ, რაც თბილისში აღარ კითხულობთ კვეთებულის ლოცვებს, ხალხი ძალიან დამწუხრდა, რადგან თქვენს ლოცვებზე საოცრებებს ყვებოდნენ, სასოებას გრძნობდნენ, თქვენ მათთვის უდიდესი იმედი, ნუგეში იყავით... მე ჩემი თვალით ვნახე სასიკვდილოდ განწირული ერთი ბიჭი, რომელიც ლეიკემიის მწვავე ფორმით – მწვავე მონობლასტური (მიელომონოციტური) ლეიკემიით იყო დაავადებული. ურბნისის საკათედრო ტაძარში კვეთებულის ლოცვას ატარებდით, მოგიტანეთ ავადმყოფი ბავშვის სურათი და გთხოვეთ, დალოცეთ-მეთქი. ჯვარი გადასახეთ და თან თქვით – უფლის ძალით განიკურნებაო. დაახლოებით დილის თერთმეტი საათი იქნებოდა... ზუსტად ამ დროს, თბილისში, საავადმყოფოს რეამინაციულ განყოფილებაში მყოფმა ბავშვმა თვალი გაახილა და საჭმელი მოითხოვა. სისხლის ანალიზი აუღეს, პასუხმა კი მთელი მედპერსონალი გააოგნა – სისხლში ბლასტები საერთოდ აღარ იყო... ექიმები დღემდე განცვიფრებული არიან და ვერ აუხსნიათ ეს მოვლენა...

— წირვა-ლოცვის დროს არ მაქვს იმხელა დატვირთვა, რამდენიც კვეთებულის ლოცვების დროს. კვეთებულის ლოცვები შედგენილია წმინდა მღვდელმთავართა — ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის მიერ. მათი ლოცვის მეშვეობით იდევნებიან ეშმაკები. ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეშმაკს არ აქვს თავისუფლად გადაადგილების უნარი, მას არ ძალუძს, თავისი ნებით შევიდეს ადამიანში – მისთვის უფალს ეს ძალა არ მიუნიჭებია. გახსოვთ, ალბათ, იობ მრავალვნებულის ცხოვრება, როცა უფალმა ეშმაკს ყველაფრის წართმევის ნება მისცა, მაგრამ მკაცრად უბრძანა – მის სულს არ შეეხოო, რადგან, თუ ეშმაკი ადამიანის სულს დაეპატრონა, მაშინ კაცი თავის თავს ველარ აკონტროლებს, იგი სულიერად მკვდარია. მართალმა იობმა ყველაფერი დაკარგა, ყველამ მიატოვა, სხეული დაუწყლულდა, მაგრამ უფლისთვის მაინც არ უღალატია – ბოლომდე მას სასოებდა.

**წმინდა მამათა გამოცდილებიდან ვიცით, რომ ეშმაკი ადამიანში სამი კარით შედის. ესენია – ურწმუნობა, სასოწარკვეთილება და ბილწი ცხოვრება.**

კვეთებულის ლოცვებში ისიც კი წერია, რომ ეშმაკი შეიძლება იყოს თვალებში, გონებაში, ყურში, „უპესა ქვეშე“ კანში, ფრჩხილებში, კოჭში — ესე იგი მისთვის ზღვარი არ არსებობს, იგი ყველგან შეიძლება განთავსდეს. იგი იმდენად ძლიერია და დახვეწილად მოქმედებს, რომ მთელი ხილული სამყარო ერთ დღეში შეიძლება დაანგრიოს და მიწასთან გაასწოროს...

ერთი ბერის ცხოვრება გამახსენდა: იგი წმინდად ცხოვრობდა და დიდი მლოცველიც იყო, მდიდარი სულიერი შვილები ჰყავდა, რომელნიც სავაჭროდ დადიოდნენ შორეულ ქვეყნებში. იგი ყოველთვის ელოდებოდა, სავაჭროდ წასულნი როდის დაბრუნდებოდნენ, რომ მისთვის ფული მიეტანათ. ასე დაიჭირა ეშმაკმა ბერი ვერცხლისმოყვარეობით. შემდეგ ერთ სალოსს გამოცხადებით ეუწყა ბერის მდგომარეობა, მივიდა და ბერს უთხრა, ვერცხლისმოყვარეობით შეგიპყრო ეშმაკმაო. მართლაც, ვერცხლისმოყვარეობის ეშმაკი იდგა მის გვერდით.

ამიტომ გარეგნულად არ უნდა შევაფასოთ ადამიანი – შეიძლება მართლაც სიწმინდით ცხოვრობდე, პატიოსანი იყო, მაგრამ ერთი მცირე რამით იყო დაჭერილი ეშმაკის მიერ. ჩვენც უნდა ვეცადოთ, რომ საკუთარ თავში აღმოვაჩინოთ ნაკლი, უნდა მკაცრად ვაკონტროლოთ საკუთარი თავი და გავაანალიზოთ, რით ვართ დაჭერილნი. ეშმაკს არ უნდა მივცეთ ნება, შთაგვაგონოს, რომ შენ მართალი ადამიანი ხარ, სწორად ცხოვრობო. **შეიძლება კიდეც ვიპოვოთ საკუთარ თავში რაღაც ნაკლი, მაგრამ ეშმაკი კვლავ შეეცდება, დაგვარწმუნოს, რომ ეს არაფერია, ასეთი ნაკლი ხომ ყველას აქვს, არა უშავს, სიკვდილის წინ შეინანებ მოძღვრის წინაშეო. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არის დიდი საცდური; სინანულსაც ნიადაგი სჭირდება, ნიადაგი იმისთვის, რომ მყარად დავდგეთ და ძლიერად ვიგრძნოთ თავი რწმენაში, სინანულში, სიყვარულში... წინააღმდეგ შემთხვევაში ეშმაკი ჩვენში ადვილად შემოაღწევს და ჩვენს სულს დაეპატრონება.**



**— თუკი ეშმაკი უფლის ნების გარეშე ვერ მოქმედებს, მაშ, რატომ რთავს მას ნებას უფალი, რომ ადამიანში შევიდეს?**

— როცა ადამიანი ჯიუტობს და ეწინააღმდეგება უფლის კანონებს, მაშინ უფალი მასზე ხელს აიღებს – წყალობას მოაცილებს და მიუშვებს ეშმაკს, რათა ადამიანს თავისი თავი დაანახოს ისევ მის სასარგებლოდ, დაარწმუნოს, რომ არსებობს უფალი, ეშმაკიც; თავისი ძალებით შეეცადოს, რომ ისევ უფალს დაუბრუნდეს.

**როცა კვეთებულის ლოცვებს ვკითხულობ, ჩემში ყველა ის ვნება და განცდა შემოდის, რაც იქ მოსულ ადამიანებშია. ეს იმდენად რთული და მძიმეა ჩემთვის, რომ ამის გადმოცემა ენას არ ძალუძს და ვერც ვერავინ გაიგებს; რა ხდება იმ წუთებში წამკითხველის გონებაში — ეს მხოლოდ უფალმა იცის.** ხანდახან ეშმაკისგან ასეთი აზრი მოდის — აი, რა დიდი პიროვნება ხარ, რამდენი ადამიანი ჩამოვიდა შორი გზიდან შენს ლოცვებზე; მე კი ვპასუხობ — **არა ჩემით, არამედ წმინდა ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ლოცვით.** შემდეგ ისევ ჩამაგონებს — ხომ ხედავ, ვიღაც განკურნე უკურნებელი სენისგან; მე კი კვლავ ასეთ პასუხს ვაგებებ — **არა ჩემით, არამედ წმინდა მღვდელმთავართა შემწეობით, მათივე რწმენითა და ლოცვით.** ასეთი საუბარი იმართება ჩემსა და ეშმაკს შორის.

ეშმაკი ყოველნაირად ცდილობს, რომ ამ ლოცვას ძალა წაერთვას, ჩემს თავზე დიდი წარმოდგენა შემექმნას, ხიბლში ჩამაგდოს. მაგრამ კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ მას არ უნდა მოვუსმინო, არ უნდა ავყვე. ამიტომაც ვიმეორებ ასე ხშირად — **არა ჩემით, არამედ წმინდა მღვდელმთავართა ლოცვა-კურთხევით.** ასე ვიგერიებ მის შემოტევებს.

ასე რომ არ მოვიქცე, ეშმაკების მთელი ლეგიონი შემოვა ჩემში და აქვე დამცემენ, გამანადგურებენ და თავად მე გავხდები ყველას დასაცინი, მიწასთან გასწორებული.

**— მახსოვს ერთხელ მითხარით – ეშმაკი საკუთარი თვალით მყავს ნანახიო. როდის მოხდა ეს?**

— მაშინ ჯერ კიდევ ერისკაცი ვიყავი, ჯარიდან ახალდაბრუნებული, ორთაჭალაში წმიდა ნიკოლოზის ტაძარში ვცხოვრობდი და, უწმინდესის კურთხევით, ბიბლიოთეკას ვიცავდი, დარაჯადაც ვმუშაობდი და არქივიც მებარა. ჩემი კანონი მქონდა და ბევრს, ძალიან ბევრს ვლოცულობდი მთელი ღამეების განმავლობაში, მთლიანად სულიერებაში ვიყავი გადართული. ერთხელაც ძილში ვიგრძენი, რომ რაღაც ძალამ კისერზე ხელები შემომაჭდო და მახრჩობდა, ავიღე ფარანი და მთელი ტაძარი შემოვიარე –არავინ იყო. ისევ დავწექი – კვლავ იგივე განმეორდა; ვიცოდი, ჯვარი უნდა გადამესახა, მაგრამ ხელში ძალა არ მქონდა. მესამედაც რომ დამესხა თავს, უფლის წყალობით ძალა მოვიკრიბე და ჯვარი გადავსახე; თვალი რომ გავახილე, დავინახე ეშმაკი კვამლის სახით (კვეთებულის ლოცვებშიც წერია: „ცეცხლის სახით, კვამლის სახით გამოჩინებული“), თვალები, როგორც ფოსფორი, ისე უელავდა. ჯვრის გადასახვის შემდეგ კი დაიკლაკნა და ფანჯრიდან გავიდა.

**მარტყოფის მამათა მონასტრის წინამძღვრად ყოფნისას შუაღამიანზე რომ მივდიოდი, ბევრჯერ დაქაჩა ჩემი მანტია და კინაღამ წამაქცია. იყო შემთხვევები, კარებს მინგრევდა, სახურავში ხმაურობდა, მოკლედ,** ▶

**«ერთხელ უწმინდესის გამოგზავნილი ჯვარი დამეკარგა, ერთი ამბავი ავტეხე, მთელი ნაწილი ფეხზე დადგა და ჩემს ჯვარს ეძებდა. გაუბახტში ჩაგსვამო, დამემუქრნენ; არსადაც არ ჩავჯდები, აქედან ფეხს არ მოვიცვლი, სანამ ჩემს ჯვარს არ იპოვით-მეთქი; დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯვარი განზრახ დამიმალეს. საბედნიეროდ, იქვე დავარდნილიყო და მალევე ვიპოვე და ნაწილმაც შვებით ამოისუნთქა... ამის შემდეგ აღარავინ შემხებია, უფალი ყველგან მიცავდა...»**

## ბაიდენს ობამას ლაპარაკზე დაეძინა



**აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებასთან დაკავშირებით, ამერიკის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას სიტყვით გამოსვლისას დაიძინა.** ვიდეომასალაზე, სადაც ობამას გამოსვლაა აღბეჭდილი, კარგად ჩანს თავჩაქინდრული ბაიდენი, რომელსაც თვალები დახუჭული აქვს და საკმაო ხანს რჩება ამ მდგომარეობაში. აშშ-ის პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების უმეტესობა აღშფოთებულია ბაიდენის ამგვარი დამოკიდებულებით ბიუჯეტის დეფიციტისადმი, ზოგიერთის აზრით კი, თვალდახუჭული ბაიდენი ლოცულობს, რომ ობამას გეგმა ცხოვრებაში განხორციელდეს.

## მუბარაქი დააკავეს

**ეგვიპტის პროკურატურამ ქვეყნის ექს-პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი და მისი შვილები ალა და გამირ მუბარაქები დააკავა.** ეგვიპტის სახელმწიფო ტელევიზიის ინფორმაციით, მუბარაქი კორუფციისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით ციხეში 15 დღეს გაატარებს. მანამდე ეგვიპტის ყოფილ პრეზიდენტს დაკითხვაზე გულთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა და შარმ-ელ შეიხის საავადმყოფოში გადაიყვანეს. პროკურატურამ ექს-პრეზიდენტი დაკითხვაზე ანტისამთავრობო აქციების დროს დემონსტრანტების დაღუპვისა და საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვის გამო გამოიძახა.

რელიგია
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**წმინდა მამათა გამოცდილებიდან ვიცით, რომ ეშმაკი ადამიანში სამი კარით შედის. ესენია – ურწმუნოება, სასოწარკვეთილება და ბილწი ცხოვრება. კვეთებულის ლოცვებში ისიც კი წერია, რომ ეშმაკი შეიძლება იყოს თვალებში, გონებაში, ყურში, „უპესა ქვეშე“ კანში, ფრჩხილებში, კოჭში – ესე იგი მისთვის ზღვარი არ არსებობს, იგი ყველგან შეიძლება განთავსდეს. იგი იმდენად ძლიერია და დახვეწილად მოქმედებს, რომ მთელი ხილული სამყარო ერთ დღეში შეიძლება დაანგრიოს და მიწასთან გაასწოროს...**

◀ მოსვენებას არ მაძლევდა. ეშმაკმა წინასწარ იცოდა, რომ ღვთის მსახური უნდა გავმხდარიყავი. ბავშვობაშიც ბევრჯერ შემებრძოლა – ადამიანებს ამხედრებდა ჩემ წინააღმდეგ; ჯარში ყოფნის დროს აზოვის ზღვაში მახრჩობდა და წმიდა ნიკოლოზმა გადამარჩინა... **ეშმაკის შემოტევებს თავიდანვე მიჩვეული ვიყავი. ამ ყველაფრის გაანალიზების შემდეგ ადამიანი კიდევ ერთხელ რწმუნდები, თუ რამხელა ბრძოლა მიმდინარეობს თითოეული ადამიანის სულისთვის კეთილ ანგელოზსა და ეშმაკს შორის.**

**— ვიცი, რომ ჯარში მომხდარმა ერთმა შემთხვევამ, უფრო სწორად, კი ღვთის ნებამ, განაპირობა თქვენი მომავალი. როგორ მოხდა, რომ თითქმის უკვე დამხრჩვალი ნაპირზე უვნებლად აღმოჩნდით და გადარჩით?**

— ჯარში უკრაინაში, ბოგოდუხოვში, ვიყავი. ადგილი, სადაც ჩვენი ნაწილი იდგა, საოცარ სიმშვიდეს მგვრიდა, მადლს ვგრძნობდი. ერთხელ მეთაურს ვკითხე, აქ ადრე რა იყო-მეთქი, მან კი მიპასუხა — დედათა მონასტერი იყო და მეორე მსოფლიო ომის დროს დაინგრაო. მახსოვს, სულში რამხელა სითბო მეღვრებოდა, როცა დანგრეულ კედლებთან განვმარტოვდებოდი. იქ დიდი განსაცდელების გადალახვა მომიხდა, რადგან იცოდნენ, რომ ეკლესიიდან ვიყავი. მახსოვს, ერთხელ სამასი კაცის წინაშე გამომიყვანეს და მკითხეს — ინსტიტუტში მეცნიერულ კომუნიზმში რა ნიშანი გყავდაო, მე კი ამაყად ვუპასუხე — სამიანი-მეთქი. ღმერთი თუ გწამსო, რა თქმა უნდა, მწამს-მეთქი. როგორ შეიძლება XX საუკუნეში კაცს ღმერთი სწამდესო.

**ერთხელ უწმინდესის გამოგზავნილი ჯვარი დამეკარგა, ერთი ამბავი ავტეხე, მთელი ნაწილი ფეხზე დადგა და ჩემს ჯვარს ეძებდა. გაუბახტში ჩაგსვამო, დამემუქრნენ; არსადაც არ ჩავჯდები, აქედან ფეხს არ მოვიცვლი, სანამ ჩემს ჯვარს არ იპოვით-მეთქი; დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯვარი განზრახ დამიმალეს. საბედნიეროდ, იქვე დავარდნილიყო და მალევე ვიპოვე და ნაწილმაც შვებით ამოისუნთქა... ამის შემდეგ აღარავინ შემხებია, უფალი ყველგან მიცავდა...**

ლოცვა მინდოდა, მაგრამ ერთადერთი ოთახი, სადაც სიმშვიდე იყო და უცხო თვალი ხშირად არ ხვდებოდა, ე.წ ლენინის ოთახი იყო. ოთახის კედლები სავსე იყო ამ ანტიქრისტეს სურათებით — ბავშვობიდან მის სიკვდილამდე. ჩუმად შევიდოდი იმ ოთახში, ჩამოვუვლიდი სურათებს, „ფუი ეშმაკს“-მეთქი, მივაძახებდი და ლოცვას ვიწყებდი. ვინ წარმოიდგენდა, რომ ლენინის ოთახში ვინმე სალოცავად შევიდოდა?! მეც ამით ვსარგებლობდი...

იქიდან გადამიყვანეს ქ. ბელაია ცერკოვში („თეთრი ეკლესია“), საოცარი ადგილი იყო, ეკლესიაში ხშირად დავდიოდი და ვლოცულობდი. საპატრიარქოში წერილებს რომ ვაგზავნიდი, გაოცებულები მპასუხობდნენ — შენ ჯარში წახვედი თუ მონასტერშიო; ჯერ ბოგოდუხოვო, მერე ბელაია ცერკოვი...

**ცურვა არ ვიცოდი და ისე კარგად ვისწავლე, გავთამამდი და აზოვის ზღვაში ძალიან შორს გავცურე. რომ მოვიხედე, ხალხი ნაპირზე წერტილებად მოჩანდა. უცებ, ფეხები შემეკრა, გონებას ნელ-ნელა ვკარგავდი. ერთად ერთი, რასაც იმ წუთებში ვგრძნობდი, ეს იყო სიბრალული ჩემი მშობლების მიმართ — ჩემს გვამსაც რომ ვერ დაიტირებდნენ... წმიდა ნიკოლოზმა გადამარჩინა... გონზე რომ მოვედი, უკვე ნაპირზე ვიყავი... მაშინ შევფიცე უფალს – შენ მე სიცოცხლე მაჩუქე და ჩემს შენგან ნაწყალობევ სიცოცხლეს შენ მოგიძღვნი-მეთქი...**

**უწმინდესი მეუბნებოდა — ცოლი შეირთე, მღვდლად გაკურთხებ და ყაზბეგში იმსახურეო, მაგრამ ჩემს სულს ბერობა უნდოდა. ეს მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი აღთქმისაებრ ჩემისა.**



**«უწმინდესი მეუბნებოდა — ცოლი შეირთე, მღვდლად გაკურთხებ და ყაზბეგში იმსახურეო, მაგრამ ჩემს სულს ბერობა უნდოდა. ეს მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი აღთქმისაებრ ჩემისა»**

**— წელს, 10 ნოემბერს, 15 წელი გახდება, რაც ურბნისისა და რუისის ეპარქიას ჩაუდექით სათავეში. რა გრძნობა გეუფლებათ, როცა 15 წლის გადასახედიდან თვალს გადაავლებთ თქვენს ეპარქიას? როცა მკვდრეთით აღდგენილ ამდენ ეკლესია-მონასტერს ხედავთ, როცა ძამას ხეობას გაჰყურებთ, როცა ყოველდღე ახალი სასულიერო პირი, ახალი ტაძარი იკურთხება... როცა მრევლს — დიდსა თუ პატარას, ამხელა სიყვარულით უყვარხართ, თავისად მიაჩნიხართ... და საერთოდ, რა შეგრძნებაა ადამიანისთვის, იყო ურბნისისა და რუისის ეპარქიის მღვდელმთავარი, წირვას აღავლენდე ურბნისის საკათედრო ტაძარში, სადაც წმინდა მოწამე, მღვდელმთავარი — ნეოფიტე ურბნელი მოღვაწეობდა, სადაც წმიდა დავით ალმაშენებელმა ჩაატარა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელმაც ქართველებს ცხოვრების წესი დაგვიდგინა: „არ გეცრუებით შენ, ჩვენი სიწმინდით მშობელო წმინდაო კათოლიკე ეკლესიაო! არც გაგცემთ შენ, ჩვენო სიამაყევ — მართმადიდებლობავ!“**

— ურბნისისა და რუისის ეპარქიაში გადმოსვლის დღიდან შევუდექი ეპარქიის შემოვლას და, როცა ამდენი მიტოვებული, გავერანებული, მიწასთან გასწორებული ეკლესია-მონასტერი ვიხილე, დიდი ძალა მომეცა. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მღვდელმთავარი ლეონტი მროველი, „ქართლის ცხოვრების“ ავტორი; ასევე ანტონი მროველი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აქ ჩატარდა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელმაც დასაბამი მისცა საქართველოს გამთლიანებასა და სულიერ გაძლიერებას; ამ ყველაფერმა მაიძულა, რომ მეც წინაპართა მსგავსად მეცხოვრა. **ჩემთვის დიდი აღმოჩენა იყო ისიც, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტში ვნახეთ ეპარქიაში მოღვაწე მღვდელმთავრების ანდერძი – ყველიერის შაბათს ადგილობრივ მღვდელმთავარს უნდა მოეხსენიებინა აქ მოღვაწე მღვდელმთავრები; ვინც არ მოიხსენიოს, შეჩვენებული იყოსო, წყევლა იყო ასეთი. ამან წინაპრებისადმი კიდევ უფრო დიდი სიყვარული და შემართება მომცა და კიდევ ერთხელ დამარწმუნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გარდაცვლილთა მოხსენებას.**

**ვერ აგიწერთ, რამხელა სიხარული იყო ჩემთვის ქოზიფის აღმოჩენა! აბუხალოს გამოქვაბულები, წრომის, სამწევრისის, ორთუბნის, რუისის, ყინწვისის ტაძრები! ურბნისის ტაძარი, სადაც რუის-ურბნისის კრება ჩატარდა, სადაც ნეოფიტე ურბნელი მოღვაწეობდა, ერთ-ერთმა ასურელმა მამამ თადეოზ (თათე) სტეფანწმინდელმა ჩაუყარა საფუძველი... უფალი გულთამხილავია და, როცა ადამიანს გულით უნდა, რომ კეთილი, საღვთო საქმე გააკეთდეს, უფალი მას უსრულებს ამ სურვილს. ჩემს ეპარქიას რომ გადავხედავ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ უფალი მეფობს ამ ქვეყანაზე და იქ, სადაც სიყვარული, ერთგულება და თავდადებაა, უფალი ბევრ საოცრებას მოახდენს...**

კარგად შევისწავლეთ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების გადაწყვეტილება და პრაქტიკაში განვახორციელეთ რამდენიმე მუხლი – ბერად აღკვეცის წესი. რუის-ურბნისის კრების გადაწყვეტილების მიხედვით, საქართველოში არ არსებობდა დიდი და მცირე სქემა. რუსული ეკლესიის გავლენით არასწორად ხდებოდა ბერად აღკვეცა; შევისწავლეთ ბერძნულ ეკლესიაში მცირე და დიდ სქემაში აღკვეცის წესი და ძალიან გვახარებს, რომ აღდგა უძველესი წესი.

...ძალიან სწრაფად გავიდა ეს დრო და შეიძლება ითქვას, რომ ეს წლები ღვთის დიდი სასწაულია – ბევრი სასულიერო პირი შეემატა საქართველოს, უამრავი მონასტერი აღდგა. ყველა ეს საქმე მე, რა თქმა უნდა, ჩემად არ მიმაჩნია, **მე მხოლოდ უბრალო ჭურჭელი ვარ უფლის ხელში, მე ვარ იარაღი, რომლითაც უფალი მოქმედებს. სასულიერო პირი მიღწეულით არასოდეს უნდა კმაყოფილდებოდეს; თავის დამსახურებად არ უნდა მიიჩნევდეს გაკეთებულ საქმეს.** მე ვმადლობ დიდ მღვდელმთავარს — ნეოფიტე ურბნელს; მივიჩნევ, რომ იგი სულიერად დღესაც განაგებს ეპარქიას. სწორედ ნეოფიტე ურბნელის ხსენების დღეს, 10 ნოემბერს, გამორჩეულად აღვნიშნავთ ეპარქიის დღესასწაულს.

**— ამბობენ, ურბნისისა და რუისის ეპარქია უნდა გაიყოსო. მართალია?**

— ვფიქრობ, რომ არა, რადგან ეპარქია მაშინ იყოფა, როცა მღვდელმთავარი ველარ უძლევება მას. ისტორიულად იყო პერიოდები, როცა რუისის ეპარქია ცალკე იყო და მისი მმართველი მროველად იწოდებოდა; ცალკე იყო ურბნისის ეპარქია — ურბნელი ეპისკოპოსის სამწყსო. მაგრამ დღეს ეს ეპარქია სულიერად ერთ ორგანიზმად ისე ჩამოყალიბდა, რომ მისი გაყოფა, ვფიქრობ, არამართებული იქნება. მიმაჩნია, რომ ეპარქიის მმართველი უნდა იწოდებოდეს მროველ-ურბნელ ეპისკოპოსად, ისევე, როგორც ისტორიულად ეწოდებოდა გაერთიანებული ეპარქიის მმართველს.

**— მეუფე, მაინტერესებს, სხეულის უხრწნელობა ნიშნავს თუ არა, რომ წმინდანთან გვაქვს საქმე და საერთოდ, რა ნიშნით ხდება ადამიანის წმინდანად შერაცხვა (სხვათა შორის, ამბობენ, იაკობ გოგებაშვილის მთაწმინდაზე გადასვენების დროს, ნახეს, რომ მისი სხეული უხრწნელი იყო)?**

— მხოლოდ უხრწნელობით ვერ იტყვი, რომ ადამიანი წმინდანია, მან უნდა მოახდინოს სასწაულები, განკურნოს ადამიანები. ხშირად ასეც ხდება, რომ ადამიანის გარდაცვალებამდე აღებული სისხლი მისი გარდაცვალების შემდეგ არ დედდება და ხშირად მიიჩნევენ, რომ ეს უდავოდ ამ ადამიანის წმინდანობის დამადასტურებელია. ეს, რა თქმა უნდა, არასწორია. რადგან **ხშირად მომაკვდავ ადამიანს აზიარებენ, ზიარებას კი უდიდესი ძალა აქვს — უფლის სისხლი და ხორცი ხომ ადამიანის მთელ სხეულში შედის, მთელ მის ხორციელ და სულიერ არსებას მოიცავს?! ამიტომაც არის, რომ ხანდახან გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე ან წინა დღეს ნაზიარები სისხლი არ დედდება.** ჩემს მრევლშიც იყო ასეთი შემთხვევა — ოპერაციის წინა დღეს კაცი ეზიარა, მეორე დღეს კი, როცა სისხლი ანალიზისთვის აუღეს, არ შედედდა, გამოკვლევის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ სისხლი სრულიად სუფთა იყო...

ამიტომ, როცა მსგავს შემთხვევას გავიგებთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს უფლის მადლი სასწაულია ადამიანზე დაშვებული და არა ამ ადამიანის წმინდანობის დამადასტურებელი. ამან არ უნდა გაგვაოცოს და შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს... **რაც შეეხება იაკობ გოგებაშვილს, „დედენა“ ჩემთვის ბავშვობიდან წმინდა წიგნი იყო და მის ავტორს ისე ვეთაყვანებოდი, როგორც წმინდანს. იაკობ გოგებაშვილი ყველა ქართველის სულის ტკბილი ნაწილია; მისი „ბუნების კარი“ ან „საგანძური“, ვფიქრობ, ყველა ქართველი ბავშვისთვის სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს. „აი ია“-ს შემქმნელი ჩემთვის წმინდანია, მისი სხეული უხრწნელიც რომ არ იყოს.**

**«იაკობ გოგებაშვილის «დედენა» ჩემთვის ბავშვობიდან წმინდა წიგნი იყო და მის ავტორს ისე ვეთაყვანებოდი, როგორც წმინდანს. იაკობ გოგებაშვილი ყველა ქართველის სულის ტკბილი ნაწილია; მისი «ბუნების კარი» ან «საგანძური», ვფიქრობ, ყველა ქართველი ბავშვისთვის სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს»**

მსოფლიო

## ობამა აშშ-ის შემცვლელს ვერ ხედავს

**როგორც აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა უახლოეს დღეებში ახლო აღმოსავლეთთან და აღმოსავლეთ აფრიკასთან დაკავშირებით ქვეყნის პოლიტიკის ახალ კონცეფციას წარადგენს.** კლინტონის განმარტებით, ობამა არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში აშშ-ის შემცვლელს ვერ ხედავს.



## ევროკავშირმა ლიბიას სანქციები გაუმკაცრა

**ევროკავშირმა ლიბიის წინააღმდეგ სანქციები გაამკაცრა. ეს გადაწყვეტილება ევროკავშირის 27 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლუქსემბურგში შეხვედრისას მიიღო.** „მინისტრთა საბჭომ დამატებითი სანქციები დააწესა ლიბიის რეჟიმის წინააღმდეგ, მათ შორის — ნავთობისა და გაზის სექტორზე. აუცილებლობის შემთხვევაში, მივიღებთ ახალ ზომებს რეჟიმის დაფინანსების შესაჩერებლად“, — განაცხადა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში უმაღლესმა წარმომადგენელმა კეტრინ ეშტონმა. თუ რა დამატებით სანქციებზეა საუბარი, ამ ეტაპზე არ კონკრეტდება.

საქართველო და მსოფლიო
პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

„ებრაელი ინვესტორები შესყიდულ ობიექტს აკონსერვებდნენ, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი, როცა მისი საბაზრო ფასი იზრდებოდა, ყიდდნენ და ამით უზარმაზარ მოგებას ნახულობდნენ. ეს, რა თქმა უნდა, ქვეყნისთვის წამგებიანია და დღემდე ებრაული ინვესტიციების უმრავლესობა სწორედ ამგვარად ხორციელდება საქართველოში; თუმცა ამაში დამნაშავე არა ინვესტორი, არამედ, უწინარესად, ხელისუფლებაა, ვინაიდან სწორედ ხელისუფლება აძლევს იმ ინვესტორს საშუალებას, თვითნებურად იმოქმედოს“

# ვასილ ჭიჭინაძე: ბურჯანაძეების, გაჩეჩილაძეების, ოქრუაშვილებისა და კიწმარიშვილების მიერ მოწყობილი რევოლუცია დაღუპავს საქართველოს!..

**მას შემდეგ, რაც სააკაშვილის ავტორიტარულმა რეჟიმმა ორი ებრაელი ბიზნესმენი — რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი, ხელისუფლების მაღალჩინოსნისთვის ქრთამის შეთავაზებაში დაადანაშაულა, ციხეში გამოკეტა და ორივე „პირწმინდად“ გააკულაკა, „ნაცმოძრაობის“ თავზე, როგორც იტყვიან, შავი ღრუბელი ჩამოწვა. ჯერ იყო და ამ ბინძური პროვოკაციის პასუხად ისრაელმა საქართველო ზედიზედ ორჯერ საშიში ქვეყნების ნუსხაში შეიყვანა და ამით, რეალურად, საქმე იქამდე მივიდა, რომ არაერთ უცხოელ ინვესტორს, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მიმართ გარკვეული დაინტერესება გააჩნდა, დღეს, ფაქტობრივად, საქართველოსკენ გამოხედვაც არ უნდა; შემდეგ ამას მოჰყვა თავდაცვითი სისტემის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი ებრაული კომპანია elbit systems-ის სარჩელი გაერთიანებული სამეფოს უზენაეს სასამართლოში, სადაც აღნიშნულმა კომპანიამ საქართველო კონტრაქტის დარღვევაში დაადანაშაულა და კომპენსაციის სახით 100 მილიონი დოლარის ანაზღაურება მოითხოვა...**



**მოკლედ, ბევრი რაღა გავაგრძელო და „ნაცებმა“ თავი სერიოზულ შარში გაყვეს, რითაც ქვეყნის იმიჯი კიდევ ერთხელ ლაფში ამოსვარეს. „ვარდოსანთა“ ბრიყვული საქციელით გაბრაზებული ისრაელის ხელისუფლება არც ამას დასჯერდა და, პირდაპირ თუ ირიბად, ახლა უკვე აფხაზეთის მიმართ გარკვეულ დაინტერესებაზე დაიწყო საუბარი...**

**რა ხდება დღეს რეალურად ისრაელ-საქართველოს შორის, რა ცვლილებებია ორი ქვეყნის ურთიერთობაში და რა შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს პარტნიორ სახელმწიფოსთან კონფრონტაციამ ჩვენი ქვეყანა — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საქართველოს ყოფილი დესპანი ახლოაღმოსავლეთის ქვეყნებში ვასილ ჭიჭინაძე.**

**— ბატონო ვასილ, გასულ კვირას ისრაელის დელეგაციის აფხაზეთში სტუმრობა ყველასთვის დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა. თქვენი აზრით, რას ნიშნავდა ეს ვიზიტი? ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ ყველაფრის მიზეზი ორი ებრაელი ბიზნესმენის დაპატიმრებაა?**

— ის, რომ ისრაელსა და საქართველოს შორის ადრინდელივით მეგობრული და ახლოპარტნიორული ურთიერთობა აღარ არის, ფაქტია და ამას ვერავინ უარყოფს. ფაქტია ისიც, რომ ბზარი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში სწორედ მას შემდეგ გახმიანდა, რაც ორი ებრაელი ბიზნესმენი დააკავეს. ამიტომ კითხვა, რომელიც თქვენ დასვით, რა თქმა უნდა, სავსებით ლოგიკურია; ანუ იმის თქმა მინდა, რომ ყველა ის ნაბიჯი, რომლებიც ისრაელმა საქართველოს მიმართ ბოლო დროს გადადგა — სარჩელის შეტანა გაერთიანებული სამეფოს სასამართლოში, ვიზიტი აფხაზეთში და ა.შ., პირდაპირ უკავშირდება ებრაელი ბიზნესმენების დაპატიმრებას. ამდენად, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მთელი ამ დაძაბულობის მიზეზიც რეალურად სწორედ ეს დაპატიმრებაა და არა რაღაც სხვა, ვთქვათ, პოლიტიკური ინტერესები, რაზეც სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში ბოლო დროს ხშირად საუბრობენ.

რაც შეეხება კითხვას, რას ნიშნავდა აფხაზეთში ვიზიტი, ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ვიზიტს, ისრაელის მხრიდან, წინ უძღოდა მთელი რიგი პროცესები, რასაც, ჩემის აზრით, ჩვენთვის გამაფრთხილებელი მნიშვნელობა და ხასიათი ჰქონდა; ამ გაფრთხილების ყველაზე მკაფიო გამოხატულება იყო ის, რომ **ებრაელი ბიზნესმენების დაკავებიდან მცირე ხნის შემდეგ ისრაელმა ზედიზედ ორჯერ შეგვიყვანა საშიშ ქვეყანათა ნუსხაში, თუმცა საბოლოოდ ეს ყველაფერი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჩვენი ხელისუფლება გონს მოსულიყო. შედეგად მივიღეთ ის, რომ ნომერ პირველმა პარტნიორმა სახელმწიფომ ყველაზე მტკივნეულ და სუსტ წერტილში დაგვარტყა...** ჩემი აზრით, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ისრაელის დელეგაციის აფხაზეთში ვიზიტი, ვინაიდან, როგორც გითხარით, სხვა ვერანაირმა ღონისძიებამ, მათ შორის ვერც პოლიტიკურმა, ამ ხელისუფლებას ვერ შეაგნებინა, რომ არ შეიძლება უცხო და მითუმეტეს მეგობარი ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც ჩამოსულია იმისთვის, რომ ბიზნესი აკეთოს, უხეშად მოექცე და ამით პარტნიორ სახელმწიფოსაც შეურაცხყოფა მიაყენო...

**— კი მაგრამ, როცა საქმე დანაშაულს ეხება, როგორ უნდა მოიქცეს მართლმსაჯულება?**

— მე არ ვამბობ, რომ ის ორი ებრაელი ბიზნესმენი უკანონოდ დააპატიმრეს, ან — პირიქით. ეს გამოძიების საქმეა და ამას უჩვენოდაც დაადგენენ, მაგრამ აქ ლაპარაკია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაზე; დამნაშავემ, რა თქმა უნდა, პასუხი უნდა აგოს, სხვანაირად ქვეყანაში სამართლიანობის განცდა და რწმენა ვერ იქნება, მაგრამ, მეორეს მხრივ, ერისა და ქვეყნის ინტერესებზე მაღლა არაფერი დგას... ამ ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, ეს არ იცის, არ უნდა, რომ იცოდეს და თავის დროზე სწორედ ამან შეიწირა რუსეთ-საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობაც; ახლა კი რიგში ოცდაშვიდსაუკუნოვანი ქართულ-ებრაული მეგობრობა დგას და ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ჯერჯერობით საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მალე ესენი ამ მეგობრობასაც გაუჩენენ შიგადაშიგ ბზარებს...

**— თქვენი აზრით, ეს ყველაფერი საქართველოში მოღვაწე სხვა ებრაელ ინვესტორებზე როგორ იმოქმედებს? ხომ არ დატოვებენ ისინი ჩვენს ქვეყანას?**

— ამაზე საუბარი გარკვეულწილად მარჩიელობასავით გამოგვივა, მაგრამ ზოგადად ის, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ ებრაელ ინვესტორებს გაუკეთა, სხვებზე, რა თქმა უნდა, უარყოფითად იმოქმედებს. აბა, წარმოიდგინეთ, თქვენ რომ იყოთ ბიზნესმენი, ჩადებდით იმ ქვეყანაში რამე ინვესტიციას, სადაც ინვესტორებს ყურით იჭერენ და უკანასკნელ ვიგინდარასავით ამწყვდევენ ციხეში?! ისე, სიმართლე უნდა ითქვას და ფაქტია, რომ 90-იანი წლებიდან მოყოლებული ებრაულ ინვესტიციებს ჩვენი ეკონომიკისთვის მთლად სიკეთე არ მოუტანია, პირიქით, ეს ინვესტიციები ისეთი ფორმით ხორციელდებოდა, რომ მოგებული მხოლოდ ინვესტორი რჩებოდა. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ამართლებს იმას, რაც ხელისუფლებამ ებრაელ ბიზნესმენებს გაუკეთა...

**— მაინც რა ფორმით ახორციელებდნენ ებრაელი ბიზნესმენები საქართველოში ინვესტიციებს?**

— ძირითადად, მიწებს ყიდულობდნენ, იშვიათად — სტრატეგიულ ობიექტებსაც, თუმცა სულ თითზე ჩამოსათვლელია შემთხვევა, რომ შემდეგ ინვესტორს ეს ობიექტი აემოქმედებინა, მიწა დაემუშავებინა და, შესაბამისად, ხალხიც დაესაქმებინა. მათი სტრატეგია იმაში მდგომარეობდა, რომ **შესყიდულ ობიექტს აკონსერვებდნენ, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი, როცა მისი საბაზრო ფასი იზრდებოდა, ყიდდნენ და ამით უზარმაზარ მოგებას ნახულობდნენ. ეს, რა თქმა უნდა, ქვეყნისთვის წამგებიანია და დღემდე ებრაული ინვესტიციების უმრავლესობა სწორედ ამგვარად ხორციელდება საქართველოში; თუმცა ამაში დამნაშავე არა ინვესტორი, არამედ, უწინარესად, ხელისუფლებაა, ვინაიდან სწორედ ხელისუფლება აძლევს იმ ინვესტორს საშუალებას, თვითნებურად იმოქმედოს.**

**— ეს, შეიძლება, ჩვენი საუბრის თემას ნაკლებად ეხება, მაგრამ იმას, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ ებრაელ ბიზნესმენებს გაუკეთა და რაც დღეს ისრაელსა და საქართველოს შორის ხდება, სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, ოპოზიციის მხრიდან სკანდალი თუ არ მოჰყვებოდა. თქვენი აზრით, რატომ დუმს დღეს ქართული ოპოზიცია?**

— არ ვიცი, თქვენ რას ელოდით, მაგრამ საერთოდ ამ ჩვენს ე.წ. ოპოზიციას წესად აქვს, იყვიროს და იყაყანოს იმაზე, რაც რეალურად პრობლემას არ წარმოადგენს, ხოლო მაშინ, როცა ქვეყანაში მართლა რაღაც ცუდი და საგანგაშო ხდება, ყველანი გაიტრუნებიან ხოლმე მამა აბრამის ბატკნებივით. დღეს სწორედ ასეა — ხელისუფლება არ ჩერდება, ადამიანების ყოფა დღითიდღე უარესდება, მაგრამ იმ „დალოცვილი“ 30 მაისის არჩევნების შემდეგ ქვეყანაში სიმშვიდემ რომ დაისადგურა, დღემდე ხმის ამოღებას ვერავინ ბედავს; ვერ ბედავს, თუ არავის უნდა ხმის ამოღება, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს საქართველოში იდეალური სიმშვიდეა. სხვათა შორის, ეს ყველაფერი ძალიან მაგონებს იმ სიტუაციას, როცა სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა და რეალურად ოპოზიცია არ ჰყავდა. გახსოვთ, მაშინ რამხელა ძალისხმევა დასჭირდა „ნაცმოძრაობას“, რომ სასწრაფოდ შეეკოწიწებინა პოლიტიკური ძალა, რომელსაც შემდეგ ოპოზიცია დაარქვეს...

**— ანუ, გინდათ თქვათ, რომ მიშა დღესაც „აკოწიწებს“ ოპოზიციას?**

— არა, დღეს მას ეს ნამდვილად არ სჭირდება, ვინაიდან ოპოზიცია თვითონ აკეთებს იმას, რაც ხელისუფლებას უნდა, განსაკუთრებით ეს ეხება ე.წ. რვიანს, რომელიც ზის და სააკაშვილის სიზმრებს კითხულობს, შემდეგ კი ყველაფერს აკეთებს, რომ ეს სიზმრები რეალობად აქციოს.

**— „კონსტრუქციული“ ოპოზიციის ავ-კარგზე თქვენი მოსაზრება გასაგებია, მაგრამ არსებობს მეორე, „რადიკალური“ ოპოზიციაც, რომელიც ხელისუფლების ამ ზაფხულში დამხობასა და პოლიტიკურ მოუსავლეთში გასტუმრებას უქადის.**

— თქვენ თუ ბურჯანაძესა და გაჩეჩილაძეს გულისხმობთ, ერთზეც და მეორეზეც იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ, მე მგონი, ამაზე საერთოდ არ ღირს საუბარი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უბრალოდ, სირცხვილია, როცა ერთი და იგივე გაიძვერა ასჯერ და ათასჯერ გატყუებს...

**— კი თქვით, ამაზე საუბარი არ ღირსო, მაგრამ ბურჯანაძესა და მის შეფიცულებზე რა აზრის ხართ?**

— იცით რა, ღმერთმა მაპატიოს, მკრეხელობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ, ამათ რომ ვუყურებ, ერთი ძველი ანეკდოტი მახსენდება: გურული შევა ეკლესიაში, აანთებს სანთელს და უფალს მიმართავს, ვინცა ვარ, ქე იცი, რაცა მჭირს, ქე იცი, აბა შენ იციო, — ზუსტად ასეა ამათი საქმეც, — არც არაფერს გვეუბნებიან, არც არაფერს გვპირდებიან და ამ დროს რომ ჰკითხო, ვის უნდა დაუდგეს ხალხი გვერდით, თუ არა ამათ. ჯერ მარტო განცხადებებს დააკვირდით, რა ხმამაღლა და ომახიანად აკეთებენ, — მე რომ მოვალ... შე კაი დედ-მამიშვილო, ჯერ ერთი, რატომ ხარ დარწმუნებული, რომ მოხვალ და მერე კიდევ, რომც მოხვიდე, რით სჯობიხარ სააკაშვილს? რატომ უნდა მივანიჭო მე, ამ შემთხვევაში, როგორც ერთმა რიგითმა მოქალაქემ და ამომრჩეველმა, რაიმე უპირატესობა ნინო ბურჯანაძეს, ლევან გაჩეჩილაძეს და მით უმეტეს ოქრუაშვილკიწმარიშვილს?!

რაც შეეხება შეფიცულებს, როგორც ვიცი, იქ, ძირითადად, ახალგაზრდები არიან და მინდა, გულწრფელად მივმართო მათ, რომ წინსაფრად და ხელთათმანად ნუ გამოადგებიან ვილაც-ვილაცებს, თორემ ის ვილაცები, რაც უნდა მოხდეს, როგორც ყოველთვის, თავს დაიძვრენენ და თვითონ საბოლოოდ დარჩებიან ხახამშრალი, თუ ციხეში არ ამოყვეს თავი...

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, თავს უფლებას მივცემ, ასეთი კითხვა დაგისვათ: ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდეს, ვის მისცემდით ხმას?**

— სხვათა შორის, ეს კითხვა ადრეც დამისვეს და ვთქვი, რომ ხმას მივცემდი მიხეილ სააკაშვილს. ახლაც იმავეს გავიმეორებ, ვინაიდან, სამწუხაროდ, დღეს საქართველოში მე ვერ ვხედავ ძალას, რომელიც არსებულ ხელისუფლებაზე უკეთ შეძლებს ქვეყნის მართვას. ეს არის ჩვენი ტრაგედია და მთავარი უბედურება და ამ ხელისუფლების სიმყარე და უძლეველობა, ყველა იმ პრობლემების სათავე, რომელთა წინაშეც, უკვე წლებია, ჩვენი ქვეყანა დგას და რომელთა მოგვარების თავიც სააკაშვილის ავტორიტარულ რეჟიმს, უბრალოდ, არ გააჩნია...

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მუდმივად იმის მტკიცებას, რომ არავინ სანდო არ არის და ამ ოპოზიციას კიდევ ხელისუფლება სჯობია, ხომ არ მივყავართ საყოველთაო ნიჰილიზმამდე? იქნებ, მართლა სჯობდეს, დავიჯეროთ იმ ხალხის, რომელიც გვეუბნება, რომ ერთადერთი გამოსავალი რევოლუციაა?**

— დღეს საქართველოში ყველა იმაზე საუბრობს, იქნება თუ არა რევოლუცია, მაგრამ არავინ სვამს კითხვას, რას მოუტანს ეს ჩვენს ქვეყანას. მე არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ **ბურჯანაძეების, გაჩეჩილაძეების, ოქრუაშვილებისა და კიწმარიშვილების მიერ მოწყობილი რევოლუცია დაღუპავს საქართველოს, ვინაიდან, ჯერ ერთი, ესენი არ არიან ის ლიდერები, რომლებსაც შეუძლიათ დაიჭირონ და შეაკავონ ის მასა, რომელიც რევოლუციას მოაწყობს და კიდევ, ამათი სანდოობისა და კეთილსინდისიერების ამბავი რომ ვიცი, შეიძლება, ისეთ დროსა და მომენტში მიატოვონ ეს პროცესები, რომ სამუდამოდ დაღუპონ და დააქციონ ქვეყანა.** წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, დღეს ხალხი ამას უნდა ხვდებოდეს. ამიტომ გაიძვერა პოლიტიკოსების რევოლუციურ მოწოდებებს საზოგადოება არ უნდა აჰყვეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ მკვდრეთით აღმდგარ გაიძვერებს მიეცემათ შანსი, ხელმეორედ მოგვევლინონ პოლიტიკაში და, შესაბამისად, მუდმივად სწორედ ასეთი ადამიანების ხელში იქნება ერიც და ქვეყანაც.

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

**ნატოს ორი ძალიან მნიშვნელოვანი წევრი, გერმანია და თურქეთი, დაუფარავად ეწინააღმდეგება ლიბიის მისიას და უარს ამბობს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობაზე.**
**ნატოს გენერალური მდივანი ბოლო დღეებში მეორეხარისხოვან ევროპულ დედაქალაქებში მოგზაურობს და თვითმფრინავებს ითხოვს, რაზეც უკვე არაერთხელ მიიღო უარი.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ევროპის სტრატეგიის გემი იძირება

მძიმედ დაიწყო 2011 წლის გაზაფხული: დამუხრუჭდა ევროკავშირის გაფართოების პროცესი, „აღმოსავლური პარტნიორობის" მეორე სამიტი, რომელიც მაისში უნდა გამართულიყო, შემოდგომისთვის გადაიდო. დასავლელი ჟურნალისტები სულ უფრო ხშირად ამხელენ თავიანთი ქვეყნების ლიდერებს ტყუილში, როგორც, მაგალითად, ლიბიის კამპანიის „ნატოს ოპერაციად" წარმოდგენაში; სულ უფრო მეტად იკვეთება წინააღმდეგობანი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრ სახელმწიფოთა შორის, ხოლო თვით ნატო თანდათან კარგავს პროგრესული გაერთიანების ხიბლს.

პუბლიკაციები, რომლებიც The National Interest-სა და The Washington Post-შია გამოქვეყნებული და რომელთა თარგმანსაც უმნიშვნელო შემცირებებით დღეს გთავაზობთ, ამ ტენდენციებს ხაზს უსვამს.

## ევროკავშირის გაფართოება: გვამი — წყალში?

**ევროკავშირმა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ექვსეული (ბელარუსი, უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი) თავის „აღმოსავლური პარტნიორობის" პროგრამაში ჩასვა, როგორც ქვეყნები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებასა და მხარდაჭერას იმსახურებს. მაგრამ იმის გამო, რომ საერთაშორისო კომუნიკაციის ენა იქ ძველებურად რუსულია, ამ ექვსეულის აკრონიმი ქმნის რუსულ სიტყვა БУМАГА-ს, რაც „ფურცელს" ნიშნავს, ანუ — ფარატინა ქაღალდიაო.**

ბრიუსელს, ისევე, როგორც ვაშინგტონს, უჭირს რამდენიმე მასშტაბური საგარეოპოლიტიკური საკითხის ერთდროულად მოგვარება. „აღმოსავლური პარტნიორობის" მეორე სამიტი, რომელიც მაისში უნდა ჩატარდეს, ეს-ესაა შემოდგომისთვის გადაიდო, რაც იმით ახსნეს, რომ „დიდი რვიანის" სამიტს ემთხვეოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ამის მიზეზი შეხვედრისადმი ევროპელი ლიდერების არასაკმარისი ინტერესია. მათ არ სურთ „აღმოსავლური პარტნიორობის" სამიტში მონაწილეობა საკუთარი ფინანსური კრიზისისა და ჩრდილოეთ აფრიკაში მიმდინარე მოვლენების გამო. **„აღმოსავლური პარტნიორობის" შექმნის კატალიზატორი 2008 წლის საქართველოს ომი გახდა, „არაბულმა გაზაფხულმა" კი გააცოცხლა „სამხრეთ პარტნიორობის" პროექტი, იგივე „ხმელთაშუა ზღვისპირული კავშირი".**

ფრანგი, იტალიელი და ესპანელი პოლიტიკოსები უკვე ჩუმად წუწუნებენ და ამბობენ, რომ, რადგან უკრაინელები და სომხები ევროპული სტილის დემოკრატიისკენ დიდად არ მიილტვიან, მათთვის განსაზღვრული ევროკავშირის ფული ეგვიპტელებს ან ტუნისელებს უნდა მისცენ, რომლებიც ასეთი დემოკრატიისკენ მიისწრაფვიან.

მაშ ასე, რამდენად რეალურია იმის შანსი, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის" პროექტი ფურცელზე არ დარჩება?

პრობლემები ორივე მხრიდან არსებობს. განცხადებაში „აღმოსავლეთ პარტნიორობის" შექმნის შესახებ, რომელმაც 2009 წელს პრაღაში გაიჟღერა, ნათქვამია: **„აღმოსავლური პარტნიორობა" მხარს დაუჭერს მონაწილე ქვეყნების მიერ გატარებულ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმებს და უზრუნველყოფს მათ დაახლოებას ევროკავშირთან, რაც მოემსახურება ევროკავშირის, პარტნიორი ქვეყნებისა და მთელი ევროპული კონტინენტის სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის საქმისადმი მათ საერთო ერთგულებას".**

მაგრამ თუკი მათ არ სურთ ევროკავშირთან დაახლოება? თუკი თქვენ აღმოსავლელი მმართველი ხართ, ევროპასთან დაახლოება შეიძლება ის ტროას ცხენი გახდეს, რომელიც თქვენს ხელისუფლებას შიგნიდან გაანადგურებს, ხოლო თუ თქვენი მთავარი პრიორიტეტი ხელისუფლების შენარჩუნებაა, მაშინ რატომ უნდა დაანგრიოთ იგი ევროპული დემოკრატიის ანგარიშვალდებულებითა და ეკონომიკური ინტეგრაციით?

**ევროკავშირის გაფართოვების პროცესი დამუხრუჭდა. დღეს ბევრი ამბობს, რომ ბულგარეთისა და რუმინეთის მიღებაზე აჩქარდნენ.**

სავარაუდოდ, ხორვატია შეძლებს ამ ზღვარის გადალახვას და ბლოკში გაწევრიანდება, მაგრამ ყველა დანარჩენს საკუთარი ღირსებების დამტკიცება იმაზე აქტიურად მოუწევს, ვიდრე ამას რამდენიმე წლის წინათ აკეთებდა.

**თომას დე ვაალი**
**The National Interest**



## ლიბიაში ინტერვენცია — ნატოს დასასრული?

**ჩვენ, დასავლელ ჟურნალისტებს, ხომ გვიყვარს უცხოელი დიქტატორების დაცინვა, რომლებიც ჩვენით მანიპულირებას ცდილობენ. მაგრამ რამდენად ხშირად ვამჩნევთ უფრო დახვეწილ ტყუილებს, საკუთარი ლიდერებისგან რომ გვესმის? როდესაც დასავლელი ლიდერები ლიბიის კამპანიას „ნატოს ოპერაციას" უწოდებენ, სულ ცოტა, ნახევარ სიმართლეს ამბობენ.**




ეს, ამაზე დაფიქრდით: ნატოს ამ ოპერაციასთან დაკავშირებით არანაირი დისკუსია არ გაუმართავს; არ ყოფილა არც დებატები, არც კენჭისყრა, არც ერთობლივი დაგეგმვა. ფორმალურად, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა საბრძოლო მოქმედებები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაიწყოს, თუ ალიანსის წევრსახელმწიფოს ვინმე თავს დაესხმება. ლიბიაში არანაირი თავდასხმა არ ყოფილა, არ არსებობს საერთო მტერი, ახლა კი — ერთსულოვნებაც გაქრა. **ნატოს ორი ძალიან მნიშვნელოვანი წევრი, გერმანია და თურქეთი, დაუფარავად ეწინააღმდეგება ლიბიის მისიას და უარს ამბობს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობაზე.**

ბევრმა უფრო პატარა წევრმა ქვეყანამ კულუარებში უკმაყოფილება გამოთქვა და უარი განაცხადა ოპერაციაში რაიმე მნიშვნელოვანი წვლილის შეტანაზე. ისინი მხოლოდ რამდენიმე კონსერვის გაგზავნით შემოიფარგლნენ. **ნატოს გენერალური მდივანი ბოლო დღეებში მეორეხარისხოვან ევროპულ დედაქალაქებში მოგზაურობს და თვითმფრინავებს ითხოვს, რაზეც უკვე არაერთხელ მიიღო უარი.**

ისინიც კი, ვინც მისიას მხარს უჭერს, აქტიურობით არ გამოირჩევიან. შვედეთის პარლამენტმა დიდი ზარზეიმით მიიღო უცხოეთში შვედური თვითმფრინავების გაგზავნის გადაწყვეტილება – პირველად ბოლო 40 წლის მანძილზე. თუმცა შვედ მფრინავებს მხოლოდ არასაფრენი ზონის უზრუნველყოფის უფლება მისცეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ ლიბიის სამთავრობო ძალების თვითმფრინავების ჩამოგდება, მაგრამ არ შეუძლიათ ხმელეთის სამიზნეების დაბომბვა. ხოლო იმის გამო, რომ მთავრობის შეიარაღებულ ძალებს თვითმფრინავები აღარ დარჩათ, შვედებს დიდი გარჯა აღარც უწევთ.

**ბევრს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამერიკელი სამხედროები საერთოდ არ არიან ნატოს წევრები. საკმაოდ უცნაური და არაბუნებრივია ამერიკელი ხელმძღვანელების ბოლოდროინდელი განცხადებები, რადგან ისინი ალიანსზე, როგორც უცხოზე, ისე საუბრობენ**

მსგავსი შეზღუდვების პირობებში მოქმედებენ ჰოლანდიელი მფრინავებიც. ნორვეგიელ პილოტებს მხოლოდ ავიაბაზების დაბომბვის უფლება მისცეს. იტალიის სამხედრო ავიაციამ 100-ზე მეტი ფრენა განახორციელა, მაგრამ ჯერ არც ერთი ბომბი არ ჩამოუგდია. კანადელები ოდნავ მეტს აკეთებენ, მაგრამ კანადელი პოლიტიკოსები მთელი ძალით ცდილობენ, როგორმე თავი აარიდონ ამ თემაზე ზედმეტ საუბარს.

**რაც შეეხება შეერთებულ შტატებს, ბევრს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამერიკელი სამხედროები საერთოდ არ არიან ნატოს წევრები. საკმაოდ უცნაური და არაბუნებრივია ამერიკელი ხელმძღვანელების ბოლოდროინდელი განცხადებები, რადგან ისინი ალიანსზე, როგორც უცხოზე, ისე საუბრობენ.** ამერიკის პრეზიდენტმა საკმაოდ გასაგებად აგრძნობინა ყველას, რომ ლიბიაში ოპერაციას ახლა ნატო უხელმძღვანელებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკელი სამხედროები ოპერაციაში მონაწილეობას ემიჯნებიან. რამდენიმე დღის წინათ ამერიკულმა თვითმფრინავებმა ფრენა შეწყვიტეს. ეს რაღაც არაორდინარულია, რადგან ბოლო დრომდე ადამიანების უმრავლესობას ნატო იმ ალიანსად მიაჩნდა, რომელსაც აშშ ხელმძღვანელობდა.

**სინამდვილეში ლიბიის ექსპედიცია ინგლისურ-ფრანგული პროექტია და თავიდანვე ასე იყო. მაგრამ არც ბრიტანეთს და არც საფრანგეთს ამ ოპერაციაზე პასუხისმგებლობის აღება არ სურს და ვერც ერთი მეორის იმედზე ვერ არის.**

ევროპას საგარეო პოლიტიკაც არ აქვს: დიპლომატიური ძალისხმევის, დებატებისა და წევრ-ქვეყნებში დაუსრულებელი რეფერენდუმების წლები რამდენიმე წლის წინათ ორი უხელისუფლო, ნომინალური ხელმძღვანელის არჩევით დასრულდა, რომელთაგან ერთი ევროკავშირის „პრეზიდენტი", მეორე კი მისი „საგარეო საქმეთა მინისტრი" გახდა. ერთიანი ევროპული არმიის შექმნის მცდელობა რამდენიმე სუფთა სიმბოლურ ჟესტს ვერ გასცდა. თუკი ბრიტანეთსა და საფრანგეთს თვითმფრინავები, საწვავი, ფული და ენთუზიაზმი შემოელია, კარგად იყავით! ყველაფერი კი ნატოს დაბრალდება, რომელსაც, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ არ დაუგეგმავს, არ მოუმზადებია და კენჭისყრაც კი არ ჩაუტარებია ლიბიის ოპერაციასთან დაკავშირებით. ლიბიაში ამ ორგანიზაციის სახელის გამოყენება მხოლოდ ფიქციაა. მაგრამ ნატოს რეპუტაციის შესუსტება შეიძლება შემაშფოთებლად რეალური აღმოჩნდეს.

**ენ აპელბაუმი**
**The Washington Post**

არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



## უკრაინა ნატოს ემშვიდობება

**„Коммерсант-Украина"-ს ცნობით, უკრაინის ახალ სამხედრო დოქტრინაში, რომელიც ქვეყნის მთავრობამ გასულ კვირას განიხილა, ჩაიწერა, რომ ქვეყანა სამხედრო ბლოკებში გაწევრიანებაზე უარს ამბობს.** ეს დოკუმენტი საფუძვლად დაედება შეიარაღებული ძალების რეფორმირების სტრატეგიას, რომელსაც უკრაინის ხელისუფლება უახლოეს მომავალში დაამტკიცებს.



მოკლედ

## პირველად ომის შემდეგ




პირველად 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოს სანაპირო დაცვის კატარღა „სოხუმი", რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ხომალდებთან ერთად, მონაწილეობდა სევასტოპოლში „BLACKSEAFOR"-ის ეგიდით გამართულ წვრთნებში. წვრთნებში, აგრეთვე, მონაწილეობდა თურქეთის, უკრაინის, რუმინეთისა და ბულგარეთის ხომალდები.

## დსთ-ს ძალა ერთობაშია



**ასტრახანში რუსეთის, ყაზახეთისა და ბელარუსის საჰაერო თავდაცვის და საჰაერო ძალების ერთობლივი წვრთნები დასრულდა.** მასში ჩართული იყო 40-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავი და ვერტმფრენი, მათ შორის „Су-24М", „Су-25СМ", „Су-27", „Ту-22М3" და „МиГ-29", აგრეთვე, „С-300"-ის ოთხი დივიზიონი და კომპლექსები „Панцирь-С". მფრინავებმა მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის გარღვევისა და მისი ჩახშობის, ხოლო მეზენიტეებმა სარაკეტო იერიშის მოგერიების მეთოდები დახვეწეს.

## მოსინის შაშხანა 120 წლისაა



**120 წლის წინათ, 1891 წლის 16 აპრილს, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე III-მ კაპიტან სერგეი მოსინის მიერ შექმნილი შაშხანის ნიმუში დაამტკიცა.** ეს ლეგენდარული შაშხანა გახდა რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის არმიების ძირითადი იარაღი ორივე მსოფლიო ომში და XX საუკუნის პირველ ნახევარში მომხდარ ყველა სამხედრო კონფლიქტში.

## კოალიციას თვითმფრინავები არ ჰყოფნის



**ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა აღიარა, რომ ალიანსს ლიბიაში ოპერაციის წარმატებული განხორციელებისთვის მეტი მოიერიშე თვითმფრინავი სჭირდება.** მას შემდეგ, რაც აშშ-მა ოპერაციიდან 50-მდე მოიერიშე გაიყვანა, ხოლო იტალიამ, ესპანეთმა, ნიდერლანდებმა და შვედეთმა გადაწყვიტეს მხოლოდ საჰაერო პატრულირებით შემოფარგლულიყვნენ, ნატოს შესაძლობები (კადაფის ძალების წინააღმდეგ ეფექტური იერიშები განახორციელოს) მკვეთრად შემცირდა.

# ჩინეთის სპეცრაზმები — მითი და რეალობა

**ბოლო დროს მხატვრულ ფილმებსა და კომპიუტერულ თამაშებში სულ უფრო ხშირად გვხვდებიან ჩინელი სპეცრაზმელები, რომლებიც ვირტუალურ რეალობაში მომზადების მაღალი დონით გამოირჩევიან და შესანიშნავი აღჭურვილობა აქვთ. სინამდვილეში კი ყველაფერი სხვაგვარადაა — ჩინეთის სპეციალური დანიშნულების ძალები არადამაჯერებლად გამოიყურება არა მხოლოდ ორი ბირთვული ზესახელმწიფოს, არამედ ბევრი სხვა, გაცილებით სუსტი ქვეყნის შესაბამისი ქვედანაყოფების ფონზე. ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს.**



1988 წლამდე ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას სპეციალური დანიშნულების ძალები საერთოდ არ ჰყოლია. მათი ფუნქციების ნაწილს სადაზვერვო ქვედანაყოფები ასრულებდა, რომლებიც თავისი აღჭურვილობითა და საორგანიზაციო სტრუქტურით ქვეითთა ჩვეულებრივი შენაერთებისგან დიდად არ განსხვავდებოდა. შესაბამისად, მათი შესაძლებლობები სხვა ქვეყნების სპეციალური დანიშნულების ძალებთან შედარებით არც ისე დიდი იყო. **1979 წლის ომმა ვიეტნამთან აჩვენა, რომ ჩინელების მრავალრიცხოვანი სახმელეთო შენაერთები შეიძლება საკმაო დროის განმავლობაში არ წააწყდეს ღია, სიმეტრიულ წინააღმდეგობას, თუმცა ამ დროს მოწინააღმდეგის დივერსიულმა ჯგუფებმა მათ შეიძლება სერიოზული ზარალი მიაყენოს.**

**ვიეტნამის „სპეციალური ოპერაციების ძალებმა" ჩინელებს ფრიად დასამახსოვრებელი გაკვეთილი ჩაუტარა.**

გარკვეული დრო მიღებული გამოცდილების გაანალიზებას დასჭირდა, 1988 წლიდან კი ჩინეთში სადაზვერვო ქვედანაყოფების ბაზაზე სპეციალური დანიშნულების ძალების ფორმირება დაიწყო.

დღეს ჩინეთის სახმელეთო ჯარებში სპეციალური ოპერაციების შვიდი ჯგუფია („Da-Dui"). თითოეულში 1000-მდე სამხედრო ირიცხება. ის 3 ბატალიონად იყოფა. სპეციალური დაზვერვა პრიორიტეტულია, მიუხედავად იმისა, რომ ამით ასევე დაკავებულია 18 ცალკეული ბატალიონი, რომლებიც არმიათა ჯგუფების სარდლობას ექვემდებარება, აგრეთვე, თითოეული დივიზიის შემადგენლობაში შედის სპეციალური დაზვერვის ასეული (120 სამხედრო), ხოლო თითოეული პოლკის შემადგენლობაში — სპეციალური დაზვერვის ოცეული (30-40 სამხედრო). ამ საკითხის მიმართ ესოდენ დიდი ყურადღების დათმობას ჩინეთის სამხედრო ტრადიციები განაპირობებს. ამასთანავე, სპეციალური დანიშნულების ძალების პრიორიტეტულ ამოცანებში შედის პირდაპირი მოქმედება მოწინააღმდეგის ზურგში (რეიდები მნიშვნელოვან ობიექტებზე, დივერსიები და ა.შ.), სადაზვერვო საქმიანობა და კონტრ-ტერორისტული ოპერაციები.

**სპეცრაზმელების მომზადების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ფიზიკურ მომზადებას ენიჭება, რის შესაძლებლობაც, ჩინეთის მდიდარი ტრადიციებიდან გამომდინარე, ნამდვილად არსებობს. რაც შეეხება შეიარაღებას, ის, მართალია, უკეთესია, ვიდრე ქვეითთა „ჩვეულებრივ" ქვედანაყოფებში, მაგრამ ბოლომდე ადეკვატური მაინც არ ჩანს:** სტანდარტული ავტომატი „Type 95, სნაიპერული შაშხანა „Type 82, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი „Type 64 და „Type 79, პისტოლეტი „Type 92. ეს იარაღი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება უცხოურ ანალოგებს, რომელთა ნაწილს ხშირად საგანგებოდ სპეცრაზმელებისთვის ქმნიან. ცხადია, ჩინელი „სპეცები" მასთან მოპყრობასაც სწავლობენ, მაგრამ ქვეყნის ხელისუფლებას, რომელსაც სრული შესაძლებლობა აქვს, საუკეთესო ნიმუშები შეიძინოს, ამას არ აკეთებს. იგივე შეიძლება ითქვას ჯავშანჟილეტებზე, რადიოსადგურებზე,

## საკუთარ სამხედრო მრეწველობაზე ორიენტაცია ჩინელ სპეცრაზმელებს ადეკვატური იარაღის გარეშე ტოვებს

სანავიგაციო აჭურვილობაზე, მსუბუქ ტექნიკაზე და ა.შ. **ორიენტაცია საკუთარი სამხედრო მრეწველობის პროდუქციაზე, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, თუმცა დღესდღეობით ის ჩინელ სპეცრაზმელებს ადეკვატური იარაღის გარეშე ტოვებს.**

ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სპეციალური დანიშნულების ძალები ჩამოყალიბების სტადიაშია. სამხრეთის ფლოტის საზღვაო ქვეითთა დივიზიის შემადგენლობაში ჯერ ცალკეული ასეული შეიქმნა, შემდეგ კი (დაუზუსტებელი ინფორმაციით) მის ბაზაზე — 250-კაციანი რაზმი. ის გუანდუნის პროვინციაში დივიზიის სხვა ქვედანაყოფებისგან ხუთიოდე კილომეტრის დაშორებითაა დისლოცირებული. ასეულში შედის შტაბი და ორი ოცეული (თითოეულში — 30 სამხედრო), ამასთანავე, — 40 საბრძოლო მყვინთავი. მათი ძირითადი ამოცანაა რადიოფოტოდაზვერვა, დივერსიები ხომალდებისა და სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის ობიექტების წინააღმდეგ. ამ ძალებს შეუძლია, მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ერთდროულად 12-18 სადაზვერვო-დივერსიული 4-6-კაციანი ჯგუფი გადაისროლოს (მათ შორის — ზემცირე სუბმარინების მეშვეობით), რომლებიც 10 დღის განმავლობაში სანაპირო ზოლიდან 30-40 კილომეტრის რადიუსში მოქმედებას შეძლებენ.

ამ სპეცრაზმელების მომზადებაში 18 დისციპლინა შედის. საცეცხლე მომზადებისას მთავარი აქცენტი ინდივიდუალურ მომზადებაზე კეთდება. საბრძოლო მყვინთავის უნარჩვევების დაუფლებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საჰაერო დესანტირებას, მათ შორის — რთულ პირობებში (მცირე სიმაღლეებიდან, ცუდი ხილვადობისა და ამინდის პირობებში).

საზღვაო სპეცრაზმელების შეიარაღებაზე, ძირითადად, ჩინეთში კლონირებული უცხოური იარაღია, მათ შორის კალაშნიკოვის სხვადასხვა მოდიფიკაციის ავტომატები, პისტოლეტები „Beretta", „Colt", პისტოლეტი-ტყვიამფრქვევი „Uzi". გასული საუკუნის 70-იან წლებში ეს არსენალი საკმაოდ შთამბეჭდავი იქნებოდა, თუმცა დღეს ერთობ მოძველებული ჩანს.

**დღესდღეობით ჩინეთის სპეციალური დანიშნულების ძალები პირველ ნაბიჯებს დგამენ. მართალია, მათ საბრძოლო ამოცანების მთელი სპექტრის შესრულება ძალუძთ, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს ბევრ უცხოელ კოლეგაზე ეფექტურად გააკეთონ, რადგან მათ არც გამოცდილება და არც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აღჭურვილობა გააჩნიათ. ჩინელმა სპეცრაზმელებმა პროფესიული ოსტატობის მწვერვალებამდე გრძელი გზა უნდა გაიარონ. მათ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ აქვთ.**







იოზეფ ჰებელსმა დანაკარგების მინიმიზაციისთვის ბერლინის ცენტრში ხიდების აფეთქება პროფესიონალი ინჟინერ-ამფეთქებლების ორგანიზაციას დაავალა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათი ასაფეთქებელი ნივთიერებები ბერლინიდან უკვე ევაკუირებულია. ვიდრე მათ ეძებდნენ, ქალაქში საბჭოთა ჯარი შეიჭრა.

არსენალი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# საბჭოთა მოიერიშე ჯგუფები ბერლინში

**ახლოვდება 9 მაისი და ჩვენი რუბრიკის რამდენიმე წერილს მეორე მსოფლიო ომის სამხედრო გამოცდილების ანალიზს დავუთმობთ, მითუმეტეს, რომ აქტუალობა მას დღემდე არ დაუკაგავს. ამ წერილის თემაა მოიერიშე ჯგუფების ქალაქებში მოქმედება. მას ბერლინის შტურმის მაგალითზე განვიხილავთ.**




## მოიერიშე ჯგუფები იქცა შეუჩერებელ მექანიზმად, რომელმაც ათიოდე დღეში ბერლინის დაცვას გადაუარა

2,5 თვის განმავლობაში, როდესაც ფრონტის ხაზი მდინარე ოდერზე, ბერლინიდან 70 კილომეტრში გადიოდა, გერმანელებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ქალაქის დაცვისთვის მაქსიმალურად მომზადებულიყვნენ. მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმია გერმანიას მიუახლოვდა, რაიხის ხელმძღვანელობა საკვანძო ქალაქების „Festung"-ებად (ციხესიმაგრეებად) გადაქცევის პროგრამის განხორციელებას შეუდგა. გერმანული ქალაქების ისტორიული ცენტრები ვიწრო ქუჩების აბლაბუდით და მყარი შენობები მსხვილი კედლებით ამისთვის კარგ წინაპირობებს ქმნიდა.

**ბარიკადების სიმაღლე ბერლინში, როგორც წესი, 2-2,5 მეტრს, ხოლო სისქე 2-2,2 მეტრს აღწევდა; მათ ქვისგან, რელსებისა და რკინისაგან ამზადებდნენ. მართალია, ეს არ იყო ისეთი უზარმაზარი, ბეტონისგან ჩამოსხმული ბარიკადები, რომლებიც საბჭოთა ჯარებს ბრესლაუში (თანამედროვე ვროცლავი) დახვდა, მაგრამ 76-122 მმ. ქვემეხების ჭურვებს უძლებდა. ეს ბარიკადები კეტავდა საკვანძო ქუჩებს და ხიდების მისადგომებს. მათი დაცვისთვის, აგრეთვე, გამოიყენებოდა ტანკები (10 „Panther"-ი და 12 „Pz.IV"), რომელთაც გადაადგილება არ შეეძლო.**

ხიდებთან დაკავშირებით მოხდა ისეთი რამ, რამაც საბჭოთა არმიას ბერლინის ცენტრისკენ გარღვევა გაუიოლა. სამხედროები, როგორც წესი, ხიდებს ისე აფეთქებენ, რომ მათ გარშემო საკმაოდ დიდ რადიუსში ქვა-ქვაზე არ რჩება. ამიტომ **იოზეფ ჰებელსმა დანაკარგების მინიმიზაციისთვის ბერლინის ცენტრში ხიდების აფეთქება პროფესიონალი ინჟინერ-ამფეთქებლების ორგანიზაციას დაავალა, თუმცა აღმოჩნდა, რომ მათი ასაფეთქებელი ნივთიერებები ბერლინიდან უკვე ევაკუირებულია. ვიდრე მათ ეძებდნენ, ქალაქში საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ.** ვერმახტმა ააფეთქა გარეუბნებში მდებარე ხიდები, თუმცა ცენტრში ისინი ხელუხლებელი დარჩა. არადა, მათი აფეთქება მდინარე შპრეეს ფორსირებას მეტად გაართულებდა, რადგან მისი ნაპირები ცენტრში გრანიტშია ჩასმული.

**მთავარი პრობლემა გენერალ ვეიდლინგისთვის, რომელიც ბერლინის დაცვას ხელმძღვანელობდა, ჯარისკაცებისა და ტექნიკის ნაკლებობა იყო. მას შტურმის დაწყების მომენტში, სხვადასხვა შეფასებებით, 100-120 ათასი ჯარისკაცი და 50-60 ტანკი ჰყავდა, რაც უზარმაზარ ქალაქში თითოეული შენობის ციხესიმაგრედ გადაქცევისთვის აშკარად არასაკმარისი იყო. ამიტომ იძულებული გახდა, მხოლოდ თავდაცვითი რაიონების პერიმეტრი, ხოლო მათ შიგნით ცალკეული შენობები და საყრდენი პუნქტები დაეცვა.**

განვიხილოთ საბჭოთა ჯარების მოქმედება ქვეითთა ბატალიონთან მიმართებაში: თითოეული ბატალიონის ბაზაზე იქმნებოდა ორი მოიერიშე ჯგუფი, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა მსროლელთა ერთი ასეული, ოთხი 76 მმ. ქვემეხი, ერთი 122 მმ. ქვემეხი ან ჰაუბიცა, 2 ტანკი ან თვითმავალი საარტილერიო დანადგარი „Су-122", მესანგრეთა ოცეული, 82 მმ. ნაღმსატყორცნების ოცეული, მძიმე ტყვიამფრქვევების ოცეული, აგრეთვე, ათეული ცეცხლსატყორცნებით. ბატალიონის მესამე ასეული რეზერვში რჩებოდა.

თავის მხრივ, მოიერიშე ჯგუფი ხუთ ქვეჯგუფად იყოფოდა: ორი მოიერიშე ქვეჯგუფი (20-25 მსროლელი და მესანგრეთა ათეული), „შენარჩუნების" ქვეჯგუფი (8-10 მსროლელი, 1-2 ქვემეხი, მეტყვიამფრქვევეთა ათეული და მესანგრეთა მეორე ათეული), საცეცხლე მხარდაჭერის ქვეჯგუფი (ტანკები და დანარჩენი ქვემეხები) და სარეზერვო ქვეჯგუფი (10-15 მსროლელი, 1 ქვემეხი, მეტყვიამფრქვევეთა ათეული, ცეცხლსატყორცნები).

ცხადია, სიტუაციიდან გამომდინარე, ქვეჯგუფების კონფიგურაცია შეიძლებოდა შეცვლილიყო. ჩვენ ვხედავთ, რომ მოიერიშე ჯგუფი, პრინციპში, სხვა არაფერია, თუ არა სხვადასხვა საშუალებებით გაძლიერებული ქვეითთა ასეული. მაგრამ, ვინაიდან ქალაქის ბრძოლის პირობებში მის მეთაურს, როგორც წესი, არ აქვს საშუალება, ბატალიონის მეთაურს მხარდაჭერისთვის დროულად მიმართოს, ხოლო ამ უკანასკნელს — სიტუაციაში გაერკვეს, დამატებითი საშუალებები ასეულის მეთაურის უშუალო განკარგულებაში გადადის.

**სქემატურად პოლკის გადაადგილება ბერლინში შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: წინ, როგორც წესი, პარალელური ქუჩებით, ორი ბატალიონი მიიწევს (300-400 მეტრის ფრონტზე თითოეული), ხოლო კიდევ ერთი ბატალიონი, უკან, მეორე ეშელონშია. თავის მხრივ, ბატალიონის პირველ ეშელონში ორი მოიერიშე ჯგუფია, უკან კი, 300-400 მეტრის დაშორებით, — ბატალიონის მესამე ასეული. ის ბრძოლაში მაშინ ერთვება, როდესაც პირველი ეშელონის ძალები იფიტება.**

მას შემდეგ, რაც ბატალიონი მოწინააღმდეგის პოზიციებს უახლოვდება, იწყება საცეცხლე მომზადება. მსუბუქი არტილერია ესვრის საცეცხლე წერტილებს შენობის სიახლოვეს და ქვედა სართულების ფანჯრებს; მძიმე არტილერია — ქვედა სართულების კედლებს; ტანკები და თვითმავალი საარტილერიო დანადგარები — ზედა სართულებს, რათა აიძულოს მოწინააღმდეგე, ქვედა სართულებზე ჩამოვიდეს; ნაღმსატყორცნები ესვრის შენობის სახურავს და მის მისადგომებს.

ჯერ კიდევ საცეცხლე მომზადების დასრულებამდე, მესანგრეები წინ მიიწევენ, ანადგურებენ ბარიკადებს, სხვადასხვა წინაღობებს, ხსნიან ნაღმებს შენობის მისადგომებთან, ბოლოს კი შენობის კედელს აფეთქებენ. ამის შემდეგ შენობას პირველი მოიერიშე ქვეჯგუფი უტევს, მეორე კი ცდილობს, შენობას მოუაროს და ფლანგიდან ან ზურგიდან შეუტიოს, აგრეთვე, გამორიცხოს მოწინააღმდეგის ძალების შევსება, გარღვევა და ა.შ. როდესაც პირველი მოიერიშე ქვეჯგუფი ქვედა სართულს იკავებს და ზევით მიიწევს, შენობის პირველ სართულზე „შენარჩუნების" ჯგუფი შედის და დაუყოვნებლივ იწყებს შენობის მომზადებას თავდაცვისთვის, რათა გაანეიტრალოს მოწინააღმდეგის მცდელობა — კონტრშეტევით პირვანდელი მდგომარეობა აღადგინოს.

შენობის (ან უბნის) დაკავების შემდეგ ბატალიონის მეთაური ორგანიზებას უწევს მის დაცვას; ახდენს დაჭრილთა და დაღუპულთა ევაკუაციას, რეზერვიდან ავსებს მოიერიშე ჯგუფების პირად შემადგენლობას; წყვეტს ტყვია-წამლისა და სურსათის მოწოდებასთან დაკავშირებულ საკითხებს; ორგანიზებას უწევს დაზვერვას; ჯარისკაცებს დასვენების შესაძლებლობას აძლევს და იღებს გადაწყვეტილებას შემდეგი შენობის (უბნის) შტურმის შესახებ.

ასეთი შემადგენლობის მოიერიშე ჯგუფები იქცა შეუჩერებელ მექანიზმად, ათიოდე დღეში ბერლინის დაცვას რომ გადაუარა.

**მართალია, სამხედრო ევოლუციამ დღევანდელი „იდეალური მოიერიშე ჯგუფის" შემადგენლობასა და მოქმედების პრინციპებში გარკვეული ცვლილებები შეიტანა, მაგრამ ბევრი პოსტულატი უცვლელი დარჩა. რაც მთავარია, მეთაური ვალდებულია, მის დაქვემდებარებაში მყოფი ყველა ქვედანაყოფის შეთანხმებული, ეფექტური ურთიერთმოქმედება უზრუნველყოს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტანკები დარჩება ქვეითთა მხარდაჭერის გარეშე, ხოლო ქვეითები — საცეცხლე მხარდაჭერის გარეშე, დაქსაქსული რაზმები კი იზოლირებულ და ალყაშემორტყმულ შენობებში ჩარჩებიან. მოკლედ, მოხდება ყველა ის უბედურება, რომელიც 2008 წლის აგვისტოში თავს გადაგვხდა ცხინვალში.**



## გაფიქსირებული

**დიმიტრი მედვედევი,**
**რფ-ის პრეზიდენტი:**



როდესაც მესმის, რომ ლიბიასთან დაკავშირებული რეზოლუცია ცუდია, ეს არასწორია. რეზოლუცია აბსოლუტურად ნორმალურია. მაგრამ რეზოლუციები უნდა შესრულდეს და არ უნდა იყოს მცდელობები იმ მანდატის გადაჭარბებისა, რომელიც ამ რეზოლუციებშია ჩადებული. ეს საერთაშორისო ურთიერთობებში ძალზე სახიფათო ტენდენციაა.

*utro.ru*

**ვლადიმერ პუტინი,**
**რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**



არც მე და არც დიმიტრი მედვედევი არ გამოვრიცხავთ, რომ მონაწილეობას მივიღებთ არჩევნებში. არჩევნებში ჩვენი მონაწილეობა დამოკიდებული იქნება არჩევნების დროს რუსეთში არსებულ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სიტუაციაზე.

*rbcdaily.ru*

**რეჯეპ ტაიპ ერდოღანი,**
**თურქეთის პრემიერ-მინისტრი:**



სომხეთის ინტერესებმა არ უნდა შებღალოს თურქეთის ძმის — აზერბაიჯანის უფლებები. თურქეთ-სომხეთის პროტოკოლის რეალიზაციის უმთავრესი პუნქტი სომხეთის მიერ ოკუპირებული აზერბაიჯანის მიწის გათავისუფლებაა. როგორც კი სომხური მხარე პირობებს შეასრულებს, თურქეთი დაუყოვნებლივ გახსნის საზღვარს სომხეთთან.

*day.az*

**სერჟ სარქსიანი,**
**სომხეთის პრეზიდენტი:**



სომხეთი არასდროს დათანხმდება თურქეთის არც ერთ პირობას. ჩვენი სურვილი იყო და ახლაც არის, თურქეთთან ურთიერთობა წინასწარი პირობების გარეშე დავამყაროთ, მაგრამ სომხეთი მზად არაა და არასდროს მიიღებს თურქეთის მხრიდან არც ერთ წინაპირობას.

*rosbalt.ru*

**ანდერს ფოგ რასმუსენი,**
**ნატოს გენერალური მდივანი:**



ნატო ლიბიის ოპოზიციას მუამარ კადაფის არმიასთან საბრძოლველად ყველა აუცილებელი საშუალებით უზრუნველყოფს. ალიანსი მანამდე განაგრძობს სამუშაოს შესრულებას, ვიდრე ლიბიის რეჟიმი განაგრძობს საკუთარ ხალხზე თავდასხმებს.

*radiomayak.ru*

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**გლობალისტების წინააღმდეგობა თეორიულ სფეროს სცდება. ფაქტია, რომ 2009 წელს ტაილანდში ამზადებდნენ კარგად ორგანიზებულ „წითელი პერანგების ფერად რევოლუციას“. „წითელპერანგიანთა“ ლიდერი ექსპრემიერი თაქსინ ჩინავათი იყო — CARLYBE CROUP-ის ყოფილი კონსულტანტი, ხოლო მისი ბიზნესპარტნიორები ბრძანდებიან სხვადასხვა ამერიკული ფირმების გავლენიანი პირები, მათ შორის, აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი.**

# გლობალისტების უარესი კოშმარი




**Mixednews-josser-ის პუბლიკაციის მოკლე შესავალში ნათქვამია, რომ საუკეთესო შემთხვევაში, რაც ქუჩის აქციებისა და პროტესტებისგან შეიძლება გამოდნეს, არის „მუსიკის თანხლებით პოლიტიკური სცენის მიღმა მდგარი სკამების გარშემო სირბილი, რასაც შეიძლება მოჰყვეს უმნიშვნელო დათმობები ხალხის სასარგებლოდ. ხოლო ვექტორების ჯამი, რაც გინდა მოხდეს, სასარგებლო იქნება გლობალური კორპორაციულ-ფინანსური ოლიგარქიისთვის“.**



ფუნდამენტური პრობლემა, რომელიც არა მარტო ამერიკის, არამედ მთელი მსოფლიოს წინაშე დგას, სწორედ ეს ოლიგარქიაა. ამიტომ **„უნდა გავაცნობიეროთ, რომ მთელი ჩვენი აქტივობა მიმართული უნდა იყოს უპირატესად კორპორაციულ-ფინანსური ოლიგარქიის წინააღმდეგ, ვიდრე მთავრობათა წინააღმდეგ, რომლებიც მათ აირჩიეს და დანიშნეს ბუფერული როლის შესასრულებლად ჩვენსა და მათ შორის“.**

დგება საკითხი, როგორ ფუნქციონირებს სინამდვილეში ხელისუფლება და როგორ წავართვათ იგი ოლიგარქებს.

ერთი ხანია, ამ გლობალური ოლიგარქიული იმპერიის გავრცელება გაცილებით უკიდურესი და უაზრო ფორმებით ხდება, ეგვიპტისა და ტუნისის ინიცირებული რევოლუციების, ლიბიის შემთხვევაში შეიარაღებული აჯანების და ჰორიზონტზე უცხოური სამხედრო ინტერვენციის აჩრდილის გამოჩენის სახითაც კი. გლობალისტური სახელმწიფო გადატრიალებები უწინაც ხდებოდა, მაგალითად, ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს მსოფლიო სავალუტო ფონდის „ფინანსური კრახისა“ და „რესტრუქტურიზაციის“ მოტივით.

**ბევრი სახელმწიფო დაეცა მსოფლიო სავალუტო ფონდის ვალებში გახლართული და იმ „რეფორმების“ წყალობით, რომლებიც კეთილხმოვანი „ეკონომიკური ლიბერალიზაციის“ ჭრელაჭრულებში შეფუთული ნეოკოლონიალიზმის სახით წარმოგვიდგა.**

თუ გავერკვევით ამ „გარდაქმნის“ მექანიზმში, ნეოკოლონიალიზმის ჭეშმარიტი არსის გაგებასაც შევძლებთ.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ტაილანდი აღმოჩნდა ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ევროპული კოლონიზაციის უღელი არ დაიდგა.

XIX საუკუნეში ეს ქვეყანა, რომელიც მაშინ სიამის სამეფოდ იწოდებოდა და გარშემორტყმული იყო კოლონიზებული ქვეყნებით, იძულებული გახდა, 1855 წელს დიდ ბრიტანეთთან ბოურინგის ხელშეკრულება დაედო.

უფრო ახალი მაგალითი კი ერაყის დაუფარავი დაპყრობა და **პოლ ბრემერის** ეკონომიკური რეფორმებია. ჟურნალი Economist-ი ჩამოთვლის ერაყის „ეკონომიკური ლიბერალიზაციის“ ნეოკოლონიურ ზომებს სტატიაში, რომლის სათაურია **„ყველაფერი გასაყიდადაა გამოტანილი. თუ გამოვიდა, ერაყი კაპიტალისტის ოცნებად იქცევა“:**

**1. ერაყის აქტივების ასპროცენტიანი პრივატიზაცია;**

**2. მოგების სრულად გატანა ქვეყნიდან;**

**3. ადგილობრივ ფირმებთან თანაბარი სამართლებრივი უფლებები;**

**4. უცხოური ბანკებისთვის ადგილობრივ ბაზარზე ოპერაციების განხორციელების უფლების მიცემა ან ადგილობრივ ბანკებში მონაწილეობა;**

**5. 15-პროცენტიანი განაკვეთით საშემოსავლო გადასახადებისა და საწარმოთა საქმიანობის შეზღუდვა;**

**6. საბაჟო გადასახადის ერთიან ხუთპროცენტიან განაკვეთამდე შემცირება.**

(კარგი იქნება, თუ „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველი ამ მასალის კითხვისას პარალელს გაავლებს საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან; გაიხსენებს, როგორი აპლომბით, როგორც ახალ ლიანდაგებზე ჩვენი ეკონომიკისა და ფინანსების შედგომას, როგორ უტყუარ და ერთადერთ გამართლებულ პოლიტიკად წარმოგვიდგენდნენ სწორედ ამ „სიახლეების“ დანერგვას — ასპროცენტიანი პრივატიზაცია, მოგების გატანა ქვეყნიდან, უცხოური ფირმების, ბანკების ჩვენთან დამკვიდრება და ა.შ.). მაგრამ სერიოზული მეცნიერული კვლევების შედეგებს თუ ვენდობით, დავინახავთ, რომ ეს ყველაფერი საქართველოს ახალ კოლონიურ ქვეყნად გადაქცევას ემსახურება!

**საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომლის კულტი სალოცავად გაიხადა საქართველოს ხელისუფლებამ, წარმოგვიდგება როგორც ნეოკოლონიალიზმის დანერგვის ერთ-ერთი უმთავრესი სტრუქტურა თუ მექანიზმი თანამედროვე მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის, — საქართველოში.**

ტაილანდის მაგალითი, რომელიც განიხილება მოცემულ ანალიტიკურ წერილში, ჭკუის სასწავლებელი და გასათვალისწინებელია).

ცოტა ვინმე თუ დაიწყებს კამათს იმაზე, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მთელი მსოფლიოს ხალხებისთვის თავსმოხვეული ღონისძიებანი, ოთხმოცდაათიანი წლების ფინანსური კრახის დაძლევის მიზნით, რაიმეთი განსხვავდება როგორც ძველი, ისე ახალი ეკონომიკური კოლონიალიზმისგან. საერთაშორისო სავალუტო ფონდი თავად გამოსცემს მოხსენებებს ეკონომიკური ლიბერალიზაციის მოთხოვნის აუცილებლობის შესახებ.



უეჭველია, რომ მთავრობები, რომლებიც ხელისუფლებაში მოდიან ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების ტალღაზე, ამგვარი ეკონომიკური ლიბერალიზაციის ერთგულები იქნებიან.

ანალიტიკოსები (მაგალითად, **კენტ პოლაკი** ბრუკინგის ინსტიტუტიდან) უფრო შორს მიდიან და აცხადებენ, რომ **„ახალ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ბრძოლა უნდა განვიხილოთ, როგორც ბრძოლა ეროვნებათა შორის, სწორი მიმართულებით მოძრავი ერების დაპირისპირება იმ ერებთან, რომლებიც ასეთებს არ მიეკუთვნება, მათ შორის, ვინც აღიარებს ეკონომიკურ ლიბერალიზაციას, განათლების რეფორმას, დემოკრატიას, სამართლისა და სამოქალაქო თავისუფლებათა ბატონობას და ვინც ამის წინააღმდეგია“.**

(ესეც — „ახალი ჯვაროსნული ომი“, რაზეც ახლახან ერთმა ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ მიგვანიშნა და რომელსაც მაშინვე მოქაჩეს — ფორმულირებები ფრთხილად უნდა გააკეთოთო. ამ საკითხზე ნუ ვიკამათებთ, მხოლოდ იმას მივაქციოთ ყურადღება, რასაც დაუფარავად გვეუბნებიან: **ახალ ნეოკოლონიალიზმს ეროვნებათა დაპირისპირების, მათ შორის, ბრძოლის გზით ეროვნებათა მოშლისა და გაქრობისკენ მივყავართ.** თავსატეხად ესეც გვეყოფა).

სიამმა ბოლოს და ბოლოს უარი თქვა 1855 წლის ხელშეკრულებაზე მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის იმპერიამ დაკარგა თავისი ძლიერება, მაგრამ 1997 წელს ტაილანდი კვლავ ისეთი პირობების წინაშე აღმოჩნდა, რომლებიც ამჯერად საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბანკირებმა წაუყენეს.

ექსპერტების აზრით, ტაილანდმა შეძლო საკუთარი სუვერენიტეტის დაცვა იმის წყალობით, რომ აქ პატივს სცემენ მონარქიას, რომელიც მას, 800 წელიწადზე მეტია, იცავს: ჩარკის დინასტია, რომელიც ამ ქვეყანაში მეფობს, იმდენ წელიწადს ითვლის, რამდენ ხანსაც ამერიკა, როგორც სახელმწიფო, არსებობს. რვაასწლიანი მონარქია გამომწვევად და მრავალმნიშვნელოვნად უპასუხებს იმ საშიშროებას, რომლითაც ემუქრებიან ამ სამეფოს.

**(მკითხველი ლოგიკურად უთუოდ მივა იმ დასკვნამდე, რომ: პირველი — ადგილობრივი ტრადიციების მოშლა, რაც საუკუნეებში დამკვიდრებულ ცხოვრების წესად ჩამოყალიბდა, არის ნეოკოლონიალისტთა მიზანი, ის საშუალება, რომელიც მათ მოქმედების თავისუფლებას მისცემს; მეორე (რაც მნიშვნელოვანია) — ტრადიციების შენარჩუნება თვითმყოფადობის, ახალ პირობებში ერის თვითდამკვიდრების საშუალებაა; მესამე — საქართველოში, როგორც ჩანს, სწორედ ტრადიციების განმტკიცება და შენარჩუნება უნდა იყოს აქცენტირებული მიმართულება ნეოკოლონიური ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც ამჟამად ნაცარწაყრილია).**

მიიჩნევენ, რომ ამ შემთხვევაში შხამის საწინააღმდეგო ვაქცინა **თვითკმარობაა**. თვითკმარობა სახელმწიფოსი, რეგიონის, თანამეგობრობისა მსგავსად საოჯახო მეურნეობისა. ამ კონცეფციას უფრთხილდება და იყენებს ტაიტის მეფის „ახალი თეორია“, მიიჩნევს მას გლობალისტური სისტემისგან ჩაგვრისა და ექსპლუატაციისგან თავდაცვის საშუალებად.

ტაილანდში თვითკმარობა მარტივია. ეს არის სოფლის მეურნეობის ფასეულობანი და საკუთარი ძალების რწმენა, რასაც ბადებს ეს ფასეულობანი და რაც ჭეშმარიტი თავისუფლების დამახასიათებელი თვისებაა.

თვითკმარი ეკონომიკის საფუძველი თქვენს ყანაში იზრდება და უზრუნველგყოფთ საკვებით. მომდევნო ნაბიჯი ნამეტობის შექმნაა, რითაც შეგიძლიათ ივაჭროთ მოგების მიღების მიზნით და წარმართოთ თქვენი ცხოვრების წესის გასაუმჯობესებელი ტექნოლოგიების შესაძენად.

თვითკმარობის პრინციპი სოფლის მეურნეობის ტრადიციული ფასეულობების შენარჩუნებისკენ არის მიმართული, ასევე, — სოფლიდან ქალაქად მოსახლეობის მიგრაციის შესაზღუდად და მსხვილი აგროსამრეწველო კარტელების ქვეყანაში შემოღწევის თავიდან ასაცილებლად. კარტელების ექსპანსია სავარგულების სხვის ხელში გადასვლას, მაშასადამე, საკუთარი წარმოების დაკნინებასა და გაქრობას ნიშნავს.

**(სწორედ ასეთი ნეგატივიზმი მკვიდრდება საქართველოში — მიწების მასობრივად მიყიდვა უცხოელებისთვის (უპირატესად — არაბებისთვის), იმპორტული პროდუქციით საქართველოს ბაზრების გაჯერება (პრაქტიკულად, გაქრა ჩვენს სოფლებში მოწეული ბოსტნეული, ხილი, კარტოფილიც კი თურქეთიდან შემოგვაქვს). ეს პროცესი უფრო და უფრო დამოკიდებულს გვხვდის სხვა ქვეყნებზე, რაც, ცხადია, ჩვენს სუვერენიტეტს თანდათან ფიქციად აქცევს.**

ამიტომაცაა მნიშვნელოვანი ჩვენთვის თვითკმარობის იმ პრინციპისთვის მეტი და მეტი ყურადღების მიქცევა, რომელმაც ტაიტის დამოუკიდებლობა შეანარჩუნებინა).

უცხოელი ანალიტიკოსები გვიმტკიცებენ, რომ ქალაქში გადასახლებული სოფლის მოსახლეობა, მიგრანტები უარს ამბობენ კერძო საკუთრებაზე, წარმოებითს საქმიანობაზე და ღირებულებათა სამომხმარებლო სისტემის ტყვეობაში ექცევიან. წარმოიქმნება ჭარბმოსახლეობის, გარემოს დაბინძურების, დანაშაულობათა ზრდისა და ეკონომიკური კრიზისის პრობლემები, რის დაძლევაც მხოლოდ ცენტრალიზებულ ხელისუფლებას შეუძლია, რომელიც ზრდის საკუთარ ძალაუფლებას ხალხის ხარჯზე და მისი თავისუფლების დაკნინების მეშვეობით.

ამ მიზეზებით გამოწვეული ეკონომიკური სიძნელეების გამო გლობალიზაციის სისტემა ამ ბოლო ხანებში სულ უფრო მეტ დაბრკოლებას ხვდება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

ტაილანდელთა თვითკმარმა პოზიციამ, გვეუბნებიან ანალიტიკოსები, ძირითადად, შეძლო ეკონომიკური ქაოსისგან თავდაცვა. ერთი თეფში საკვები დღეს აქ იმდენივე ღირს, რამდენიც ათი წლის წინათ ღირდა, შენარჩუნებულია ყოველდღიური მოხმარების საქონლის ფასიც. ეს ფრიად მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, რომლის მო- ▶



**უმრავლესობა ეთანხმება იმ ფაქტს, რომ 7 აგვისტოს, 23:35 საათზე, საქართველომ ცხინვალის მასირებული და განურჩეველი დაბომბვა დაიწყო, ხოლო საკითხი, რომლის გარშემოც დიდწილად უთანხმოება წარმოიქმნა, იყო ის, მიაჩნდათ თუ არა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და მის მხარდამჭერებს, რომ რუსეთის არმია ამ შეტევის დაწყებამდე უკვე შემოჭრილი იყო საქართველოში.**

დაიჯესტი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

◀ სახლეობა თითქმის სამოცდაათი მილიონია.

გლობალიზაციისთვის ასეთი წინააღმდეგობის გაწევა, ცხადია, არ მოსწონს ოლიგარქიულ ისტებლიშმენტს.

ზოგიერთი „თავშიჩარტყმული" პროფესორის აზრით, ადამიანების შესაძლებლობების მაქსიმუმი ბიულეტენების ყუთში ჩაგდებითა და შემდეგ პლაზმურ ეკრანებთან ტელეგადაცემების ცქერით ამოიწურება. ამას ეწინააღმდეგება სხვა დებულება, რომლის მიხედვით, საკუთარი როლის შეგნების მწვერვალი, ადამიანის თავისუფლების ჭეშმარიტი ფორმა არის საკუთარი არსებობისთვის მხარდაჭერა მიწის დამუშავებით და გარე სამყაროსთვის საჭირო ფორმის მიცემა მრავალრიცხოვან პროფესიაში არსებული ცოდნისა და ოსტატობის მეშვეობით.

**გლობალისტების წინააღმდეგობა თეორიულ სფეროს სცდება. ფაქტია, რომ 2009 წელს ტაილანდში ამზადებდნენ კარგად ორგანიზებულ „წითელი პერანგების ფერად რევოლუციას". „წითელპერანგიანთა" ლიდერი ექსპრემიერი თაქსინ ჩინავათი იყო** — Carlybe Croup-ის ყოფილი კონსულტანტი, ხოლო მისი ბიზნესპარტნიორები ბრძანდებიან სხვადასხვა ამერიკული ფირმების გავლენიანი პირები, მათ შორის, **აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი.**

ტაილანდი მხოლოდ ერთი ქვეყანაა „მარგალიტის მძივის" იმ სახელმწიფოთა შორის, რომელთა დესტაბილიზაცია და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული „გათავისუფლება" არის განზრახული. გლობალისტების შეჩერების გასაღები მათთვის ცივილიზაციის მექანიზმების წართმევაა, რაც, უწინარეს ყოვლისა, მასობრივი ინფორმაციის ალტერნატიული საშუალებების აქტიურ ამოქმედებაში გამოიხატება.

სპეციალისტების აზრით (რაც ჩვენთვისაც საყურადღებოა), ტაილანდის მიკრობიზნესის მრავალსახეობა უკვე წარმატებით უსწრებს მსხვილ ცენტრალიზებულ წარმოებას, რაც ოპტიმისტური პერსპექტივის რწმენას ბადებს. **მსოფლიოს შეცვლის ტექნიკური საშუალებები უკვე არსებობს, ამტკიცებენ ისინი, მაგრამ ყველაზე ძლიერ წინაღობად წარმოგვიდგება სოციალურ გარდაქმნათა განხორციელება.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსახლეობის შეგნებაში არსებული პარადიგმის გადაადგილების ინიციაცია, რათა იგი სრულად შეესაბამებოდეს ტექნიკაში განხორციელებულ პარადიგმის გადაადგილებას.

ამის გაკეთება, გვეუბნებიან ანალიტიკოსები, სავსებით შესაძლებელია, თუ დავინტერესდებით პერსონალური სამრეწველო რევოლუციით და მცირედად მაინც მივიღებთ მონაწილეობას მასში. ასე დავეხმარებით სოციალური ხასიათის წინააღმდეგობის დაძლევის საქმეს და დავაჩქარებთ პარადიგმის მნიშვნელოვან გადაადგილებას.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძე**

# აგვისტოს ომი საქართველოს ხელისუფლების სუიციდური გადაწყვეტილება იყო

**დანიის სამეცნიერო კვლევების ინსტიტუტის (კოპენჰაგენი) უფროსი მკვლევარი ჰანს მორიტცენი თავის წერილში, რომელიც Open Democracy-მ 5 აპრილს გამოაქვეყნა, Wikileaks-ის პუბლიკაციის მოშველიებით კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის პროვოცირება საქართველოს ხელისუფლებამ მოახდინა და, ამასთან ერთად, მისი და ბუშის ადმინისტრაციის გათვლა რუსეთთან საომარი დაპირისპირების შესაძლო შედეგების შესახებ მცდარი იყო. გთავაზობთ ჰანს მორიტცენის ანალიტიკურ სტატიას უმნიშვნელო შემცირებით.**



**ძლიერთა შორის თანამშრომლობა, მაგალითად, აშშ-ს და რუსეთს შორის, სუსტებისთვის გაცილებით სახიფათოა, ვიდრე მათ შორის «საშუალო» დონის კონფლიქტი.**

**WIKILEAKS-მა, როგორც იქნა, გადაწყვიტა დავა იმის შესახებ, თუ პირველად ვინ ვის დაესხა თავს 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში. დოკუმენტები მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოსა და მისი მეგობარი ზესახელმწიფოს გათვლა მცდარი იყო. ასევე ნათელი მოეფინა რუსულ-ამერიკულ „გადატვირთვას" და იმას, თუ რას ნიშნავს ეს საქართველოსთვის.**

დავიწყოთ იმით, რაც სადავო არ არის. ყველა აღიარებს, რომ აგვისტოს დასაწყისში ომს წინ უძღოდა სროლები და ძალადობა სამხრეთ-ოსეთში, შეტაკებები ცხინვალის დეფაქტო რეჟიმისადმი ლოიალურ რაზმებსა და თბილისისადმი (ქართული მთავრობისადმი) ლოიალურ ძალებს შორის. ანალოგიურად **უმრავლესობა ეთანხმება იმ ფაქტს, რომ 7 აგვისტოს, 23:35 საათზე, საქართველომ ცხინვალის მასირებული და განურჩეველი დაბომბვა დაიწყო, ხოლო საკითხი, რომლის გარშემოც დიდწილად უთანხმოება წარმოიქმნა, იყო ის, მიაჩნდათ თუ არა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და მის მხარდამჭერებს, რომ რუსეთის არმია ამ შეტევის დაწყებამდე უკვე შემოჭრილი იყო საქართველოში.**

საქართველოს მიერ 8 აგვისტოს ღამით, 01:47 საათზე გამოქვეყნებულ პრესრელიზში და საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე საუბარია მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩამოსულ მოხალისეთა გასამხედროებულ რაზმებზე და არა — რუსეთის ფედერაციის რეგულარული არმიის ნაწილებზე, თუმცა სამ დღეში, ქართველებმა შეცვალეს ოფიციალური ვებგვერდების მონაცემები და გაავრცელეს ახალი ვერსია, რომელიც დღემდე პრევალირებს: საქართველოში განხორციელდა ფართომასშტაბიანი რუსული ინტერვენცია 23:30 საათზე, ცხინვალის დაბომბვამდე ხუთი წუთით ადრე **(საინტერესოა, რატომ იხარჯებოდა ქართული რესურსები ასეთ მიზნებზე ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის პირობებში, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა).** ამ შესწორებულ ქართულ ვერსიას რუსეთი უარყოფს **(რომელიც საკუთარი არმიის შეჭრას 8 აგვისტოს ღამის 02:30 საათით ათარიღებს).** შესწორებულ ქართულ ვერსიაში ეჭვი შეაქვს ასევე **„ფაქტების დამდგენ დამოუკიდებელ საერთაშორისო მისიას"**, რომელმაც ვერ მოიძია იმის დამადასტურებელი ვერც ერთი ფაქტი, რომ ინტერვენცია უფრო ადრე განხორციელდა.

Wikileaks-ის კონფიდენციური დოკუმენტები ამერიკის თბილისის საელჩოდან, აბსოლუტურად განსხვავებულ სურათს ხატავს. 8 აგვისტოს დილის 10:10 საათზე ელჩი ჯონ ტეფტი ვაშინგტონს ატყობინებდა, რომ **„თუ ქართველები მართლები არიან და ბრძოლები, ფაქტობრივად, დასრულებულია (ანუ ქართული გამარჯვება), მაშინ აბსოლუტურად გაურკვეველია, როგორი იქნება რუსების როლი და არსებობს თუ არა კონფლიქტის გაფართოვების პოტენციალი".** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ მომენტისთვის რუსები არანაირ ქმედებას არ მიმართავდნენ. მეტიც, სააკაშვილი წუხდა რომ სამხრეთ-ოსეთის ბრძოლები **„რუსებისთვის შეიძლება საბაბი გამხდარიყო და არ არის გამორიცხული, რომ შემდგომში შეიძლება შეტევა განხორციელდეს".** არსებობდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყო დილით ბრიფინგი დიპლომატიური კორპუსისთვის საგარეო საქმეთა მინისტრმა და **„მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას, ზემოქმედება განახორციელონ რუსეთზე, რათა მან არანაირ ქმედებას არ მიმართოს".**

ზემოთ თქმული მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ ცხინვალის დაბომბვა ადგილობრივი „ბანდიტებისთვის" ჭკუის სწავლების მცდელობა იყო. ვარაუდობდნენ, რომ რუსეთს ასეთი მძლავრი რეაქცია არ ექნებოდა. ცხადია, ეს გულუბრყვილო შეფასებაა, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველები შეცდომაში შეიყვანა აშშ-დასავლეთის საუბრებმა იმის თაობაზე, რომ ფათომასშტაბიანი ინტერვენცია „21-ე საუკუნეში წარმოუდგენელია". **ასეთმა სიბეცემ საკუთარი წვლილი შეიტანა ცხინვალის დაბომბვის, ფაქტობრივად, სუიციდურ გადაწყვეტილებაში. საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ერაყის კოალიციაში, მან ავღანეთში მონაწილეობის ვალდებულებაც აიღო, ამიტომ არ არის გასაკვირი საქართველოს საყვედური, რომ იგი შეცდომაში შეიყვანა მისმა მეგობარმა ზესახელმწიფომ.** როგორც ჩანს, სწორედაც რომ პირიქით იყო. Wikileaks-ის მიერ გამოქვეყნებული წერილები ცხადყოფს, რომ აშშ-ის საელჩო თბილისში და, მასთან ერთად, სახელმწიფო დეპარტამენტი ისეთსავე საინფორმაციო ვაკუუმში იყო, როგორც ყველა სხვა საომარი მოქმედების დაწყების წინ და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში იმ დროს 130 ამერიკელი სამხედრო მრჩეველი იმყოფებოდა.

ამერიკის გზავნილის ქვეტექსტი ასეთია: **„ჩვენ არ მოგვწონს ის, რაც მოხდა ომის დროს და ომის შემდეგ, მაგრამ ჩვენ ამას ვერაფერს მოვუხერხებთ, რადგან მსოფლიოში არსებობს საქართველოზე გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემები".** აი, რატომ შემცირდა საქართველოს ნატოში გაწევრიანების ისედაც მცირე შანსი. ამერიკის პერსონალური პრობლემების გარდა, არსებობდა ასევე საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც რუსეთთან ერთად იყო სასურველი: ამერიკული ფინანსური კრიზისის გლობალური ზეგავლენა, ირანთან ურთიერთობა, ავღანეთი, ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული, შეიარაღებაზე კონტროლი, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა და ა.შ. აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ 2010 წლის ნოემბრის ნატოს ლისაბონის სამიტის შემდეგ ნატო-რუსეთის ერთობლივი ანტისარაკეტო ფარის გეგმების შესახებაც კი დაიწყეს ლაპარაკი.

**ძლიერთა შორის თანამშრომლობა, მაგალითად, აშშ-ს და რუსეთს შორის სუსტებისთვის გაცილებით სახიფათოა, ვიდრე მათ შორის „საშუალო" დონის კონფლიქტი.**

ბალტიისპირეთის სახელმწიფოები თავს საქართველოსთან აიგივებენ და სულ უფრო მეტად გრძნობენ, რომ ნატოში მათი წევრობა ფიზიკური მხარდაჭერის გარეშე, არაფერია, ხოლო პოლონეთი მანამდე დაგეგმილი ანტისარაკეტო ფარის სისტემის ელემენტის გარეშე დარჩა, როდესაც აშშ-მა რუსეთთან გადატვირთვის გამო ამ გეგმაზე უარი თქვა. ამტკიცებენ, რომ ამ ქვეყნებს ეს ყველაფერი აუნაზღაურეს, თუმცა საეჭვოა, რომ თავად ისინი თავს სრულიად დაკმაყოფილებულად გრძნობდნენ. მაგალითად, ბალტიის ქვეყნებმა, რუსეთის მხრიდან სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში, მეხუთე მუხლის თანახმად, „დაცვის გეგმა" მიიღეს (რომელიც გასაიდუმლოებული იყო მანამ, სანამ ის Wikileaks-მა არ გაახმაურა). **საქართველომ დიდი ოდენობით ამერიკული დახმარება მიიღო, მაგრამ — არანაირი სამხედრო დახმარება 2008 წლის ომის შემდეგ.**

**„საქართველოსთან უფრო მჭიდრო და ძლიერ სამხედრო კავშირზე გადასვლა საფრთხეს შეუქმნის ჩვენს ძალისხმევას, რუსეთთან ურთიერთობის გადატვირთვის თვალსაზრისით... ჩვენ ვერ ვხედავთ იმ გეოგრაფიული უპირატესობის, მოცულობისა და შესაძლებლობების განეიტრალების გზას, რომელიც რუსეთს აქვს"** (ინფორმაცია მოსკოვში ამერიკის ელჩის — ჯონ ბაიერლის 2009 წლის ივნისის დეპეშიდან).

წასვლის წინ ბუშის ადმინისტრაციამ საქართველოსთან ხელი მოაწერა „სტრატეგიული პრატნიორობის შესახებ ქარტიას", მაგრამ ეს დოკუმენტი ყველაფერია სტრატეგიულის გარდა. **ეს, ფაქტობრივად, „ლეღვის ფოთოლია" იმ ფაქტის დასაფარად, რომ აშშ-მა თავისი ურთიერთობა საქართველოსთან უკანა პლანზე გადასწია. შესაძლოა, ამის შედეგად საქართველომაც გადაწყვიტა საკუთარი საგარეო პოლიტიკის დივერსიფიცირება და გააძლიერა კონტაქტები თურქეთთან და ირანთან. აშშ-ის წარმომადგენლები შეეცადნენ ქართველი კოლეგების დამშვიდებას იმ არგუმენტით, რომ საქართველო უფრო დაცულია მას შემდეგ, რაც ვაშინგტონ-რუსეთის „გადატვირთვა" ამუშავდა.**

**ჰანს მორიტცენი,**
დანიის სამეცნიერო კვლევების ინსტიტუტის (კოპენჰაგენი) უფროსი მკვლევარი.

მედიცინა

ევრაზიული ერთობა და ეკონომიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



ფალსიფიცირებული, კონტრაფაქტული წამლების გავრცელების მასშტაბი და მოცულობა კატასტროფულად მატულობს. ის ისეთ ბაზრებზეც ხვდება, სადაც საკმაოდ მკაცრი რეგულაციები მუშაობს. მაგალითად, 2006-2007 წლებში ინგლისის ლეგალურ არხებში აღმოაჩინეს ფალსიფიცირებული „ზიპრექსა“ და „ლიპიტორი“; 2008 წელს ფალსიფიცირებულმა „გეპარინმა“ არა ერთი სიცოცხლე შეიწირა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის — ამერიკაშიც, სადაც ყველაზე უსაფრთხო ფარმაცევტული ბაზარია.

# თინა ტურძელაძე: ფალსიფიცირებული წამლების გავრცელების მასშტაბი და მოცულობა კატასტროფულად მატულობს

**არასწორი ცხოვრების წესი, საკვების უკმარისობა, უმუშევრობით გამოწვეული მუდმივი დაძაბულობა და სტრესული გარემო მძიმე დარტყმას აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას. ასეთ დროს ექიმთან მისვლაც უზარმაზარ ხარჯს უკავშირდება, ამიტომ ხალხმა თვითმკურნალობას მიმართა — ცდილობენ, შერყეული ჯანმრთელობა ანტიბიოტიკებით გაიუმჯობესონ. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით კი, ანტიბიოტიკების ხშირი და უმეტესად ექიმის დანიშნულების გარეშე მიღებისას, ორგანიზმი კონკრეტულ ბაქტერიულ ინფექციებს ველარ უმკლავდება და ანტიბიოტიკების მოხმარებაც ეფექტს კარგავს. საქართველოში აღნიშნული პრობლემის გადაჭრა უმარტივესი გზით მოინდომეს — ანტიბიოტიკების ურეცეპტოდ გაცემა დაგეგმეს.**
**თუ რამდენად შესაძლებელია აღნიშნული პრობლემის ამ გზით გადაჭრა, მდგომარეობის გამოსწორების სანაცვლოდ რა საშიშროების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს მომხმარებელი და, ზოგადად, რა სახის პრობლემები არსებობს ფარმაცევტულ ბაზარზე, არასამთავრობო ორგანიზაცია „UPH“-ის თავმჯდომარე თინა ტურძელაძე გვესაუბრა.**



**— ქალბატონო თინა, რამდენად კვალიფიციურად შეიძლება ჩაითვალოს ხელისუფლების დამოკიდებულება აღნიშნული პრობლემისადმი?**

— ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის პრობლემა ნამდვილად რეალურია. რეზისტენტული ბაქტერიებით გამოწვეულ ინფექციებს ხშირად თან სდევს მძიმედ მიმდინარე დაავადებები, რომლებიც ხშირ და ხანგრძლივ ჰოსპიტალიზაციას საჭიროებს. თქვენ წარმოიდგინეთ, უფრო მაღალია სიკვდილიანობის შემთხვევები. ფაქტია, რომ **კატასტროფულად გაიზარდა არსებული ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული მიკროორგანიზმების რაოდენობა, რის გამოც, რიგი დაავადებები კონტროლს აღარ ექვემდებარება და საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლეს.**

ამ ფონზე თუ გავითვალისწინებთ იმას, რა არის რეზისტენტობის მიზეზები, ნათელი გახდება, რომ რეცეპტის ინსტიტუტი არ არის საკმარისი ამ პრობლემის მოსაგვარებლად. სხვაგან მის გადასაჭრელად ჯანდაცვის სისტემა კომპლექსურად აქტიურობს და ჩვენთან კი მარტივად — რეცეპტით მოინდომეს პრობლემის მოგვარება.

**საჭირო ხდება ახალი წამლების შექმნა. ახალი ფორმულების შექმნასა და კვლევებს კი დაახლოებით 15-20 წელი და მილიარდობით დოლარი სჭირდება. ბოლოს და ბოლოს, ეს ინოვაციური წამლები ძალიან ძვირია...**

ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის მიზეზი რამდენიმეა, მათგან პრიორიტეტულია: სუბსტანდარტული ანტიბიოტიკები, ანტიბიოტიკებით დაბინძურებული სხვა წამლები (როცა ერთ საწარმოო ხაზზე მზადდება ანტიბიოტიკი და სხვა წამალიც, რაც დაშვებული პრაქტიკაა საქართველოში, მაშინ, როცა ამას გამორიცხავს GMP-ის სტანდარტი), ანტიბიოტიკების არარაციონალური დანიშნულება, არასაკმარისი ეპიდზედამხედველობა, არარაციონალური მოხმარება... ამის რისკი მარტო თვითმკურნალობა როდია. ანტიბიოტიკები ჩვენს ორგანიზმში ყოველგვარი ჩვენების გარეშე ხვდება საკვებიდანაც, ვინაიდან ის ფართოდ გამოიყენება მესაქონლეობაში, ფერმებში, თანაც სუბთერაპიულ დოზებში. ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი საავადმყოფოების დაბალი სტანდარტებია. ჰოსპიტალიზებული პაციენტი, როგორც წესი, მდგრადი მიკროორგანიზმების ძირითადი რეზერვუარი და, შესაბამისად, ინფექციის გავრცელების სერიოზული წყაროა; არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ეპიდზედამხედველობა და ა.შ. ამ პრობლემების მოგვარებას ღონისძიებების მთელი კომპლექსი სჭირდება, სადაც რეცეპტი ბოლო აკორდია.

**— ანტიბიოტიკების რეცეპტით გაცემამ რა სახის პრობლემა შეიძლება შეუქმნას მომხმარებელს?**

— თუკი პაციენტს სანაცვლოდ ხელმისაწვდომი სამედიცინო სერვისი (ანუ დაზღვევა) არ შესთავაზეს, მას, უბრალოდ, უწამლოდ ვტოვებთ, რაც მისთვის არანაკლები საფრთხის შემცველი რისკია. ამიტომ ეს, კიდევ ვიმეორებ, გამოსავალი არ არის.

**— არალეგალური წამლების სექტორის გაჩენის რისკი თუ არსებობს?**

— პაციენტის მოტივაციების გარეშე, კომანდიტურ ადმინისტრირებას, ცხადია, დროებითი შემაკავებელი ეფექტი აქვს, მაგრამ ის არ არის მდგრადი. თუკი გადაწყდება რეცეპტის ინსტრუმენტის დაზღვევის გარეშე დანერგვა, ძალიან მაღალია იმის რისკი, რომ წამლების არალეგალური სექტორი გაჩნდეს.

**— რას იტყვით მედიკამენტების ფალსიფიკაციაზე?**

— მსოფლიოს მონაცემებით, ეს პრობლემა პროგრესულად მატულობს. საკმაოდ შთამბეჭდავი მონაცემები გამოქვეყნდა europharmatoday-ის საიტზე — რამდენიმე წლის განმავლობაში კონტრაფაქტისა და ფალსიფიცირების ზრდამ მსოფლიოში 600 პროცენტს გადააჭარბა; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, გამოვლენილი ფალსიფიცირებიდან 32,1 პროცენტში წამალი არ შეიცავდა აქტიურ ინგრედიენტებს, 20,2 პროცენტში არასაკმარისი რაოდენობით იყო, 21,4 პროცენტში სხვა ინგრედიენტებს შეიცავდა, 15,6 პროცენტში გაყალბებული იყო მწარმოებელი, ერთ პროცენტში იყო უკანონო ასლი, 8,5 პროცენტში კი — დაბინძურებული.

საყურადღებოა, რომ ანტიბიოტიკები მედიკამენტების ის ჯგუფია, რომელიც ყველაზე ხშირად ყალბდება. ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. ამიტომ მთავარი საზრუნავი ფალსიფიცირების წინააღმდეგ ბრძოლაა.

ფალსიფიცირებული, კონტრაფაქტული წამლების გავრცელების მასშტაბი და მოცულობა კატასტროფულად მატულობს. ის ისეთ ბაზრებზეც ხვდება, სადაც საკმაოდ მკაცრი რეგულაციები მუშაობს. მაგალითად, 2006-2007 წლებში ინგლისის ლეგალურ არხებში აღმოაჩინეს ფალსიფიცირებული „ზიპრექსა“ და „ლიპიტორი“, რომლებშიც არ იყო სათანადო რაოდენობით აქტიური ინგრედიენტი; ამერიკაში ინტერნეტით გავრცელდა ფალსიფიცირებული „ქსენიკალი“ (2007 წ.), „ტამიფლუ“, გასახდომი აბები. 2008 წელს ფალსიფიცირებულმა „გეპარინმა“ არა ერთი სიცოცხლე შეიწირა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის — ამერიკაშიც, სადაც ყველაზე უსაფრთხო ფარმაცევტული ბაზარია.

**— რა ოდენობისა და დასახელების ფალსიფიცირებული მედიკამენტები შეიძლება არსებობდეს ქართულ ბაზარზე?**

— როგორც წესი, ფალსიფიცირებული წამლების მიმოქცევა მეტია იქ, სადაც სუსტია რეგულაცია და ფართო მასებისთვის ხელმიუწვდომელია ჯანდაცვის სერვისები, რადგან იაფ წამალზე დიდი მოთხოვნილებაა და ფალსიფიცირებული წამლის გასაღების მეტი შესაძლებლობაც არსებობს.

საინტერესო გამოსვლა ჰქონდა ამერიკული მარეგულირებლის — FDA-ს კომისარს, ქალბატონ მარგარეტ ჰამბურგს. 2010 წლის ოქტომბერში, როდესაც იგი ფალსიფიცირების მასშტაბების გამო შეშფოთებას გამოთქვამდა, აღნიშნა, რომ მთელ რიგ ქვეყნებში **სასიცოცხლო ჩვენების წამლების თითქმის ნახევარი ფალსიფიცირებულია! სრულიად მიუღებელია, როცა ამ რეალობაში ქართულ ბაზარზე ფალსიფიცირების მონაცემები პრაქტიკულად არ არსებობს.**

ერთადერთი პირდაპირი ინსტრუმენტი, რომელიც წამლის კანონმა ამ საკითხის მონიტორინგისთვის შექმნა, არის „სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფის პროგრამა“, რომელიც სრულიად უუნარო აღმოჩნდა რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო.

ბაზარზე იმპორტის მოცულობა დაახლოებით 214 მილიონი დოლარია, საბითუმო მიმოქცევის მოცულობა — დაახლოებით 400 მილიონი დოლარი. ამ მოცულობის ბაზრის კონტროლისთვის სახელმწიფომ შემოიღო ასიათასლარიანი პროგრამა, საიდანაც წამლის საყიდელი თანხა მხოლოდ ათი ათასი ლარია, ანუ დაახლოებით 6 ათასი დოლარი. გამოდის, რომ ბაზრის 0,00015 პროცენტის შემოწმება დაიგეგმა(?!). ამას ემატება ისიც, რომ ამ თანხების ათვისებაც კი ვერ ხდება. ცალკე პრობლემაა ის, რომ შესყიდული წამლების შემოწმებაც ვერ ხერხდება. საყურადღებოა, რომ ქვეყანას სათანადო ტექნიკური კომპეტენციის მხოლოდ ორი აკრედიტებული დამოუკიდებელი ლაბორატორია აქვს, რომლებიც, პრაქტიკულად, გამიჯნულია ამ პროგრამისგან;

ეს პრობლემები არსებობს და, თუკი სამინისტრო ჩაერევა, მათი მოგვარება შესაძლებელი იქნება. დაუშვებელია ამ პროგრამის ჩაგდება. პირიქით, მინიმალური რესურსებით უნდა შევძლოთ მაქსიმალური ეფექტის მიღება.

**— ვის აძლევს ხელს ფალსიფიცირებული მედიკამენტების შემოტანა?**

— ფალსიფიცირებული წამლების ბიზნესი საკმაოდ მაღალშემოსავლიანია და, როგორც წესი, ამ ბიზნესით კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები არიან დაკავებული. ეს ტრანსნაციონალური ბიზნესია. ფალსიფიცირებული პროდუქტი იწარმოება ერთ ადგილას და იყიდება სხვაგან. ჩვენ, ძირითადად, გასაღების ზონაში ვართ, თუმცა არც ლოკალური დანაშაულებებია გამორიცხული.

**— რამ გამოიწვია მედიკამენტების გაძვირება?**

— რეგიონული კვლევებით, წამლის ფასების დაკლების ტენდენცია არის და ეს პარალელური იმპორტის დამსახურებაა. თუმცა, ვფიქრობ, ეს ინსტრუმენტი ნამდვილად საჭიროებს დახვეწას, დაზუსტებას, ზოგან — გამარტივებას და ზოგან — სახელმწიფო უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების დამატებას, რომ ბაზარზე ხარისხის კრიტერიუმები აღდგეს.

**— რამდენად შესაძლებელია მომავალში ფასების კიდევ ზრდა?**

— თუ კონკურენციაში ხარისხის კრიტერიუმები ჩაერთვება, მოსალოდნელია ფასის აწევა. მაგრამ ეს ამად უნდა ღირდეს, ვინაიდან ეფექტურ მკურნალობას იაფი წამალი კი არა, ხარჯ-ეფექტური წამალი იძლევა. მიმაჩნია, რომ სადაზღვევო პაკეტებში მხოლოდ ხარჯეფექტური წამლები უნდა ხვდებოდეს; სადაზღვეო კომპანიები კი ამ სიებზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა ფარმაცევტულ ბიზნესში ინტეგრირებით, რომ ყველამ თავისი წამალი მიასაღოს პაციენტს.

**სასიცოცხლო ჩვენების წამლების თითქმის ნახევარი ფალსიფიცირებულია!**

ესაუბრა
**ეკა რობაქიძე**

„ადამიანების წარმოდგენით, კარატე ძალისმიერი საბრძოლო ხელოვნებაა. სეიბუკაის შემთხვევაში ჩვენ ვთვლით, რომ კარატე აერთიანებს ორივე ასპექტს — სირბილესა და სიხისტეს (ძალას)... ეს თვისებები თანაარსებობს, განაპირობებს ერთმანეთს და არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. სეიბუკაის მთავარი ფილოსოფია სწორედ ასეთია — სიმაგრისა და სირბილის ურთიერთთანხმობითი და არა ურთიერთწინააღმდეგობრივი არსებობა. ტექნიკის თეორიის ასპექტში ეს კონცეფცია წარმოდგენილია როგორც წრიული მოძრაობა, წრფივი მოძრაობის გარეშე, რომელიც წარმოშობს კონფლიქტს, შეუთავსებლობას. წრეს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული“.

(„კარატე, როგორც მუდამ ცოცხალი საბრძოლო ხელოვნება“)

სპორტი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# სეიბუკაი — საბრძოლო ხელოვნებაზე დაფუძნებული ცხოვრების წესი, ანუ როგორ წაართვეს ბავშვები ქუჩას

**სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს საერთაშორისო ბუდო ორგანიზაციის ოფიციალურ წარმომადგენელთან საქართველოში, გოჩა კაკაბაძესთან საუბარი გაოცებით დაიწყო — ჩემი გაოცებით, და ერთგვარი კმაყოფილებითაც კი, რისი მიზეზი რესპონდენტის პასუხი იყო შეკითხვაზე — რამ განაპირობა თქვენი დაინტერესება აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების ამ სახეობით?**

**— კინოფილმი „ლედი კარატე“ იყო გარდატეხის ის მომენტი, რომელმაც მე და ჩემი ძმა კახაბერი კარატესკენ შემოგვაბრუნა.**

**თავიდან ორივემ გატაცებით დავიწყეთ ვარჯიში, ოღონდ კახაბერი, ჩემგან განსხვავებით, სულ სხვანაირი ფანატიზმით ვარჯიშობდა. შეიძლება ითქვას, ის შეყვარებული იყო კარატეზე, მთელი დღე და ხანდახან გვიან ღამემდეც კი ვარჯიშობდა.**



„ლედი კარატე“ ღია ეთერში საბჭოთა კავშირში პირველად საქართველოს ტელერადიოკომიტეტმა გადასცა. ეს მაშინ, როცა კარატე, როგორც სპორტის სახეობა, მხოლოდ შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების სისტემებში დახურულ კარს მიღმა იყო ახლადდაშვებული. საჯარო ჩვენებაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა.

ჰოდა, იმ ფილმის ჩვენეულ დემონსტრირებას რაღაც კარგი საქმე გაუკეთებია — აფხაზეთში, გუდაუთაში მცხოვრები ბიჭები დაუინტერესებია.

ახლა ეს ბიჭები, მოწიფული ადამიანები, სხვა ბიჭებსა და გოგოებს წვრთნიან: ქუჩას, ნარკოტიკებსა და სხვა მავნე ჩვევებს რომ ჩამოვაცილოთ და ცხოვრების ჯანსაღ წესს ვაზიაროთო, — ამბობს ბატონი გოჩა.

დიდებული საქმეა!

კმაყოფილება რატომ ვახსენე? იმიტომ, რომ მადლივით ქვაზე დადებული გზაზე დამხვდა მრავალი წლის შემდეგ: იმ პერიოდში საქტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარეობა მქონდა დაკისრებული.

წინა კვირის ორშაბათს სატელევიზიო პროექტ „ნიჭიერში“ იაპონური საბრძოლო ხელოვნებისა და ქართული ცეკვის ილეთების ორგანული შერწყმით შექმნილი შესანიშნავი, დინამიური სანახაობის მოწმე გახდა მაყურებელი, რა ვქნა, უნდა გავიმეორო, პირველად საქართველოში!

ამ, ერთგვარი „კულტურათა დიალოგის“ სათავეების ძებნამ მიმიყვანა ბატონ გოჩა კაკაბაძესთან, რომელიც იმ დღეს თბილისის №53 საჯარო სკოლაში ავარჯიშებდა პატარა კარატისტებს.

კარატეში ვარჯიში გოჩა და კახაბერ კაკაბაძეებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადამიანებთან მოუწიათ, მათ შორის, — თემურ რურუასთან და გურამ ბარაბაძესთან.

— მე უფრო კახაბერის ხათრით და მისი დახმარებით დავრჩი კარატეში.

შემდეგ კი იყო აფხაზეთის ომი, რომელშიც გოჩა მონაწილეობდა, იყო ტყვეობა, შევიწროება, გაჭირვება, დევნილობა, სასტუმრო „ივერია“...

კახა „ივერიაში“ სრულიად უსასყიდლოდ ყოველდღე ავარჯიშებდა 1500-ზე მეტ ბავშვს. ხანდახან ვარჯიშები სპორტის სასახლეშიც ტარდებოდა. მსურველი იმდენი იყო, რომ დახმარება მთხოვა. ვინაიდან ყოველდღე 50-60 ახალი ბავშვი მოდიოდა, მოხდა ისე, რომ ჩემმა დახმარებამ სისტემატური ხასიათი მიიღო და ეს მოთხოვნილებად გადამექცა. შემდგომ, მშობლების ერთი დიდი ჯგუფის თხოვნით, ვარკეთილშიც გავხსენით სექცია, რომელსაც მე ჩავუდექი სათავეში. 1995 წლის თებერვალში პირველი ვარჯიში ჩავატარეთ. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვიწოდებოდით „წმინდა გიორგის ჯგუფი – ივერია“ და „წმინდა გიორგის ჯგუფი – ვარკეთილი“. 1996 წლიდან კი ვარკეთილის ჯგუფი თეთრი გიორგის სახელობისაა.

**2002 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს კიოკუშინ კარატეს ფედერაცია, რომელიც 2005 წლიდან გაწევრიანდა სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს საერთაშორისო ორგანიზაციაში.**

თუ კარატეს უძღვნი შენს ცხოვრებას, მასწავლებელი თვითონ გიპოვისო. ეს აღმოსავლური აქსიომა ამ შემთხვევაშიც დადასტურდა: გოჩა კაკაბაძე მიემგზავრება იაპონიაში და თავის მასწავლებელთან, იუკიო ნიშიდასთან — სეიბუკაის პრეზიდენტთან გადის სწავლებისა და ვარჯიშის ინდივიდუალურ კურსს, რის შემდგომ მას ეძლევა უფლება, იყოს მისი ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში და შეასწავლოს ყველა მსურველს სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს საბრძოლო ხელოვნება.

**კარატემ საქართველოს სეიბუკაის ორგანიზაციაში გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. ბუდიზმის კონცეფცია ამ ორგანიზაციის პრაქტიკიდან სრულადაა ამოღებული. სავალდებულო არ არის, მაგალითად, ისეთი რიტუალების შესრულება, როგორიცაა დარბაზის თაყვანისცემა, ფიცი ვარჯიშის წინ და დამთავრების შემდეგ და სხვ.**

ერთის მხრივ, მისი მთავარი ფილოსოფია — სიმაგრისა და სირბილის ურთიერთთანხმობითი და არა ურთიერთწინააღმდეგობრივი არსებობა — უცვლელი დარჩა, მაგრამ:

რაც შეეხება სულიერ აღზრდას, იგი მთლიანად მართლმადიდებლობას დაეფუძნა. ბავშვები მიგვყავს ტაძარში, სადაც აბარებენ აღსარებას, იღებენ ზიარებას, მოძღვარი მათ ასწავლის ქრისტეს მცნებებს, წმინდანთა ცხოვრებას, ქრისტიანული ცხოვრების წესს და ა.შ.

ეს დაედო საფუძვლად მოსწავლის ეტიკეტს, რომელიც სავალდებულოა ყველა მოვარჯიშისთვის.

იყო ერთი მომენტი, როცა ორ ცეცხლს შუა აღმოვჩნდით. ჩვენი ორგანიზაცია უწმინდესისა და უნეტარესის მიერ იყო კურთხეული და სახელად გვერქვა „ჯგუფი წმინდა გიორგი“, მაშასადამე, ჩვენი რწმენა მართლმადიდებლობას ეფუძნებოდა. მეორე მხარეს, იუკიო ნიშიდას მოთხოვნები იყო, რაზეც აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნება იდგა. საკმაოდ წინააღმდეგობრივია ამ უკიდურესობათა თანაარსებობა. მაგრამ ჩემი მასწავლებელი იაპონიიდან რომ ჩამოვიდა, შეხვდა პატრიარქს, ესაუბრა და აუხსნა მას, რომ ჩვენ არ გვექნებოდა რელიგიური შეზღუდვები, ადამიანის თავისუფლებათა ერთ-ერთი ფუძემდებლური დებულება სრულად იქნებოდა დაცული, და, მადლობა ღმერთს, მოგვეცა კურთხევა, გაგვეგრძელებინა მუშაობა იმ პრინციპით, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ.

იმთავითვე, უწმინდესის ზრუნვით ვიყავით მოსილი, — ამბობს გოჩა კაკაბაძე, — ძნელბედობის წლებში ბავშვებს პროდუქტებით ეხმარებოდა, არც სხვა სიკეთეს გვაკლებდა. როცა გვაკურთხა, ბრძანა: დღეიდან თქვენ იწოდებით საპატრიარქოსთან არსებულ ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდის სკოლად „წმინდა გიორგი“. ეს იყო 1993 წელს. ძალიან ხშირად, საკვირაო წირვის შემდეგ, სიონის ტაძრის უკანა ეზოში, პატრიარქს ვაჩვენებდით ჩვენს მიღწევებს, იმ საბრძოლო ხელოვნების რთულ ილეთებს, რომელსაც ბავშვები ეუფლებოდნენ.

ამჟამად ჩვენი ორგანიზაციის სულიერი მოძღვარი არის ვაკის წმინდა სამების ტაძრის წინამძღვარი – მამა დანიელი (ლობჟანიძე), რომელიც ვარჯიშობს კიდეც, როცა დროს გამონახავს. არის შავი ქამრის მფლობელი და ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი.

**სიტყვამ მოიტანა და აქვე ვთქვათ, რომ საქართველოს სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა კაკაბაძეა, ხოლო ვიცეპრეზიდენტები, მამა დანიელის გარდა, არიან ქალბატონი რუსუდან კერვალიშვილი და ბატონი კახაბერ კაკაბაძე.**

„წმ. გიორგი“, „ გორგასალი“, „აღმაშენებელი“, „დიდგორი“, „თეთნულდი“, „ივერია“, „ვაკე“, „აია“ „საბურთალო“, „სიონი“, „თავდადებული“, „იალმაგი“, „ავაზა“, „ბათუმი“, „ათინათი“, „თეთრი გიორგი“ — ეს იმ კლუბების არასრული ჩამონათვალია, რომელთაც დღეისთვის საქართველოს სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედერაცია აერთიანებს (www.seibukai.ge).

**— თქვენი ბიჭების გამოსვლით პროექტ „ნიჭიერში“ მოიხიბლა ქართული საზოგადოებრიობა. როგორ დაგებადათ აზრი კარატესა და ქართული ცეკვის შერწყმის?**

— სრულიად შემთხვევით. მე და კახაბერი ბავშვობიდან ვცეკვავდით, ლაურეატებიც კი ვიყავით თავის დროზე.

ესე იგი, ცეკვის ნიჭი და ხალისი ძმებში უკვე იდო.

**— ფიზიკური ვარჯიში მუსიკის თანხლებით კარატეში მიღებული მეთოდია.**

**აქ მოკლე გადახვევის უფლებას მივცემ საკუთარ თავს. იაპონიაში მუსიკით გატაცება საყოველთაო მოვლენაა. ეს ცნობილია. მაგრამ, როცა ამ სტრიქონების ავტორს და მის მეგობრებს იაპონურ ეროვნულ რესტორანში შესაწვავად (სტუმრები თვითონ წვავენ კერძს მაგიდებში ჩამონტაჟებულ სპეციალურ ღუმელზე) ახალი ხორცი მოგვიტანეს ქონისა და მჭლე ხორცის იდეალურად ჩანაცვლებული ფენებით, აგვიხსნეს კიდეც, რომ სხვა მეთოდებთან ერთად ასეთ შედეგს ფერმებში მუსიკალური ფონის შექმნით აღწევენ. ასე რომ, ქართულ კინოკომედიაში „უდიპლომო სასიძო“ ბრიყვი ზოოტექნიკოსის მიერ ორკესტრის მუსიკალური თანხლების წყალობით ცხოველების პროდუქტიულობის გაზრდის „ექსპერიმენტი“, ანუ, როგორც თვითონ ამბობს — „მუსიკის როლი პირუტყვის ზრდის დაჩქარებაში“, არც ისე გასამასხარავებელი ყოფილა.**

**„— ეს ჩვენი ნიკოლოზი ან ნამეტანი ჭკვიანია, ან ნამეტანს აფრენს...“**

**ეს ისე, გასამხიარულებლად.**

**გოჩა კაკაბაძის ნათქვამს დავუბრუნდეთ:**

— ჰოდა, როცა ერთხელ, ვარჯიშის დროს ქართული ცეკვის მელოდია ჩავრთეთ, ვნახეთ, რომ საოცრად დაემთხვა ჩვენი ჰანგის რიტმი იაპონური კარატეს რიტმს. ერთი ხანობა ასე ვვარჯიშობდით, შემდეგ თბილისობაზე გავიტანეთ საჩვენებელი ვარჯიში, ოღონდ მუსიკის თანხლების გარეშე. 1999 თუ 2000 წელს, ზუსტად ვერ გეტყვით, ფილარმონიაში მოგვიწია გამოსვლა. მაშინ კახას დაებადა იდეა, ჩვენი ვარჯიში სანახაობად წარმოედგინა. შემდეგ თანდათან დავხვეწეთ, დაბოლოს ისეთი სახე მიიღო, როგორიც ნახეთ.

ჩვენს ფედერაციაში ყველას გვაქვს საქმე განაწილებული. საჩვენებელ გამოსვლებზე პასუხისმგებელი და ორიენტირებული კახაბერ კაკაბაძეა.

**— ელოდით, რომ ასეთი წარმატება გექნებოდათ?**

— ჩვენი თვითმიზანი არაა, რომ ამ გამოსვლით და გამარჯვებით მხოლოდ ჩვენ მოგვემატოს მოსწავლეთა რაოდენობა. ჩვენი უმთავრესი მიზანი არის, ქუჩას წავართვათ ბავშვები, რათა შემდგომ განაწილდნენ სხვადასხვა სექციებში, რომლებიც ასე მრავლად არის საქართველოში.

**— კარატეს ერთ-ერთი ფუძემდებლური დებულებაა, არ გამოიყენო შენი ცოდნა და ძალა სუსტის წინააღმდეგ, არ იყო წამომწყები დაპირისპირების, იყავ მზად მხოლოდ თავდასხმის მოსაგერიებლად.**

— ჩვენთანაც ასეა, მაგრამ რაღაცა მაინც შევცვალეთ. მთლიანად თავდაცვაზე არ ვართ ორიენტირებული. „სანამ არ დამარტყამენ, არ დავარტყამ“ ყოველთვის გამართლებული არ არის. თუ საჭიროა, უნდა დაასწრო კიდეც. თუ ადამიანი საფრთხეშია, შენ კი ელოდები, როდის დაგარტყამენ და შემდეგ მიეშველები, ალოგიკური და გაუგებარია. შენ თვითონ არ უნდა იყო წამომწყები ჩხუბის და დავიდარაბის. მაგრამ, თუ ჩხუბისა და უბედურების ვინმესთვის თავიდან ასაცილებლად დარტყმაა საჭირო, უნდა დაარტყა. ოღონდ ბოროტად არ უნდა გამოიყენო შენი საბრძოლო ხელოვნება და სუსტი არ უნდა დაჩაგრო.

**ბევრი ადამიანი სწავლობს კარატეს, მაგრამ მხოლოდ ერთეულები თუ ეზიარებიან ამ საბრძოლო ხელოვნებას სრულად, ვინაიდან ეს იარაღი არ უნდა მიეცეს მოუმზადებელ ადამიანს. მომზადება კი, უწინარეს ყოვლისა, მორალური მდგრადობაა.**

მხოლოდ მას შემდეგ, როცა დარწმუნდებიან, რომ ბოროტად არ გამოიყენებენ ცოდნას, მასწავლებლები აზიარებენ კარატეს საიდუმლოებას მოსწავლეებს. მანამდე კი ვარჯიშია ჯანმრთელობის გასაკაჟებლად და სულიერი მხნეობის ჩამოსაყალიბებლად.

**არმაზ სანებლიძე**

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**HAARP-ის შემქმნელებისგან 1990 წელს ერთობლივად გამოცემულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ამ დანადგარის საშუალებით განხორციელდება იონოსფეროს მიზანმიმართული გარღვევის მცდელობა. ეს პრინციპულად ახალი ეფექტია და ის მიღწეულ იქნება სიმძლავრის იმ ახალ დონეზე გასვლის საშუალებით, რომელიც მანამდე ამ ტიპის სამხედრო აღჭურვილობისათვის მიუწვდომელი იყო.**

# HAARP — კლიმატური იარაღი, ანუ ამინდის გამოყენება სამხედრო მიზნებისთვის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №10-12

**პირველად ამინდზე ხელოვნური ზემოქმედება 1946 წელს განხორციელდა. მაშინ ამერიკელმა ქიმიკოსმა ვინსტონ შატერმა თვითმფრინავიდან კილოგრამ-ნახევარი მშრალი ყინული გადმოყარა, რამაც თოვლის მოსვლა განაპირობა. ნალექების პროვოცირების მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ღრუბლებში თვითმფრინავის, რაკეტების ან ჭურვების საშუალებით იფანტება სპეციალური რეაგენტები — ვერცხლის, მშრალი ყინულის ან ჩვეულებრივი ცემენტის შენაერთები. ისინი იზიდავს სისველეს, რომელსაც ატმოსფერო შეიცავს, მძიმდება და შემდეგ წვიმის ან სველი თოვლის სახით მოდის. აშშ-ში 40-იანი წლების დასასრულს ნალექების ხელოვნურად გამოწვევის შესაძლებლობათა ნამდვილი ბუმი იყო. კომერციული ფირმები პირდაპირ სთავაზობდნენ ფერმერებს კლიმატურ მომსახურებას. ბუნებრივი სტიქიის კოლოსალური ძალა შეიძლებოდა მასობრივი განადგურების იარაღად ქცეულიყო.**



**რიჩ გარსია, ჰარპის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების დირექტორი:**

— ჰარპი არის მძლავრი ანძა, რომელიც რადიოსიხშირის ტალღებს აგზავნის ატმოსფეროში. ეს დაახლოებით იგივეა, რასაც მზე აკეთებს. ეს ჩვენთვის აუცილებელია იმისთვის, რომ იონოსფეროში ცვალებადობისას თანამგზავრებთან კომუნიკაციების შენარჩუნება შეგვეძლოს.

ვინაიდან დედამიწის მაგნიტური პოლუსი კანადის, ესე იგი ალიასკის, მხარესაა მოქცეული, **ჰარპი პირდაპირ მაგნიტოსფეროს გუმბათის ქვეშაა განლაგებული. ამ მდებარეობას, სტრატეგიულის გარდა, ვერაფერს უწოდებ.**



კომპლექსის მუშაობითა და მისი კვლევებით დაკავებულია ლაბორატორია „ფილიპსი“, რომელიც კირტლენდში აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების ბაზაზე მდებარეობს. მას ექვემდებარება ასტროფიზიკისა და გეოფიზიკის ლაბორატორიები და აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების კოსმოსური ტექნოლოგიების ცენტრის განადგურების საშუალებათა ცენტრი.



**დოქტორი ჯონ ჰეკსჩერი, პროექტ ჰარპის მენეჯერი:**

— როდესაც რადიოსიხშირის ტალღების ნაკადს იონოსფეროში ვგზავნით, ტალღები მოლეკულებს ეჯახება და მათ სუბატომურ ნაწილაკებს აიძულებს, გაცილებით სწრაფად იმოძრაოს. ეს განაპირობებს ატმოსფეროს გახურებას 1600 გრადუსამდე და უფრო მეტადაც. გახურების იგივე მექანიზმი მოქმედებს მზის ენერგიის შემთხვევაშიც.

ამ სისტემის გამოსხივება მზის ბუნებრივ გამოსხივებას 10 მეგაჰერცის დიაპაზონში 5-6-ჯერ აჭარბებს. შესაბამისად, მის მიერ მიყენებული ზიანიც ამდენჯერ მეტი იქნება.



**კონსტანტინ სივკოვი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის ვიცეპრეზიდენტი:**

— ცნობილია, რომ ჩვენი პლანეტა დედამიწა თავისთავად წარმოადგენს ერთგვარ სფეროსებურ კონდენსატორს. ერთ მხარეს წარმოადგენს იონოსფერო, რომლის ქვეშაც განლაგებულია ატმოსფეროს დეელექტრიკი ფენები, უფრო ქვემოთ კი დედამიწის ზედაპირი. თუ ამ სფეროსებურ კონდენსატორში გამოვიწვევთ ტალღურ პროცესებს, გარკვეული პირობების შედეგად დედამიწის გამოსხივების ზემოქმედება შეიძლება გაძლიერდეს. როგორც ჩანს, **იონოსფეროში დაიწყო საკმაოდ მძლავრი ტალღური პროცესი, რომელმაც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ამინდის ჩამოყალიბებაზე.**



**ბორის როდიონოვი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:**

— პირველი ადამიანი, რომელიც ნამდვილად მუშაობდა იონოსფეროსთან, ანუ რომელმაც აღმოაჩინა ეს შრე, მეორე კონდენსატორი დედამიწის შემდეგ, ნიკოლა ტესლა გახლდათ. ეს ყოველივე მან ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულს აღმოაჩინა. მძლავრი მუხტებით განხორციელებულ თავის პირველ ექსპერიმენტებში მან ამ ფენის არსებობა აღმოაჩინა, შენიშნა მისი არამდგრადობა, გაზომა მერყეობის სიხშირე და დაიწყო იმის სწავლა, თუ როგორ გამოეყენებინა ეს ბუნებრივი კონდენსატორი.



**დოქტორი პატრიკ ფლანაგანი, ელექტრომაგნიტიზმის სპეციალისტი:**

— იონოსფერო ენერგიის განუსაზღვრელ რაოდენობას მოიცავს. დედამიწის ირგვლივ ნებისმიერ მომენტში დაახლოებით რვა ათასი ელექტროამოფრქვევა ხორციელდება. დედამიწისკენ მომართულია მილიონობით ამპერი ელექტროობა. HAARP-ს შეუძლია ენერგიის იონოსფეროზე ზემოქმედების ეფექტის გამოყენება.

მის მიერ გამოსხივებული რადიოტალღების ენერგია შეიძლება კონცენტრირებულ და მოდულირებულ იქნეს მანამდე წარმოუდგენელი მასშტაბების ფარგლებში. ყოველივე ეს იონოსფეროს მდგომარეობის კონტროლირებისთვის ხორციელდება. საამისოდ შექმნილი სპეციალური დანადგარი თავისი შინაარსით მაღალსიხშირიანი სიგნალის მძლავრი რადიოგამომსხივებელია, რომელსაც ფოკუსირებული ელექტრომაგნიტური ტალღების საჭირო მიმართულებით სწრაფი მიმართვის შესაძლებლობა აქვს. ეს უკანასკნელი **HAARP**-ი უნიკალურად აქცევს თავის ანალოგებს შორის.



**ლეონიდ ივაშოვი, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პრეზიდენტი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ-პოლკოვნიკი:**

— მიმდინარეობს დედამიწის მახლობელი სივრცის იონიზაცია. წარმოიქმნება ერთგვარი ლინზები. იმ ტერიტორიაზე, რომლის თავზეც ეს ლინზა კიდია, მზის სხივების ნაკადი ძლიერდება. შედეგად წარმოიქმნება ისეთი ბუნებრივი პირობები, როგორიცაა გვალვა, აუტანელი სიცხე, ამის შედეგად კი — მასიური ხანძრები და ასე შემდეგ. სხვა შემთხვევებში ყველაფერი პირიქით ხდება. წარმოიქმნება ლინზები, რომლებიც ნალექების ჭარბი რაოდენობით წარმოქმნას განაპირობებს.



**ბევერლი რუბიკი, ბიოფიზიკოსი:**

— დედამიწას მრავალგვარ ძალოვან ურთიერთქმედებებთან აქვს კავშირი. როდესაც ჩვენ უმძლავრეს ელექტრონაკადებს მივმართავთ ატმოსფეროში, შეუძლებელია, წინასწარ სრულად ვიცოდეთ, რისი გამოწვევა შეუძლია ამ ქმედებას.

HAARP-ის შემქმნელებისგან 1990 წელს ერთობლივად გამოცემულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ამ დანადგარის საშუალებით განხორციელდება იონოსფეროს მიზანმიმართული გარღვევის მცდელობა. ეს პრინციპულად ახალი ეფექტია და ის მიღწეულ იქნება სიმძლავრის იმ ახალ დონეზე გასვლის საშუალებით, რომელიც მანამდე ამ ტიპის სამხედრო აღჭურვილობისათვის მიუწვდომელი იყო.

**დოქტორი პატრიკ ფლანაგანი:**

— ატმოსფეროზე ზემოქმედებისათვის საჭიროა სულ ცოტა ენერგია, რომ უზარმაზარი ენერგიის გამოთავისუფლების რეაქცია იქნეს გამოწვეული. HAARP-ი **სწორედ ამგვარად ურთიერთქმედებს დედამიწის ენერგეტიკულ სისტემასთან.**



ნაკლები შესაძლებლობების მქონე მსგავსი დანადგარები დღეისათვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქმედებს და აქტიურადაც გამოიყენება იონოსფეროს სამეცნიერო კვლევებისთვის. მაგრამ მათგან არც ერთი არ მოიცავს გამოსხივების მახასიათებელთა იმ ნაკრებს და სხივის მიმართვის იმ სიზუსტეს, რომელსაც **HAARP**-ი ფლობს. სხვა ყველა მსგავსი დანადგარი ფანტავს ენერგიას და, **HAARP**-ის მსგავსად, მის ფოკუსირებას არ ახდენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **HAARP**-ი არის რადიოტელესკოპი, ოღონდ — საპირისპირო ფუნქციების. ის კი არ იჭერს სიგნალებს, არამედ ასხივებს მათ და შეუძლია ატმოსფეროს ზედა შრეები აადუღოს. იონოსფეროს ამგვარი შერყევის შედეგი იქნება გრძელი ტალღების ნაკადი, რომელიც აუცილებლად უკან დაბრუნდება და შეაღწევს მიწაში, წყალში, ჩვენში...



**ბორის როდიონოვი:**

— ასობით ანძით მოფენილ მინდორზე თითოეული ანტენის სიმაღლე 24 მეტრია. ეს მინდორი სიგნალს იონოსფეროს საჭირო წერტილში მიმართავს. მაშ ასე, მაღალსიხშირიანი სიგნალი ახურებს იონოსფეროს კონკრეტულად შერჩეულ ადგილას. ამის შემდეგ სიგნალი ითიშება. შემდეგ ისევ მეორდება სიგნალის გაგზავნა და ასე — მრავალჯერ. ამრიგად, შესაძლებელია, იონოსფერო სასურველ რეჟიმში გათბეს. ამის შედეგად წარმოიქმნება იონოსფეროს დაბალსიხშირიანი ცვალებადობა. აი, სულ ესაა იონოსფეროს ხელოვნური ამოქმედების პრინციპი. ამის შემდეგ დაინახავთ ენერგიის გამოყოფას, იმას, რასაც ტესლა განათებული ოკეანის სახით ხედავდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

**თურქებმა კარგად იცოდნენ, თუ რა ხდებოდა გაზაფხულზე ბორჯომის ხეობაში; არ უნდოდათ, დაეჯერებინათ, რომ რუს ჯარს წლის ამ დროს შეეძლო ახალციხის დასახმარებლად მისვლა, ამიტომ იყვნენ ძალიან გაოცებულნი, როცა 17 აპრილს ბურცევი აწყურიდან 40 ვერსის მოშორებით გამოჩნდა... ბურცევის ორივე ექსპედიცია — აბასთუმანშიც და ცუცქაბშიც მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ ამის შემდეგ თურქული ჯარები აქ ველარ პარპაშობდნენ.**

მემკვიდრეობა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ახალი მუქარა ახალციხესთან

**ხოსროვ-მირზას საელჩო ჯერ კიდევ თბილისისკენ მიმავალ გზას ადგა და სპარსეთის საქმეებიც მოგვარებულად არ ჩაითვლებოდა, რომ მთავარსარდალს ახალციხის წინააღმდეგ თურქთა ახალი შეკრების თაობაზე აცნობეს.**

ახალციხე იმ დროს საშინელ გაჭირვებას მოეცვა: გაჩნდა შავი ჭირი (როგორც ამბობდნენ, ალყის დროს შემოიტანეს) და ყველა გატარებული ღონისძიება ამაო იყო. ციხესიმაგრის კედლებში გამომწყვდეულ გარნიზონს გასანძრევი ადგილი არ ჰქონდა და კარანტინის წესების დაცვას ვერ ახერხებდა. გამძვინვარებული შავი ჭირი საფლავში აწვენდა მამაც შირვანელებს და მათზე უფრო უბედურ ქალაქის გაღატაკებულ მოსახლეობას.

ჭორები მოწინააღმდეგეზე არ წყდებოდა. ალყის მოხსნიდან 15 დღის შემდეგ თავად ბებუთოვს შეატყობინეს, რომ აჭარაში მღელვარება დაიწყო. ხალხის აბობოქრებით შეშინებული აჰმედ-ბეგი მზად იყო, რუსეთის წინაშე ქედი მოეხარა; იძულებული იყო, ჯარებით დაეკავებინა სასაზღვრო სანჯაკები — ქობლიენი და შავშეთი. მონაცემების მიხედვით, მოწინააღმდეგეს ამ პუნქტებში 20 ათასი ადამიანი ჰყავდა. **აჰმედ-ბეგი აპირებდა, ჩვენს საზღვრებში შემოჭრილიყო, რათა აღედგინა დაკარგული გავლენა. ჭორები, რომელიც სომხებს მოჰქონდათ, როგორც ჩანს, გაბუქებული იყო. მიუხედავად ამისა, ახალციხის საფაშოს მცხოვრებნი, ჩართულნი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, შეშფოთებული ჩანდნენ.**

საფრთხე დაემუქრა ყარსსაც და ბაიაზეთსაც (ნაწილობრივ). ჯერ კიდევ თოვლით იყო მთები დაფარული, როცა ქურთთა მოწინავე პარტიები გამოჩნდნენ სოღანლუღიდან. ცნობილი გახდა, რომ სულთანმა სერასკირს ორი მილიონი პიასტრი (ფულის ერთეული) გამოუგზავნა ქურთთა სიმშვიდის საყიდლად, რომლებიც უკვე მერყეობდნენ — ვისი მხარე დაეჭირათ. თურქულმა ოქრომ მოხიბლა ქურთები. მათ პირველებმა დაიწყეს საომარი მოქმედებები. როგორც კი 1 აპრილს გენერალ პანკრატევის რაზმი გავიდა ბაიაზეთიდან არპაჩაიზე, თურქთა ძლიერი პარტია მეორე დღესვე თავს დაესხა ხამურის სოფლებს. მათ დასახმარებლად კაზაკთა ცხენოსნებმა სანამ 40 ვერსი გაირბინეს, სოფლები უკვე გაქურდული იყო და დონელები ქურთებს პათნოსის გზაზე გადააწყდნენ. ნადავლით დატვირთული ქურთების პარტია ასი კაცის დაცვით უკან იხევდა. 40 ქურთი რუსებთან ხელჩართულ ბრძოლაში დაიღუპა, 25 — ტყვედ აიყვანეს, მათ შორის აჰმედ-აღაც; კაზაკთა მხრიდან მხოლოდ ორი დაჭრილი იყო. ქურთები იძულებული გახდნენ, ნადავლი დაეტოვებინათ და ისე, „მსუბუქად“ წასულიყვნენ. ამ შემთხვევამ დაარწმუნა ქურთები, რომ იოლად ცხოვრების იმედი აღარ უნდა ჰქონოდათ.

**როგორც კი გაირკვა, რომ ბაიაზეთისა და ყარსის მხრიდან მოსალოდნელი იყო მხოლოდ მცირე ყაჩაღური თავდასხმები, პასკევიჩმა მთელი თავისი ყურადღება ახალციხის გარნიზონზე გადაიტანა.**

გენერალ ბურცევს ნაბრძანები ჰქონდა, ხერსონის პოლკთან ერთად რვა ქვემეხით თავიდან დაძრულიყო ახალციხისკენ და აწყურის წინ გაჩერებულიყო. ბურცევი გორიდან გამოვიდა აპრილის დასაწყისში, ბორჯომის ხეობას რომ მიაღწია, უნდა გაჩერებულიყო ქვედა გასასვლელთან, რადგან ადიდებულმა მტკვარმა ორი-სამი კვირის განმავლობაში გზის კვალიც კი გააქრო, რომელზეც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გაიარა, როცა ახალციხის დასახმარებლად მიდიოდა. ჯარები დიდხანს ცდილობდნენ მტკვარზე გადასვლას ბორნის საშუალებით, რამდენიმე კაცი დაიხრჩო. ბოლოს და ბოლოს, ძლივს მოახერხეს ჯარის მცირე ნაწილის მეორე ნაპირზე გადაყვანა. ყველა ურემი, არტილერია გამოღმა დარჩა ასეულის მეთვალყურეობის ქვეშ. კლდეთა ვიწრო ბილიკებით ბურცევმა, როგორც იქნა, გოგიასციხეს მიაღწია.

ახლა ამ ადგილას ბორჯომია, თავისი ულამაზესი პარკებითა და მინერალური წყლებით. უამრავი ავადმყოფი და დაჭრილი მოისწრაფვის ამ ადგილისკენ განსაკურნებლად. როცა ბურცევი ამ ადგილებში იმყოფებოდა, იგი მხოლოდ ველურ ბუნებას წარმოადგენდა: მტკვრის ორივე სანაპიროზე, შიშველ კლდეებზე, მოჩანდა გოგიასციხისა და მისი „მოწინააღმდეგის“ — პეტრესციხის ნანგრევები.

აქ თურმე ორი ძმა ცხოვრობდა, რომელთა მტრობას საზღვარი არ ჰქონია, მათ ქიშპობაში, შუღლში გადიოდა დრო. ძმები თავიანთი აზნაურებით არაერთხელ შებრძოლებიან ერთმანეთს ნადავლის გამო. თავიანთ სისასტიკითა და ბოროტებით ისინი თავზარს სცემდნენ მეზობელ თავადებს. სიკვდილის შავი ღრუბელი გამუდმებით იდგა ორთავე ძმის ციხეების თავზე. მეზობლები ძმების ასეთ უჩვეულო ურთიერთობას ვერ ეგუებოდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ მათ შესარიგებლად. როგორც იქნა, ძმები შერიგდნენ, გადაეხვივნენ ერთმანეთს და მეგობრობის ფიცი დადეს. ძვირფასი აზარფეშები და სასმისები ხელიდან ხელში გადადიოდა, მაგრამ ღვინო ვერ გააქრობდა მთვლემარე სიძულვილს. და აი, — ერთი გაუთვალისწინებლად ნასროლი სიტყვაც და წამოვიდა ახალი ქარიშხალი: ძმებმა კვლავ ხანჯლებს დაავლეს ხელი და ორივე მკვდარი დაეცა. მათ არც აზნაურები ჩამოუვარდნენ და იქვე, სადაც ცოტა ხნის წინ ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდნენ, გვამების გროვა გაჩნდა. მას შემდეგ ციხეები დაცარიელდა, ხოლო დაუნდობელმა დრომ ისინი ნანგრევებად აქცია.

სწორედ ამ გოგიასციხესთან მოუწია რაზმს გაჩერება.

**თურქებმა კარგად იცოდნენ, თუ რა ხდებოდა გაზაფხულზე ბორჯომის ხეობაში; არ უნდოდათ, დაეჯერებინათ, რომ რუს ჯარს წლის ამ დროს შეეძლო ახალციხის დასახმარებლად მისვლა, ამიტომ იყვნენ ძალიან გაოცებულნი, როცა 17 აპრილს ბურცევი აწყურიდან 40 ვერსის მოშორებით გამოჩნდა.** ბებუთოვს უნდოდა, გამოეყენებინა შემთხვევა და აბასთუმნის სანჯაკში მდგარი ჯარების გამოყენებით დაესაჯა ზოგიერთი სოფელი. მისი ბრძანებით, ბურცევმა სეტყვასავით გაიარა თითქმის აჭარის მთებამდე და ხალხი, რომელმაც თოვლით დაფარულ ხეობებს შეაფარა თავი, დაკარგა პირუტყვი და ყველაფერი, რაც ებადა, იძულებული გახდა, პატიება ეთხოვა — ბურცევმა ხელმძღვანელები გამოიძახა, ფიცი მიაღებინა და აწყურისკენ დაიხია.

**ამბავმა, რომ რუსული ჯარები საქართველოს უახლოვდება, დააჩქარა თურქთა თავდასხმა და 25 აპრილს ძლიერი ავანგარდი პირადად აჰმედ-ბეგის მეთაურობით მთებიდან დაეშვა და სოფელ ქველში გაჩერდა, ახალციხიდან 70 ვერსის დაშორებით. რუსებმა გაარკვიეს, რომ თურქები არტილერიის გარეშე იყვნენ (რადგან მთებით მისი გადმოტანა შეუძლებელი იყო) და პირველ ხანებში მხოლოდ ქრისტიანული სოფლების დარბევით შემოიფარგლებოდნენ არდაღანის სანჯაკში. თავადმა ბებუთოვმა, თავის მხრივ, იჩქარა, აჰმედ-ბეგის გაუფრთხილებლობა გამოეყენებინა, გაენადგურებინა იგი მანამდე, ვიდრე სხვა თურქული ჯარები მოვიდოდნენ და ექსპედიცია ბურცევს დაავალა.**

30 აპრილს ხერსონის პოლკი ხუთი ქვემეხით აწყურიდან გამოვიდა; გზად შირვანის კიდევ ორ ასეულსა და ლეონოვის კაზაკთა პოლკს შეუერთდა; ღამე ახალციხიდან 26 ვერსის მოშორებით გაათია. აქ მიიღეს ინფორმაცია, რომ მოწინააღმდეგე ქველიდან გამოვიდა არდაღანის გზაზე. ბურცევმა უცებ მოისაზრა, მისთვის მთებისკენ წასასვლელი გზა გადაეღობა და ფორსირებული მარშით დაიძრა სოფელ ცურცქაბისკენ. ამით მოწინააღმდეგე იქნებოდა რა საფაშოს სიღრმეში, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. თურქთა ბედად, ბურცევის ამ განზრახვას მიხვდა აჰმედ-ბეგი და უკან გაბრუნდა.

**ცუცქაბი დიდი, გამუსლიმანებული სოფელია, რომელსაც წარსულის არანაირი ნაკვალევი არ ეტყობა, რაც მიანიშნებდა მის ერთ დროს ქართულ ოჯახში ყოფნაზე. მართლმადიდებლური ეკლესიაც ნანგრევებად კი არ ქცეულა, არამედ მეჩეთადაა გადაკეთებული. ძველი, დიდებული ტაძრისგან მხოლოდ შიშველი კედლებიღაა დარჩენილი და რამდენიმე ქვა, რომელმაც ქართული წარწერის გაურკვეველი კვალი შემოინახა.**

მიუახლოვდნენ რა სოფელს, ჯარმა დაინახეს სიმაღლეები, რომლებზეც თურქები იყვნენ გამაგრებული. აჰმედ-ბეგი ფიქრობდა, ამ სიმაღლეებიდან დაესუსტებინა რუსთა ჯარი და შემდეგ გადამწყვეტი ბრძოლა გაემართა იმ სოფელში, სადაც მისი რეზერვები იყო გადამალული.

ახლა ბურცევიც სახიფათო სიტუაციაში აღმოჩნდა. სიმაღლეების შემოვლა შეუძლებელი იყო, მათზე იერიშის მიტანას კი დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა. მიუხედავად ამისა, ბურცევმა არჩია, წინ წასულიყო, ვიდრე 50 ვერსის მანძილზე უკან დაეხია. და აი, შუადღისას რუსული ჯარები დაიძრნენ. პირველი პოზიცია ხერსონელებმა მალევე აიღეს, მაგრამ დანარჩენები ისე მედგრად იცავდნენ თავს და ძალთა ისეთ დაძაბვას მოითხოვდნენ, რომ, როცა შირვანელებმა ბოლო სიმაღლე აიღეს, იძულებული გახდნენ, ცურცქაბისგან სულ რაღაც 50 ნაბიჯის მოშორებით გაჩერებულიყვნენ. დანაკარგი მნიშვნელოვანი იყო, წინ მოჩანდა სოფელი, სქელი ხის კედლებით შემოღობილი, რომლის დაცვასაც აძლიერებდა ცეცხლის რამდენიმე იარუსი სოფლის ყველა სახლიდან. ამ დროს მოწინააღმდეგე მთელი თავისი რეზერვით შეტევაზე გადმოვიდა. შირვანის ასეულებს ქვეითებმა შემოუტიეს; თურქი ცხენოსნები შირვანის ბატალიონისკენ წავიდნენ, რომელიც საომარი ხაზიდან ძალიან შორს იყო წინწაწეული. სასტიკი ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა და მოწინააღმდეგის ყველა თავდასხმა მოგერიებული იქნა. აჰმედ-ბეგი სოფელში გაბრუნდა.

**დადგა აპრილის ბნელი ღამე. ორივე მოწინააღმდეგის მდგომარეობა არასახარბიელო იყო. ორივემ ბევრი ჯარისკაცი დაკარგა. ძნელი იყო იმის თქმა, თუ რა მოხდებოდა დილით: რუსები დაიპყრობდნენ სოფელს თუ თურქები კიდევ ერთხელ შეუტევდნენ რუსულ პოზიციებს; თუ, ბოლოს და ბოლოს, ერთ-ერთი მხარე, სულიერად უფრო სუსტი, ისარგებლებდა ღამის სიბნელით და იქაურობას გაეცლებოდა?**

**სწორედ ეს მოხდა. თურქებმა გათენებამდე ერთი საათით ადრე დატოვეს სოფელი და უკან დაიხიეს. ბურცევი მათ ფეხდაფეხ მიჰყვა და გზად ყველა დაუმორჩილებელი სოფელი გადაწვა.**

ამავე დროს, ახალციხეში ახალი ამბავი შეიტყვეს, რომ მთებიდან პირდაპირი გზით სხვა თურქული რაზმი დაეშვა და მალე ბურცევის ზურგში აღმოჩნდებაო. თავადმა ბებუთოვმა მაშინვე გაგზავნა მასთან შირვანის ბატალიონი პოლკოვნიკ იუდინის მეთაურობით. ციხესიმაგრეში კი გარნიზონის სულ სამი ასეული დარჩა. ახალციხეს რამდენიმე საგანგაშო დღის გაძლება მოუხდა, სანამ არ მიიღეს ცნობა, რომ აჰმედ-ბეგი გაიქცა ცურცქაბიდან და რომ თურქული რაზმი, რომელიც მასთან დასახმარებლად მიისწრაფვოდა, იუდინის მიახლოებისთანავე აჭარაში გადავიდა.

ბურცევი დაჭირიანებულ ახალციხეში არ შესულა, იგი ბორჯომის ხეობაში დაბრუნდა და აწყურიდან 12 ვერსის მოშორებით ძლიერი გამაგრება გააკეთა. ამასთან, აქედან საქართველოსთან კავშირი უზრუნველყოფილი იყო.

ბურცევის ორივე ექსპედიცია — აბასთუმანშიც და ცუცქაბშიც მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ ამის შემდეგ თურქული ჯარები აქ ველარ პარპაშობდნენ.

მაგრამ ახლოვდებოდა დრო, როცა იმავე ველებზე უფრო სასტიკი და მნიშვნელოვანი მოვლენები უნდა მომხდარიყო. იწყებოდა 1829 წლის კამპანია.

**ვასილი პოტო**
**ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი“**




**გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეთექვსმეტე ნომერი**

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა" — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**გაეროს უშიშროების საბჭოში უკანასკნელი კენჭისყრა მიუნხენის შეთქმულებასა და აგრესორის დამშვიდების პოლიტიკას ჰგავდა. ჰიტლერული გერმანიის ადგილას ახლა აშშ-ის ლიბერალ-ფაშისტები და მათი ნატოელი მეგობრები არიან. ყველა ნიშნის მიხედვით ჩანს, რომ გლობალური კონფლიქტის დაწყებამდე რამდენიმე თვეღა რჩება. დასანანია, რომ, როგორც ისტორია გვიჩვენებს, ბრძოლა ისევ ჩვენ მოგვიწევს“.**

# ალექსანდრე დუგინი: მსოფლიო — მესამე ომის ზღვარზე

**რუსეთის საზოგადოებას და მით უფრო მმართველ ელიტას რუსეთისა და მთელი მსოფლიოსკენ მომავალი კატასტროფისთვის თვალის გასწორება რომ არ სურს, ეს ამ კატასტროფის დადგომის ერთ-ერთი წინაპირობაა. ლიბიაში ომია, არაბულ ქვეყნებში — ტოტალური ამბოხება. მსოფლიო შეუქცევად ცვლილებებს განიცდის და ეს სულ მალე ყველა ჩვენგანს შეეხება. შეუქცევადობის წერტილი გადალახულია, ყველაფერი, რაც მსოფლიოში ხდება, ხდება ჩვენს ფანჯრებთან. „გუშინ“ დასრულდა, რეალური „დღეს“ იწყება. მართალია, ტელევიზიით გარკვეული დროის მანძილზე კიდევ გვიჩვენებენ შარშანდელ სიზმრებს, მაგრამ მალე თავსდატეხილ რეალობას ვეღარსად დავემალებით. არსებობს რეალობის რამდენიმე პუნქტი, რომელიც დღესაც თვალნათელია ნებისმიერი შეთქმულების თეორიის მიღმაც კი. მათ შესახებ გახსნილად ჯერ არავინ საუბრობს, მაგრამ ისინი თავად ალაპარაკდნენ საკუთარ თავზე.**

ალექსანდრე დუგინი





## ეკონომიკის აღსასრული

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დაძლეული არაა. ფიქტიური ფინანსური ეკონომიკის ახალი ბუშტი არ იბერება, „დაუსრულებელი ზრდის“ ჰიპოთეზა უარყოფილ იქნა, პოსტინდუსტრიული საზოგადოების განვითარების სტაბილურობის შესახებ მითი დამსხვრეულია. არც ევროპა და არც აშშ 2008 წლის კრიზისიდან არ გამოსულა. არაფრით უზრუნველყოფილი მწვანე ქაღალდების მსოფლიოზე ფრქვევა ვეღარ გაგრძელდება. არც აშშ-ში და არც ევროპაში ვინმეს მიახლოებითაც კი არ აქვს წარმოდგენა შესაძლო ალტერნატივაზე. მთელი ფსონი იმაზე იყო დადებული, რაც დაიმსხვრა. ეს გლობალურ დეფოლტს ნიშნავს. ეს ჩიხია.

## დემოკრატიის აღსასრული

ლიბერალური დემოკრატიის გლობალიზაცია ზღვარზეა. ლიბერალური დემოკრატია უკიდურესად ეფექტური გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე იყო და გარკვეული გეოგრაფიული არეალის კონტექსტში (ევროპა და ამერიკა), ასევე — ზოგიერთ კოლონიალურ ზონაში. დანარჩენ კაცობრიობაზე ლიბერალური დემოკრატიის გადატანის მცდელობა მოულოდნელ ეფექტს შეეჯახა: ის ან არ მუშაობს, ან ათავისუფლებს არადემოკრატიულ ძალებს, ან ქაოსში გადაიზრდება. რაც უფრო მეტია დემოკრატიის გლობალიზაციის დაჟინება, მით უფრო მეტად ანადგურებენ მას იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ერთ დროს ეფექტურად მუშაობდა: მიგრანტებს თან მიაქვთ მძლავრი დესტრუქციული სოციალური წესები, რომლებიც მის ეროზიას განაპირობებს. მულტიკულტურიზმის კრიზისზე დღესდღეობით ევროპის ყველაზე ფრთხილი ლიდერებიც კი ალაპარაკდნენ.

## ამერიკის აღსასრული

**აშშ მზად არ აღმოჩნდა, მსოფლიო ბატონობის ტვირთი ეზიდა. დღეს აშკარად არავინ აყენებს ეჭვქვეშ მის ძლევამოსილებას, მაგრამ თავად აშშ ამ ძლევამოსილების სიმძიმის ქვეშ მიზანმიმართულად იცვლება. მოქმედებს რა სწრაფად და სწორხაზოვნად, ფრთხილი და დახვეწილი ბრიტანული იმპერიისგან განსხვავებით, ამერიკა ჯერ მოქმედებს და შემდეგ ფიქრობს. და ყოველ ჯერზე ფიქრი უფრო და უფრო გვიანდება.**

დღეისათვის აშშ უკვე სამ ინტერვენციაშია ჩართული (ავღანეთი, ერაყი და ლიბია) და ვერც ერთ მათგანში თეორიულადაც კი ვერ აღწევს წარმატებას. იმედიც კი არ ჩანს, რომ ოდესმე, მომავალში მაინც, მიღწეულ იქნება რაიმე, ამერიკულ სტანდარტებთან მიახლოებული. თუ ამას დავუმატებთ ამერიკის ჩართულობას არაბული ქვეყნების ჯაჭვურ რევოლუციებში, შეიძლება ითქვას, რომ ის თავის უკანასკნელ იმპერიულ კამპანიაშია ჩაბმული. აქედან გამოსავალი არ არსებობს, ისევე, როგორც არ არსებობს გამარჯვების თუნდაც თეორიული შესაძლებლობა.

სავსებით ობიექტურად აშშ-ს მხოლოდ ორი გზა აქვს: ან დაიშალოს იმ იარაღის უკუდარტყმით, რომელიც თავადვე მოიყვანეს მოქმედებაში ტვიტერ-რევოლუციების სახით, ან სრულფასოვანი მესამე მსოფლიო ომის მსგავს გლობალურ კონფლიქტში ჩაერთოს. მხოლოდ ამგვარი ომის პირობებში გახდება შესაძლებელი ყველა წარსული წარუმატებლობის ჩამოწერა და ბალანსის განულება.

## ამერიკა არაბული ქვეყნების ჯაჭვური რევოლუციებით, თავის უკანასკნელ იმპერიულ კამპანიაშია ჩაბმული

## ნაცნობი მსოფლიოს აღსასრული

**უბრალოდ, შევაჯამოთ სამი მომენტი: ეკონომიკის აღსასრული+დემოკრატიის აღსასრული+ამერიკის აღსასრული. პასუხად ჩვენთვის აქამდე ცნობილ მსოფლიოს აღსასრულს მივიღებთ. ეს კი ნიშნავს, რომ მივიღებთ იმ რუსეთის აღსასრულსაც, რომელსაც დღეს ვიცნობთ.**

კაპიტალიზმის კრიზისმა XX საუკუნეში ორჯერ გამოიწვია მსოფლიო ომი. აშშ კუთხეში იმითაა მიმწყვდეული, რომ მას არ შეუძლია მსოფლიო ჰეგემონი იყოს და არც ის შეუძლია, რომ მსოფლიო ჰეგემონი არ იყოს. ეს გადაუჭრელი საკითხია.



ერთ-ერთი ბლოგერი წერს:

**„სიტუაცია მეორე მსოფლიო ომის წინანდელ მდგომარეობას ემსგავსება (1930-იანი წლები). მაშინ გეოპოლიტიკურ მიზეზთა ერთობლიობამ და საკუთარმა უუნარობამ, ბუნებრივად გადაეჭრათ გლობალური ეკონომიკური პრობლემები, წამყვანი იმპერიალისტური სახელმწიფოები აიძულა, საერთაშორისო კონფლიქტი გაეღვივებინათ. რა პრინციპული თავისებურებებით გამოირჩევა ლიბიის ოპერაცია ერაყის, ავღანეთისა და იუგოსლავიის კონფლიქტებისგან? იმით, რომ ამერიკული ეკონომიკა და მასზე მიბმული დოლარის მსოფლიო სისტემა კატასტროფის ზღვარზეა.**

**2008 წლის ფინანსური კრიზისის მთავარი მიზეზები არსად წასულა. საწინააღმდეგოს მტკიცება სისულელეა. აშშ-ის სახელმწიფო ვალი წარმოუდგენელ რეკორდს ამყარებს, ტრილიონობით დოლარს უკვე უზომოდ ბეჭდავენ. თეთრ სახლსა და პენტაგონში სერიოზულად განიხილავენ ფინანსური კრახის, დეზინტეგრაციისა და შეიარაღებული ძალების შიდა არეულობების ჩასახშობად გამოყენების შემდეგ სახელმწიფოს დაშლის სცენარს. ბევრი შტატის მაღაზიებში დოლარის მიღებაზე უარს აცხადებენ და სხვა ვალუტას ითხოვენ, „ქალაქი-მოჩვენებები“ სოკოებივით იზრდება. წაიკითხეთ ამერიკული პრესა და არა CNN-ი.**

**ანგლოსაქსებს დასაკარგი აღარაფერი აქვთ. მოვლენების ინერციული განვითარების შემთხვევაში, ისინი გარდაუვალად კარგავენ მსოფლიოში თავიანთ ექსკლუზიურ მდგომარეობას. ასეთ სიტუაციაში ერთადერთი შანსი თამაშის წესების სრული შეცვლა, სისტემის გადატვირთვაა. მესამე მსოფლიო ომი, გლობალური ქაოსი, არის ის, საიდანაც ახალი მსოფლიო წესრიგის აშენება შეიძლება, თანაც ისე, რომ მმართველობის ყველა გასაღები ისევ ანგლოსაქსებისა და მათთან დაკავშირებული ტრანსნაციონალური ელიტის ხელთ იქნება.**

**თუ ბოლომდე გააცნობიერებენ, რომ კუთხეში არიან მიმწყვდეულნი, მათ, უბრალოდ, არ შეუძლიათ, არ დაიწყონ ეს ომი.**

**გაეროს უშიშროების საბჭოში უკანასკნელი კენჭისყრა მიუნხენის შეთქმულებასა და აგრესორის დამშვიდების პოლიტიკას ჰგავდა. ჰიტლერული გერმანიის ადგილას ახლა აშშ-ის ლიბერალ-ფაშისტები და მათი ნატოელი მეგობრები არიან. ყველა ნიშნის მიხედვით ჩანს, რომ გლობალური კონფლიქტის დაწყებამდე რამდენიმე თვეღა რჩება. დასანანია, რომ, როგორც ისტორია გვიჩვენებს, ბრძოლა ისევ ჩვენ მოგვიწევს“.**

ეს ბლოგერი აბსოლუტურად მართალია, ბრძოლა ნამდვილად ჩვენ მოგვიწევს. რუსეთის ბედი გარანტირებულ და უკვე დაწყებულ კატასტროფაში მთელი დანარჩენი მსოფლიოს ბედისგან განუყოფელია. „მიმეტიკური იარაღი“ (რომელიც სოციალურ ქსელებს, მობილურ კავშირგაბმულობასა და ინტერნეტს იყენებს) უკვე ამოქმედდა ჩვენს ქვეყანაში და მოდერნიზაციამ მხოლოდ დააჩქარა ეს პროცესი, უკიდურეს შემთხვევაში, პრომოუშენი გაუკეთა.

ქსელური სტრუქტურების იმპლემენტაცია რუსეთის საზოგადოების საერთო, გლობალურ ველში ინტეგრაციას ახორციელებს, ეს უკანასკნელი კი მათი მანიპულაციების მსხვერპლია, ვინც შეიმუშავა და დანერგა ის. ჩინეთისგან განსხვავებით, სასაზღვრო ფილტრების შექმნით ჩვენ არ დავკავებულვართ და მხოლოდ „ჩინურ ინტერნეტს“ დავცინოდით. ჩინურის ალტერნატივა „არაბული ინტერნეტია“, ის კი სოციალური დესტრუქციისა და ქაოსის მუხტს უკვე არა მხოლოდ იდეოლოგიურ, არამედ ტექნიკურ დონეზეც შეიცავს. რუსული საზოგადოება ამ ქსელში საკმარისადაა გახლართული საიმისოდ, რომ, სერიოზული ბიძგის შემთხვევაში, არაბული ქვეყნების გზას დაადგეს. ეს კი ერთადერთ რამეს ნიშნავს — ომს.

ბლოგერი წერს:

**„ისინი ძალიან მალე მოვლენ. 2011-2012 წლების საპრეზიდენტო კამპანია შესაფერისი კონიუნქტურაა. სცენარი, შესაძლოა, ასეთი იყოს: დემოკრატიული ოპოზიცია გამოსვლებს დაიწყებს, ხელისუფლება ამ გამოსვლებს სასტიკად ჩაახშობს, კავკასიასა და ვოლგისპირეთში კი ტერაქტები დაიწყება. მსხვილ ქალაქებში ნაციონალისტების შეტაკებები გაჩაღდება, CNN-ი რეპორტაჟს მოამზადებს, მოსკოვს გაეროს უშიშროების საბჭოდან გარიცხავენ, დემოკრატიის დასაცავად სამშვიდობო კონტინგენტის შეყვანის რეზოლუციებს მიიღებენ. თავიდან შეტაკებები ჩვეულებრივი იარაღის გამოყენებით დაიწყება, ყველა იფიქრებს, რომ კრემლი ვერასდროს გადაწყვეტს ბირთვული იარაღის გამოყენებას. შეიძლება არც გადაწყვიტოს, ამ შემთხვევაში დაეხმარებიან გადაწყვეტაში, როგორც ახლა დაეხმარნენ კადაფს“.**

სავსებით რეალისტური სცენარია. გვინდა, რაიმე ოპტიმისტურ ფინალს მივაგნოთ, მაგრამ უამისოდ განა არ კმარა ტყუილები? არავითარი ოპტიმისტური ფინალი არ ჩანს. ერნესტ იუნგერი ამბობდა, რომ „ომი ჩვენი დედაა“, მშვიდობა — ძილის მამაა. ომი სერიოზული და საპასუხისმგებლო აზრის დედაა, ყველა ნამდვილი რამის დედა. მათ, ვისთვისაც ჯერ კიდევ მშვიდობაა, დაე იძინონ. ჩვენთვის ომი უკვე დაიწყო.

**ალექსანდრე დუგინი**
„Однако“ № 09 (73), 2011

## ამერიკული ეკონომიკა და მასზე მიბმული დოლარის მსოფლიო სისტემა კატასტროფის ზღვარზეა

სერბეთის შიდა და საგარეო პოლიტიკაზე აშშ-ისა და ევროკავშირის მრავალწლიანი დიქტატის, რეგიონში ალბანური ნარკოკრიმინალური და სეპარატისტული აქტივობის ფონზე მოქმედებათა ასეთი ნაკრები სერბული გეოპოლიტიკური სივრცის განადგურების პროცესის სავსებით ლოგიკური დასასრულია.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# დიდი ახლო აღმოსავლეთი და დიდი თეთრი ძმა

**ჯორჯ ბუშ-უმცროსის ადმინისტრაციის თეთრი სახლიდან 2003 წელს გაჟღერებულმა დიდი ახლო აღმოსავლეთის პროექტმა ამ ყველაფრით მდიდარი რეგიონის მეგობრულ და ნაკლებად მეგობრულ თემებს შორის შეშფოთება გამოიწვია. თავისი სულთამხუთავი წინაპრების ტრადიციის შესაბამისად, ჯორჯ-უმცროსი ამ მოძმე ხალხის პერსონალური თავისუფლებით მანამდე დაკავდა, ვიდრე მათთვის აბსოლუტურად არასაჭირო რეზერვებს წაართმევდა. პროექტში ჩატენეს უამრავი ლამაზი სიტყვა ამ ველურების შემოქმედებითი ძალების გამოთავისუფლების შესახებ, რასაც დიდი თეთრი ძმის დახმარების გარეშე, ცხადია, თავს ვერ გაართმევდნენ. ჯორჯ-უმცროსს, როგორც ყოველთვის, ერთი მართალი სიტყვაც არ უთქვამს. ეს არც მას და არც მის სულთამხუთავ წინაპრებს არ ახასიათებდათ.**

მაგრამ ველურებმა იყნოსეს, რომ საუბარია არა შემოქმედებით ძალებზე, არამედ იმაზე, რომ ჯორჯ-უმცროსის სისხლისმიერი ძმისთვის — თელ-ავივისთვის, ყველანაირი სირთულე აღმოიფხვრას. უმცროსმა გადაწყვიტა, რომ მოძმის სამი უმთავრესი მტრის — ირანის, ერაყისა და სირიის შეურიგებელი ბელადების მოშორება მისთვის უბრალო წვრილმანია. ჩანაფიქრის შესანიღბად ამ საქმეს სხვა თემებიც მიაბეს — **თურმე ტუნისში, ალჟირში, ლიბიაში, ეგვიპტეში და ასე შემდეგ ხალხი გაუსაძლის მდგომარეობაში იყო დიდი თეთრი ძმის მამობრივი მზრუნველობის გარეშე. მართალია, ჯორჯ-უმცროსის სულგრძელობა ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ამ თემების ბელადებმა მაინც დაანთეს კოცონი და მის ირგვლივ რიტუალური ცეკვის შესრულებით მიახალეს — ჩვენ ასეც მშვენივრად ვგრძნობთ თავს, გაიარეთო.**

მიუხედავად ამისა, ამერიკელების მიერ მოფიქრებული „დიდი ახლო აღმოსავლეთის“ გეგმა ხორციელდება და დღეისათვის მისი რეალიზაციის საკმაოდ სერიოზული ეტაპი უკვე გავლილია. ასე რომ, შუალედური შედეგების შესახებაც კი შეიძლება საუბარი. **უკანასკნელ წლებში ამერიკის საინფორმაციო ომის საშუალებების პერმანენტულმა აგრესიამ ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონებში ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია და მთელი რიგი სპონტანური და ცუდად მართული ბუნტი განაპირობა.** ამან ნაწილობრივ შეცვალა მდგომარეობა. მნიშვნელოვან მოგებას გლობალისტებმა ჯერ ვერ მიაღწიეს — ყველა აჯანყებულ ქვეყანაში მდგომარეობა ან გამოუვალია, ან — ხელისუფლების სასარგებლო. ამერიკელებმა საქმის ბოლომდე მიყვანა მხოლოდ ერაყში მოახერხეს და „დემოკრატიული მმართველობა“ დაამყარეს. მაგრამ ეს ისტორიაში ამერიკის მიერ კაცობრიობის დიქტატურისგან გათავისუფლებად არ ჩაიწერება, ამერიკელების წასვლის შემდეგ ერაყში მდგომარეობა უარესად დაიძაბება და, სავარაუდოდ, ეთნო-კონფესიური ომის ახალი რაუნდი დაიწყება.

თუ როგორ განვითარდება მოვლენები, დრო გვიჩვენებს, მაგრამ ამერიკელთა წარმატება ეფემერულია. საქმე ისაა, რომ **კისინჯერის, ჩეინისა და ვულფოვიცის მიერ ჩაფიქრებული „დიდი ახლო აღმოსავლეთის“ პროექტი სხვა ხალხების ეროვნული და ფსიქოლოგიური თავისებურებების საოცარი გაუგებრობით გამოირჩევა.** თითქოს არც გაქცეულან ამერიკელები ვიეტნამიდან და კამბოჯიდან, თითქოს რაიმეს მიაღწიეს ავღანეთში, თითქოს ერაყი ცხვირსახოცების ფრიალით დაემშვიდობება იქიდან მიმავალთ.

ველური აღმოსავლეთის დაპყრობის ძველი ისტორია მეორდება. მაშინ მათი სულთამხუთავი წინაპრები დარწმუნებული იყვნენ, რომ განადგურებული და გაუპატიურებული „წითელკანიანი“ თემების ნარჩენები სამუდამოდ მათი მადლიერი იქნებოდნენ მძივებისა და თამბაქოსთვის.

**არაბულ სამყაროში ახალი „დემოკრატიების“ მასობრივი არეულობების გზით ჩანერგვის პრაქტიკა, უპირველეს ყოვლისა, იმაზე მიანიშნებს, რომ თეთრი ძლევამოსილებით ნაკვები ამერიკის მმართველი კლასი უიმედოდ ჩამორჩა დროს. ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის სულელურ, მაგრამ სისხლიან პოლიტიკას ერთადერთი შედეგი მოჰყვება — ანტიამერიკანიზმის ახალი ტალღა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მსოფლიოში პოზიციების დაკარგვა.**

FONDSK.RU

# დაჯგუფება ნიკოლიჩი-ვუჩიჩი: ამერიკული აგენტურა სერბეთში ხელისუფლებისკენ მიისწრაფვის

**„არაბული რევოლუციების“ ტალღამ, პირველ რიგში, შესაძლოა, არა კავკასიის ან ცენტრალური აზიის, არამედ ბალკანეთისკენ გადაინაცვლოს. სერბეთის პროგრესულმა პარტიამ (სპპ) გადაწყვიტა, „მოქალაქეების ყველაზე მასიური, მშვიდობიანი და დემოკრატიული ყრილობა“ — ოპოზიციის მიტინგი ჩაეტარებინა და მმართველი კოალიციისგან ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა მოეთხოვა. პარტიის ლიდერები ნიკოლიჩი და ვუჩიჩი იმუქრებოდნენ, რომ ქუჩაში გამოიყვანდნენ 100 ათას ადამიანს, რომლებიც პარლამენტის წინ მანამ ისხდებოდნენ პენოპოლისტეროლის ბლოკებზე, ვიდრე თავისას არ მიაღწევდნენ. ნიკოლიჩ-ვუჩიჩის მიერ ჩაფიქრებულმა აქციამ უკვე მოიპოვა ბოლო წლების ფერად რევოლუციებს შორის ყველაზე ორიგინალური სახელწოდება — „პენოპოლისტეროლის რევოლუცია“.**

ნიკოლიჩი და ვუჩიჩი



თავის დროზე ნიკოლიჩ-ვუჩიჩის დაჯგუფების ვიოსლავ შეშელის სერბეთის რადიკალური პარტიიდან (სრპ) გასვლა სერბეთის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით ამ დაჯგუფების საიდუმლო პოზიცია გახდა. მაშინ სპპ-ის თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ და ყოფილმა გენერალურმა მდივანმა მმართველი კოალიციისგან, რომლისთვისაც პოლიტიკის ალფა და ომეგა ევროკავშირთან სერბეთის მიერთება იყო, ამ სტრატეგიული ინიციატივის მითვისება მოინდომა. ნიკოლიჩმა და ვუჩიჩმა ევროკავშირი თავიანთ პირად პრიორიტეტად გამოაცხადეს და ამ დროიდან დაიწყო შეჯიბრი, ვინ უკეთ უზრუნველყოფდა ევროკავშირის (და აშშ-ის) ინტერესების მომსახურებას.

**ნატოს სამხედრო აგრესიის შემდეგ სერბეთი, უკვე 12 წელია, ბრიუსელისა და ვაშინგტონის ზეწოლის ქვეშ იმყოფება. მათ, სერბეთის ევროკავშირში გაწევრებასთან დაკავშირებით, მთელი რიგი პირობები აქვთ.** პირველი და მთავარი რატკო მლადიჩისა და გორან ხაჯიჩის გადაცემაა, მეორე და უმთავრესი — ქვეყნის „რეგიონალიზაცია“ და „დეცენტრალიზაცია“ (მისი რამდენიმე ევრორეგიონად დანაწილება). მოთხოვნების განსაკუთრებული პაკეტი კი კოსოვოს ეხება: სერბეთს ამ შემთხვევაში „კეთილმეზობლური ურთიერთობების“ დამყარება ევალება. ყველა ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით სერბეთის მოსათვინიერებლად დასავლურმა ბლოკმა უკვე ყველა ზომას მიმართა: სანქციებს, სამხედრო აგრესიას, სერბეთის ტერიტორიის გასხვისებას, ანტისერბულ პროპაგანდას...

ცრპ-ში განხეთქილების მოწყობის შემდეგ ნიკოლიჩ-ვუჩიჩის დაჯგუფების ხელში ნაციონალულ-პატრიოტულმა იდეოლოგიამ, რომელმაც რადიკალები ზეპოპულარულ პოლიტიკოსებად აქცია, ადგილი სხვა რიტორიკასა და სხვა ქმედებებს დაუთმო. **ორნახევარ წელიწადში კი ნიკოლიჩ-ვუჩიჩის დასავლეთისკენ ლტოლვამ პარტიის რადიკალურ პროდასავლურ ორგანიზაციად ქცევა და ყველაფრის „ნარინჯისფერ“ დასასრულამდე მიყვანა განაპირობა. ამ პარტიას სხვა ყველასგან ის მოქნილი პოპულისტური რიტორიკა განასხვავებს, რომელიც უკლებლივ ყველანაირ გემოვნებას დააკმაყოფილებდა და აქ აშკარად იგრძნობა უცხოელი პოლიტტექნოლოგების გამოცდილი ხელი.**

განსაკუთრებით ნიშანდობლივია სპპ-ს მრჩევლის თანამდებობაზე ამერიკელი დიპლომატის — მონტგომერის ოფიციალური დანიშვნა. მის მოვალეობებში, სხვა მრავალთან ერთად, ნიკოლიჩისთვის ამერიკის კონგრესის გავლენიან ადამიანებთან, დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან შეხვედრების ორგანიზება და სპპ-ისთვის იმ ქმედებების რეკომენდირებაც შედის, რომლებიც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის შემოქმედთა თვალში მისდამი ნდობას განაპირობებს. ამ ქმედებების ნუსხაშია კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება, ქვეყნის დაყოფა „ევრორეგიონებად“, სერბეთის შესვლა ევროკავშირსა და ნატოში (კოსოვოში მდებარე აშშ-ის მსოფლიოში უმსხვილესი სამხედრო ბაზის — „ბონდსტილის“ ირგვლივ რაკეტსაწინააღმდეგო ფარის განთავსების ჩათვლით), იმ შიდა რეფორმების გატარება, რომელთა შედეგადაც სერბეთი მთლიანად გარედან მართულ ქვეყანად იქცევა. **სერბეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე აშშ-ისა და ევროკავშირის მრავალწლიანი დიქტატის, რეგიონში ალბანური ნარკოკრიმინალური და სეპარატისტული აქტივობის ფონზე მოქმედებათა ასეთი ნაკრები სერბული გეოპოლიტიკური სივრცის განადგურების პროცესის სავსებით ლოგიკური დასასრულია.**

დასავლელი პატრონები თავიანთ აგენტებს წვრილმანებშიც კი არ ანიჭებენ მოქმედების თავისუფლებას, ამიტომ ნიკოლიჩი იძულებული გახდა, შეხედულება შეეცვლევინებინა სერბებისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებითაც კი, როგორიც ჰააგის ტრიბუნალთან თანამშრომლობაა.

16 აპრილს გამართულ უდიდეს ანტისახელისუფლო მიტინგზე მთავარი მოთხოვნა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა იყო. საქმე ისაა, რომ ოქტომბერში ევროკომისია სერბეთს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს მიანიჭებს. სპპ-ის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ევროკავშირის მთავარ ფავორიტად იქცევა.

რაც შეეხება ევროკავშირის მთავარ მოთხოვნას — სერბეთის დეცენტრალიზაციას — ხელისუფლება და „ოპოზიცია“ ზუსტად ერთნაირ პოზიციაზე დგანან. **„ვოევოდინის ავტონომიის მიღწეული დონე არასდროს შეიცვლება და ამ მხრივ ვოევოდინის უნგრელთა კავშირს შეუძლია მშვიდად იყოს“,** — განაცხადა ნიკოლიჩმა, მაგრამ ვოევოდინის სეპარატისტები მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებენ, მათი „ავტონომიზაციის“ პროგრესირებადი პროცესი სულ უფრო შეუქცევადი ხდება. რადგან ვესელინოვმა, ვოევოდინელი უნგრების ერთ-ერთმა ყოფილმა ლიდერმა განაცხადა, რომ ვოევოდინის ხალხმა რეფერენდუმით უნდა გამოხატოს თავისი ნება — სურთ თუ არა კვლავ სერბებთან ერთად ცხოვრება. **„ვფიქრობ, რომ პასუხი უარყოფითი იქნება. ამიტომ ვოევოდინა სახელმწიფო უნდა გახდეს“,** — ხაზი გაუსვა მან. **ოფიციალური ბელგრადისა და „უმსხვილესი ოპოზიციური პარტიის“ პოზიციებში ამგვარი თანხვედრა მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ სერბეთი, კოსოვოს მსგავსად, ვოევოდინასაც დაკარგავს.**



FONDSK.RU

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## ჯონ ჩემბერსი



**ჯონ ჩემბერსი, საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში მომუშავე კომპანია Cisco Systems-ის ყოფილი მეთაური, საკუთარი კომპანიის საბირჟო კურსის მომატების მიზნით, რამდენიმე წლის განმავლობაში არასწორ სტატისტიკას ავრცელებდა.** ამ კომპანიის აქციები ამერიკის საპენსიო ფონდების უმეტესი ნაწილის საინვესტიციო პორტფელის შემადგენელი ნაწილი იყო. სწორედ ამიტომ კომპანიაში მდგომარეობის გართულება ნეგატიურად მილიონობით ამერიკელის პენსიებზე აისახა. ჩემბერსის მუშაობის მეთოდები მალევე გახმაურდა, რის გამოც ექვსი თვის განმავლობაში Cisco Systems-ის აქციებმა ღირებულების 80 პროცენტი დაკარგა. ჩემბერსის საქმიანობით საგამოძიებო ორგანოები დაინტერესდნენ, კომპანიის რამდენიმე თანამშრომელი დააპატიმრეს.

# ამერიკის უდიდესი ბიზნეს-სკანდალები

**ტოპ-მენეჯერთა ლტოლვა – უკანონოდ მოიპოვონ დიდი ფული, ხშირად დიდი სკანდალებით სრულდება. ისინი თავს არიდებენ გადასახადებს, მანიპულირებენ ფინანსური ანგარიშგების დროს, ხშირად კი კორპორატიულ და პირად შემოსავლებს ერთმანეთში „ურევენ“. ყველაზე გონივრულად მოფიქრებული თაღლითობაც კი მაქსიმუმ 3-4 წელს რჩება საიდუმლოდ, მათ, როგორც წესი, უახლოესი რევიზიის დროს აღმოაჩენენ ხოლმე.**

ნებისმიერი ბიზნეს-სკანდალი კიდევ უფრო ხმაურიანი მას შემდეგ ხდებოდა, რაც დაზარალებული მესაკუთრეები ამერიკის ინვესტორთა უფლებების დაცვის ფედერალურ კომისიას მიმართავდნენ დასახმარებლად. თუ დატაცების აშკარა ხასიათი გამოვლინდებოდა, საქმეში ჯერ გამოძიების ფედერალური ბიურო ერთვებოდა, შემდეგ მას პროკურატურაც უერთდებოდა. თაღლითები სასამართლო დევნის ობიექტები დაზარალებულთა მხრიდანაც ხდებოდნენ.

**„ანტიგმირები“ ხშირად იყვნენ უმსხვილესი ფირმების ტოპ-მენეჯერები, რომლებიც მანამდე უმწიკვლო რეპუტაციით სარგებლობდნენ და მისაბაძ ადამიანებად ითვლებოდნენ. მათ მიერ განხორციელებულმა ბიზნეს-მაქინაციებმა ამერიკის ეკონომიკას უზარმაზარი ზარალი მიაყენა. ფინანსურმა ბაზარმა ასობით მილიარდი დოლარი დაკარგა და ათობით ათასი სამუშაო ადგილი შეიწირა.**

**ექსპერტთა აზრით, ამ ფინანსურმა სკანდალებმა ამერიკას ისეთივე ზარალი მიაყენეს, როგორიც ტერორისტულმა აქტებმა 2001 წლის 11 სექტემბერს.** ასეთი შემთხვევების მომრავლების გამო, ამერიკის საფინანსო კანონმდებლობაში შეიტანეს სპეციალური ცვლილებები, რომლებიც მსგავს დარღვევებს აღარ დაუშვებს. ამერიკის უდიდესი კომპანიების ხელმძღვანელთა „საგმირო საქმეებმა“ ქვეყნის ეკონომიკას სერიოზული ზარალი მიაყენეს.

## დენის კოზლოვსკი



**დენის კოზლოვსკი ელექტრონიკის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, მედიცინის სფეროებში მოღვაწე კომპანია Tyco-ს ყოფილი მეთაური ამავე კომპანიის სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად ფირმის ფულს პირადი ინტერესებისთვის იყენებდა.**

კორპორატიული სახსრებით მათ ტანსაცმელი, ძვირფასი ნივთები, ხელოვნების ნიმუშები შეიძინეს. საკუთარი საჭიროებებისთვის გამოყვეს უპროცენტო კრედიტები.

კოზლოვსკიმ და მისმა მეგობრებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა უარესდებოდა, ამიტომაც Tyco-ს აქციების საკუთარი წილი გაყიდეს და ამის შემდეგ მიაწოდეს ინფორმაცია აქციონერებსა და მაკონტროლებელ ორგანოებს. კოზლოვსკიმ და მასთან დაახლოებულმა პირებმა ამ კომპანიიდან 600 მილიონი დოლარი „შეისრუტეს“. კოზლოვსკის საქმე სასამართლოში განიხილება. ნივთმტკიცებულის სახით, გამოყენებულია ორ მილიონად ღირებული სადღესასწაულო კერძო წვეულების ვიდეოჩანაწერი. დანახარჯი მან კომპანია Tyco-ს ანგარიშებიდან დაფარა.

## უილიამ ჰარისონი






**უილიამ ჰარისონი ბანკ JP Morgan Chase-ის ყოფილი ხელმძღვანელია. ეს ბანკი აქტიურად მონაწილეობდა კომპანია „ენრონის“ თაღლითურ სქემებში.** ამავე ბანკის ექსპერტები თავიანთ კლიენტებს აძლევდნენ რჩევებს, ფინანსურად არასაიმედო კომპანიების აქციები შეეძინათ, მიუხედავად იმისა, რომ მათი რეალური ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ფლობდნენ. ამ ბანკის კლიენტებმა მილიარდობით დოლარი დაკარგეს. უილიამ ჰარისონის საქმიანობით გამოძიება დაინტერესდა.

## კენეტ ლეი



**ენერგეტიკულ კონცერნ Enron-ის მეთაურმა კენეტ ლეიმ თავისი კომპანია გაკოტრებამდე მიიყვანა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ეს კომპანია, გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით, თაღლითურ ფინანსურ სქემებს იყენებდა. თვით კენ ლეიმ ამ ისტორიაში ძალიან ცუდად გამოიჩინა თავი.** მან მშვენივრად იცოდა კომპანიის უმძიმესი ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკუთარ თანამშრომლებს ურჩევდა, „ენრონის“ აქციები შეეძინათ. შედეგად, კომპანიის აქციონერთა და თანამშრომელთა დანაკარგები მილიარდობით დოლარად შეფასდა. მიუხედავად ფინანსური სირთულეებისა, თვით კომპანიის ხელმძღვანელი უზარმაზარ ხელფასებს იღებდა. მხოლოდ 2001 წელს მან ანაზღაურების სახით 100 მილიონი დოლარი მიიღო. ამ კომპანიის რამდენიმე ხელმძღვანელის და, მათ შორის, კენეტ ლეის საქმიანობით გამოძიება დაინტერესდა.

**2006 წლის 5 ივლისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ 64 წლის ასაკში კორპორაცია „ენრონის“ დამაარსებელი და მისი ყოფილი მეთაური კენეტ ლეი გულის შეტევისგან გარდაიცვალა. იმავე წლის მაისის ბოლოს ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონის სასამართლომ კენეტ ლეი ჯეფრი სკილინგთან ერთად თაღლითობასა და კანონით აკრძალული ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებაში დაადანაშაულა.**

კორპორაცია „ენრონი“ 2001 წელს გაკოტრდა. არასრული ექვსი თვის განმავლობაში მისი საბაზრო ღირებულება 60 მილიარდი დოლარიდან, პრაქტიკულად, ნულამდე დავიდა. კომპანიის ვალმა 31,8 მილიარდი დოლარი შეადგინა. უმუშევარი დარჩა 4 ათასი ადამიანი. კომპანიის თანამშრომლებმა 2 მილიარდი დოლარი საპენსიო დანაზოგების სახით დაკარგეს.




## ჯონ რიგასი




**ჯონ რიგასი სატელეკომუნიკაციო კომპანია Adelphia Communications-ის ყოფილი მეთაურია. მან ეს კომპანია, ფაქტობრივად, ჯიბის ბანკად გაიხადა და კომპანიის ფულს საკუთარი საჭიროებებისთვის ფლანგავდა.** იგი აქტიურად იყენებდა თაღლითურ სქემებს გადასახადებისგან თავის ასარიდებლად, ამერიკის მაკონტროლებელ საფინანსო ორგანოებს კი კომპანიის მდგომარეობის შესახებ ცრუ ინფორმაციას გადასცემდა. რიგასი დაპატიმრებულია.

## დევიდ დანკანი



**დევიდ დანკანი აუდიტორული კომპანია Arthur Andersen-ს ხელმძღვანელობდა, როცა კომპანია „ენრონი“ საფინანსო ანგარიშებით მანიპულირებდა.** ამ საქმის გამოძიების დროს გაირკვა, რომ დანკანმა თანამშრომლებს ამ კომპანიის დოკუმენტაციის განადგურება უბრძანა. მისი საქმიანობით გამოძიება დაინტერესდა.




## სტივ კეისი

**სტივ კეისი კომპანია AOL-Time Warner-ის მეთაური იყო. ეს კომპანია ტელეკომუნიკაციების, გართობის ინდუსტრიისა და შოუ-ბიზნესის მიმართულებით საქმიანობდა.** საკუთარი ფირმის აქციების გაზრდის მიზნით, იგი შესაბამის ორგანოებსა და ბაზარს კომპანიის მდგომარეობის შესახებ მცდარ ინფორმაციას აწვდიდა. მის მიერ თაღლითური სქემების გამოყენების გამო, კომპანია AOL-ის აქციონერებმა მილიარდობით დოლარი დაკარგეს. კეისის მიერ მოტყუებულმა აქციონერებმა მის წინააღმდეგ სასამართლოში 30 სარჩელი შეიტანეს. სასამართლო მოსმენები, უკვე დიდი ხანია, მიმდინარეობს.








ნაგებობა სიმაღლეში 365 მეტრია, მოცულობით კი — დაახლოებით 2,8 კვადრატული კილომეტრი. დიზაინი გათვლილია 40 ათას სულზე. მასში ყველაფერია, რასაც ნორმალურ ქალაქში შეხვდები — მაღაზიებიდან და სკოლებიდან დაწყებული, სასტუმროებითა და კაზინოებით დამთავრებული.



ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ნოეს ახალი კიდობანი — მომავლის ქალაქი

**ერთი შეხედვით, ეს უცნაური და საინტერესო ნაგებობა სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ფილმებში გამოყენებულ კონცეპტს ჰგავს, მაგრამ მომავალში ის შეიძლება სავსებით რეალურ ქალაქად იქცეს. მასში იცხოვრებენ ადამიანები ქალაქებიდან, სადაც ხშირადაა ცუდი ამინდი, ქარიშხალი, მიწისძვრა და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმები.**





მისი შექმნის იდეა მას შემდეგ დაიბადა, რაც 2005 წელს აშშ-ის ქალაქი ნიუ ორლეანი მნიშვნელოვნად დააზარალა ქარიშხალმა „კატრინამ“. მიყენებული ზარალი იმდენად მასშტაბური იყო, რომ ხელისუფლებას იგი ბოლომდე ჯერ კიდევ არ აღმოუფხვრია.

მათი შემხედვარე, ბოსტონელი დიზაინერების ჯგუფმა წამოჭრა იდეა, შეექმნათ წყალზე მოტივტივე ქალაქი. ის მისისიპის სანაპიროზე განთავსდებოდა და საშუალებას მისცემდა სახელმწიფოს, აერიდებინა მსგავსი ტრაგედია მომავალში.

**ნაგებობა სიმაღლეში 365 მეტრია, მოცულობით კი — დაახლოებით 2,8 კვადრატული კილომეტრი. დიზაინი გათვლილია 40 ათას სულზე. მასში ყველაფერია, რასაც ნორმალურ ქალაქში შეხვდები – მაღაზიებიდან და სკოლებიდან დაწყებული, სასტუმროებითა და კაზინოებით დამთავრებული. მომავლის ქალაქში ასევე უხვადაა ბაღები, სწრაფი ლიფტები ვერტიკალური გადაადგილებისთვის და ბილიკები ფეხით მოსიარულეთათვის.**

**პროექტის სახელწოდება „ნიუ ორლეანის არქოლოგიური საცხოვრებელი“ — NEW ORLEANS ARCOLOGY HABITAT, პირველი ასოების შეერთებით მიიღება NOAH, ანუ ნოე. ის წარმოადგენს მტკიცე სამკუთხა „ქმნილებას“, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ამინდის მკვეთრ ცვლილებებს.** მაგალითად, თუკი ძლიერი ქარი ამოვარდება, უბრალოდ მასში გაივლის და ძლიერ რხევებს არ წარმოქმნის. კონსტრუქციის კედლები მედეგია ქარიშხლის მიმართ. ჰაერის ძლიერი ნაკადის შემოტევის შემთხვევაში შიგნით მყოფ ხალხს ზიანი არ მიადგება.

მთავარმა დიზაინერმა კევინ შოპერმა განაცხადა, რომ პროექტზე მუშაობისას სამ ძირითად საკითხზე უწევდათ ფიქრი: პირველი საკითხი იყო ამინდის ცვლილების მიმართ წინააღმდეგობის გაწევა. კონსტრუქცია უნდა ყოფილიყო სტაბილური და უსაფრთხო, რათა დროის დიდ პერიოდს გაუძლოს. მეორე საკითხი იყო წყალი. ნიუ ორლეანის დიდი ნაწილი მდებარეობს ზღვის დონეზე ან მის ქვემოთ. ამ მიზეზით ქალაქში არც ისე იშვიათია დატბორვა. მესამე საკითხი მიწაა. ნიუ ორლეანი გაშენებულია ისეთ ნიადაგზე, რომლის დიდი ნაწილი რბილი მიწა, თიხა და შლამია. ამ სამი მიზეზის გამო ქალაქში დიდი ნაგებობების შენება სარისკო საქმეა. ამიტომ მათ გადასალახად შექმნეს მოტივტივე ქალაქის სტრუქტურა. შოპერის თქმით, ამ ქალაქის მოსახლეობა სრულფასოვნად იცხოვრებს. მათ ექნებათ სასკოლო სისტემა, საცალო მაღაზიები, სავაჭრო ცენტრები, სასტუმროები, კაზინოები, ავტოსადგომები და სამუშაო ადგილებიც კი.

**მართალია, ქალაქი იტივტივებს, მაგრამ ერთ ადგილას იქნება გაჩერებული. კონცეპტი შექმნილია ნიუ ორლეანისთვის, თუმცა ცხადია, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი ქალაქის სანაპიროზე.**





# ყველაზე სახიფათო «ავტომაგისტრალი»

**„El Camino de la Muerte“ – ასე ჰქვია ყველაზე სახიფათო გზას დედამიწაზე. იგი ბოლივიაში მდებარეობს და სიგრძით 56 მილს აჭარბებს. ბოლივიის მთავარ ქალაქ ლაპასაში მიმავალი ეს გზა 1930-იან წლებში პარაგვაელმა სამხედრო ტყვეებმა გაიყვანეს. ბევრი მათგანი მშენებლობისას დაიღუპა, ახლა კი ამ ცოდვით აგებულ გზაზე ყოველწლიურად რამდენიმე ასეული მგზავრი იღუპება.**

როდესაც ზღვის დონიდან 3600 მეტრის სიმაღლიდან ამ ვიწრო გზით 330 მეტრამდე დაღმართებზე იწყებს დაშვებას, მძღოლი, რომელიც აქამდე პროფესიონალად თვლიდა თავს, ლოცვას იწყებს და მდგომარეობისთვის თვალის გადავლების შემდეგ მისი მგზავრებიც რწმუნდებიან — ცხოვრებაში ზუსტად ის მომენტი დაუდგათ, როდესაც მხოლოდ ლოცვის დროა. სადღაც ქვემოთ მოჩანს პატარა, წვრილი ვერცხლისფერი ძაფი.

ეს მდინარე კოროიკოა, რომელიც ამაზონისკენ მიექანება. თავად გზა (თუკი შეიძლება მას ასე ეწოდოს) სიგანეში სამ მეტრს არ აღემატება. ალაგ-ალაგ კი ისე ვიწროვდება, რომ ორი მანქანა გვერდს ვერ აუქცევს ერთმანეთს. წარმოუდგენელია, მაგრამ ეს ერთადერთი მთავარი გზაა მიკროავტობუსებისა და ავტომობილებისთვის.













# ტრამპი და ალტი ფუფუნებას მოწყურებული ქვეყნის ტანჯვას გვიმსუბუქებენ

„ერთმა კატმა ქორწილი ქნა
ფეხდამწვარი წიწილითა,
თაგვი მაყრულს ეუბნება,
კატა კვდება სიცილითა!“

*ხალხური*





**შინაური ფეშენშოუებისა და ქალაბიჭოლების ესთეტიკაზე ამოზრდილი, თავდაჯერებული და ინგლისურად „მოია-ტვოია“-ს დონეზე სხარტად მოლაპარაკე ჩვენი სახელმწიფო ელიტის ნაღები უახლოესი გარემოცვის სახით გაიყოლია ახლახან ნიუ იორკში მივლინებით წასულმა მიხეილ სააკაშვილმა.**

გაიყოლია და კიდეც მისცა ინგლისურად „ღადავის“ მიზეზი ჟურნალისტ ტიმოთი ფარინგტონს The New Yorker-ის ფურცლებზე. „მაღალი რანგის სტუმრები“ დააწერა სათაურად სტატიას ტიმოთიმ და ჩადო მიწაში მისი ბრწყინვალების წარმომადგენლობა.

მივლინება კი ვთქვი, მაგრამ კოლეგა ტიმოთიმ ეგრევე გამისწორა: **„ახლახან საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქალაქში მისი დიდი ხნის მეგობრის — დონალდ ტრამპის სანახავად ჩამოვიდა“.**

პრეზიდენტი, რომელიც თავისი მეგობრების სანახავად აღმა-დაღმა დაფრინავს სახელმწიფო ხარჯზე და ხალხის ფულით.

ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პრეზიდენტის რანგში თურქეთში პირველი ვიზიტის დროს იმდენი „თანმხლები პირი“ გაჰყვა (ცალკე — თბილისიდან, ცალკე — ასლან აბაშიძის ბათუმში აკრეფილი ამალა), რომ ანკარის აეროპორტში თვითმფრინავიდან გადმოსული ამდენი ხალხის ხილვისას მასპინძლებმა გაოცება ვერ დამალეს — რა ამბავიაო!

შევარდნაძის რეაქცია მყისიერი იყო:

— რაც უფრო პატარაა ქვეყანა, მით უფრო დიდი დელეგაციებით დაფრინავსო.

იხუმრა...

ახლა სერიოზული სახელმწიფო ვართ, დელეგაციებსაც ვამცირებთ და არც ვხუმრობთ, ალაგ-ალაგ გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით: **„მარტო რომ დავრჩები, ვფიქრობ, რა სისულელეები ვუთხარი ლუიზას“** (უფრო ზუსტად — იხილე მიხეილ სააკაშვილის დამაგვირგვინებელი ფრაზა ამერიკელი ტელეჟურნალისტი ქალისთვის მიცემული ინტერვიუდან).

ამჟამად, ტერიტორიებდაკარგული დიდი ქვეყნის პირობაზე, დიდ სახელმწიფოებრივ ამოცანებს ვწყვეტთ ხუმრობაგაშვებით.

თქვენ რა, ხუმრობა გგონიათ, თუ „დიდი ხნის მეგობარი“ ტრამპი **„საკუთარ სახელს და შესანიშნავ გამოცდილებას საქართველოში ორი ნაგებობის მშენებლობისთვის გაიღებს“**? (იხ. The New Yorker-ის დასახელებული სტატია).

პოლიტობივატელი ტრამპის ამ გადაწყვეტილებით ისე აკუნტრუშდა, როგორც ხბო, რომელმაც შეიტყო, რომ მამალი ძროხის პერსპექტივა ელოდა **(იხ. კვეზერელის „მეცხოველეობის განმარტებითი ლექსიკონი“).**

სახელი დააგირავა, — აი, ეს ულვაში გამპარსეთ, ასე თუ არ მოხდესო! — დაგვიტრამპტაუერა, დიიიდი ინვესტიციით შეგვეწია.

შეიფერა ეს მიღწევა სააკაშვილის ამალამ და ისეთი დიპლომატიური თავდაჭერილობით გამოცხადდა ამ მოვლენის აღსანიშნავად ტრამპის მიერ Four Season-ში გამართულ წვეულებაზე, **„თითქოს სამოდელო სააგენტოში ჩატარებული კონკურსიდან მოვიდნენ“,** — ჩაიქირქილებს ამის მომსწრე და მნახველი ტიმოთი, გვარად ფარინგტონი.

**მასპინძელი ტრამპი ამ ღონისძიებაში არ მონაწილეობდა, რამაც ეს მიღება ღარიბი ნათესავებისთვის სამოწყალოდ**

**სტუმრებიდან საქართველოში ცოტა ვინმე თუ იყო ნამყოფი, ხოლო მათი ძალისხმევა, ვინც იქ ნამყოფი იყო და მისი ხიბლის აღწერას ცდილობდა, საოცრად ჰიბრიდულ სურათს ხატავდა**

**გადმოგდებულ ლუკმას დაამსგავსა, და დარჩა ჩვენი კეკლუცი ვერონიკა ტრამპის კომპლიმენტების გარეშე, რომლებიც, ეტყობა, პატივცემულმა დონალდმა სააკაშვილის პრესმდივანს მთლიანად დაახარჯა წინა შეხვედრის დროს და სურათიც გადაიღო მასთან ერთად.**

არადა, ღირსი იყო ვერა აღფრთოვანებული სიტყვების, რადგან პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე მისებრი რევოლუციონერი-რეფორმატორი არც ერთ ქვეყანაში არ გამოჩენილა: ინკარნირებული სული ვერა ზასულიჩისა.

„მაგარი“ ქალი იყო ვერა ზასულიჩი, ნამდვილი ტერორისტი. 1878 წელს თავს დაესხა პეტერბურგის ქალაქის თავს — თეოდორ ტრეპოვს, იატაკქვეშა ლენინური გაზეთების — „ისკრას“ და „ზარიას“ რედაქციების წევრიც ბრძანდებოდა, ბოლოს გამენშევიკდა.

ჰოდა, ერთმა ვერამ რუსეთის რევოლუცია შვა, მეორე ვერა — „ვარდების რევოლუციამ“. ასეთი ქალის კომპლიმენტების გარეშე დატოვება იქნება?

ვერა!

მერე — რა განათლება, როგორი ერუდიცია, რაც ტიმოთი ფარინგტონის დაკვირვებულ თვალს არ გამორჩენია: იმ წვეულებაზე **„გლუქსმანი** *(სააკაშვილის მრჩეველი. — ა.ს.)* ვერა ქობალიას მიუბრუნდა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების 29 წლის მინისტრს და სიცილით ჰკითხა *(იცოდა, რა ბაგაჟის პატრონიც იყო. — ა.ს.)*: **„შეგიძლია რამე კარგი თქვა ჩვენს კულტურაზე?“**

**„თხუთმეტი წლის განმავლობაში კანადაში ვცხოვრობდი. ბედნიერი ვიყავი, მაგრამ მაინც დავბრუნდი საქართველოში“,** — თქვა მან.

დარჩენილიყავი, შე კაი დედ-მამის შვილო, კანადაში იმ შენ ბედნიერებასთან ერთად, რა მოგარბენინებდა ამ უბედურ საქართველოში?!

ფარინგტონს მორიგი ჩაქირქილებისთვის შესანიშნავი საბაბი ეძლევა და იგიც ხელიდან არ უშვებს მას: **„ზოგიერთს გამოცდილებაზე მეტი ენთუზიაზმი აქვს. ქობალიას ოფიციალურ ბიოგრაფიაში უწერია, რომ კოლეჯი დაამთავრა (King Georg's, 99) და 2004-2006 წლებში გასართობ-იუმორისტული მიმართულების პროდიუსერად მუშაობდა“.**

„კულტმასავიკია“ და შესაბამისად გამოწყობილი გამოცხადდა კიდეც ტრამპის წვეულებაზე, რომელიც თავად მასპინძლის მიერ იგნორირებული იყო.

სააკაშვილი კი იღვრებოდა თურმე ტრამპის ქება-დიდებად, რასაც ფაქტოლოგიურ საფუძველზე აგებდა: **„ტრამპთან შეხებამ შთაბეჭდილება**

**„ტრამპთან შეხებამ შთაბეჭდილება მოახდინა. „ნიუ იორკში ყოველთვის ტრამპის სასტუმროებში ვჩერდები“, — თქვა სააკაშვილმა. ამჯერად ეს იყო International Hotel & Tower-ი კოლუმბიის მოედანზე“**

**მოახდინა. „ნიუ იორკში ყოველთვის ტრამპის სასტუმროებში ვჩერდები“, — თქვა სააკაშვილმა. ამჯერად ეს იყო International Hotel & Tower-ი კოლუმბიის მოედანზე“.**

ამ სასტუმროში, რომელიც უპრესტიჟულეს უბანში მდებარეობს, ცხოვრების სიამოვნების უფლება, თანაც უძვირეს საპრეზიდენტო აპარტამენტებში, შეიძლება მხოლოდ სააკაშვილმა მისცეს საკუთარ თავს.

**ჩათვალეთ, რომ ჩვენი დაპატიჟებულია, რადგან მივლინების ფულს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იხდის.**

სტუმართმოყვარე ხალხი ვართ ქართველები ყველგან, სადაც კი ხელი მიგვიწვდება, ან — არ მიგვიწვდება.

ეს შეუნიშნავს The New Yorker-ის სტატიის ავტორსაც: **„როცა სააკაშვილთან საუბრის ორგანიზება ვთხოვე, რაფაელ გლუქსმანმა, 31 წლის მრჩეველმა, გულისხმიერად მიპასუხა: „ჩვენ თქვენ მოგიტაცებთ! ეს ძველი კავკასიური ტრადიციაა!“** ზუსტად კინოკომედია „Кавказская пленница“-ს სტილში: უარს თუ იტყვი, Зарежут!, ყელს გამოჭრიანო.

„Шутка!“

ახლა კი, გნებავთ, სერიოზულად აღიქვით, გნებავთ — „შუტკად“ ტიმოთი ფარინგტონისეული შეფასება თემურ იაკობაშვილისა — **„ახალი ბრენდი“, 43 წლის საქართველოს ელჩი აშშ-ში“.**

ეს „ბრენდი“ იმ უმასპინძლო წვეულებაზე **„კეროლ ალტს უსმენდა, 80-იანი წლების სუპერ მოდელს... ტრამპის მსგავსად, ალტი ცდილობდა იმ ქვეყნის ტანჯვის შემსუბუქებას, რომელსაც ფუფუნება სწყუროდა (!). მან თქვა, რომ შეიძლება საქართველოში თავისი ნატურალური კოსმეტიკის ხაზი Raw Essentials-ი გახსნას“.**

არ გინდა, დეიდაჯან, რადგან უთქვენხაზოდაც გადახაზულები ვართ!

მაგრამ არ მეთანხმება ცინიკოსი ავტორი და საპირისპიროს ამტკიცებს, ანუ ალტის კოსმეტიკაზე მოთხოვნა საქართველოში არსებობსო, რადგან ამას ადასტურებს თუნდაც ასეთი კრიმინალური ფაქტი: **„ამ კვირის დასაწყისში ქართული დელეგაციის წევრი Century-21-ში ქურდობისთვის დაიჭირეს, მაგრამ დიპლომატიურმა იმუნიტეტმა დაპატიმრებისგან იხსნა“.**

უნდოდა წევრს და მოიპარა!

ესე იგი, საქართველოშიც ენდომებათ. ამიტომ მოვა ალტი თავისი ხაზებით და გვეშველება ფუფუნებამოწყურებულებს.

მოკლედ, საითაც გავიქეცი, იქით წამოვკარი ფეხი პროვინციულ ეკლექტიკას და თავდაჯერებულობას.

ფარინგტონი ამჩნევს ამას ამერიკელ თანამემამულეებშიც და იმათაც არ ინდობს: **„სტუმრებიდან საქართველოში ცოტა ვინმე თუ იყო ნამყოფი, ხოლო მათი ძალისხმევა, ვინც იქ ნამყოფი იყო და მისი ხიბლის აღწერას ცდილობდა, საოცრად ჰიბრიდულ სურათს ხატავდა. მაგალითად, ბათუმი: „მონტე კარლოსა და ლას ვეგასის ნაზავი“. „ყველაფერი საუკეთესო, რაც აქვს იტალიას, კომბინირებული ყველაფერ საუკეთესოსთან, რაც საფრანგეთშია“. ქართული სამზარეულო: „სადღაც ინდურ სამზარეულოს გაგონებს, მაგრამ გარკვეული დოზით ხმელთაშუა ზღვისპირულია“.**

ესე იგი, გვაქვს ყველაფერი საუკეთესო, ოღონდ — სხვისი, სხვისი მიბაძვით გაკეთებული. საკუთარი — არაფერი! მათ შორის, — არც პრეზიდენტი, რომელიც კი არის გამორჩეული (**„სიმაღლე — ექვსი ფუტი და სამი დუიმი, ახლოს ჩამჯდარი თვალები აქვს და აწეწილი შავი (!) თმა“),** მაგრამ გაქცევაზეა. აკი, ამბობს კიდეც სააკაშვილი საკუთარი პირით: **„თუკი ის** (ტრამპი. — ა.ს.) **გადაწყვეტს საქართველოს პრეზიდენტად კენჭისყრას, მან შეიძლება გაიმარჯვოს“.**

**Шутка!**

**არმაზ სანებლიძე**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net